საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№12 (103)
6 – 12 აპრილი, 2011
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
info@geworld.net



2

# Welcome to Hell
# იომებენ თუ არა ქართველი ჯარისკაცები ლიბიის ომში?

სახმელეთო ოპერაციისთვის ნატოს ქვეითები დასჭირდება. მას შემდეგ, რაც 31 მარტს შტატებმა მკვეთრად შეზღუდა საკუთარი მონაწილეობა ლიბიის ოპერაციაში, მათ „ოქროს ფასი“ დაედო. ამ სიტუაციაში ნატოსთვის ღირებული გახდება ნებისმიერი კონტინგენტი, მათ შორის — ქართული, რომელიც „ნატოში გაწევრიანების პერსპექტივით“ გაბრუებულმა სააკაშვილის ხელისუფლებამ შეიძლება ლიბიაში გააგზავნოს.



## გახდი მეფე 50 ლარად!



ია ბაგრატიონ-მუხრანელი:

### ალმოჩნდა, რომ 500-მდე ბაგრატიონია, რაც ნონსენსია 5

იაკობ ახუაშვილი:

### საქართველოს საბოლოოდ დალუპავს შეცვლილი გვარებით შენიღბული ხალხი



ასე იქცა სავლე პავლედ, მამედოვი — მამადაშვილად, ასატუროვი — ასათიანად, საქართველო კი — არშემდგარ სახელმწიფოდ...

„მისიის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ადგილი, საიდანაც თავდამსხმელები ისროდნენ, ავტობუსებიდან დაახლოებით 100 მეტრით იყო დაშორებული და საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარეობდა...“



## რემინისცენცია ხურჩის ინციდენტის თემაზე 10

## ხელისუფლება პოლიტიკური ოპონენტების ბიზნესს აკოტრებს 16

მონოპოლიად შეიძლება არ ჩათვალონ, რადგან რამდენიმე კომპანიაა: „ვისოლი“, „სოკარი“, „ლუკოილი“ და ა.შ. მაგრამ რეალურად ყველაფერი მონოპო-ლიზებულია.




## უდიპლომო დეპუტატს ბათუმის ბულვარში მემედ აბაშიძის ადგილი არ ეგულება 12



7 ქვეყნის პოლიტიკური კურსი უნდა შეიცვალოს

გია ხუხაშვილი:
პრობლემა არა საგარეო ვალში, არამედ ვალის გადახდის-უუნარობაშია 6

ოტია იოსელიანი:
რა ვაჭამოთ ტურისტს? 8

ნუკრი ქანთარია:
ვერც ერთი ოპოზიციონერი ვერ იქცა ლიდერად, ვისაც ხალხი გაჰყვებოდა... 9

13 მილიონერი მაჟორიტარები საქართველოში

ამერიკელი სამხედროები ავღანეთში ადამიანობას კარგავენ 20

საფრანგეთმა ბანდიტებს «დემოკრატია» მიჰყიდა 27

საერთაშორისო ძარცვის ახალი წესრიგი 28

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**სახმელეთო ოპერაციისთვის ნატოს ქვეითები დასჭირდება. მას შემდეგ, რაც 31 მარტს შტატებმა მკვეთრად შეზღუდა საკუთარი მონაწილეობა ლიბიის ოპერაციაში, მათ „ოქროს ფასი“ დაედო. ამ სიტუაციაში ნატოსთვის ღირებული გახდება ნებისმიერი კონტინგენტი, მათ შორის — ქართული, რომელიც „ნატოში გაწევრიანების პერსპექტივით“ გაბრუებულმა სააკაშვილის ხელისუფლებამ შეიძლება ლიბიაში გააგზავნოს.**



# Welcome to Hell

# ანუ იომებენ თუ არა ქართველი ჯარისკაცები ლიბიაში?



**გააგზავნიან თუ არა ახლო მომავალში ჩვენს ჯარისკაცებს ლიბიაში? არცთუ დიდი ხნის წინათ ეს კითხვა მხოლოდ ღიმილს თუ გამოიწვევდა და გამორიცხული არაა, საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ის დღესაც არააქტუალურად ჩათვალოს. არადა, სულ მალე, იმ შემთხვევაში, თუ ნატო ლიბიაში სახმელეთო ოპერაციას დაიწყებს, ჩვენი კონტინგენტის გაგზავნა იმ ღვთისაგან მივიწყებულ უდაბნოში შეიძლება რეალობად იქცეს.**

## მოსაწყენი ლიბიურ ჯოჯოხეთში

ამ საკითხთან დაკავშირებით ათვლის წერტილად, ალბათ, აშშ-ის ელჩის — ჯონ ბასის 24 მარტის განცხადება უნდა ჩავთვალოთ. **„როგორ გახდება საქართველო ნატოს წევრი? ჩვენ დავარწმუნებთ ალიანსს, რომ მისი წმინდა შენატანი ევროატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოებაში დიდია და ის შეუერთდება მას, — განაცხადა ბასმა, — წმინდა შენატანი ორი კუთხით უნდა შეფასდეს: ერთია საქართველოს წვლილი ნატოს ოპერაციებში, მაგალითად, ავღანეთში, და მეორე — საქართველოს წვლილი ნატოს საზღვრებში, რაშიც, ძირითადად, შიდა რეფორმები იგულისხმება“.** ერთი შეხედვით, ამ ფრაზაში უცნაური არაფერია, მაგრამ ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ელჩმა, უპირველესად, ახსენა „საქართველოს წვილილი ნატოს ოპერაციებში“ და ამით ხაზი ამ ფაქტორის პრიორიტეტულობას გაუსვა. ვინ იცის, იქნებ, ამ სიტყვების მიღმა ძალიან მარტივი ქვეტექსტი იყოს: **„Welcome to Afghanistan (კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ავღანეთში), მეტიც, „Welcome to Lybia“, საბოლოო ჯამში, კი „Welcome to Hell“ (კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჯოჯოხეთში).**

27 მარტს ნატოს გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ ალიანსი თანახმაა, ლიბიაში სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელობა საკუთარ თავზე აიღოს, 31 მარტს კი ნატო ოპერაციას სათავეში ჩაუდგა. საინტერესოა, რომ ამავე პერიოდში **სააკაშვილის ხელისუფლებამ გააძლიერა ნატოში გაწევრიანებაზე ორიენტირებული რიტორიკა, რომელიც ბოლო დროს დიდად აქტუალური ნამდვილად არ იყო.** 28 მარტს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის წევრებთან შეხვედრაზე ვიცე-პრემიერმა გიორგი ბარამიძემ ამ თემაზე ვრცლად ისაუბრა: **„როცა საქართველო მზად იქნება ალიანსის წევრობისთვის, ამის შემდგომ კონსენსუსის გზით ნატო მიიღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, როდის გახდება საქართველო ნატოს წევრი. ნატოს ჰქონდა პრეცედენტები, რომ წევრად მიეღო ქვეყანა, რომელსაც ტერიტორიული მთლიანობის საკითხი არ ჰქონდა გადაწყვეტილი, ამის ნათელი მაგალითია გერმანია, რომლის ტერიტორიების 40%-ზე მეტი საბჭოთა კავშირის მიერ იყო ოკუპირებული“.**

თავი დავანებოთ იმას, რომ ბარამიძე ძალიან უცნაურ ინტერპრეტაციას აძლევს გერმანიის ისტორიას II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, თითქოსდა არაფერი იცის გერმანიის ფედერაციული და დემოკრატიული რესპუბლიკების ჩამოყალიბების, შემდგომი თანაარსებობისა და მოკავშირეთა ოკუპაციის ზონების შესახებ. მთავარი, ალბათ, ისაა, რომ ამ პასაჟის უკან, სავარაუდოდ, ძალზე საშიში ლოზუნგი იმალება: **„ნატოში — ტერიტორიების გარეშე!“.** ცხადია, საქართველოს სხვადასხვა ნაწილების შესვლა უსაფრთხოების სხვადასხვა (ნატოსა და რუსეთის) „ქოლგის“ ქვეშ, მისი დანაწევრების დაფიქსირებას და ერთგვარ „ჩაბეტონებას“ ნიშნავს. ამავე დღეებში სახელმწიფო პროპაგანდამ ეთერში გაუშვა რამდენიმე სიუჟეტი, სადაც ნატოში გაწევრიანების თემა ძველი ოპტიმიზმით განიხილებოდა.

ეს შეიძლება მიანიშნებდეს იმაზე, რომ ხელისუფალთა წარმოსახვაში ნატოსთან დაკავშირებული ახალი ქიმერა დაიბადა. რა კავშირში შეიძლება იყოს ეს ლიბიის მოვლენებთან? იქ ხომ ჯერჯერობით საჰაერო-საზღვაო ოპერაცია მიმდინარეობს, ჩვენ კი ამ ოპერაციის ადეკვატური ავიაცია და საზღვაო ძალები არ გვყავს, თუმცა ვერავინ გამორიცხავს ხვალ ლიბიაში სახმელეთო ოპერაციის დაწყებას.

28 მარტს ნატოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ოანა ლუნგესკუმ თქვა, რომ **„ლიბიაში ნატოს ოპერაციის ჩარჩოებში სახმელეთო ოპერაცია არ შედის“, თუმცა ჯერჯერობით კადაფის დამარცხება საჰაერო და სარაკეტო იერიშებით ვერ ხერხდება; ის არ ნებდება, მეტიც, მეამბოხეებს პერმანენტულად უტევს. „ჯერჯერობით სიტუაცია ჩიხურია, მაგრამ, ვფიქრობ, გრძელვადიან პერსპექტივაში რეჟიმი გაიმარჯვებს“,** — აცხადებს აშშ-ის ეროვნული დაზვერვის დირექტორი ჯეიმს კლაპერი. **თუ მეამბოხეების მდგომარეობა კრიტიკული გახდება, ნატოს მოუწევს ან სახმელეთო ოპერაცია დაიწყოს, ან აღიაროს, რომ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, დამარცხდა.**

ლუნგესკუს განცხადება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შესაბამისი გეგმები არ მუშავდება და სამზადისი არ მიმდინარეობს. ერთი შეხედვით, დღევანდელი ოპერაციაც სწრაფი იმპროვიზაციაა, თუმცა ჯერ კიდევ გასული წლის 2 ნოემბერს საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა გააფორმეს შეთანხმება, რომელიც ერთობლივი სწავლების „სამხრეთის მისტრალის“ (Southern Mistral) ჩატარებას ითვალისწინებდა. სწავლების ლეგენდის თანახმად, საფრანგეთ-ბრიტანეთის საჰაერო ძალებს უნდა განეხორციელებინა საჰაერო რეიდები ავტორიტარული „სამხრეთლანდიის“ (Southland) წინააღმდეგ; სწავლება 2011 წლის 21-25 მარტს უნდა ჩატარებულიყო, ანუ სწორედ მაშინ, როდესაც საფრანგეთი და ბრიტანეთი მუამარ კადაფის წინააღმდეგ რეალურ ომში ჩაება. გასული წლის 2 ნოემბერს ლიბიაში სიმშვიდე იყო, ისევე, როგორც — ტუნისში, სადაც „დიდმა არაბულმა ამბოხებამ“ პირველად იფეთქა. „იყო თუ არა ეს კადაფის ლიბიის წინააღმდეგ ომის წინასწარი დაგეგმვა?“ — კითხულობს აშშ-ის კონგრესმენი დენის კუჩინიჩი „Guardian“-ის ფურცლებზე. რა თქმა უნდა, შეიძლება დამთხვევაც იყოს, მაგრამ...

**სახმელეთო ოპერაციისთვის ნატოს ქვეითები დასჭირდება. მას შემდეგ, რაც 31 მარტს შტატებმა მკვეთრად შეზღუდა საკუთარი მონაწილეობა ლიბიის ოპერაციაში, მათ „ოქროს ფასი“ დაედო. ამ სიტუაციაში ნატოსთვის ღირებული გახდება ნებისმიერი კონტინგენტი, მათ შორის — ქართული, რომელიც „ნატოში გაწევრიანების პერსპექტივით“ გაბრუებულმა სააკაშვილის ხელისუფლებამ შეიძლება ლიბიაში გააგზავნოს.** ხვალ საქართველოში ნატოს სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაი ჩამოდის. გამორიცხული არაა, რომ მოლაპარაკებებზე სწორედ ეს საკითხი განიხილონ. საინტერესოა, რა რეაქცია ექნება საზოგადოებას, თუ მალე შეიტყობს, რომ ქართველ ჯარისკაცებს ლიბიაში გადასროლას უპირებენ, ისევე, როგორც ცოტა ხნის წინათ ავღანური ომის ჯოჯოხეთში გააგზავნეს?

## როდემდე მოითმენს ბარაკ ობამა?

შესაძლოა, იმის განცდამ, რომ მალე ის „ისევ გახდება საჭირო“, იმდენად იმოქმედა მიხეილ სააკაშვილზე, რომ მან „Foreign Policy“-ს საკმაოდ უცნაური ინტერვიუ მისცა. პუბლიკაციის პირველსავე ფრაზაში ეს გამოცემა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის კონსტატაციას ახდენს: **„საქართველოს შეუძლია, დღეს რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) გაწევრიანება დაბლოკოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს გაწევრიანება შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის გადატვირთვის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა“,** შემდეგ კი ასპარეზი მიხეილ სააკაშვილს დაუთმოს.

**„მესმოდა, როგორ აცხადებდა ზოგიერთი რუსი, რომ საკმარისი იყო ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენის ერთი სატელეფონო ზარი სააკაშვილთან მის დასარწმუნებლად და გასაჩუმებლად,** — განაცხადა სააკაშვილმა, — **მაგრამ ეს ასე არ არის და ამერიკელებმა იციან, რომ ეს ასე არ არის“, „ზოგიერთი რუსი აცხადებს: ჩვენ დაგრთავთ ჩვენთვის ღვინის მიწოდების ნებას, თქვენ კი პოზიციას შეიცვლით. მაგრამ ჩვენ აღარ გვაქვს რუსებისთვის მისაყიდი ღვინო. ეს არ არის მოლაპარაკებებში კოზირი. ჩვენ გვჭირდება გამ-** ▶

**საქართველოს ხელისუფალთა წარმოსახვაში ნატოსთან დაკავშირებული ახალი ქიმერა დაიბადა**

მოკლედ

## კოსოვოს პრეზიდენტი გადადგა



**მილიარდერი ბეგჯეტ პაკოლი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ემორჩილება და კოსოვოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობას ტოვებს.** კოსოვოს საკონსტიტუციო სასამართლომ ოპოზიციის სარჩელი განიხილა და განაცხადა, რომ 22 თებერვალს პარლამენტის სხდომაზე პაკოლი კანონის დარღვევით აირჩიეს — ხმის მიცემის დროს პროცედურული დარღვევები მოხდა. **„იმედია, გადაწყვეტილებას ოფიციალურად შემატყობინებენ. როგორც ადრე ვთქვი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას პატივს ვცემ“,** – განაცხადა პაკოლიმ.

## ნაზარბაევმა ხმების 95 პროცენტი მიიღო

**ყაზახეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი მონაცემებით, ქვეყნის მოქმედმა პრეზიდენტმა ამომრჩეველთა ხმების 95,5 პროცენტი მიიღო.** ყაზახეთში არჩევნები 3 აპრილს ჩატარდა. როგორც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განაცხადეს, ნაზარბაევის მოწინააღმდეგე ჟამბილ ახმეტბეკოვმა ხმების 1,4 პროცენტი მიიღო, განი კასიმოვმა — 1,9, ხოლო მელს ელეუსიზოვმა — 1,2. არჩევნების საბოლოო შედეგები 9 აპრილს გამოცხადდება. ნურსულთან ნაზარბაევი, უკვე 20 წელია, ყაზახეთის ხელისუფლებაშია.

**მოლდოვა ერთიანდება, საქართველო კი დანაწევრებულ მდგომარეობაში რჩება. ეს არის მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკის მთავარი შედეგი. არსებობდა ყველა წინაპირობა იმისა, რომ საქართველოში ზუსტად იგივე პროცესი დაწყებულიყო, რაც ახლა მოლდოვაში მიმდინარეობს, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლებამ ამის შესაძლებლობა მოსპო.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**...ჭირვალობა სასაზღვრო შეთანხმებებსა და საბაჟო საკითხებში და ამაში უნდა ვეძებოთ რუსებთან ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ორივე მხარისთვის მისაღები იქნება“, „ახლა რუსებმა უნდა გვიჩვენონ, რომ ისინი მზად არიან მოქნილი და კომპრომისული გადაწყვეტილებისთვის“.**

ცხადია, რუსეთი დათმობაზე „სასაზღვრო და საბაჟო საკითხებში“, ანუ მის საზღვარზე გარე კონტროლის დაწესებაზე (ქართველი მებაჟეები იქნებიან თუ ევროკავშირის ინსპექტორები) არ წავა. შესაბამისად, ის ან მსო-ში გაწევრიანების სხვა სტრატეგიას აირჩევს (წევრი სახელმწიფოების ხმათა უმრავლესობა კონსენსუსის ნაცვლად) ან ვაშინგტონის მიერ სააკაშვილის მოთვინიერებას დაელოდება. სააკაშვილმა მშვენივრად იცის, რომ ამ გზით კრემლისგან ვერაფერს მიიღებს. თუმცა იმავე ინტერვიუში ის მინიშნებას აკეთებს, თუ რისი მიღება სურს ვაშინგტონისგან. **„მსუბუქი შეიარაღება ჩვენ არ გვჭირდება, ისედაც ბევრი გვაქვს. გარდა ამისა, ჩვენ გვყავს ასეთი შეიარაღების უამრავი ალტერნატიული მომწოდებელი, — თქვა სააკაშვილმა, — საქართველოს სინამდვილეში ისეთი იარაღი სჭირდება, რომელსაც ის სხვაგან ვერსად შეიძენს. ასეთია საზენიტო და ტანკსაწინააღმდეგო საშუალებები“.**

ამ განცხადების კომენტირებისას „EurasiaNet“-მა სავსებით სამართლიანად აღნიშნა, რომ „ვიკიპედიაშიც“ კი მოყვანილია 19 ქვეყნის სია, რომელიც ტანკსაწინააღმდეგო და საზენიტო საშუალებებს აწარმოებს, **„ბრაზილიის, ჩინეთის, ინდოეთის, სამხრეთ აფრიკისა და თურქეთის ჩათვლით, სადაც ეს შეიარაღება ამერიკულ ეკვივალენტზე უფრო იაფია და რომლებსაც აშკარა გეოპოლიტიკური პრობლემები არ შეექმნება“. „ამერიკული მძიმე შეიარაღება ძვირია, საქართველო კი — ღარიბი“,** — დასძენს „EurasiaNet“-ი.

მაგრამ აქ ძალიან მნიშვნელოვანია, გავიგოთ, რა სჭირდება სააკაშვილს სინამდვილეში — შეიარაღება თუ ის პრობლემები, რომელიც აშშ-სა და რუსეთს შორის წარმოიქნება იმ შემთხვევაში, თუ თბილისი ამ იარაღს მიიღებს? **ასეთი მიდგომა, საბოლოო ჯამში, ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის ტორპედირებაა; შესაძლოა, სააკაშვილი თვლის, რომ ძია სემს წვერში სწვდა. არადა, გასულ კვირას მოხდა ის, რამაც, წესით, უნდა დააფიქროს სააკაშვილი, რომ აშშ-ის მხარდაჭერის გარეშე ის ნულია.**

1 აპრილს გაეროს ჰააგის საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლომ გადაწყვიტა, რომ საქართველოს მიერ რუსეთის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელის არსებით განხილვას არ დაიწყებს. ის, რომ ამ დავაში სააკაშვილის ხელისუფლების მიერ არჩეულ სტრატეგიას ამ შედეგამდე მივყავდით, იმათავითვე ცხადი იყო. „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონვენციის თანახმად, მანამ, სანამ სასამართლომდე მიხვალ, კონვენციით დათვალისწინებული სამართლებრივი დავის ყველა საშუალება უნდა ამოწურო, რაც საერთაშორისო სამართლის წესია... მე თავიდანვე გამიკვირდა, რომ საქართველომ პირდაპირ სასამართლოს გზა აირჩია. ეს ჩემთვის მუხლის რეფლექსის მსგავს რეაქციას ჰგავდა“, — განუცხადა „რადიო თავისუფლებას“ ლონდონის უნივერსიტეტის ბირბეკის კოლეჯის ადამიანის უფლებების საეთაშორისო სამართლის პროფესორმა ბილ ბორინგმა. **ის, რომ დილეტანტები სააკაშვილის ხელისუფლებიდან ბანალურ საპროცედურო „ნაღმზე“ აფეთქდნენ, გასაკვირი თავისთავად არ არის, საინტერესო მხოლოდ**



## ნატოსთვის ღირებული გახდება ნებისმიერი კონტინგენტი, მათ შორის — ქართული, რომელიც «ნატოში გაწევრიანების პერსპექტივით» გაბრუებულმა სააკაშვილის ხელისუფლებამ შეიძლება ლიბიაში გააგზავნოს

**ისაა, შეეძლო თუ არა ვაშინგტონს ამ სიტუაციაში თავისი პარტნიორი „გადაერჩინა“?** თუ დავუკვირდებით, რომელი ქვეყნის წარმომადგენელმა მოსამართლემ მისცა ხმა საქმის განხილვაზე უარის თქმას (ხმები 10:6-ზე გაიყო), ვნახავთ, რომ აშშ-ის წარმომადგენელი ამ გადაწყვეტილებას კი შეეწინააღმდეგა, მაგრამ ბრიტანელი მოსამართლე რუსეთისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას მიემხრო. ასე მოიქცნენ აშშ-ის მეზობელი მექსიკისა და მისი ახლო მოკავშირე მაროკოს წარმომადგენლებიც. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვამტკიცებთ, რომ მათი ქვეყნების მთავრობების პოზიცია გაეროს მოსამართლეებისთვის დოგმაა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ვაშინგტონი საქმეში აქტიურად ჩაერეოდა, ალბათ, განსხვავებულ შედეგს მივიღებდით. როგორც მინიმუმი, ბრიტანეთის ხელისუფლება (და მოსამართლე) სტრატეგიული მოკავშირის, აშშ-ის პოზიციას, სავარაუდოდ, გაითვალისწინებდა. თუმცა, როგორც ჩანს, თეთრ სახლში არავის გასჩენია სურვილი, სააკაშვილის მარცხისთვის ხელი შეეშალა. ეს გარკვეული რაკურსით შეიძლება განვიხილოთ, როგორც საკმაოდ სერიოზული სიგნალი.



### მოლდოვა ერთიანდება, საქართველო კი იშლება

**ვიდრე სააკაშვილის ხელისუფლება ცდილობს, ნატოს დაუახლოვდეს და ორი ზესახელმწიფოს წინააღმდეგობებზე ითამაშოს, საქართველო დანაწევრებულ მდგომარეობაში რჩება. მოლდოვა კი, რომელსაც მსგავსი პოლიტიკა არ გაუტარებია, პირიქით, — ერთიანდება.**

29 მარტს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა მოლდოველ კოლეგასთან შეხვედრის დროს შემდეგი რამ თქვა: **„წინ სამშვიდობო ოპერაციის გადაფორმატება გვაქვს“, „ჩვენ დაახლოებით ერთნაირ საბოლოო მიზანს ვხედავთ — ეს დნესტრისპირეთის განსაკუთრებული სტატუსია ერთიანი სახელმწიფოს, მოლდოვას რესპუბილიკის ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში“.** მოლდოვას საგარეო საქმეთა მინისტრის იური ლანკეს განცხადებით, „სამშვიდობოებმა საქმე გააკეთეს და მშვიდობა დაამყარეს, მაგრამ დრო გადის და ახალ მიდგომებს მოითხოვს. დღეს სამხედრო სამშვიდობო ოპერაცია სამოქალაქო სამშვიდობო ოპერაციამ უნდა ჩაანაცვლოს“.

მიუხედავად იმისა, რომ პროცესს წინ ბევრი პრობლემა შეექმნება, ჩვენ ვხედავთ, რომ ყინული დაიძრა. ეს, ფაქტობრივად, იმ პრინციპების რეალიზებას წარმოადგენს, რომლებიც დიმიტრი მედვედევსა და ანგელა მერკელის მიერ 2010 წლის 5 ივნისს ხელმოწერილ მემორანდუმშია დაფიქსირებული. მაშინ, როდესაც „ევროკავშირის ლოკომოტივი“ გერმანია და რუსეთი შეთანხმდნენ, რომ მათი საერთო პასუხისმგებლობის ზონაში უსაფრთხო, კონფლიქტებისგან თავისუფალი სივრცე უნდა შეიქნას. მოლდოვას შემთხვევაში ეს შემდეგი პოსტულატის ხორცშესხმას ნიშნავს: **„დნესტრისპირეთის განსაკუთრებული სტატუსი — მოლდოვის სახელმწიფოს ერთიანი, ნეიტრალური სტატუსის ჩარჩოებში“,** რაც 1992 წელს რუსეთისა და მოლდოვის მიერ ხელმოწერილ შეთანხმებაში და მის თანმდევ დოკუმენტებში ჩაიწერა.

აი, ეს არის რეალობა: **მოლდოვა ერთიანდება, საქართველო კი დანაწევრებულ მდგომარეობაში რჩება. ეს არის მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკის მთავარი შედეგი. არსებობდა ყველა წინაპირობა იმისა, რომ საქართველოში ზუსტად იგივე პროცესი დაწყებულიყო, რაც ახლა მოლდოვაში მიმდინარეობს, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლებამ ამის შესაძლებლობა მოსპო.**

**დიმიტრი მონიავა**

## გამონათქვამები

**ილია მეორე,**
**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი:**



ცხოვრებაში არ არსებობს ჩიხი, რადგან ჩიხიდან ყოველთვის არის გამოსავალი... ძლიერი და მტკიცე სულის წყალობით, ქართველ ერს მძიმე პერიოდი არაერთხელ გადაულახავს.

*„პირველი“*

**მიხეილ სააკაშვილი,**
**საქართველოს პრეზიდენტი:**



ამ ეტაპზე საქართველო აშშ-ისგან მხოლოდ მსუბუქ შეიარაღებას იღებს. თუმცა ქვეყანას ამ ტიპის შეიარაღება არ სჭირდება, რადგან ისედაც ბევრი აქვს და, გარდა ამისა, მის მისაღებად ალტერნატიული გზებიც არსებობს. საქართველოს სჭირდება ის, რისი მიღებაც სხვა ადგილიდან არ შეიძლება — ჰაერსაწინააღმდეგო და რაკეტსაწინააღმდეგო შეიარაღება და ეს ცალსახაა. სწორედ ეს უნდა გახდეს საქართველო-აშშ-ის სამხედრო თანამშრომლობის შემდეგ ეტაპი.

*The Cable*

**ედუარდ შევარდნაძე,**
**ექს-პრეზიდენტი:**



მე მჯერა, ოპოზიცია მომწიფდება და სერიოზულ ძალად გადაიქცევა. ის პატარ-პატარა კონფლიქტები, რომლებიც დღეს არსებობს ოპოზიციონერებს შორის, წარსულს ჩაბარდება და ბოლოს და ბოლოს მიხვდებიან, რომ საქმის გასაკეთებლად გაერთიანებაა საჭირო.

*„ასავალ-დასავალი“*

**კახა კაციტაძე,**
**სამხედრო ექსპერტი:**



ჩვენ ამ ხელისუფლების არაადეკვატურობის ხარისხს ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებთ. ალბათ, გვგონია, რომ მართალია, ტელევიზიით სრული სიგიჟე და უპასუხისმგებლობა ჩანს, მაგრამ სადღაც, კაბინეტში ვინმე ჭკვიანი მაინც ზის, რომელიც სისულელის ჩადენას არ დაუშვებს. არადა, საქმე ძალზე სერიოზულადაა.

*„კვირის პალიტრა“*

მსოფლიო

## ინდოეთი მრავლდება

**2011 წელს ჩატარებული აღწერის თანახმად, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ინდოეთის მოსახლეობა 181 მილიონი ადამიანით გაიზარდა და ახლა 1,21 მილიარდ ადამიანს შეადგენს.** ინდოეთის სტატისტიკოსების ინფორმაციით, ბოლო 10 წლის განმავლობაში მოსახლეობის ზრდა შემცირებულია და, თუ 2001 წლის აღწერის თანახმად, მოსახლეობის რაოდენობის ზრდა 21,5 პროცენტი იყო, ბოლო ათი წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი 17,6 პროცენტამდე დაეცა. 2011 წელს მოსახლეობის აღწერა ინდოეთის 641 ათას სოფელსა და 7936 ქალაქში ჩატარდა. მოსახლეობის ზრდით მსოფლიოში პირველ ადგილზე ჩინეთია, ინდოეთი მას 131 მილიონი მოსახლით ჩამორჩება.



## ნატოს ბაზას თავს დაესხნენ

**ქაბულში ნატოს ბაზას ორი მებრძოლი დაესხა თავს, რომლებიც ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარებით იყვნენ შეიარაღებული.** სავარაუდოდ, ერთ-ერთი თავდამსხმელი იყო თვითმკვლელი ტერორისტი, რომელსაც ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩნდა. ორივე მებრძოლი ადგილზევე მოკლეს. ნატოს სამი სამხედრო კი დაიჭრა. თავდასხმაზე პასუხისმგებლობა მოძრაობა „თალიბანმა“ აიღო.

განათლება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ახლა სახელმწიფო ამბობს, რომ ნებისმიერი რამის დაგეგმვა სკოლაში მისი ჩარევით უნდა მოხდეს. მათი რიტორიკის თანახმად, სკოლა ეკუთვნის სახელმწიფოს და არა — საზოგადოებას. დღეს საზოგადოებას არ აქვს უფლება, განსაზღვროს, რა არის მისთვის ცუდი ან კარგი. ეს არის ტოტალიტარული მიდგომა, როცა სახელმწიფო თვლის, რომ საზოგადოებამ მხოლოდ მისი თანხმობით უნდა მოახდინოს საკუთარი მიზნების განხორციელება.**

# ქარხნულ ყალიბში ჩამოსხმული თაობა

**ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ყოფილი დირექტორი სიმონ ჯანაშია დღევანდელი განათლების სისტემის, რეფორმებისა და პროგრამების მისამართით ხშირად საკმაოდ კრიტიკულ სტატიებს აქვეყნებს. რის საფუძველზე აკეთებს მსგავს შეფასებებს, რატომ ადარებს ქარხანას დღევანდელ განათლების სისტემას და უარყოფითს რას ხედავს ახალ რეფორმებში, ინტერვიუდან შეიტყობთ.**



## სიმონ ჯანაშია: სკოლების ბრენდირება იგივეა, რეკლამას რომ ქადაგება დავარქვათ

**— ბოლო დროს თქვენ მიერ გამოქვეყნებულ სტატიებში სასკოლო სისტემის მიმართ ბევრი შენიშვნაა გამოთქმული. რა შეიცვალა ამ სფეროში უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში?**

— ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება იყო სკოლების ავტონომიის შეზღუდვა. ჩაიკეტა სისტემა, ინფორმაცია გახდა მიუწვდომელი ჟურნალისტებისთვის, არასამთავრობოებისთვის, მკვლევარებისთვის. დღეს სულ უფრო ნაკლებად ვართ ინფორმირებული, რეალურად რა ხდება სკოლებში. ფაქტობრივად, სკოლას არჩევანის უფლება წაართვეს.

ახლა სახელმწიფო ამბობს, რომ ნებისმიერი რამის დაგეგმვა სკოლაში მისი ჩარევით უნდა მოხდეს. მათი რიტორიკის თანახმად, სკოლა ეკუთვნის სახელმწიფოს და არა — საზოგადოებას. დღეს საზოგადოებას არ აქვს უფლება, განსაზღვროს, რა არის მისთვის ცუდი ან კარგი. ეს არის ტოტალიტარული მიდგომა, როცა სახელმწიფო თვლის, რომ საზოგადოებამ მხოლოდ მისი თანხმობით უნდა მოახდინოს საკუთარი მიზნების განხორციელება.

**— განათლების სამინისტრო ახალი სისტემის დანერგვას აპირებს, რაც სკოლებში მოსწავლეთა დონისა და შესაძლებლობების მიხედვით დაყოფას გულისხმობს. რამდენად სასიკეთო იქნება ეს მოდელი, თქვენი აზრით?**

— ორდონიანი განათლების სისტემის შემოთავაზებული მოდელი ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების იდეას უპირისპირდება. თუკი ეს მოდელი ამოქმედდება, სკოლის გარეთ 17-18 წლის დაახლოებით 60 ათასი ახალგაზრდა დარჩება.

პრეზიდენტის განცხადებით, ვისაც მხოლოდ ზოგადი განათლების ატესტატი ენდომება, ისწავლის 10 წელს. ათი კლასის შემდეგ ახალგაზრდას ექნება უფლება, გააგრძელოს სკოლაში სწავლა იმისთვის, რომ შემდეგ უმაღლესში მოხვდეს, ან დასჯერდეს ათწლიან სასკოლო განათლებას და დაეუფლოს ხელობას.

ერთი შეხედვით, ვითომ ლოგიკურია, რომ ცალ-ცალკე დასვა სუსტები და ძლიერები, მაგრამ სინამდვილეში ეს მცდარი შეხედულებაა და ამას ბევრი საერთაშორისო კვლევაც ადასტურებს.

**— როგორ ფიქრობთ, შეუძლია თუ არა დღეს სოციალურად გაჭირვებული ოჯახის შვილს მაღალი დონის განათლების მიღება? ანუ არის თუ არა დღეს მთავარი ფული სრულფასოვანი განათლების მისაღებად?**

— ჩემი აზრით, დღეს არც სახელმწიფო და არც საზოგადოება არ არის ორიენტირებული სოციალური მდგომარეობის განეიტრალებაზე. რატომღაც ყველას დაავიწყდა, რომ განათლების სისტემა ნებისმიერი სოციალური ფენის წარმომადგენელს უნდა აძლევდეს მრავალმხრივი განვითარების შესაძლებლობას.

შემოიღეს ბრენდირება, სასკოლო საატესტატო გამოცდები. სკოლებს მისცეს უფლება, რომ დამატებითი ფასიანი მომსახურება შესთავაზონ მშობლებს იმავე საგნებში, რაც ეროვნული სასწავლო გეგმით არის გათვალისწინებული. ცოტა ხნის წინათ კი განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თავისივე სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინტერვიუთი გვაცნობა, რომ ინგლისურის უკეთ შესწავლისთვის მოსწავლეთა ძლიერებად და სუსტებად დაჯგუფება დაიწყება.

ჩამოთვლილი გადაწყვეტილებების ნაწილი სკოლის კედლებში მოსწავლეთა სოციალური ნიშნით განცალკევებას უწყობს ხელს. ინგლისურში დონეების მიხედვით კლასების დაყოფა პირდაპირი გზაა ამგვარი სეგრეგაციისკენ.

სამინისტროს გადაწყვეტილებათა ნაწილი კი ხელს უწყობს იმას, რომ სეგრეგაცია სკოლის შიგნით და სკოლის მიღმა დარჩენილებს შორის მოხდეს. როდესაც სკოლის რეიტინგის გასაუმჯობესებლად ზოგიერთი სკოლა „სუსტ" მოსწავლეებს თავიდან იშორებს, სკოლების ნაწილში, დამამთავრებელ კლასებში სოციალური პრობლემების მქონე ოჯახების შვილები სულ უფრო ნაკლებად რჩებიან.

რადგან სოციალური ნიშნით მოსწავლეების დაყოფის უარყოფითი მხარეების დანახვა საზოგადოებას ხშირად უჭირს, სკოლებშიც გადაწყვეტილებები, ამ თვალსაზრისით, ხშირად გაუცნობიერებლად მიიღება. ამის თვალსაჩინო მაგალითი თბილისის №21 (ე.წ. მე-6 გერმანული გიმნაზია) საჯარო სკოლაში მინახავს. დაახლოებით ხუთი წლის წინათ სკოლაში, რომელიც მოსწავლეებზე ორიენტირებულობით იყო ცნობილი, მოქმედებდა გახანგრძლივებული ჯგუფების სისტემა. ვინც ფულს იხდიდა, მათი შვილები დღის მეორე ნახევარში სკოლაში რჩებოდნენ და გაკვეთილებს სკოლაშივე მასწავლებლის დახმარებით ამზადებდნენ. გადატვირთულ სკოლაში სწავლა ორცვლიანი იყო. გახანგრძლივებულ ჯგუფებში მყოფი ბავშვების კლასები დილის ცვლაში სწავლობდნენ, ხოლო ჩვეულებრივები — დღის მეორე ნახევარში. ამგვარად სკოლაში ყალიბდებოდა კლასები, ვისაც უნდოდა და შეეძლო ფულის გადახდა, და ვისთვისაც დამატებითი მომსახურება არასასურველი ან შეუძლებელი იყო.

**— რაკი ბრენდირებას შევეხეთ, როგორ ფიქრობთ, წაადგება თუ არა ეს ახალი წამოწყება განათლების დონის ამაღლებას?**

— ჩვენთან რატომღაც არასწორად ესმით ბრენდირება. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, რეკლამას რომ დავარქვათ ქადაგება. წესით, ტერმინები შესაბამის შინაარსსაც უნდა გამოხატავდეს. ის, რასაც დღეს სკოლებთან დაკავშირებით ბრენდირებას ეძახიან, რეიტინგების სისტემაა. ეს ბევრ ქვეყანაში ადრეც არსებობდა, მაგრამ პრაქტიკულად ყველგან წარუმატებელი აღმოჩნდა — მან ვერ უზრუნველყო სწავლების დონის ამაღლება სკოლებში.

ასეთ შემთხვევებში, ძირითადად, სკოლები იწყებენ ინფორმაცის გაყალბებას, სუსტ მოსწავლეებს ყრიან სკოლებიდან და სხვა, არასამართლიანი გზით ცდილობენ სკოლის რეიტინგის აწევას. თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბრენდირებას ახდენს განათლების სამინისტრო, რომელიც სურვილისამებრ დააჯილდოებს ან დასჯის ამა თუ იმ სკოლას.

რომელ სკოლას ექნება უფრო მეტი ვარსკვლავები, დამოკიდებული იქნება იმაზეც, თუ რამდენად კეთილგანწყობილია სახელმწიფო მის მიმართ. იმ კონცეფციაში, რაც დღეს სახელმწიფოს აქვს სკოლებთან დაკავშირებით, ბრენდირებას არავითარი დადებითი შედეგი არ ექნება.

**— ერთ-ერთ სტატიაში თქვენ დღევანდელი განათლების სისტემის ქარხნულ პრინციპებზე საუბრობთ, რას ნიშნავს ეს?**

— ქარხნის მეტაფორა სასკოლო სისტემაზე საუბრისას ხელოვნურად არ შექმნილა. განათლებამ ინდუსტრიული წარმოებისგან არა მხოლოდ მიზნების მნიშვნელოვანი ნაწილი შეითვისა, არამედ — ორგანიზების მეთოდებიც. ქარხნული მოდელი ასეთია: თუ მუშები ზუსტად ასრულებენ დავალებებს, თუ მასალა ხარისხიანია, თუ დაზგები და ჩარხები გამართულად მუშაობს, თუ ყველაფერი წარმოების გეგმითა და მკაცრი მეთვალყურეობით მიმდინარეობს, მაშინ კონვეიერი მინიმალური წუნის მქონე პროდუქტს აწარმოებს. ახლა ვნახოთ, როგორ გადავიდა წარმოების ეს მოდელი სასკოლო სისტემაში: **მასწავლებლებისთვის (მუშები) შემუშავდა დეტალური მითითებები. მოსწავლეები (მასალა) დაიყო ასაკისა და შესაძლებლობების მიხედვით. სახელმძღვანელოებში (დაზგები) შევიდა სტანდარტული შინაარსი. ეს შინაარსი უნდა გახდეს სკოლადამთავრებულის (პროდუქტის) მახასიათებელი. სკოლის დირექციასა და სახელმწიფოს (ქარხნის მეთვალყურე) დაევალა იმის გაკონტროლება, რომ ყველაფერი სასწავლო გეგმის (წარმოების გეგმა) მიხედვით მიმდინარეობდეს. გამოცდები (ინსპექტირება) სკოლადამთავრებულების განათლების ხარისხს ამოწმებს იმისთვის, რომ არასაკმარის ვითარებაში ხელი შეუწყოს მათ სკოლაში მიბრუნებას. საზოგადოების მოლოდინი და სკოლა (ერთად ყალიბი) ერთსა და იმავე შედეგს უნდა იძლეოდეს ნებისმიერი მოსწავლის შემთხვევაში.**

**მაგრამ დღეს ყავლგასული ქარხნები, რომელთა მოდელზეც განათლების სისტემა იგება, თავიანთ უკანასკნელ დღეებს ითვლის. მათი ნახვა საქართველოში ახლადდაგებული ტრასების გასწვრივ შეგიძლიათ. საწარმოების ნაცვლად ახლა დაჟანგული ნანგრევებიღა დგას, რომლებიც თანამედროვე ეკონომიკისა და საზოგადოების მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებს. მათ აღარ ჰყავს მფლობელი და აღარც — ჭირისუფალი.**

**— როდესაც განათლების სამინისტროში მუშაობდით, მაშინ თუ იყავით კმაყოფილი სისტემაში არსებული მდგომარეობით?**

— არა, რა თქმა უნდა. ჩვენი განათლების სისტემა, სამწუხაროდ, ძალიან ცუდ შედეგებს იძლევა. ამ შეფასებებს აკეთებენ საერთაშორისო ორგანიზაციებიც. ჩვენ ახლა გვქონდა შანსი, შეგვექმნა ნორმალური განათლების სისტემის საფუძველი, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს შანსი არ გამოვიყენეთ. მე არც მაშინ ვიყავი კმაყოფილი და მითუმეტეს არც ახლა ვარ.

**— როგორ ფიქრობთ, არის თუ არა დღეს ახალგაზრდა თაობის პრობლემა ის, რომ ბევრმა არ იცის, ვინ იყო პეტრე მელიქიშვილი და იცის, ვინ არის ბიჭოლა?**

— საკითხი არასწორად არის დასმული. დარწმუნებული ვარ ამ სატელევიზიო სიუჟეტში ძალიან ბევრმა გასცა სწორი პასუხი, მაგრამ მხოლოდ ისინი აჩვენეს, ვინც არ იცოდა. ყოველთვის გამოჩნდება ვინმე უვიცი, მაგრამ ასეთებზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა, ჩემი აზრით, არასწორია. პარლამენტარებს, მინისტრებს, თუნდაც მწერლების უმრავლესობას რომ ჰკითხოთ, ვინ იყო უნივერსიტეტის მეორე რექტორი, ვერ გიპასუხებენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, ჩემი აზრით, იმას, რომ ისინი გაუნათლებლები არიან. ვთვლი, რომ ზოგადი განათლება ყველასთვის აუცილებელია, მაგრამ ჩვენი პრობლემა არის ის, რომ ვერ თანხმდებიან, რა არის ზოგადი განათლება.

არსებობს უამრავი ინფორმაცია, რაც ზეპირად ვერ გეცოდინება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც შესაძლებელია, პროფესიონალი იყო. ეს გადაცემა იყო ისეთივე მოდელირებული, როგორიც ის, ტანკები რომ შემოდიოდა თბილისში. უბრალოდ, ის ტყუილი ხალხმა ბოლოს არ დაიჯერა იმიტომ, რომ ტანკები ვერ დაინახა, ამის კი სჯერათ. ნებისმიერ საზოგადოებაში ხდება მსგავსი შემთხვევები. შეიძლება დღეს ჩვენმა VII კლასის მოსწავლემ ისეთი რამ იცოდეს, რაზეც ილია ჭავჭავაძეს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ილიაზე განათლებული არიან.

ესაუბრა
**თეო ტაბატაძე**




## სკოლაში მოსწავლეებს სოციალური ნიშნით აცალკევებენ

**რატომ იცვლიან ადამიანები გვარებს და რატომ ამბობენ საკუთარ წარსულზე უარს? არის ეს უბრალო სნობიზმი თუ საქმე გაცილებით საშიშ მოვლენასთან გვაქვს? საქართველოში უცხო არაა არაქართული გვარების გამოცვლის შემთხვევები და, იქნებ, როდესაც ლუსტრაციაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, სწორედ იმ ადამიანების ლუსტრაციით დავგვეწყო, რომლებიც გვარის შესაბამისად ეროვნების შეცვლით ცდილობენ საკუთარი მიზნის მიღწევას?**

საზოგადოება
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# გახდი მეფე 50 ლარად!



## ასე იქცა სავლე პავლედ, მამედოვი — მამადაშვილად, ასატუროვი — ასათიანად, საქართველო კი — არშემდგარ სახელმწიფოდ...

**იყო დრო, როდესაც საზოგადოებაში ადამიანის სტატუსის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი გვარი გახლდათ. მართალია, დღეს ვითარება შეიცვალა — ქვეყანაში აღაც მონარქები გვყავს და აღარც თავად-აზნაურები, მაგრამ, როგორც ჩანს, „რჩეულთა“ გვარების ხიბლი დღემდე არ გამქრალა და არსებობენ ადამიანები, რომლებიც სხვის გვარს ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე ისაკუთრებენ. დღეს გაცილებით ადვილია, გახდე არამარტო ძირძველი ქართველი, არამედ, სურვილისა და მადის შესაბამისად, თავადი ან სულაც — მეფე...**

სახელის ან გვარის გამოცვლა, გარკვეულ საფასურად, ნებისმიერ მსურველს შეუძლია. საქართველოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სტატისტიკური მონაცემებით, **მხოლოდ 2010 წლის განმავლობაში 2399 ადამიანმა შეიცვალა გვარი**. მართალია, სააგენტო არ ფლობს ინფორმაციას, სულ რამდენი გვარშეცვლილი ადამიანი ცხოვრობს საქართველოში, მაგრამ, თუ ბოლო წლების მონაცემებს გადავხედავთ, აშკარაა, რომ გვარის გამოცვლის მსურველთა რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება. მაგალითად: თუ 2008 წელს გვარი შეიცვალა 1599 კაცმა, 2009 წელს გვარგადაკეთებულთა რაოდენობამ უკვე 2310 მიაღწია.

**რატომ იცვლიან ადამიანები გვარებს და რატომ ამბობენ საკუთარ წარსულზე უარს? არის ეს უბრალო სნობიზმი თუ საქმე გაცილებით საშიშ მოვლენასთან გვაქვს? საქართველოში უცხო არაა არაქართული გვარების გამოცვლის შემთხვევები და, იქნებ, როდესაც ლუსტრაციაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, სწორედ იმ ადამიანების ლუსტრაციით დაგვეწყო, რომლებიც გვარის შესაბამისად ეროვნების შეცვლით ცდილობენ საკუთარი მიზნის მიღწევას?**

თუმცა ამ ადამიანების მიზანი, ხშირ შემთხვევაში, მაინც ბუნდოვანია, ვინაიდან ქვეყანაში, არაქართული გვარის მქონე ბევრი წარმატებული ადამიანი ცხოვრობს და მათთვის გვარს წარმატების მიღწევაში ხელი არასდროს შეუშლია.

**არაქართული გვარის გამო პრობლემები არასდროს შექმნია „საქართველოს აზერბაიჯანელთა კონგრესის“ თავმჯდომარეს, ალი ბაბაევს,** რომელიც უარყოფითად არის განწყობილი იმ ადამიანებისადმი, რომლებიც საკუთარ გვარზე უარს ამბობენ. **„მე, პირადად, გვარის გამო საქართველოში პრობლემები არასდროს მქონია. საქართველო ჩემი სამშობლოა და ვამაყობ, რომ საქართველოში დავიბადე და გავიზარდე, ბევრი ქართველი მეგობარიც მყავს. გვარით უწესო ადამიანები სპეკულირებენ, რომელი ეროვნების წარმომადგენელიც ხარ, ბოლომდე შენი წარმოშობის ერთგული უნდა დარჩე.**

**რა თქმა უნდა, ყოფილა გვარის გამოცვლის შემ-**



### ია ბაგრატიონ-მუხრანელი:

## აღმოჩნდა, რომ 500-მდე ბაგრატიონია, რაც ნონსენსია

**თხვევები, მაგალითად, სკოლა რომ დავამთავრეთ, ჩემმა ზოგიერთმა თანაკლასელმა გვარი გადაიკეთა — მამედოვი მამადაშვილად იქცა, ხოშაბაევი — წიკლაურად, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ უმაღლეს სასწავლებელში ასე უფრო იოლად მოეწყობოდნენ, მაგრამ მე ინსტიტუტში ჩავაბარე და დავამთავრე კიდეც და იმათ დღესაც არ ჩაუბარებიათ“.**

გვართან დაკავშირებით პრობლემები არასდროს ჰქონია, ასევე, **საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველს, ვან ბაიბურთს, რომელიც, ფიქრობს, რომ „ქვეყანაში გვარის შეცვლის ფაქტები არ ხდება და ამგვარ ჭორებს მხოლოდ „პოლიტიკური სარჩული“ აქვს:**

**„ბევრ ცნობილ ადამიანს ადანაშაულებენ გვარის გამოცვლაში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამას სიმართლესთან საერთო არაფერი აქვს და მხოლოდ მათი სახელის გატეხვას ისახავს მიზნად.**

**შესაძლოა, არის შემთხვევები, როდესაც სურვილისამებრ დედის ან მამის გვარს იღებენ. ასევე ეთნიკურად სომეხი საზოგადოების მცირე ნაწილმა, რომელიც ამერიკაში ან ევროპაში ცხოვრობს, ქღერადობის გამო, შეიძლება შეიცვალა გვარი, მაგრამ საქართველოში ასეთი ფაქტების შესახებ არ მსმენია.**

**ჩემთვის გვარის გამო პრობლემები საქართველოში არასდროს შეუქმნიათ, რაც შეეხება სხვებს, შემიძლია გითხრათ, თუ 2003 წლამდე, შესაძლოა, გვარებთან დაკავშირებული მცირედი პრობლემები იყო, დღეს ეს ყველაფერი უკვე მოგვარდა“.**

გვარის შეცვლის საფუძვლები „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 74-ე მუხლის მიხედვით განისაზღვრება. დღეს მოქმედი კანონ-

### იაკობ ახუაშვილი:

## საქართველოს საბოლოოდ დაღუპავს შეცვლილი გვარებით შენიღბული ხალხი

მდებლობის თანახმად, სახელის, მამის სახელის ან გვარის შეცვლაზე განმცხადებელს შეიძლება უარი ეთქვას, თუ იგი ეჭვმიტანილია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში და სამართალდამცავი ორგანოების მიერ იძებნება.

ჩვენ შევეცადეთ, გაგვერკვია — ნებისმიერი გვარის მიღებაა შესაძლებელი თუ „ხელშეუხებელი გვარებიც“ არსებობს?

**ყოვლად ქართველთა თავად-აზნაურთა საკრებულოს ვიცეწინამძღოლი ია ბაგრატიონ-მუხრანელი ამბობს,** რომ მართალია, მათი პროტესტის შემდეგ კანონით თითქოს გამკაცრდა, მაგრამ აღნიშნული ტენდენცია მაინც გრძელდება. **„ჩვენ გამოვეცით წიგნი „საქართველოს თავადაზნაურობა“, სადაც ამგვარი შემთხვევები გავაპროტესტეთ, მაგრამ მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ არაფერი შეცვლილა. შეიძლება ყველა მსურველს ბაგრატიონის გვარს არ ურიგებენ, მაგრამ ნებისმიერ პირს შეუძლია ნებისმიერი გვარის მიღება. მოწმეები ვიყავით, ცოტა ხნის წინათ**



**როგორ ამოტივტივდა ქუთაისში ცრუ ბაგრატიონი, რომელიც თავს იმერეთის მეფის, სოლომონ მეორეს მემკვიდრედ აცხადებდა. მე პირადად გადავამოწმე სტატისტიკის სამმართველოში და აღმოჩნდა, რომ 500-მდე ბაგრატიონია, რაც ნონსენსია.**

25 ათასი გვარია საქართველოში და ნებისმიერი ქართული გვარი ძალიან საამაყო და ისტორიული მნიშვნელობისაა. თუმცა, სამწუხაროდ, ქართული ეთნოსი საქართველოში ყველაზე დაჩაგრულია,“ — ამბობს ია ბაგრატიონ-მუხრანელი.

როგორც ჩანს, გვარის შეცვლის სურვილი არცთუ ისე შორეულ წარსულშიც ჰქონდათ. გვარების გამოცვლის სურვილით ალტყინებული პერსონაჟები ქართულმა ლიტერატურამაც შემოინახა. მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“ აღწერილია ეპიზოდი, როდესაც ჯაყო, რომელმაც თეიმურაზს ყველაფერი წაართვა, მას ხევისთავის გვარსაც სთხოვს: **„მართლა, ბრინკა, იცი, რას გითხრამ? შენ რომ მოკვდებოდე ხევისთავის გვარიც აღარ იქნებოდეს. მოდი, საქმეს ისე გააკეთებდე, რომ ამ პატარა ჯაყოსა ხევისთავი დაგარქმევდე“.**

ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ წინაპრებსაც კი ემდურება საკუთარი გვარის გამო. **„სახელი ჩემი სოლომონ, გვარი — მეჯღანუაშვილი. რაც ქვეყანაში კაცად გამოველ, მეთაკილებოდა ჩემი გვარი და ამიტომ ვცდილობდი, გვარი როგორმე შემეცვალა, მაგრამ ვერ მოვახერხე, თუმცა სხვანი ადვილად ახერხებენ. ხან მინდოდა, მიმეცა რუსული დაბოლოება, ესრეთ: მეჯღანუევ, მეჯღანიუჩ, მეჯღანუევსკი; მაგრამ სიტყვა ჯღანი არ ამოვარდა. ხან მინდოდა გადამეთარგმნა რუსულად, მაგრამ ვერცა მე ვთარგმნე, ვერცა სხვამ. შემრჩა ისევ ეს გვარი. რა ვუთხრა ჩემ მამა-პაპასა!“...**

თუმცა, როგორც **გვარების მკვლევარი იაკობ ახუაშვილი** ამბობს, იყო დრო როდესაც ადამიანებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, ძალით უცვლიდნენ გვარს. „მათ თავიანთი გვარები აუცილებლად უნდა დაუბრუნონ. **მაგრამ ხელისუფლება ასეთ ადამიანებს უფრო ურთულებს საქმეს და საკუთარი გვარის დაბრუნების შესაძლებლობას არ აძლევს. არადა, მაქვს ინფორმაცია, რომ საქართველოს მთავრობაში 60 პროცენტს გვარი აქვს შეცვლილი. მიზანი ერთია, საქართველოს დანგრევა და ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება, სადაც საქართველო აღარ იარსებებს. საქართველო დასაღუპადაა განწირული, რასაც შეცვლილი გვარებით შენიღბული ხალხი უკეთ მოახერხებს“.**

რა ღირს გვარის შეცვლა საქართველოში? გვარის შეცვლის შემთხვევაში დადგენილია ერთიანი მომსახურების საფასური, განსხვავება მხოლოდ ვადებშია. კერძოდ, გვარის შეცვლის აქტის რეგისტრაციისა და შესაბამისი მოწმობის გაცემის საფასური საშუალოდ ერთი თვის ვადაში 50 ლარს შეადგენს, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასურის განაკვეთი 100, 170 და 300 ლარსაც კი აღწევს, გააჩნია, რამდენად გეჩქარებათ გვარის შეცვლა.

**ჩვენ სახელის გამოცვლის მსურველებითაც დავინტერესდით. როგორც აღმოჩნდა, საქართველოში სახელის გამოცვლის მსურველთა რაოდენობა გვარის შეცვლის მსურველთა რაოდენობას ბევრად ჩამოუვარდება. მაგალითად, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მონაცემებით, 2008 წლის განმავლობაში სახელი შეიცვალა 1435 მსურველმა, 2009 წელს მათი რაოდენობა 2099-ს, ხოლო 2010 წელს 2405-ს აღწევს.**

რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთი ტელევიზიით ვიხილეთ, როგორ დაირქვა სულ რაღაც ნახევარ საათში კორესპონდენტმა სახელად „პოსკრიპტუმი“, ამ ექსპერიმენტმა კიდევ ერთხელ ნათლად დაადასტურა, რომ დღესდღეობით სახელისა და გვარის გამოცვლა სირთულეს აღარ წარმოადგენს.

თუმცა მთავარი და მნიშვნელოვანი ამ ტენდენციაში სულ სხვა რამაა. თუკი არაქართული გვარის გამო საქართველოში პრობლემები არავის ექმნება და ამას ადასტურებენ კიდეც, ერთის მხრივ, აზერბაიჯანელთა კონგრესის თავმჯდომარე, მეორეს მხრივ კი, საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი, გაუგებარია იმ ადამიანების მოტივაცია, ვინც იცვლის გვარს და შესაბამისად — ეროვნებასაც. გაუგებარია ისიც, თუ რა ხეირი შეიძლება ასეთმა ადამიანმა მოუტანოს თავის თვისტომთ, ანუ მათ, ვისაც ზურგი აქცია, ან იმათ, ვის ეროვნებასაც არათუ უტიფრად იბრალებს, სამეფო ან სამთავრო გვარსაც კი ეპოტინება?!

საქმე რომ მზვერავებთან ან დივერსანტებთან გვქონდეს, მათი მიზანი და მოტივაცია გასაგები იქნებოდა — ეს კონსპირაციის ანა-ბანაა...

საინტერესოა, თუ ეს მოქალაქეები არც ჯაშუშები არიან და არც დივერსანტები, მაშ, რაში სჭირდებათ კონსპირაცია — საკუთარი ეროვნების, გვარის, წარმომავლობის დამალვა და თავის „ვიშეგო სორტა გრუზინად“ გასაღება?!

აი შეკითხვა, რომელზე პასუხიც გაცილებით ძვირია, ვიდრე გვარის შეცვლის ოფიციალური ნიხრი — 50 ლარი!

**შორენა ციცქარაშვილი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**გამოგვიცხადებენ მორიგ მეგაპროექტს და საქართველოს სოფლის მეურნეობაში ან ეკონომიკის სხვა სეგმენტში რეალურად არაფერი დარჩება. თანხის გამოყოფას აზრი აქვს ანკესის და არა თევზის შესაძენად. ფაქტობრივად, ეს თანხა უნდა ჩაიდოს ეკონომიკის რეალურ სექტორში, რათა სოფლის მეურნეობას განვითარების საშუალება მიეცეს და არა ის, რომ გლეხებს ერთჯერადად საჩუქრები დაურიგონ და ამით ყველაფერი დაასრულონ.**

## გაჟღერებული



**დავით უსუფაშვილი, რესპუბლიკური პარტიის ლიდერი:**

ვიბრძოლებთ მანამდე, სანამ ამ ხელისუფლებისთვის პოლიტიკური რისკები არ გაიზრდება. ეს რისკები უნდა გაიზარდოს ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ, იმიტომ, რომ სხვანაირი საუბარი ამ ხალხთან არ ჭრის.

*„ალია“*



**დიმიტრი ლორთქიფანიძე, პარლამენტის წევრი:**

ყველაფერი, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება, ხელისუფლების მხრიდან გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯებია ქართველების ქვეყნიდან განსადევნად. უამრავი ქართველი ელოდება პოლიტიკურ თავშესაფარს სხვადასხვა ქვეყანაში, თუმცა ამის შესახებ არც ერთი ქვეყანა არ აკეთებს განცხადებას. ეს მათი მხრიდან ქართველი ნაციის შეწოვის მანიშნებელია და ქართული ხელისუფლების გამიზნული პოლიტიკაა.

*obieqtivi.net*



**სოსო მანჯავიძე, წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი:**

პატიმართა მიმართ განხორციელებული სადამსჯელო ღონისძიებები ხელისუფლების მიზანმიმართული პოლიტიკაა. ეს არის გენოციდი და ქართველ ხალხზე განხორციელებული ტერორი. ხელისუფლების ამ არაადამიანური დამოკიდებულების გასანეიტრალებლად ფართო ამნისტია არის სწორედ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოსავალი.

*obieqtivi.net*



**ტარიელ ფუტკარაძე, პროფესორი:**

რაც უნდა ბევრი დიდგორი ჰქონდეს მოგებული ერს, თუკი მას აწმყოში არ ჰყავს ეროვნულსახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკური ელიტა, განწირულია მარცხისთვის. ჩემი აზრით, პოლიტიკოსი სახელმწიფოებრივად მოაზროვნე არ არის, თუკი ის გამორჩეულ პატივს არ სცემს თავის სახელმწიფო ენას.

*„ყველა სიახლე“*

# გია ხუხაშვილი: პრობლემა არა საგარეო ვალში, არამედ ვალის გადახდისუუნარობაშია

**2011 წლის ბიუჯეტში დაგეგმილი ცვლილებები მთავრობამ უკვე წარუდგინა პარლამენტს განსახილველად. მანამდე ბიუჯეტის ახალი პროექტის განხილვა ხმაურით მიმდინარეობდა. საპარლამენტო ოპოზიცია ახსნა-განმარტებებს ითხოვდა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არის პროექტი ბუნდოვანი, რატომ არ არის გაწერილი კონკრეტული სფეროს მიმართულებები, რომელთაც დაფინანსება ეზრდება, და რატომ იმატებს საჯარო მოხელეთა ხელფასები ე. წ. ქამრების შემოჭერის ფონზე. კახა ბაინდურაშვილის განმარტებით, არც ერთი შენიშვნა გათვალისწინებული არ იქნებოდა, რადგან 2011 წლის ბიუჯეტი მოსახლეობის ინტერესებზეა გათვლილი.**



ცნობილი გახდა, რომ **ახალი ბიუჯეტის თანახმად, საგადასახადო შემოსავლები 350 მილიონი ლარით იზრდება, საგარეო ვალის საგადასახადო მარჟა კი — 1 მილიარდი ლარით.** გამოდის, რომ ქამრების შემოჭერის პოლიტიკა კვლავ იზრდება და ხელისუფლება მოსახლეობის ჯიბიდან იმის გამოფერთხვას უპირებს, რაც დარჩა, თუმცა, ეკონომიკის ესქპერტ გია ხუხაშვილის თქმით, ჯიბიდან რამდენიც უნდა ფერთხო, ვერაფერს გამოფერთხავ, თუ იქ არაფერი აღარაა. ბიუჯეტის ახალ პროექტთან დაკავშირებით, „საქართველო და მსოფლიოს“ **ეკონომიკის ექსპერტი გია ხუხაშვილი** ესაუბრა.

**— ცნობილი გახდა, რომ აღნიშნულ საბიუჯეტო ცვლილებებს საფუძვლად დაედო წლეულს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურად ზრდა, რაც, თავდაპირველად დაგეგმილი 4,5%-ის ნაცვლად, 5,5%-იანი ზრდით განისაზღვრება. გასულ წელს ეკონომიკის ზრდამ 6,4 % შეადგინა. რას ფიქრობთ ახალ ბიუჯეტთან დაკავშირებით?**

— მძიმე სოციალური ფონიდან გამომდინარე, ჯობდა, ბიუჯეტი ორიენტირებული უფრო მეტად სოციალურ სფეროებსა და ეკონომიკის განვითარების სტიმულირებაზე ყოფილიყო. შთაბეჭდილება რჩება, რომ ეს არის საკმაოდ სტაბილური, დაწყნარებული ქვეყნის ბიუჯეტი, რომელსაც ინფრასტრუქტურის განვითარების სხვა პრობლემა აღარ აქვს. სინამდვილეში რისკი საკმაოდ მაღალია და ამ ცვლილებების ფონზე კი სიტუაცია უფრო გაუგებარი ხდება.

**— ცვლილებების მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის საშინაო და საგარეო ვალი, დაახლოებით, საგადასახადო ვალდებულების მარჟა 1 მილიარდი ლარით გაიზრდება და წელს, ჯამში, მილიარდ 869 მილიონ ლარს მიაღწევს. ამასთან დაკავშირებით რას ფიქრობთ? გამოდის, რომ ვალის გასასტუმრებლად ვალს იმატებენ...**

— არის ზღვარი, რომლის იქითაც მტკივნეული აღარაფერია. ვალი, იცით, რომ საკმაოდ დიდია, და, როგორც ჩანს, უკვე გადაფარვის პრინციპით მოქმედებს ჩვენი ხელისუფლება. ჩემი აზრით, **სახელმწიფო ფინანსური პირამიდის შენების პროცესშია. რაც, ქვეყნისთვის საკმაოდ სახიფათო ტენდენციაა.** საერთოდ, იმდენად ვალში კი არაა პრობლემა, რამდენადაც ვალის გადახდის უუნარობაში. ჩვენ რომ გვქონდეს ეკონომიკა, რომელსაც ამ ვალების გასტუმრება შეუძლია, შედარებით მშვიდად ყოფნის უფლება გვექნებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ეკონომიკის რესურსები არ იძლევა მოდუნების საშუალებას.

**— რის ხარჯზე იზრდება ბიუჯეტი? შეიძლება ითქვას, რომ ისევ საქართველოს მოსახლეობის ჯიბის ხარჯზე? ნორმალური ეკონომიკური გათვლების ფონზე, ალბათ, ბიუჯეტი კი არ გაიზრდებოდა, პირიქით, — შემცირდებოდა.**

— ყველაფერი საქართველოს მოსახლეობის ხარჯზე ხდება. ბიუჯეტი ჩვენ მიერ გადახდილი გადასახადებით უნდა ფორმირდებოდეს. თუმცა საგადასახადო ნაწილის გაზრდის რესურსს ვერ ვხედავ. თქვენ თუ ის გაქვთ მხედველობაში, რომ ზეწოლა გაძლიერდება ბიზნესსა და მოსახლეობაზე, აქაც, ვფიქრობ, რომ კრიტიკული ზღვარი გადალახულია. მოსახლეობის ჯიბიდან რამდენიც უნდა ფერთხო, ვერაფერს ვერ გამოფერთხავ, თუ იქ არაფერი აღარაა.

**— მთავრობა იმედოვნებს, რომ ბოლო თვეების განმავლობაში დაფიქსირებული ინფლაციის ტენდენციის ზრდა წლის მეორე ნახევარში კლებას დაიწყებს და მისი მაჩვენებელი კვლავ ერთნიშნა ნიშნულს მიუახლოვდება.**

— უნდა ვივარაუდოთ, რომ ტემპი დასტაბილურდება, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ მომხმარებელი ქვეყანა ვართ და ბევრი რამ ჩვენზე არაა დამოკიდებული, ეს პროგნოზები მაინც წყალზეა ნაწერი. არავინ იცის, რეალურად რა ტენდენციები დაიწყება მსოფლიო ბაზრებსა და ბირჟებზე. ცოტა ხნის წინათ ხელისუფლებამ თვითონ აღიარა, რომ ინფლაციურ პროცესზე მათ გავლენა არ აქვთ. აქედან გამომდინარე, ეს პროგნოზები, ცოტა არ იყოს, სასაცილოდ გამოიყურება.

**— პრეზიდენტმა საქართველო — აგრარულ ქვეყნად, მთავრობა კი აგრარულ მთავრობად გამოაცხადა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის 150 მილიონი გამოყო. რამდენად სწორი იყო ეს ნაბიჯი და როგორ შეიძლება აისახოს ეს ინიციატივა ინფლაციის პროცესზე?**

— მართალი გითხრათ, არ ვიცი, სადაა ეს ფული გამოყოფილი. ამბობენ, რომ ბიუჯეტიდან ეს თანხა გაწერილია სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის, მაგრამ რეალურად ეს თანხა არ ჩანს. ეს ერთი პრობლემაა. მეორე პრობლემა ისაა, რომ გაუგებარია, რაში უნდა დახარჯონ ეს ფული. გამოვლენ მერე და გამოგვიცხადებენ მორიგ მეგაპროექტს და საქართველოს სოფლის მეურნეობაში ან ეკონომიკის სხვა სეგმენტში რეალურად არაფერი დარჩება. თანხის გამოყოფას აზრი აქვს ანკესის და არა თევზის შესაძენად. ფაქტობრივად, ეს თანხა უნდა ჩაიდოს ეკონომიკის რეალურ სექტორში, რათა სოფლის მეურნეობას განვითარების საშუალება მიეცეს და არა ის, რომ გლეხებს ერთჯერადად საჩუქრები დაურიგონ და ამით ყველაფერი დაასრულონ.

**— საქართველოს ეკონომიკის მინისტრის განცხადებით, ქვეყნის ეკონომიკამ ყველაზე რთული პერიოდი გადალახა და ახლა აღმავლობის გზაზე დგას. კრიზისი თურმე არც ყოფილა. როგორ ფიქრობთ, რამდენად მოსალოდნელია წელს ეკონომიკის აღმავლობა და, თქვენი აზრით, იყო ან ახლაც თუ გრძელდება კრიზისი?**

— ეს პოლიტიკური განცხადებებია. მე არ ვარ პოლიტიკოსი და პოლიტიკურ განცხადებებს ვერ გავაკეთებ; მითუმეტეს, საქართველოს ეკონომიკის მინისტრის განცხადებებზე არ ვაკეთებ კომენტარებს. არასერიოზულია ქალბატონი ვერას ბრძნულ გამონათქვამებზე კომენტარის კეთება.

**— ჩვენთან ბოლო წლებში ასეთი პრაქტიკა დამკვიდრდა: ბიუჯეტს შემოსავლით ნაწილში ყოველთვის რეალურზე ნაკლებს გეგმავენ და შემდეგ შეაქვთ შესწორებები. ალბათ, ამით თავს იზღვევენ. თქვენი აზრით, ჩვენი ეკონომიკა ლიბერალურია?**

— **არ შეიძლება ითქვას, რომ ლიბერალური ეკონომიკა გვაქვს. ჩვენთან ჯერ კიდევ არის მონოპარტიული კაპიტალიზმი, როდესაც ხელისუფლება ბიზნესის დირექტორია. ამას ლიბერალიზმი არ ჰქვია! ესაა ფსევდოლიბერალიზმი.**

**— როგორ შეაფასებთ საქართველოს ხელისუფლების დღევანდელ ეკონომიკურ პოლიტიკას?**

— რეალურად რაც არ არსებობს, იმის შეფასება შეუძლებელია.

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**

**სახელმწიფო ფინანსური პირამიდის შენების პროცესშია. რაც ქვეყნისთვის საკმაოდ სახიფათო ტენდენციაა**

**ჩვენთან ჯერ კიდევ არის მონოპარტიული კაპიტალიზმი, როდესაც ხელისუფლება ბიზნესის დირექტორია**

მოკლედ

## კადაფის საიდუმლო მოლაპარაკებები

**მუამარ კადაფის რეჟიმმა ბრიტანეთის ხელისუფლებასთან საიდუმლო მოლაპარაკებები გამართა.** დიდ ბრიტანეთში ლიბიის ლიდერის ვაჟის, სეიფ ალ-ისლამის ერთ-ერთი უახლოესი თანაშემწე მოჰამედ ისმაილი გაგზავნეს. ეს ლიბიის ჩინოვნიკებსა და დასავლეთს შორის იმ მოლაპარაკებათა ერთ-ერთი ეტაპი იყო, რომელთა საშუალებითაც ლიბიის რეჟიმი ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის პოვნას ცდილობს. მოლაპარაკებებში მთავარ როლს ასრულებენ მუამარ კადაფის ვაჟები.



## ობამა ლიბიაზე ტრილიონს არ დახარჯავს

**ბარაკ ობამამ პირობა დადო, რომ ლიბიისთვის ტრილიონ დოლარს არ დახარჯავს.** ნაციონალური თავდაცვის ვაშინგტონის უნივერსიტეტში გამოსვლისას მისი განცხადებით, შექმნილ ვითარებაში ლიბიის ოპერაციაში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმა „იმ ყველაფრის ღალატი იქნებოდა, რასაც ამერიკა წარმოადგენს“. **„ზოგიერთ ქვეყანას იმ ბოროტებაზე თვალის დახუჭვა შეუძლია, რაც სხვა სახელმწიფოებში ხდება. თუმცა აშშ ასეთი არაა“,** — აღნიშნა ობამამ. მისი თქმით, ლიბიაში საერთაშორისო კოალიციის მოქმედებებმა შეაჩერა ის სასაკლაო, რაც რეგიონის სტაბილურობას ხელს უშლიდა.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**დღეს ქვეყანაში ბევრი რამ გაუფასურდა. დაკნინდა მეცნიერება, განათლება და აღარც ხელოვნებაშია მნიშვნელოვანი ძვრები. პრობლემები, რა თქმა უნდა, ყოველთვის იყო, მაგრამ დღეს ისეთი პრობლემებია, როგორიც დამოუკიდებელ ქვეყანაში არ უნდა არსებობდეს. არც იარსებებდა, პროფესიონალი ადამიანების აზრს ანგარიშს რომ უწევდნენ.**

ვალერი ასათიანი:

# ქვეყნის პოლიტიკური კურსი უნდა შეიცვალოს

საქართველოს კულტურის ისტორიაში უკანასკნელი 7 წელიწადი ფრიად „ნაყოფიერი" გამოდგა. ამ წლებში გადაიღეს ისეთი ქართული ფილმები, რომლებმაც ერთხელ ნახვასაც ვერ გაუძლო. გამოვიდა ნაწარმოებები, რომელთა ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე ავტორები დიდი აღტკინებით, მკრეხელურად აღწერენ საკუთარ მშობლებთან პორნოგრაფიულ ფანტაზიებსა და დამოკიდებულებებს. სამხატვრო აკადემიაში რამდენიმე წლის წინათ ჩატარებულ პერფორმანსზე აღარაფერს ვამბობ, ახალგაზრდებს რომ ერთმანეთისთვის აფურთხებინეს. ამ „საოცრებაზე", გახსოვთ, ალბათ, „ნიუ ორკ თაიმსშიც" კი „დაწერეს". მოკლედ, „ნიჭისა და ესთეტიკის" გამობრწყინება ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში იმდენი ვნახეთ, ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ასეთი აბიბინებული კულტურის ფონზე გადავწყვიტეთ, ინტერვიუ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ, თვალსაჩინო ბიზანტიოლოგ ვალერი ასათიანისგან აგველო, რომელიც ორჯერ იყო საქართველოს კულტურის მინისტრი. მართალია, საბჭოთა კავშირის დროს შექმნილ კულტურას დღევანდელი ხელისუფლება არ აღიარებს, მაგრამ საინტერესოა, რა ხდებოდა 20-30 წლის წინათ ქართულ კულტურაში.



## მე არ მრცხვენია ჩემი საბჭოთა წარსულის

**— თქვენ ორჯერ, სხვადასხვა დროს იყავით საქართველოს კულტურის მინისტრი. თქვენი აზრით, როგორი იყო მაშინ ქართული კულტურა და დღეს რა გზით მიემართება?**

— პირველად მინისტრი 1885-90 წლებში, საბჭოთა პერიოდში, ვიყავი; მერე — 1995-2000 წლებში. ჩემთვის ამ ორი პერიოდის შედარება ცოტა ძნელია. ორი, სულ სხვადასხვა სისტემა იყო — საბჭოთა კავშირი და დამოუკიდებელი საქართველო. მიუხედავად ყველაფრისა, არ შემიძლია იმის იგნორირება, რაც კარგი იყო. სწორედ საბჭოთა კავშირის დროს, 70-80-იან წლები, იყო ქართული ხელოვნების რენესანსის ხანა. დამთავრდა ის დრო, საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა და მას შემდეგ ბევრისგან მსმენია, რომ ეს იყო კომუნისტური იდეოლოგია, პარტიული წნეხი... თუ ასეა, პარტიულ წნეხზე დღესაც ბევრი შეგვიძლია ვილაპარაკოთ... **დღეს ქვეყანაში ბევრი რამ გაუფასურდა. დაკნინდა მეცნიერება, განათლება და აღარც ხელოვნებაშია მნიშვნელოვანი ძვრები. პრობლემები, რა თქმა უნდა, ყოველთვის იყო, მაგრამ დღეს ისეთი პრობლემებია, როგორიც დამოუკიდებელ ქვეყანაში არ უნდა არსებობდეს. არც იარსებებდა, პროფესიონალი ადამიანების აზრს ანგარიშს რომ უწევდნენ.**

**— ხელისუფლება უფროს თაობას საბჭოთა წიაღში გაზრდილ ადამიანებად ცინიკურად მოიხსენიებს და ზოგჯერ ლამის დანაშაულად უთვლის ამას. სწორად მიგაჩნიათ თუ არა ეს დამოკიდებულება?**

— ეს არის გონებაშეზღუდულობა. არ შეიძლება ასეთი მიდგომა. ხშირად გვაყვედრიან დღეს „ციდან ჩამოფრენილნი", რომ კომუნისტურ ეპოქაში ვცხოვრობდით! დიახაც, მეც, მრავალთა მსგავსად, ვიყავი პიონერიც, კომკავშირელიც და პარტიული მუშაკიც. უფრო მეტიც, უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანიც გახლდით, იმ უნივერსიტეტისა, რომლის რექტორი პეტრე მელიქიშვილი, ნიკო კეცხოველი, ილია ვეკუა და სხვა ღირსეული პიროვნებები და მეცნიერები ბრძანდებოდნენ. **ჩვენ დავიბადეთ იმ ეპოქაში, ვცხოვრობდით იმ იდეოლოგიის პირობებში და ეს არ იყო ჩვენი არჩევანი. ეს იყო ჩვენი ხვედრი. სხვა საქმეა, ვინ როგორ იცხოვრა, ვის და რას ემსახურა. მე არ მრცხვენია ჩემი საბჭოთა წარსულის.**

ბედნიერებაა, რომ დღეს საქართველო დამოუკიდებელია, მაგრამ ნამდვილი ბედნიერება მაშინ იქნება, როცა იგი გამთლიანდება, ლუკმაპურისთვის უცხოეთში მრავალი ათასი ადამიანი არ გადაიხვეწება; როცა სამართლებრივ სახელმწიფოში ადამიანის ღირსება დაცული იქნება; როცა ზნეობასა და პროფესიონალიზმს მეტი ფასი დაედება; როცა თაობებს შორის მეტი სიყვარული და პატივისცემა იქნება; როცა სიტყვას ფასი დაედება და ხვალინდელი დღის იმედი ექნება ხალხს.

**— რატომ მოხდა, თქვენი აზრით, თაობებს შორის გაუცხოება?**

— არ ვიცი, მაგრამ ძალიან მწყდება გული ამაზე. ახალი თაობა, ვინც დღეს ქვეყანას სათავეში უდგას, დაახლოებით ასეთი პათოსით მოვიდა: მოვდივართ ჩვენ, ზეწარმატებულები, ყველაზე ნიჭიერები, ოკეანედალეულები და ყველაზე საუკეთესოები. ორკვირიან და სამთვიან სერთიფიკატებს გადაგვაყოლეს თან. ბევრს ილიას სურათი უკიდია კაბინეტში, მაგრამ ილიას მრწამსის წინააღმდეგ მოქმედებს.

სამწუხაროდ, მოხდა თაობების, პიროვნებების უარყოფა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნონა გაფრინდაშვილს როგორ ექცევიან დღეს?! ახლახან წავიკითხე, რომ სკოლაში შვილიშვილის მისაყვანად მისული ქალბატონი ნონა შენობაში არ შეუშვიათ. **რაზე უნდა ვილაპარაკოთ, როცა ქუთაისის მემორიალი ააფეთქეს. ესაა წარსულის, ჩვენი ღირებულებების აფეთქება. ის არ იყო საბჭოთა წყობილების მემორიალი. მერაბ ბერძენიშვილს იქ ქრისტიანული მოტივები ჰქონდა ჩადებული და ის იყო ხელოვნების ნიმუში.**

**— ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად იწონებენ თავს, რომ პირველებმა მათ გააკეთეს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი და სასიკეთო საქმეები...**

— დიახ, დღეს ხშირად გვესმის, რომ პირველებმა მათ გააკეთეს საგმირო საქმეები. პირველობის მანია აქვთ, ეტყობა. იმდენი რამის ჩამოთვლა შემიძლია, რაც ჩვენს დროს გაკეთდა პირველად. ჩვენს დროს მიიღო პარლამენტმა პირველად ჩვენ მიერ მომზადებული კანონები „კულტურის შესახებ", „თეატრების შესახებ", „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" (1999), ასევე ჩვენს დროს მომზადდა კანონპროექტები „საქართველოს მუზეუმების შესახებ", „კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთ გატანისა და შემოტანის შესახებ", „სახელოვნებო განათლების შესახებ" და ა. შ. მაგრამ არასდროს გვიტრაბახია ამით. ჩვენი ვალი იყო ამის გაკეთება. ამისთვის ვიყავით იქ.

ყველა ეპოქაში ხდებოდა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი და სასიკეთო ძვრები. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ იქმნებოდა საქართველოს ისტორია. მაგრამ, დღევანდელისგან განსხვავებით, ამის გამო არავინ ყოყლოჩინობდა და არც არავის აყვედრიდა.

**— თქვენ იმ ხელისუფლებაში იყავით, რომელიც „ვარდების რევოლუციამ" შეცვალა. როგორია დღეს რევოლუციის შემდგომი საქართველო თქვენთვის?**

— **გახსოვთ, ალბათ, „ვარდების რევოლუციის" დროს შემოქმედებითი ინტელიგენციის ნაწილი რუსთაველზე იდგა და ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას აპროტესტებდა. არ ვამბობ, რომ არ იყო გასაპროტესტებელი, მაგრამ ახლა მინდა, ვკითხო იმ ადამიანებს, ვინც მაშინ იქ იდგა, დღეს აღარ აქვთ აღსაშფოთებელი არაფერი? აღარ არის ისეთი პრობლემები, როგორიცაა ერის ცნობიერების გადარჩენა — განათლების, მეცნიერების, კულტურის დაკნინება? რაც მთავარია, ადამიანის ღირსების გადარჩენა? არ არის ეს ქვეყნის მომავალთან დაკავშირებული? რატომ არ ღელავენ დღეს, რატომ არ გამოხატავენ პროტესტს?!**

**— დღეს საქართველოში ძალიან დიდი პრივილეგიები მიენიჭა ინგლისურ ენას. თქვენ როგორ ფიქრობთ, აყენებს თუ არა ეს ზიანს ქართულ ენას?**

— რა თქმა უნდა, საქართველოს უნდა ჰქონდეს გარესამყაროსთან ურთიერთობა და უნდა მოახდინოს კიდეც ნაწილობრივ ინტეგრაცია, მაგრამ ამავე დროს, როგორც ქვეყანამ, უნდა შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა, ზნეობა და მენტალიტეტი... დღეს პრიორიტეტი დაკარგული აქვს მშობლიურ ენას და ესაა საგანგაშო. თუ არ უნდათ ქართული ენა, მაშინ დაანებონ ილიას სურათთან კეკლუცობას თავი!

**— საქართველო ატარებს განვითარებადი ქვეყნის სტატუსს, ამის გამო კი ის ქვეყნები, რომლებიც საქართველოს ფინასურად ეხმარებიან, ხშირად აღნიშნავენ, რომ მეცნიერება და მაღალი კულტურა განვითარებადი ქვეყნებისთვის ფუფუნებაა...**

— როდესაც კულტურის მინისტრი ვიყავი, ყოველთვის მწყინდა, როცა საქართველოს მოიხსენიებდნენ განვითარებად ქვეყნად. ყოველთვის დამამცირებელი იყო ეს ჩემთვის და ასეა დღესაც, მაგრამ არის ეკონომიური ფაქტორები, რაზეც უარს ვერ ამბობენ. სადაც კი შესაძლებლობა მეძლეოდა, საერთაშორისო ტრიბუნებზე ყოველთვის ხაზგასმით, პროტესტის გრძნობით აღვნიშნავდი, რომ ჩვენ მოვდივართ კოლხეთიდან, იბერიიდან; ვსაუბრობდი რუსთაველის, თამარის, აღმაშენებლის საქართველოზე...

**— და ბოლოს, როგორ ფიქრობთ საქართველოს მომავალი იმედისმომცემია?**

— თუ გვინდა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება, რაც საქართველოს მომავალი განვითარებისთვის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა, ქვეყნის პოლიტიკური კურსი უნდა შეიცვალოს. **პოლიტიკოსის გონიერება სწორედ იმაშია, რომ ლავირებაც მოახერხოს გარესამყაროსთან და ამავე დროს შეინარჩუნოს ერის ღირსება, კულტურა; შეეცადოს, ქვეყანას ააცილოს კატასტროფები. კატასტროფა არ არის მხოლოდ ტერიტორიების დაკარგვა. კატასტროფაა ზნეობის დაკარგვა, მენტალიტეტის ნგრევა, აზროვნებაში ბზარის გაჩენა, უიმედობისა და შიშის დანერგვა საზოგადოებაში.** სამწუხაროდ, უკანასკნელ პერიოდში საქართველომ ეს ვერ შეძლო!

ესაუბრა
**თეო ტაბატაძე**

## თუ ქართული ენა არ უნდათ, დაანებონ თავი ილიას სურათთან კეკლუცობას

ამბები

## ობამამ საიდუმლო ოპერაციის სანქცია გასცა

**აშშ-ის პრეზიდენტმა ლიბიის ოპოზიციისთვის დახმარების გაწევის საიდუმლო განკარგულებას ხელი მოაწერა**. როგორც „როიტერი" თეთრი სახლის მაღალჩინოსან წყაროზე დაყრდნობით იუწყება, მიზანი მოამარ კადაფის რეჟიმის დამარცხებაა. წყაროს ცნობით, დოკუმენტი აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო განყოფილების მიერ სპეციალური ოპერაციის დაწყებაში გადამწყვეტ როლს ითამაშებს.



## კადაფის არმია ცეცხლის შეწყვეტას არ აპირებს

**ლიბიაში ცეცხლის შეწყვეტის ინიციატივით გამოვიდა ოპოზიცია, რომელმაც გარკვეული პირობებიც წამოაყენა, მაგრამ მუამარ კადაფის არმიამ ცეცხლის შეწყვეტაზეც და ამ პირობების მიღებაზეც უარი განაცხადა.** კადაფის რეჟიმის განცხადებით, ისინი არ აპირებენ ქვეყნის დასავლეთ ქალაქების დატოვებას, რასაც ოპოზიცია ითხოვს. **„ოპოზიციის ლიდერებს სურთ, ჩვენი ქალაქები დავტოვოთ. ეს, ვფიქრობ, სრული უაზრობაა; არ ვიცი, სხვაგვარად ამას რა ვუწოდო. ჩვენ საკუთარ ქალაქებს არ დავტოვებთ",** — განაცხადა კადაფის ხელისუფლების წარმომადგენელმა მუსა იბრაგიმმა.

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

...გოუწყერი ნაგაზს: ამას უყადრი თავს? ძაღლს ოცი სიტყვა ესმის. ძალიან გავუწყერი. მკაცრად ველაპარაკე — გათახსირებული ყოფილხარ, რა მოგივიდა ასეთი, რას მაყურებინე! წამოვედი. ლაფაროში დავტოვე იქინე. საჭმელი გამოვუტანე. დოვუძახე. არ მოვიდა. ვუძახი. არ მოდის. გავედი ლაფაროში. იქვე, სადაც გავლანძლე, მკვდარი ეგდო — გულგახეთქილი. თბილი იყო ჯერ. აბა, რა იქნებოდა. გალანძღვა ვერ აიტანა! დღეს ლანძღავ და კაცს არ ეყურება!

# ოტია იოსელიანი: ტურისტი რომ მოგივა, უნდა აჭამო. რა უნდა აჭამო, შენ რომ შენთვის არაფერი გაგაჩნია?!

**დასასრული. დასაწყისი იხ. №10-11**

## „საით ჰსვალ?“

— სად წევიდეთ, სად გადავცვივდეთ, რა წყალს მივცეთ თავი?

ის, რაც იყო თამარ მეფის დროს, ის ახლაც კია. სარწყავი არხები, ტერასები... ნიქოზიდან სოფელ-სოფელ მოვდიოდით, იქა მყავს ერთი მეგობარი მეუფე ისაია. გორის რაიონში შემოვედით. გვალვა იყო მაშინაც. ერთ სოფელში სასწაული დევინახეთ, კაცო: სიმინდის ყანა ღაღანობს ქარში. გავაჩერეთ მანქანა. ჩამოვედით. მომესია ხალხი. რა ხდება აქანე-მეთქი? ესაო, ბატონო, სარწყავი გვაქვს აქო. ვინ გაგიკეთათ სარწყავი-მეთქი? ეგიო თამარ მეფის დროინდელი იყო. გავწმინდეთო. მოვრწყეთო. ხოდა, თუ მორწყავ და მზე ექნება, მეტი რა უნდა ამ ყანას!

რაც უნდა გავაკეთოთ გაზაფხულზე, ყველა სოფელზე უნდა იყოს გათვლილი, ყველა ოჯახზე, თუ არის ასეთი, მარა გამოკეტილია კარები.

**— რახან არ არის, იმიტომ ხომ არ გვეუბნებიან, ტურიზმის ქვეყანა უნდა გავხდეთო?**

— არის ასეთი ქვეყნები და არის ტურიზმი შემოსავლის ერთ-ერთი წყარო. მაგრამ შენთვის ეგი არ არის მიზანშეწონილი, იმიტომ, რომ, ტურისტი რომ მოგივა, უნდა აჭამო. რა უნდა აჭამო, შენ რომ შენთვის არაფერი გაგაჩნია?! უნდა იყიდო თურქეთში, მოუტანო იმ კაცს და თურქეთის ბაზარი უნდა გაამდიდრო.

**ტურიზმი მაშინაა კარგი, როცა მოსავალი გაქვს მოწეული, გიჭირს მისი გასაღება იმ ფასში, შენ რომ გინდა. და, როცა ტურისტები მოგესევიან, იმათზე უნდა გაასაღო. ჯერ ეს უნდა გააკეთო და მერე იმდენი ტურისტი უნდა შემოიყვანო, რამდენის დაპურებასაც შეძლებ.** სხვაფრივ მაგი იქნება...

**— ბლეფი?**

— ბლეფი! სხვისი საქმის გაკეთება იქნება — შემოსავალს ვერაფერს დაგიტოვებს. შენ თვითონ ვინცხეისგან ნამათხოვრები პურით, რომელსაც ის კაცი თვითონ არ ჭამს, იმით უმასპინძლებ და აშენდები მოგებით?! არ დეიჯერო!

**— კულტურას — ლიტერატურას, ხელოვნებას რა ეშველება? დარჩება დღევანდელივით გარიყული „პრიორიტეტული მიმართულებების“ ეზოს გარეთ თუ მეოცე საუკუნის დიდი კულტურის გზას გაჰყვება?**

— ეს არის ერთადერთი, რაც ბოლოს და ბოლოს ამ ქვეყანას რჩება. შენ რა სვი, რა ჭამე და იქეიფე, არავინ კითხულობს. მთავარი ისაა, რაც შენ შექმენი.

მკითხეს ახალგაზრდებმა — რა აზრისა ხართ ჩვენზეო? მე ვეუბნები — შვილო, არ წამიკითხია და რა გითხრა? ის ჟურნალები რომ იყო — „ცისკარი“, „მნათობი“, „დროშა“ და რომ მეისპო, იგია ლიტერატურა.

ომი რომ იყო გაცხარებული... რომელში ხარ დაბადებული?

**— 1936-ში.**

— შენ პატარა იქნებოდი მაშინ. მე ცოტა უფროსი ვარ. **მახსოვს: აქედან 10 კილომეტრში სოფელია ცხუნკური. იქ ჩამოსხა გერმანელმა დესანტი. მაშინაც კი ლიტერატურული ჟურნალი არა მარტო გამოდიოდა, მოჰქონდათ სახლში. ახლა კაცი არაა პატრონი: დეიხურა „მნათობი“. დეიხურა „ცისკარი“...** „დაჩის ზღაპრები“ 50 ათასი ტირაჟით რომ გამოვიდა, ერთ კვირაში გეიყიდა.

ორტომეული გამოვეცი მე ადრე — ჯერ ორმოცდაათი წლისამ, მერე — სამოცისამ. სამოცი ათასი იყო ტირაჟი. არც ერთი ერთ კვირაში აღარ იყო. ახლა რომ გამოვა 200 ცალი თუ 500, არაფერს ნიშნავს. დასაბეჭდად შენ უნდა მიუტანო ფული. საიდან უნდა მიუტანოს მწერალმა? ქურდობა დეიწყოს?

ახლა 250 კაცი ერთად მიუღიათ მწერალთა კავშირში. ორი წიგნის ავტორი უნდა ყოფილიყავი, დადებითი რეცენზიები უნდა გქონოდა, მიმღები კომისია მიგიღებდა თუ არა, კიდევ საკითხავი იყო...

**მერე, კაცო, ბილწსიტყვაობას რა უნდოდა ლიტერატურაში?! მწერლობა დახვეწილი ენა, კულტურა, ზნეობაა!**

ქრისტიანმა ქრისტიანი მოკლა, რა დააშავა იმ კაცმა ასეთიო? დედა შეაგინაო. ხოო, მაშინ ქე მოკლავდაო. ესაა ქართველის ბუნება.

იგინები, ილანძღები და ამას უძახი შენ მწერლობას?!

**— შექმნის თუ არა XXI საუკუნე ისეთ ლიტერატურას — ისეთი წონისა და მნიშვნელობისას, რომელიც თქვენმა — XX საუკუნემ დაგვიტოვა?**

— ვერაფერს გეტყვი... იმიტომ, რომ მწერალს კვალში უნდა უდგე. კაი, აგერ წავიკითხე ერთი ავტორი. ახლა მეორე ნომერში უნდა წავიკითხო — რა ქნა? ისევე ისეა, თუ წოუმატა რაღაცა? მერე — მეორე, მერე — მესამე და ასე შემდეგ. მერე — წიგნშია ყველაფერი თავმოყრილი. წიგნი რომ გამოდიოდა გამომცემლობა „საქართველოში“, იქ მწერლები იჯდნენ — ჯავახაძე, ფანჯიკიძე, ჩარკვიანი, ქემერტელიძე. უცნობი ავტორის წიგნი რომ გამოდიოდა, ის სამ მწერალს უნდა წაეკითხა კიდევ. იმათ უნდა მიეცათ დასკვნა — გამოცემულიყო თუ არ გამოცემულიყო.



**— ახალგაზრდა პოლიტიკოსებს თუ ხედავთ ჰორიზონტზე?**

— ქვეყანა რო წავა ხელიდან, ის ყოველნაირად წავა. ხომ გითხარი, „პოლიტიკოსებს არ ვუშვებ სახლში...“ მაგრამ იმან იეშმაკა — ალასანიამ. ახალი ჩამოსული იყო, შედარებით წესიერი ჩანდა. მაგრამ გადმოდგა სცენაზე, ხო გახსოვს, და — ათ დღეში გადადგესო ისო, რა ჰქვია...

**— სააკაშვილი.**

— სააკაშვილი. მე ვთქვი, ათ დღეს რომ ამბობს, ალბათ, გათვლილი აქვს, აბა, ასე ხომ არ იტყვის, ზეპირად! თითებზე ვითვლიდი. გევიდა ათი, ოცი. სადაა?

მევიდა ჩემთან მისი გამოგზავნილი კაცი — მანქანა იქნება, ყველაფერი და ხომ არ ჩამობრძანდებითო? არა-მეთქი, მე მაქანე არ ჩამოვალ. მე რომ ჩამოვიდე, თუ შეიძლებაო? **მე ვუთხარი, შენ რომ ჩამოხვიდე, კიდეც რომ მოხვიდე, მე არც ერთ შენ სიტყვას არ ვენდობი საერთოდ და რაფერ შეიძლება ჩვენი საუბარი, როცა შენ პირგატეხილი კაცი ხარ-მეთქი?!**

**გაჩუმდა.**

მერე იწრიალა რაღაცა. ავსტრიაში რომ ვიყავი, ელჩი იყო იქინე ვიქტორ დოლიძე. მე იმას არ ვიცნობდი, მაგრამ გადამყვა თავზე. ოპერაციების დროსაც კი იქ იყო, კლინიკაში. იმისთანა კაცს როგორ არ ვცემ პატივს!

**— იმან გთხოვათ?**

— ის მოუძებნია ალასანიას. დამირეკა: როგორც პოლიტიკოსი — არა, როგორც ადამიანი, მკითხველი, თუ შეიძლება, მიიღეო.

კაი. მოვიდა. ვისაუბრეთ. რა დონეა, იცი? რო ელაპარაკები, აგებიებ... გლეხობაზე ვილაპარაკეთ, მიწის სიყვარულზე, მიწაზე, იმაზე, რაც საამაყო უნდა გვქონდეს და მაგრამ გვეთაკილება — თოხს ვურტყამ ახლა მიწას, ვზარავ იქინეო? **გალაკტიონი კი ამბობდა, ფეხშიშველი თუ არ გაიარეო... მაგრამ მაგიც არ გიშველის, თუ კოჭებამდე მიწას არ შემოიყრი, მიწას ვერ იგრძნობ-მეთქი. მაშინ შენ უნდა იყო დარგული ხესავით.**

ქარხანა ჩატანილი გაქვს ოსმალეთში ჯართად, ტექნიკას შენ რაფერ შექმნი? იაპონია არ ხარ... სხვათა შორის, ჩემთან აქ იყო იაპონიის ელჩი, ახლადდანიშნული, მეუღლესთან ერთად. ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. როგორც მითხრეს, „დაჩის ზღაპრებს“ სკოლებში ვასწავლითო...

## გაბრწყინდება საქართველო?

— რა ვაკეთოთ, რის საშუალებით, რა მუშახელით, რა მიწის სიყვარულით, რა შრომისმოყვარეობით? არც ერთ ამაზე პასუხი არ აქვთ.

აბა, რით და როგორ უნდა მოიპოვოს ხალხმა პური მისი არსობისა, რით უნდა იარსებოს ქვეყანამ?

**— აბა, როგორ გაბრწყინდება საქართველო? თქვენ რომ ყურს გიგდებთ, ეჭვი მეპარება.**

— ეს „გაბრწყინება“ რაღა უბედურებაა, რას ნიშნავს?! იგიც უნდა ითქვას — რაფერ. მე რომ მკითხო მაგი, ვერ დაგისაბუთებ. იგი ქე ტორტლავს, გოუგონია რაცხა — იმედი უნდა იქონიოო. უიმედო იმედის ქონას არქონა ჯობია, იმიტომ, რომ დოუწყებ ძებნას იმედს. შენ რომ გგონია, გაქვს, ამ დროს ხელს რომ არ ანძრევ და არაფერი არ გაქვს, ესაა ყველაზე მეტად დამღუპველი.

**— „სახალხო კრების“ შესახებ რას იტყვით?**

— ნონას პატივს ვცემ. ნონას საპრეზიდენტოდ კი არ უნდა. მაგრამ ამას სჭირდება მებრძოლი სული. ის თუ მებრძოლი არ არის, დოუძახე და არ მოდის, რად გინდა ასეთი კრება, თუ არავინ გაყვება?! მიმიწვიეს, როცა მაგი იქმნებოდა. ჩევედი. ვესაუბრე. ვუთხარი: სადაა ეს ოპოზიცია, მეიყვანეთ ერთი და ველაპარაკოთ, რა უნდა? აგვიხსნან, რას აპირებენ. მევიდნენ ზოგიერთები.

მე ვუთხარი: **ხომ არც ერთს არ გინდათ მიშაიე? კი, ბატონო. მაშინ მივასოთ ყველამ ამაზე ფეხი. ვიბრძოლოთ, ეს კაცი რაფერ, ყველამ ერთად როგორ მოვიშოროთ თავიდან. აი, მერე ვიკითხოთ, შენ როგორ აპირებ ქვეყნის აშენებას.** შენი ჯობია თუ ამისი, თუ იმისი? ძაღლების „ფილოსოფიას“ გასწავლით-მეთქი. მეზობლების ძაღლები ღეჭავენ ღობეს, ისე ებრძვიან ერთმანეთს, ვერ გუობენ. მაგრამ, აბა, გამოჩნდეს მგელი? იმ წუთში ყველა მიესევა იმას. აი, დავდგეთ-მეთქი ძაღლის „ფილოსოფიაზე“ და ვილაპარაკოთ, ვინ რისი მაქნისი ვართ.

**— რა თქვეს?**

— რა უნდა ეთქვათ, როცა არც კი იციან, რა ქვეყანაში არიან, რისი გამკეთებელია ჩვენი ხალხი?

**— ალასანიამ — რაო?**

— მეორეჯერაც მოვიდა. გისმენს და აცნობიერებს. არც ერთი პოლიტიკოსი თუ პარტიები არ ზრუნავს ხალხის ცნობიერებაზე.

* * *

**საუბარში ორი საათი მაინც ისე მიილია, რომ ვერც გავაცნობიერეთ. ბატონი ოტია სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა — ხან ერთი მუნდშტუკით, ხან — მეორეთი, რომელთა „ბატარეა“ გულის ჯიბეში ედო.**

**— რატომ ეწევით ამდენს, ბატონო ოტია?**

— ერთადერთი, რაც მე ჯავრი მაქ და რაცხა უბედურება, ამით ვიტან და ეგიც რომ არ იყოს, რა გამაძლებინებს?

შემოქმედებაშიც საერთოდ ეგიც ძალიან გეხმარება, როცა წერ — მაშინ. ბალზაკი რომ სვამდა ორმოც ჭიქა ყავას, არ იცოდა, რომ წყენდა?! მაგრამ ვერ წერდა სხვანაირად...

**გამომშვიდობებისას, რიკულებიან აივანზე რომ გამოვედით, კიბის თავზე, ბატონმა ოტიამ ერთი სევდიანი და ჭკუის სასწავლებელი ისტორია გაიხსენა — ძაღლების „ფილოსოფია“ — ადამიანებისთვის ჭკუის სასწავლებელი:**

— კაცთან ველარ ვახერხებ მეგობრობას, იმიტომ რომე კაცი არ არის ქვეყანაზე და ძაღლებთან მაქ ძალიან დიდი ურთიერთობა.

როცა უძაღლოდ დავრჩი, კინოლოგი როა გია გიორგაძე, იმან ჩამომიყვანა ქართული ნაგაზი. კაი სამი თვის იყო. ვმეგობრობდით ძალიან — მეხმარებოდა, დამყვებოდა. სათოხარში ერთად დავდიოდით — ვთოხნიდი, გვერდით იწვა.

გადმოვედით ერთხელ იქედან, ამ სახლის ლაფაროში რომ მოვედით, დაეტაკა პატარა ფაცურას, თუ იგი დაეტაკა, არ ვიცი. ამას, პატარას, ჩემი იმედი მიეცა და ამანაც შეუტია. გადევირიე და გოუწყერი ნაგაზს: ამას უყადრი თავს? ძაღლს ოცი სიტყვა ესმის. ძალიან გავუწყერი. გავლანძლე, რომ არ ჩაედინა მეორედ.

**— სუსტი არ დაეჩაგრა?**

— კი. მკაცრად ველაპარაკე — გათახსირებული ყოფილხარ, რა მოგივიდა ასეთი, რას მაყურებინე! წამოვედი. ლაფაროში დავტოვე იქინე. საჭმელი გამოვუტანე. დოვუძახე. არ მოვიდა. ვუძახი. არ მოდის. გავედი ლაფაროში. იქვე, სადაც გავლანძლე, მკვდარი ეგდო — გულგახეთქილი. თბილი იყო ჯერ. აბა, რა იქნებოდა. გალანძღვა ვერ აიტანა!

დღეს ლანძღავ და კაცს არ ეყურება!

* * *

**ესეც, ძვირფასო მკითხველო, — ამ დიდი ინტერვიუს შეგონება, ანუ მორალი.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**გალაკტიონი კი ამბობდა, ფეხშიშველი თუ არ გაიარეო... მაგრამ მაგიც არ გიშველის, თუ კოჭებამდე მიწას არ შემოიყრი, მიწას ვერ იგრძნობ-მეთქი. მაშინ შენ უნდა იყო დარგული ხესავით.**

ნაციონალური არხები ხელისუფლების ტელევიზიებია. გადაცემები მხოლოდ სეირისთვისაა და ეს ყველა ქვეყანაში ასეა, მაგრამ ზომიერებაა საჭირო, ვინაიდან მედია ერთ-ერთი იარაღია. როდესაც გადაცემების ძირითადი და აქტუალური თემა ისაა, რომ მამაკაცს უყვარს მამაკაცი და თურმე ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ, ან გვაჩვენებენ, როგორ გაუკეთა ვილაცამ ვილაცას ჯადო, რა თქმა უნდა, არაა კარგი.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

ნუკრი ქანთარია:



# ვერც ერთი ოპოზიციონერი ვერ იქცა ლიდერად, ვისაც ხალხი გაჰყვებოდა...

**ერევა თუ არა ხელისუფლება ხელოვანთა საქმიანობაში, მიმდინარეობს თუ არა ქვეყანაში ეროვნული ფასეულობების დეგრადაცია და რა გეგმები აქვს „ქართულ აკადემიას" — ამ საკითხებზე, „საქართველო და მსოფლიოს" „ქართული აკადემიის" წევრი ნუკრი ქანთარია ესაუბრა.**

**— „ოპოზიციური რვიანის" დიალოგი ხელისუფლებასთან, ფაქტობრივად, ჩაიშალა. მაინც გჯერათ, რომ ეს მოლაპარაკება შედეგს გამოიღებს?**

— ამ შემთხვევაში უარიც კი შედეგია, დანარჩენს თავად პროცესების განვითარება გვიჩვენებს. წინასწარ დაანონსება იმისა, რომ ხვალ რევოლუცია მოხდება, არასწორია, მითუმეტეს, რომ, ახალი ოფისების გახსნის გარდა, ოპოზიციის სერიოზულ სამზადისს ვერ ვხედავ და ჯერჯერობით ვერც რევოლუციურ მუხტსა და აქციებისთვის ხალხის მზადყოფნას ვამჩნევ.

ყველაფერი მაინც ხალხზეა დამოკიდებული. ვაუჩერების დარიგებით ქვეყანაში ვითარება არ შეიცვლება და ამ საჩუქარსაც მალე „ძმრად ამოგვადენენ". ამას თუ ვერ მიხვდა ხალხი, ქვეყანაში არაფერი შეიცვლება.

**— 2009 წლის აქციებს საპროტესტო მუხტი და დემონსტრანტების რაოდენობა ნამდვილად არ აკლდა, მაგრამ შედეგი მაინც არ მოჰყვა...**

— საპროტესტო მუხტის არსებობის შემთხვევაშიც ვნახეთ, როგორ უშედეგოდ დასრულდა ყველაფერი. არ ვიცი, ეს შიშის ბრალი იყო, ხელისუფლებასთან გარიგების თუ სხვა რამის, ფაქტი ერთია — შედეგი ვერ მივიღეთ, ბოლო მომენტში, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა ვერავინ აიღო. აქედან გამომდინარე, ხალხს წარუმატებლობის განცდა დაეუფლა და, ბუნებრივია, მას უჭირს, რომელიმე პარტიას დაუჯეროს, მითუმეტეს, რომ ახალი შტურმისთვის კვლავ იგივე ლიდერები მოუწოდებენ. ბაქი-ბუქი ადვილია, საქმის გაკეთებაა რთული.

**მიმაჩნია, რომ იპოდრომზე შეკრებილი ხალხის დაშლა საბედისწერო შეცდომა იყო; ოპოზიციის წარუმატებლობა სწორედ ამ დღიდან დაიწყო.**

ისიც ფაქტია, რომ ვერც ერთი ოპოზიციონერი ვერ იქცა ლიდერად, ვისაც ხალხი დაუჯერებდა და გაჰყვებოდა....

**— დღეს ბევრს საუბრობენ ეროვნული ფასეულობების რღვევაზე, რამ გამოიწვია ეს პროცესები?**

— ეს პროცესი დაიწყო ამ ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე. მან ახალგაზრდებს უთხრა, რომ 40 წლის ზემოთ ყველანი უმაქნისები და „ჩარეცხილები" არიან და ამათ არ უნდა ენდოთო. მაგრამ არაფერი გამოუვიდათ და ვფიქრობ, რომ ეს პროცესი უკვე შეჩერდა.



**— როდესაც ვსაუბრობთ ეროვნულ ფასეულობებზე, რა როლს ასრულებს ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესში მედია, განსაკუთრებით ტელემედია და ის გადაცემები, რომლებსაც საზოგადოება ყოველდღიურად ტელეეკრანზე უყურებს?**

— ნაციონალური არხები ხელისუფლების ტელევიზიებია. გადაცემები მხოლოდ სეირისთვისაა და ეს ყველა ქვეყანაში ასეა, მაგრამ ზომიერებაა საჭირო, ვინაიდან მედია ერთ-ერთი იარაღია. როდესაც გადაცემების ძირითადი და აქტუალური თემა ისაა, რომ მამაკაცს უყვარს მამაკაცი და თურმე ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ, ან გვაჩვენებენ როგორ გაუკეთა ვილაცამ ვილაცას ჯადო, რა თქმა უნდა, არაა კარგი.

**— ფაქტია, ეს გადაცემები რეიტინგულია და მას ხალხი უყურებს...**

— საერთოდ, რაც ეშმაკისეულია, ის ყოველთვის რეიტინგულია. მთავარია, ადამიანს ჩამოყალიბებული ჰქონდეს საკუთარი სულიერი კონსტიტუცია, რომ ამან გავლენა ვერ მოახდინოს. ეს კი ბავშვობიდან ყალიბდება. არადა, სკოლა გააპარტახეს. მანდატურის ინსტიტუტი ხომ სხვა არაფერია, თუ არა იმის მცდელობა, რომ მორჩილი საზოგადოება ჩამოაყალიბონ. დიდი როლი აკისრია ამ ყველაფერში ეკლესიას, რომელიც ძალიან გეგმაზომიერად უნდა მუშაობდეს და მუშაობს კიდეც.

**— ბევრი ხელოვანი მიდის პოლიტიკაში, გვყავს ხელოვანები პარლამენტში, თუმცა რეალური შედეგი არც აქ ჩანს. რას აკეთებენ ისინი ქვეყნისთვის?**

— ხელოვანსაც უნდა ჰქონდეს პარლამენტში შესვლის უფლება, მაგრამ მთავარია, იქ რას გააკეთებს. ვინც დღეს პარლამენტშია, რასაც ვხედავ, ქვეყნისთვის არაფერს აკეთებს, საკუთარი თავისთვის კი, ალბათ, აკეთებენ. თუნდაც კულტურის სამინისტრო რას აკეთებს? ხელოვანებს შორის ერთგვარი კასტები წარმოიშვა და ხელისუფლება მათ თავის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად ყოფს.

**— თქვენ პირადად თუ შეგქმნიათ მსგავსი პრობლემები?**

— დღეს ვერც ერთ თეატრში ვერ ვდგამ პიესას, ასევეა სხვა სფეროებშიც. შოთა გლურჯიძე ერთ-ერთი წარმატებული მხატვარი იყო, მაგრამ დღეს ვერც ერთ თეატრში ველარ მუშაობს. იგივე ხდება შოუბიზნესშიც. ჩვენ არჩევნების დროსაც ხშირად ვხედავთ ზოგიერთ უნიჭო ან ცოტა ნიჭიერ მომღერალს, ხელისუფლების დაყრილ საკენკს რომ მიჰყვებიან.

**— ეს ზოგიერთისთვის, შესაძლოა, წარმატების მიღწევის ერთგვარი მცდელობაა, მაგრამ ხელისუფლების გვერდით უკვე საქვეყნოდ აღიარებული ხელოვანებიც ვიხილეთ, იგივე ბუბა კიკაბიძე, რომელმაც ლუკაშენკოს კონცერტზეც იმღერა.**

**— ბუბა კიკაბიძესა და მისი რანგის მომღერლებს ეს არ უნდა სჭირდებოდეთ. მე, მაგალითად, მათ მაგივრადაც უხერხულად ვგრძნობ თავს, როდესაც ვხედავ, როგორ ჰკიდებს ჯილდოებს გარეწარი პრეზიდენტი, რომელმაც უამრავი დანაშაული ჩაიდინა.**

## მათ მაგივრადაც უხერხულად ვგრძნობ თავს, როდესაც ვხედავ, როგორ ჰკიდებს ჯილდოებს გარეწარი პრეზიდენტი, რომელმაც უამრავი დანაშაული ჩაიდინა

**— თქვენ თელავის თეატრის რეჟისორი იყავით. როგორ შეაფასებთ თელავის თეატრში მიმდინარე მოვლენებს?**

— თელავის თეატრთან მართლაც მჭიდრო ურთიერთობა მაკავშირებს. ვფიქრობ, საერთოდ თეატრში მმართველის თანამდებობაა გასაუქმებელი, ვინაიდან მმართველები ხელისუფლებისადმი ერგულებისა და ანგარების გამო ინიშნებიან და არ აქვთ ამ საქმეში სათანადო გამოცდილება. ამ შემთხვევაში, დუტა სხირტლაძეს არ ვგულისხმობ, ვინაიდან ბევრი მმართველი ვიცი, საერთოდ სხვა სფეროებიდან რომ მოიყვანეს და თეატრს ჩაუყენეს სათავეში.

მართალია, დუტა გამოცდილი მსახიობია, ის მსახიობების ოჯახიდანაა და, ფაქტობრივად, თელავის თეატრში გაიზარდა, მას მაინც არ უნდა აელო საკუთარ თავზე ამხელა პასუხისმგებლობა. არც კაფე არ უნდა გაეხსნა თეატრში, ამით მაყურებელს ვერ მიიზიდავ.

შეუძლებელია, თეატრში იყო და არც იყო. როგორც იქაურები მეუბნებიან, დუტა თელავის თეატრში, 6 თვეა, არ გამოჩენილა.

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**



## მართალია, დუტა გამოცდილი მსახიობია, მას მაინც არ უნდა აელო საკუთარ თავზე ამხელა პასუხისმგებლობა. არც კაფე არ უნდა გაეხსნა თეატრში, ამით მაყურებელს ვერ მიიზიდავ

## კოტ-დივუარში 800-ზე მეტი ადამიანი მოკლეს

**წითელი ჯვრის მონაცემებით, კოტ-დივუარის ქალაქ დიუკუეზე კონტროლის დამყარების მიზნით მიმდინარე ბრძოლაში 800-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.** ბრძოლები, ძირითადად, დიუკუეში მიმდინარეობდა. კოტ-დივუარში საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულ და დამარცხებულ კანდიდატებს შორის დაპირისპირება გრძელდება. მოქმედი პრეზიდენტი ლორან გბარგო პოსტის დატოვებას არ აპირებს. საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული, გამარჯვებული კანდიდატი ალასან უატარა კი პოზიციებს არ თმობს.



## საფრანგეთმა კოტ-დივუარში ჯარი შეიყვანა

**საფრანგეთმა კოტ-დივუარში მებრძოლები გაგზავნა. ათასი ჯარისკაცისგან შემდგარი ქვედანაყოფი ქალაქ აბიჯანის სამხრეთ ნაწილშია დისლოცირებული.** ჯარისკაცები იმ ფრანგი მოქალაქეების დასაცავად გაგზავნეს, რომლებზეც თავდასხმას ახორციელებენ კოტ-დივუარის ლიდერ ლორან გბარგოს მომხრეები. გავრცელებული ინფორმაციით, ფრანგი სამხედროები აბიჯანის ქუჩებში ბრონიტექნიკით პატრულირებენ.

საქართველო და მსოფლიო
მოდელირება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

კი გვჭირს ქართველებს, ბატონ
ოტია იოსელიანის თქმისა არ იყოს,
ეროვნული გამოთაყვანება,
მაგრამ იმ დონის მაინც არა,
ვერ გავარკვიოთ, ჩვენი ხელისუფლების
ნიჭის ასეთი ტელენაჟური
არის თუ არა კანის
კინოფესტივალზე წარსადგენი შედევრი.

# «ქუთაისი გადამწვარა თავის დუქნებიანადო...», ანუ რემინისცენცია ხურჩის ინციდენტის თემაზე



**გასული შვიდდღიურის ერთ საღამოს შესაშური ოპერატიულობით თავიდან აცილებული (გადავრჩით!) მორიგი რუსული (აბა — ვისი?!) ტერაქტის გახსნის ტელევერსია ისეთი აპლომბით შემოგვაპარა მეფის კარის ელექტრონულმა მედიამ, თითქოს ბუნებაში არ არსებობდა ფრანგული „დეჟავიუ“, ანუ ქართული — „ეგ კინო ხომ ნანახი გვაქვს, ბიჭო!“**

1 აპრილს, პარასკევს, დილის 10 საათზე „რუსთავი 2“-მა გვაცნობა, რომ აღკვეთილია მორიგი ტერაქტების სერია: გალში მცხოვრები მანუჩარ ძაძუა, მისი ბიძაშვილი ავთანდილ ძაძუა და სოფელ ორსანტიის მკვიდრი კალისტრატე მალაზონია, რომლებიც **ზუგდიდში დააკავეს**, აპირებდნენ ქუთაისში იუსტიციის სახლის, სამხარეო ადმინისტრაციის შენობისა და ლეიბორისტების ოფისის აფეთქებას.

ამ ლეიბორისტებს მაინც რას გადაეკიდნენ!

„ინტერპრესნიუსის“ ქუთაისელი კორესპონდენტიც იმავეს იტყობინებოდა, გამეორებად არც ღირს, მაგრამ ვერ მოგაკლებთ იმ სიამოვნებას, რომელიც საქართველოს მეორე დედაქალაქიდან გადმოცემული ინფორმაციის ერთმა წინადადებამ მომანიჭა: **„ამ წუთებში,** — იტყობინებოდა ანონიმი, — **ქუთაისის მერია სპეციალური მესრით არის შემოღობილი“.**

მამაჯან, მესერი თავისთავად ღობეა და ღობით შემოღობვა რა ჯანდაბა და დოზანაა. ეგებ, მეორე დედაქალაქის პრესაში განგვიმარტო, და ისიც აგვიხსნა, როგორ მოახერხეს ერთ ღამეში „მიჯრით ჩარჭობილი სარების ღობის შემოვლება“ ქუთაისის მერიისთვის ჩვენმა სახელოვანმა ოპერატიულმა მუშაკებმა?

ხომ გვაუწყებდა „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო სამსახური — ზუგდიდში დააკავესო ტერორისტები? კი, ასე იყო. „ინტერპრესნიუსი“ გვარწმუნებდა, **„დაკავებული პირები... ქუთაისის მერიასთან აიყვანესო“.**

მაგრამ ვის აინტერესებდა ეს ლინგვისტურ-ფაქტობრივი აბდაუბდა — მთავარი „მესიჯი“ შეუცდომლად გავრცელდა: ტერაქტები, რომელთაც რუსეთი გვიმზადებდა, თავიდან ავიცილეთ: „როგორც გაირკვა, **ქუთაისში ტერაქტების განხორციელება, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, მანუჩარ ძაძუას ოჩამჩირეში რუსმა ლეიტენანტმა ალექსეი უშაკოვმა შესთავაზა“.**

**განხორციელება შესთავაზა სანაცვლოდ! ჯერ ამ ქართულით დატკბით და შემდეგ — ინფორმაციის შინაარსით: რუსმა ლეიტენანტმა (რომელიც შემდეგ გაირკვევა, რომ უფროსი ლეიტენანტია) ძაძუას შესთავაზა — ტერაქტებს განვახორციელებ გარკვეული თანხის სანაცვლოდო (საფასურად რომ უნდა იყოს, ამას ნუ მიაქცევთ ყურადღებას)... სად დავკარ და სად გასკდაო, ამაზე არის ნათქვამი.**

„ძელსა ჰკრეს ქორსატევლას ციხეში“ კარგა ხნის წინათ, ანუ ამგვარ სენსაციურ საოცრებებს თავისი ისტორია აქვს.

ამ რენესანსულ მოვლენას წინ უსწრებდა „მამხილებელი“ სერიალი რუსული მეხუთე კოლონის შესახებ, რის შესახებაც გულანთებით მოგვითხრობდა ტელეწამყვანად გადაკვალიფიცირებული გენპროკურორის მაშინდელი მოადგილე, ნაცბოლების ამომავალი ვარსკვლავი და მომავალი განათლების მინისტრი ნიკა გვარამია, რომელიც, მთავრობაში დაწინაურების შემდეგ, სულ რამდენიმე თვეში, სასწავლებლად და განათლების მისაღებად საზღვარგარეთ გაამწესეს.

**მაშინ რუსეთისა და კრემლის პირწავარდნილ და შენიღბულ (აბა, როგორ!) აგენტებად ქართველი ოპოზიციონერები წარმოგვიდგინეს — გოგა ხაინდრავა („Приветствую Вас, маэстро!“), შალვა ნათელაშვილი (ამანაც რაღაცა თქვა) და სხვათა შორის ძმები გამსახურდიები.**

**მაგრამ, როგორც ჩანს, აქ ამოიწურა „მამხილებელი ჟურნალისტიკის“ შემოქმედებითი საბადო და ნიჭი.**

რენესანსს, როგორც ყოველთვის, დეგრადირება მოჰყვა: განმუხურის ინციდენტის კვალზე განვითარებული მოვლენები, როცა მიხეილ სააკაშვილმა შიშველი ხელებით დაიფრინა კბილებამდე შეიარაღებული რუსი სამშვიდობოები, მათი შტაბის უფროსის პაველჩუკის მეთაურობით, და პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადა სამშვიდობო ძალების სარდალი, გენერალი სერგეი ჩაბანი. თუმცა დსთ ქვეყნების თავდაცვის მინისტრების საბჭომ ეს კატეგორიული გადაწყვეტილება არად ჩააგდო და მაინც და მაინც ამ გენერალს გაუგრძელა აფხაზეთში სარდლობის ვადა.

ეს მოხდა 2007 წლის ოქტომბერ-ნოემბერში.

შემდეგ, ერთი ხანობა — შემოქმედებითი პაუზა თუ შემოქმედებითი მივლინება, სადაც ჯერ არს, ახალი ინსტრუქციების მისაღებად, რადგან, **უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში ჩანერგილ ტელე და პოლიტმრჩევლებს შემოქმედებითი კრიზისი დაეწყოთ.**

ახალი სერიალი, როგორც ერთ-ერთი ინტერნეტგამოცემა იუწყება, შარშან ახალი თბილისური ტერაქტებით დაიწყო, რომელთა შედეგად დაიღუპა 58 წლის ქალბატონი და რამდენიმე ადამიანი დაიჭრა. **„მაშინ,** — აღნიშნულია პუბლიკაციაში, — **საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ეკატერინე ზღულაძემ გვაცნობა, რომ დაკავებულები არიან „უშუალო შემსრულებელი“ გიგიტა არქანია, რომელიც აფხაზეთში, გალის რაიონში ცხოვრობს, და ხუთი მისი თანამონაწილე. მისი მტკიცებით, „ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე ლეიბორისტული პარტიის ოფისთან აფეთქების ორგანიზებაში რუსეთის შეიარაღებული ძალების თანამშრომლები მონაწილეობდნენ“.**

მაშინ პირველად გაჟღერდება ვიღაც ოფიცერ ევგენი ბორისოვისა და კოჭოიას სახელები.



რა გაუძლებდა ასეთ მრისხანებას!

გვაცალეს ამ „სენსაციის“ გადახარშვა და — ბაც! დაკავების დროს დაჭრილი და მკურნალობის შედეგად გამოჯანმრთელებული ტერორისტისგან მიღებული ინფორმაციით „იმედის“ ტერიტორიაზე მიწაში დამალული ნაღმების (თუ ასაფეთქებელი ნივთიერების) ძებნის რეპორტაჟი „იმედის“ არხზე „ლაივში“ შემოგვთავაზეს, რომლის გაყინული კადრების უსახურობისა და უაზრობის გადასაფარად და გასაცოცხლებლად, ანუ მაყურებელზე საჭირო ეფექტის მოსახდენად კადრს მიღმა ისეთი სროლა და ბათქაბუთქი ატეხეს, დამფრთხალ თბილისელებს ეკრანზე მოდელირებული ომის გამეორება ეგონათ.

ამათი „ნოუ-ჰაუა“ — ეძიებდე, ისროდე და ჰპოვებდე! ეძიებდნენ და ისროდნენ — ან ტერორისტებს აფრთხილებდნენ, ღმერთი არ გაგიწყრეთ, და მაინც და მაინც ამ საღამოს არ მოხვიდეთ გულდაგულ გადამალული ჰექსოგენის თუ ტროტილის წასაღებად, ან ტყიდან გამოსულ მგლებს აშინებდნენ — ეს ნადირი საქართველოს ტერიტორიას ისეა მოდებული, ვაითუ დიღმის პარკშიც დაშლიგინობენო.

ორივე შემთხვევაში საკუთარ თავსა შველოდნენ შესაძლო თავდასხმის საწინააღმდეგო პრევენციის ხმაურიანი განხორციელებით.

კი გვჭირს ქართველებს, ბატონ ოტია იოსელიანის თქმისა არ იყოს, ეროვნული გამოთაყვანება, მაგრამ იმ დონის მაინც არა, ვერ გავარკვიოთ, ჩვენი ხელისუფლების ნიჭის ასეთი ტელენაჟური არის თუ არა კანის კინოფესტივალზე წარსადგენი შედევრი.

იქ ბატონ რეზო ჩხეიძის ფილმია მიწვეული, „მაცხოვრის საფლავზე დანთებული სანთელი“, რომელსაც დიდოსტატი მოსკოვში ამთავრებს. ოფიციოზი კი დუმს. „წინასწარმეტყველი არსად არ არის უპატივოდ, გარდა თავისი სამშობლოსი და საკუთარი სახლისა“ (მათ. 13, 57).

სამაგიეროდ ვიღაც ძვირად დაქირავებული (ევროებში) პოპვარსკვლავის ხილვის მორიგ ბედნიერებას ისეთი პროვინციული აცუნდრუკებით „გვიანონსებენ“, თითქოს მიხეილ სააკაშვილის მესამე ვადით არჩევის კამპანიის სტარტზე დადგაო სრულიად საქართველო.

**კადრებში ეჭედებათ, პერსონალიებში: თუ პირველ კუდიანებად, როგორც გითხარით, ქართველი ოპოზიციონერები შემოგვთავაზეს, შემდეგ — ჯერ კოჭოიების დონეზე დავიდნენ, ბოლოს ჩანჩურა ძაძუებისა და მალანიას ტერორისტობითა და აგენტობით დაკმაყოფილდნენ.**

შემოგზავნილი იუდები არაკონტროლირებადი ტერიტორიიდან — აფხაზეთიდან! სად პოულობენ, რომელი სანაგვიდან ამოქექეს ეს ჭუჭყიანი ნარჩენები, რომლებიც, ჯერ კიდევ გასარკვევია, ვინ დაიქირავა და გადაიბირა, რომელმა სპეცსამსახურმა „დაავერბოვკა“.

ამდენი წელიწადია, აგენტებსა და დივერსანტებს შემოგვაპარებენ და ერთი რიხარდ ზორგე ვერ გაიმეტეს, „წითელ კაპელაზე“ აღარაფერს ვამბობ, და, აბა, გენიალურ ფიზიკოსს — ამერიკის ატომური ბომბის შემქმნელს — რობერტ ოპენჰაიმერს, რომელიც ლავრენტი პავლოვიჩის აგენტი იყო, ვინ გვაღირსებდა?!

ენაბლუები, გონებაჩლუნგები, ნაკარნახევი და გაზეპირებული ტექსტების უნიჭო გამხმოვანებლები, პრიმიტივები... ასეთია ჩვენი ხვედრი.

**მანუჩარ ძაძუას** ტელეაღიარებითი ჩვენებიდან: **„იქ გავიცანი რუსის სამხედრო. ერქვა ვალიოდია... დადიოდა ჩემთან, როგორა ხარ, ისე, ასეო, და შემომთავაზა, რაღაცა საქმეა გასაკეთებელიო. მე ვუთხარი, რა საქმე არის გასაკეთებელიო. ქუთაისში ადმინისტრაცია, ადვოკატურა და ლეიბორისტების ოფისი ისაიო ასაფეთქებელი. შეგიძლია თუ არაო. მე უთხარი, კი-მეთქი. თუ ამას გააკეთებო, სამი ათას დოლარს მოგცემო“.**

**კალისტრატე მალანია** მანუჩარ ძაძუასგან მიღებულ დავალებაზე ყვება: **„...დამირეკა და მითხრა, გამეიხედე... პოლიციელები ხომ არ არიანო. გამოვიხედე და ვუთხარი, არ არიან-მეთქი... აი ახლა ჩემი ბიძაშვილი გააცილეო სოფელი ორსანტიის პირათ გზა აჩვენეო, მე ვუთხარი, კი-მეთქი. გადმოვიდა და რაღაცა სუმკა მოქონდა“.**

**ავთანდილ ძაძუა: „აფეთქებულისთვის მას აძლევდნენ სამი ათას დოლარს, რომელიც მაგის ნაწილს მე მაძლევდა“.**

ესეც მოხალისე დივერსანტების ფსიქოპორტრეტი და უმაღლესი კვალიფიკაცია.

გადამბირებელთა დონეც ნახეთ — უსახო წვრილფეხობა — უფროს ლეიტენანტზე და ოპერრწმუნებულზე ზემოთ რომ ვერ ადის — ვიღაც ბორისოვი, ვიღაც ალექსეი უშაკოვი, იგივე „ვალიოდია“.

თავისთავად ეგენი რა ვთქვი და მერე — ამათი „დავერბოვკებულების“ მიერ ქუთაისის აფეთქება:

**„ქუთაისი გადამწვარა თავის დუქნებიანადო“.**

ხომ არ შეშინდით, ძმებო, თქვენ, მეორე დედაქალაქის მკვიდრნო? თორემ **თბილისელებს „ხალხის გამოსაცდელად“, ანუ დასაზაფრად ბარნოვის ქუჩაზე მოწყობილი მულაჟის აფეთქება ისევე ჰკიდიათ ფეხებზე, როგორც იაპონიაში ფუკუსიმას ატომური ელექტროსადგურიდან რადიაციული გაჟონვის ათასობით ნორმას აღმატებული რაოდენობა.**

ერთადერთი, რაც დღეს თბილისელებს აწუხებთ, ყველაფრის გაძვირების პერსპექტივაა. „საქართველო სიღარიბის გარეშე!“ — როგორც დავიჯერეთ, ისე შევირგოთ!

გინდათ, ქუთაისლებო, დედაქალაქობანას თამაში? მიიღეთ ხელისუფლების თამაშის წესები და გულწრფელად შეშინდით და შეძრწუნდით ახალი „მოდელირებული ომით სამხრეთ ოსეთში“, ხურჩის ახალი ინციდენტით, რასაც ქუთაისში არ შემდგარი ტერაქტები ჰქვია, და შეგიყვარებთ იგიც, როგორც საკუთარ ძეთა და ასულთ.

ოღონდ გახსოვდეთ, რომ ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია.

**ძველი კი ხურჩაა, და გაგახსენებთ** (რადგან ▶

# მოდელირება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**გინდათ, ქუთაისლებო, დედაქალაქობანას თამაში? მიიღეთ ხელისუფლების თამაშის წესები და გულწრფელად შეშინდით და შეძრწუნდით ახალი „მოდელირებული ომით სამხრეთ ოსეთში“, ხუნჩის ახალი ინციდენტით, რასაც ქუთაისში არ შემდგარი ტერაქტები ჰქვია, და შეგიყვარებთ იგიც, როგორც საკუთარ ძეთა და ასულთ.**

◀ დავიწყებული გექნებათ), **რა მოხდა იმ სოფელში, ზუგდიდის მახლობლად, 2008 წლის 21 მაისს.**

აგვისტოს ომამდე ორთვენახევარი იყო დარჩენილი.

მაქსიმალური ობიექტურობის შენარჩუნების მიზნით და ჩვენი მხრიდან ყოველგვარი მიკერძოების გამოსარიცხად, წარმოგიდგენთ „ჰუმან რაითს ვოტჩის“ 2008 წლის 24 მაისის ინტერნეტ პუბლიკაციას, რომელიც, შეიძლება ითქვას, „ცხელ კვალზე“ გავრცელდა.

ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის — ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები **ივარ დალე** და **ოგე ბორჩგრევინკი** ხურჩაში 22 მაისს, დილის 11 საათზე, ჩავიდნენ, გაესაუბრნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს, ოფიციალურ პირებს, საერთაშორისო სამხედრო ექსპერტებს და შემდეგი ინფორმაცია მიიღეს:

**„2008 წლის 21 მაისს, საპარლამენტო არჩევნების დღეს, რუსმა მშვიდობისმყოფელებმა დაახლოებით 14:00 საათზე გაავრცელეს ინფორმაცია, რომ სოფელ ხურჩაში, რომელიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონის დემილიტარიზებულ ტერიტორიაზე მდებარეობს, სროლა ისმოდა. ქართული ტელევიზიების განცხადებით, ავტობუსები, რომლებითაც ქართველი ამომრჩევლები დე ფაქტო აფხაზური ტერიტორიიდან ხურჩაში ხმის მისაღებად მიყავდათ, ააფეთქეს და ცეცხლი გაუხსნეს. ტელევიზიით აჩვენეს დრამატული კადრები, როგორ იწვოდა ავტობუსები და დაპანიკებული ხალხი გარბოდა...“**

პირველი ეჭვი, პირველი კითხვები მაშინ გაჩნდა, როცა აფხაზეთიდან გადმოსული ამომრჩევლები საარჩევნო უბნებში კი არ წაიყვანეს, არამედ რატომღაც სტადიონზე გადმოსვეს, რომელიც დე ფაქტო საზღვართან ახლოს მდებარეობს. **„სტადიონზე ჟურნალისტებისა და ტელერეპორტიორების დიდი ნაწილი იყო მობილიზებული. მათ აფხაზების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან გადმოსული ქართველები უნდა გადაეღოთ. თვითმხილველები აცხადებენ, რომ სროლა ატყდა და ხალხი მიწაზე დაწვა. შემდეგ სამი თუ ოთხი ყუმბარა ესროლეს ავტობუსებს“.**

**ყუმბარები ქართველების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან იყო ნასროლი, უმოკლესი მანძილიდან.**



**— მადლობა, ზაალ, მადლობა! ამისთვის მომიყვანე?**
**— ნუ გეშინია, არ მოკვდები!**
**— მკვდარი ვარ ზაალ, მკვდარი, უკვე მომკლეს!**



საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიის სამხედრო ექსპერტ **ანდრეს ტენბორგის** ვარაუდით, ყუმბარები ისროლეს სტადიონის შორეული კუთხიდან, ანუ ჩვენი მხრიდან, ავტობუსებიდან დაახლოებით ასი მეტრის მოშორებით.

**„ყველა ადგილობრივი თვითმხილველი აცხადებს,** — ნათქვამია პუბლიკაციაში, **— რომ აფეთქება ქართული მხარიდან იყო ორგანიზებული. იმასაც აღნიშნავენ, რომ, მათდა გასაოცრად, ენგურს გაღმიდან გადმოყვანილი ამომრჩევლები საარჩევნო უბანზე კი არ წაიყვანეს, არამედ სტადიონზე, სადაც უამრავი ჟურნალისტი იმყოფებოდა. მათ არც ის იციან, ვინ იყო ამ ხალხის ავტობუსებით გადმოყვანის ორგანიზატორი.**

**საოცარია ისიც, რომ აფეთქების ადგილზე უმოკლეს დროში გაჩნდნენ ქართველი საჯარისო დანაყოფები.**

**ყუმბარები ქართველების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან იყო ნასროლი, უმოკლესი მანძილიდან.**

**საოცარია, რომ აფეთქება მოხდა წინასწარ დადგმული მედია შოუს დროს“.**

და — მწარე დასკვნა: **„აღნიშნული უბედური შემთხვევა ცინიზმის მორიგი მაგალითია“.**

ამიტომ იყო, რომ უცხოურ პრესაში გაჩნდა ხურჩის ინციდენტის აუცილებელი გამოძიების დაწყების მოთხოვნა.

**„ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი და ეუთო, კერძოდ კი, ადამიანური განზომილების დეპარტამენტი და ევროკავშირის დელეგაცია საქართველოსა და სომხეთში დაინტერესებულნი არიან, რომ ჩატარდეს საერთაშორისო გამოძიება“,** — წერდა **ჯეფრი კეი სილვერმანი** თავის სტატიაში **„ხურჩის ინციდენტი: სამთავრობო მანიპულაციები“.**

გამწარებული ხალხი აღშფოთებას არ მალავს: **„დავიღალეთ ამდენი სპექტაკლების ნახვით და მათში მონაწილეობით. ეს უკვე ტრაგიკომედიას ჰგავს. ხომ შეიძლება ბრმა ტყვიას ვემსხვერპლოთ? რა საჭიროა ეს ევაკუაცია, ვის გავექცეთ — საკუთარ პოლიციას და მთავრობას?! ჰგონიათ, ვერაფერს ვამჩნევთ, არაფერი ვიცით?! რატომ გამოიყვანეს, რატომ მოხსნეს პოსტიდან განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს ბიჭები?! რისთვის შევიდა იქ უშიშროება და პოლიცია?! რატომ იყო აქ აფეთქებამდე სასწრაფო და სახანძრო?! უკვე ვხვდებით, რომ ჟურნალისტები და მთავრობა შეთანხმებულად მოქმედებენ, ოღონდ ვერ გავიგეთ, ვინ ვის უკვეთავს!“**

ერთ-ერთ პუბლიკაციაში ასეა აღწერილი ინციდენტის დროს გადაღებული ტელეკადრები: „ქალი უკვე დაჭრილი იყო და ძირს ეგდო, ელიავა კი თავს ორმოს აფარებდა. დიალოგი მეგრულად მიმდინარეობდა. ქარდავა: **„მადლობა, ზაალ, მადლობა! ამისთვის მომიყვანე?“** ელიავა: **„ნუ გეშინია, არ მოკვდები!“** ქარდავა: **„მკვდარი ვარ ზაალ, მკვდარი, უკვე მომკლეს!“** კადრში ერთი ქალიც ჩნდება, რომელიც ტყვიის წვიმისგან თავს ქოლგით იცავს. შემდეგ მამაკაციც ჩნდება, რომელიც დაჭრილ ქალს უახლოვდება და მეგრულად მიმართავს: **„სადღა მოდიოდი, შე საბრალოვ, შე საცოდავო და უბედურო“.**

ხურჩის ინციდენტი იმ გამონაკლისს და განსაკუთრებულ შემთხვევათა შორის აღმოჩნდა, რომელთაც გაეროს უშიშროების საბჭოს ანგარიშში შეტანის პატივი ერგო. დოკუმენტი 2008 წლის 23 ივლისს გამოქვეყნდა.

აგვისტოს ომამდე ორი კვირაღა რჩებოდა...

**გაეროს გენერალური მდივნის — პან გი მუნის მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სიტუაცია საკმაოდ დაიძაბა.** ქვეტექსტში იკითხება, რომ ომისწინა სიტუაციაა. განსაკუთრებით „მძიმედ ხურჩის ინციდენტია შეფასებული“:

**„21 მაისს, საპარლამენტო არჩევნების დღეს, სოფელ ხურჩასთან, რომელიც ბუფერული ზონის სიახლოვეს მდებარეობს, ყველაზე სერიოზული ინციდენტი მოხდა. ამჯერად მასიური ორმხრივი სროლა ფეხბურთის მოედნის ირგვლივ მიმდინარეობდა, სადაც, ძირითადად, გალის რაიონის მოსახლეობა შეკრიბეს იმისთვის, რომ ავტობუსებით ზუგდიდში ხმის მისაცემად წაეყვანათ. გამოძიებისას გაირკვა, რომ მას შემდეგ, რაც თავდამსხმელებმა ცეცხლი გახსნეს, ფეხბურთის მოედანზე შეკრებილი მოსახლეობა გაიქცა, ხოლო ცარიელი ავტობუსები ყუმბარმტყორცნებიდან დაცხრილეს და ააფეთქეს. სამი ადამიანი საავადმყოფოში მიიყვანეს, ერთ-ერთი მათგანი მძიმედ იყო დაჭრილი“.**

და შემდეგ (გთხოვთ, დაკვირვებით წაიკითხოთ):

**„მისიის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ ადგილი, საიდანაც თავდამსხმელები ისროდნენ, ავტობუსებიდან დაახლოებით 100 მეტრით იყო დაშორებული და საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარეობდა... ინციდენტი ისე გადაიღეს, თითქოს იცოდნენ, რომ განვითარდებოდა“.**

ესე იგი, თავდასხმა ჩვენი მხრიდან განხორციელდა. ამაზე უფრო გასაგებად რა უნდა ეთქვათ?

* * *

**მორალი: ასე და ამრიგად, ხურჩიდან მოყოლებული ქუთაისამდე გაჭიმული ტერაქტების გზა შეკითხვებითა და ეჭვებით მოკირწყლა.**

**„მოკირწყლულ გზაზე“ კი ან ჩვენი ხელისუფლების სატრაბახო ტრასები გაგახსენდებათ, ან, ღმერთო მაპატიე, ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზა.**

**არჩევანი თქვენზეა!**

**არმაზ სანებლიძე**

# ამ ტერაქტებში ხელისუფლებაა გარეული

## ადრე მტრებს შევარდნაძის მომხრეებში ეძებდნენ, ახლა რუსეთში ეძებენ



**პაატა ზაქარეიშვილი, რესპუბლიკური პარტიის წევრი:**

— იმის მტკიცებულებები, რომ საქართველოში ბოლო დროს მომხდარ ტერაქტებს ხელისუფლება აწყობს, რა თქმა უნდა, არ მაქვს. მაგრამ, ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ბოლოს მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ამ ყველაფერში მართლაც ხელისუფლებაა გარეული. პირველ რიგში, რაც ამის თქმის საფუძველს მაძლევს, არის ის, რომ არც ერთი ტერაქტი არაა გამჭვირვალედ და დასაბუთებულად გამოძიებული. თუნდაც რამდენიმე თვის წინათ ამერიკის საელჩოსთან განხორციელებული ტერაქტი ავიღოთ. მაშინ საქართველოს ხელისუფლებამ ძალიან მკაფიოდ და ცალსახად დააბრალა ეს ყველაფერი რუსეთს. ამერიკელებს კი, ქართულად რომ ვთქვათ, ყურიც არ შეუბერტყავთ, მაშინ, როცა ამერიკელები ყოველთვის ძალიან მძაფრად აღიქვამენ მათ წინააღმდეგ განხორციელებულ ნებისმიერ ტერაქტს. **მსოფლიოში რამდენიმე სერიოზული ტერაქტი ჩატარებულა ამერიკის საელჩოებთან და ყოველთვის ძალიან კატეგორიულად გაულაშქრებია ამ ფაქტების წინააღმდეგ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კომენტარიც კი არ გააკეთეს ამერიკის საელჩოში. აშკარად ჩანდა, რომ არ დაიჯერეს.**

**მართლაც, ალოგიკურია და არადამაჯერებელი. რატომ უნდა მოუწყოს რუსეთმა საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკას ტერაქტი, როდესაც ბოლო დროს რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებში ბევრი დადებითი მოვლენა ხდება?**

სწორედ ამიტომ მეპარება ეჭვი ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ არგუმენტებსა და გამოძიების შედეგებში.

როგორც წესი, ტერაქტების შემდეგ ვიღაც ყოველთვის იღებს პასუხისმგებლობას, იმიტომ, რომ ამით უნდათ, საზოგადოებას აჩვენონ თავიანთი პოზიცია. საქართველოში კი ამ ტერაქტების უკან არასდროს არავინ დგას, არავინ აღიარებს. **ასეთი შემთხვევების შემდეგ საქართველოს ხელისუფლება იძიებს და აპატიმრებს ისეთ ადამიანებს, რომელთა ტერორისტობაც ძნელი დასაჯერებელია.**

მათ ტერაქტების ჩატარების იდეოლოგიური საფუძველი არ გააჩნია, რაც აბსურდულია თავისთავად. მთელი გამოძიება ეყრდნობა ეჭვმიტანილის ჩვენებებს, რაც დაუშვებელია. შეიძლება ეჭვმიტანილი იტყუებოდეს და სხვის დანაშაულს იღებდეს საკუთარ თავზე.

საქართველოს ციხეებში საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე მიმუშავია და ვიცი, როგორ „კერავენ“ იქ საქმეებს. თუ კრიმინალი საკუთარ თავზე აიღებს ერთდროულად რამდენიმე დანაშაულს, სამართალდამცავები რამდენიმე საქმის ერთდროულად გახსნისას მას რაღაც შეღავათებს აძლევენ. ვინაიდან ტერაქტების გამოძიება გამჭვირვალე არაა, მიჩნდება ეჭვი, რომ ეს საქმეები „შეკერილია“.

**2004 წლის იანვარში, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, არჩევნები რომ ჩატარდა, მას რამდენიმე ტერაქტი**



**უძღვოდა წინ. ერთი — „რუსთავი 2“-ის შენობაში რომ ყუმბარა შეაგდეს, მეორე — პირველი არხის შენობასთან და მესამე — „ჯეოსელის“ ოფისთან. ეს გაკეთდა იმისთვის, რომ საზოგადოების ყურადღება გადაეტანათ, რომ აი, ვიღაცებს არჩევნების ჩაშლა უნდათ და ხალხი არჩევნებზე მისულიყო. მაშინ არც ერთი ტერაქტი არ გამოძიებულა.**

**ტერაქტები ხშირად სჭირდებათ, საზოგადოებაში დაძაბული ვითარება რომ შექმნან და ყურადღება ეკონომიკური და სოციალური პრობლემებიდან პოლიტიკურ პროცესებზე გადაატანინონ.**

ადრე მტრებს შევარდნაძის მომხრეებში ეძებდნენ, ახლა რუსეთში ეძებენ. დავუშვათ, რუსეთი აკეთებს ამას. რაში უნდა სჭირდებოდეს ეს? რას აღწევს ამით? ამით ისედაც დაძაბული ურთიერთობა და ანტირუსული განწყობა იზრდება საქართველოში. დარწმუნებული ვარ, ეს საერთოდ არ აწყობს რუსეთს.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

პოზიცია

როდესაც ჩემს განათლებაზე საუბრობენ, დაფიქრდნენ... საშუალო სკოლა ფრიადზე მაქვს დამთავრებული, არაერთი ოლიმპიადა მაქვს მოგებული. რაც შეეხება ჯანდაცვის სამინისტროს, მთავარია, მინისტრმა სამინისტროს გამართული მუშაობა უზრუნველყოს.

# უდიპლომო დეპუტატს ბათუმის ბულვარში მემედ აბაშიძის ადგილი არ ეგულება

**როგორც პარლამენტის წევრი და ხელისუფლების ერთ-ერთი სახე, კობა ხაბაზი აცხადებს, ქუჩის საპროტესტო აქციების დაწყების შემთხვევაში, ხელისუფლება ოპოზიციის ქმედებებს ადეკვატურ პასუხს გასცემს და ოპოზიციას ურჩევს, კანონის ფარგლებში იმოქმედოს. „ეს არის ჩვენი თხოვნაც, რჩევაც და გაფრთხილებაც ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომლებიც აპირებენ ან მომავალში დააპირებენ აქციების ჩატარებას“, — აცხადებს კობა ხაბაზი, თუმცა იმასაც ამბობს, რომ ქვეყანაში დღეს არსებული ოპოზიციური პარტიების სახელწოდებებიც კი არ იცის.**



კობა ხაბაზი:

## ძლიერი ხელისუფლება გვყოლია, თუ რუსეთმა ბურჯანაძესა და ნოღაიდელზე უკეთესი დასაყრდენი ვერ იპოვა საქართველოში

**— ოპოზიცია საპროტესტო გამოსვლებისთვის ემზადება. რას აპირებს და როგორი იქნება ხელისუფლების რეაქცია?**

— ამ ყველაფრისადმი ჩვენ ცალსახა დამოკიდებულება გვაქვს. მთავარია, კანონი არ დაირღვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვალდებული ვიქნებით, კანონი დავიცვათ, ამიტომ ოპოზიციას ვურჩევ, კეთილი ინებოს და კანონის ფარგლებში იმოქმედოს, თუ არადა, ხელისუფლების პასუხიც შესაბამისი იქნება.

**— „ხელისუფლების პასუხში“ რას გულისხმობთ?**

— თუ ოპოზიციის მხრიდან გამოიკვეთება ძალადობა, ასეთ შემთხვევაში, ხელისუფლებაც ადეკვატურ პასუხს გასცემს. ეს არის ჩვენი თხოვნაც, რჩევაც და გაფრთხილებაც.

ოპოზიცია იმდენად „ჭრელია“, მიჭირს კიდეც მასზე, როგორც ერთიან ძალაზე, საუბარი. რაც შეეხება კონკრეტულად იმ ოპოზიციონერებს, რომლებიც აცხადებენ, რომ უახლოეს მომავალში აქციებს გამართავენ, მეეჭვება მათ მიმართ გაჭრას ჩემმა რჩევამ და მიხვდნენ, რომ საპროტესტო აქციების დაწყება საქართველოსთვის ზიანის მომტანია. მათთვის არავითარ შეგონებას აზრი არ აქვს, ვინაიდან, ჩემი ღრმა რწმენით, ისინი მხოლოდ რუსეთის დაკვეთას ასრულებენ. კარგად მახსოვს, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობამდე ცოტა ხნით ადრე, ე.წ. პოლიტიკური ლიდერების მოსკოვური ვოიაჟები. თუ რა მოჰყვა ამას, უკვე ვნახეთ.

ამ ოპოზიციონერების, განსაკუთრებით ნინო ბურჯანაძისა და ზურაბ ნოღაიდელის, მოქმედების სცენარიც ძალიან ჰგავს მაშინდელ ოპოზიციონერთა ქმედებებს, მოსკოვში ვიზიტებდან დაწყებული — მათი განცხადებებით დამთავრებული, ეს ყველაფერი ნაცნობია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დღეს საქართველო გაცილებით ძლიერია და უფრო ძლიერი ხელისუფლება ჰყავს.

**— რაში გამოიხატება ხელისუფლების სიძლიერე?**

**— ხელისუფლების სიძლიერე გამოიხატება იმაში, რომ ქვეყანაში ფუნქციონირებს სამინისტროები, პარლამენტი, რეგიონული მმართველობები და ყველა რგოლი თავის ადგილზეა. დამტკიცებული ჭეშმარიტებაა: რევოლუცია ხდება მაშინ, როდესაც ხელისუფლებაში იწყება რღვევა.**

**— თქვენი გუნდი ურღვევია? ბევრი თქვენი თანაგუნდელი დღეს ოპოზიციაშია და, როგორც კულუარებში საუბრობენ, მალე ოპოზიციაში, შესაძლოა, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებიც ვიხილოთ...**

**— ისინი მას შემდეგ აღმოჩნდნენ ოპოზიციაში, რაც თანამდებობებიდან გაათავისუფლეს; თუნდაც ბურჯანაძე და ნოღაიდელი. ყველამ კარგად იცის, რომ ნინო ბურჯანაძე იმ ოცნებით იღვიძებდა და იძინებდა, რომ საქართველოს პრეზიდენტი ყოფილიყო, და დღესაც ასეა. არ ვიცი, ამ ოცნების გამოა თუ სხვა მიზეზით, ის რუსეთთან და პუტინთან პირდაპირ თანამშრომლობაზეც კი მიდის.**

**— მაგრამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად რუსეთთან დიალოგის დაწყება და გარკვეული ურთიერთობების მოგვარება ხომ აუცილებელია?**

— როდესაც შენი ქვეყნის ტერიტორია ოკუპირებულია, სხვა თემაზე, გარდა დეოკუპაციისა, მათთან საუბარი მხოლოდ მსოფლიოს თვალში რუსეთის იმიჯის გალამაზების მცდელობაა.

მიუხედავად იმისა, რომ 1987 წლიდან აქტიურად ვარ ჩართული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, დღეს ლამის ყოველი მეორე პარტიას ქმნის. შეიძლება არც დამიჯეროთ, მაგრამ პარტიების სახელწოდებებიც კი არ ვიცი, თუნდაც ბურჯანაძის და ნოღაიდელის პარტიებისა.

მაგალითად, ეროსი კიწმარიშვილი სადაც იქნება, უარყოფითი დამოკიდებულება მექნება იმ ორგანიზაციის მიმართ.

**— თუმცა იმავე ეროსი კიწმარიშვილს დიდი წვლილი მიუძღვის ხელისუფლების გამარჯვებაში. მაშინ მისაღები ფიგურა იყო თქვენთვის?**

— მე ყოველთვის მქონდა ჩემი დამოკიდებულება იმ ადამიანების მიმართ, ვისზეც ვფიქრობდი, რომ რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდნენ.

**— მაშინ რატომ იყავით ჩუმად?**

— იმიტომ, რომ ისინი მაშინ ასე ღიად არ აფიქსირებდნენ თავიანთ დამოკიდებულებას რუსეთთან.

ამ ადამიანების ცხოვრება საქართველოში უნდა გახდეს გაუსაძლისი. **ბურჯანაძეს ქუჩაშიც კი არავინ არ უნდა მიესალმოს, არამც თუ მის აქციებზე მივიდეს. მე ვიქნები პირველი, ვინც ასე მოიქცევა.**

**— ხელისუფლება ამდენს რომ საუბრობს აღნიშნული ოპოზიციონერების რუსეთთან კავშირზე, ხომ არ ეშინია მათი?**

— ჩვენ არ გვეშინია. მაგრამ კარგად ყოფილა რუსეთის საქმე, თუ ბურჯანაძისა და ნოღაიდელის იმედზეა დარჩენილი. მაშინ მართლა ძლიერი ხელისუფლება გვყოლია, თუ რუსეთმა ბურჯანაძესა და ნოღაიდელზე მეტი დასაყრდენი ვერ იპოვა საქართველოში.

**— ბოლო რამდენიმე კვირაა, ქართველი თუ უცხოელი უფლებადამცველები ციხეებში პატიმრების წამების ფაქტებს აპროტესტებენ.**

— ამ მასალებს არ ვიცნობ და იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანის უფლებები ჩემთვის ყველაზე მაღლა დგას, ეს კატეგორიულად მიუღებელია. თუ ციხეებში წამების ფაქტები დადასტურდა, ნებისმიერი სახელმწიფო მოხელე უნდა დაისაჯოს. მაგრამ მე მჯერა, რომ საქართველოს ციხეებში ასეთი ფაქტები არ ხდება.

**— ანუ თქვენც ეთანხმებით, რომ საქართველო „დემოკრატიის შუქურაა“?**

— შუქურა არის ნათელი წერტილი. მერწმუნეთ, რომ თავისი რეფორმებითა და გარდაქმნებით რეგიონში საქართველო ნამდვილად არის შუქურა, მაგრამ, მე რომ გითხრათ, რომ საქართველოში ყველაფერი კარგადაა-თქო, რა თქმა უნდა, ტყუილი იქნება. არც ერთ ქვეყანაში არაა აბსოლუტურად კარგად ყველაფერი. აქედან გამომდინარე, საქართველოში იდეალური დემოკრატია, რა თქმა უნდა, არ არის.

**— თქვენ ხართ პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციისა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი. რა კეთდება ამ მიმართულებით? კულუარებში უკვე საუბრობენ, რომ საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო საზოგადოების თვალში, დიდი ხანია, იმიჯი შეელახა.**

**— სწორედ ასეთი ხმების გავრცელებაში და საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ აგიტაცია-პროპაგანდაში რუსეთი დიდ თანხას ხარჯავს, ჩვენ კი ნებით თუ უნებლიეთ იმავეს ვიმეორებთ ხოლმე.**

— თუმცა საქართველოს ხელისუფლებას საკუთარი თავის რეკლამისთვის უამრავი თანხის ხარჯვაშიაც ადანაშაულებენ.

**— რა თქმა უნდა, ქვეყანამ უნდა დახარჯოს ფული საკუთარი თავის რეკლამაში. მეცინება, როცა ამბობენ, შემოდგომაზე ზღვაში იბანავა სააკაშვილმაო, ან კონცერტებს მართავენო. ეს ხომ ქვეყნის რეკლამაა?**

**— იქნებ, სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, ზურა ვაზაგაშვილისა და სხვა უდანაშაულოდ დახოცილი ახალგაზრდების მკვლელობებმა უფრო შეულახა საქართველოს იმიჯი, ვიდრე რუსეთმა?**

— სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები ყველა ქვეყანაში ხდება. ამერიკის შეერთებულ შტატებშიც იღუპებიან სამართალდამცველების შეცდომების გამო ადამიანები. მთავარია, პასუხი აგონ დამნაშავეებმა და, მე როგორც ვიცი, ყველამ აგო პასუხი. რა თქმა უნდა, ძალიან სამწუხაროა, რაც მოხდა, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ქვეყნის დანგრევისა და წარსულში დაბრუნების საბაბი.

**— მაგრამ ამერიკულმა გამოცემამ, Foreign Policy-მა გამოაქვეყნა არშემდგარი სახელმწიფოების რეიტინგი, სადაც საქართველო 37-ე ადგილზეა.**

— არ ვიცნობ ამ გამოცემას, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, რუსეთი დიდ თანხას ხარჯავს საქართველოს იმიჯის შესალახად.

**— მაგრამ ამ რეიტინგში რუსეთიც მოხვდა.**

— თუნდაც მოხვდეს, მთავარია, საქართველოში სიტუაცია უარესად დახატონ. ჩემთვის რომელიმე გაზეთის მონაცემები არაა იმდენად მნიშვნელოვანი, რამდენადაც მსოფლიო ბანკის ან სავალუტო ფონდის მონაცემები.

**— თქვენ წარმოშობით აჭარიდან ხართ, ბათუმში მემედ აბაშიძის ძეგლის გადატანა ან სულაც მედეას ძეგლის დადგმა რისთვის დასჭირდა ხელისუფლებას?**

**— მართალია, ისტორიკოსები კამათობენ ამ საკითხზე, მაგრამ ტურისტებისთვის მედეა ცნობილია და ის მსოფლიო მნიშვნელობისაა. მემედ აბაშიძეს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ბულვარში ნამდვილად არ იყო მისი ადგილი.**

**— თქვენ არ გაქვთ უმაღლესი განათლება, მაგრამ აჭარაში ჯანდაცვის მინისტრი იყავით, ახლა პარლამენტარი ხართ. როგორ ფიქრობთ, რა დამსახურებისთვის დაგაწინაურეს?**

— როდესაც ჩემს განათლებაზე საუბრობენ, დაფიქრდნენ. იქნებ, ცოტა უფრო გულწრფელი დამოკიდებულება მქონდა განათლების მიმართ და იმიტომ არ მაქვს უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი? საშუალო სკოლა ფრიადზე მაქვს დამთავრებული, არაერთი ოლიმპიადა მაქვს მოგებული. ინსტიტუტი არ დამიმთავრებია, ვინაიდან აჭარაში წავედი, რათა იქ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აჭარის ორგანიზაცია ჩამომეყალიბებინა.

რაც შეეხება ჯანდაცვის სამინისტროს, ეს არის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და რა გამოდის, ვინ უნდა იყოს მინისტრი? შრომის სპეციალისტი, სოციალური აგენტი თუ ექიმი? მთავარია, მინისტრმა სამინისტროს გამართული მუშაობა უზრუნველყოს.

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

**ბურჯანაძეს ქუჩაშიც კი არავინ არ უნდა მიესალმოს, არამც თუ მის აქციებზე მივიდეს. მე ვიქნები პირველი, ვინც ასე მოიქცევა**

**ყვარლისკენ მიმავალ გზაზე, უზარმაზარ ტერიტორიაზე არის ნარგავები, ნათესები, მათ შორის ზეთისხილიც, ტყის მასივი, რომელიც აკრავს ამ ტერიტორიას და ფეშენებელური რანჩო, რომელშიც საკუთარი ბიზნესსაქმიანობით გადატვირთული მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი არჩილ გეგენავა ისვენებს.**

ნაც-ძარცვა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ცხვარისტყაოსნები, ანუ მილიონერი მაჟორიტარები საქართველოში

**„საქართველო და მსოფლიომ" გადახედა „ნაცმოძრაობის" ფავორიტ მილიონერ მაჟორიტართა ქონებას, რომლებიც ლეიბორისტებმა მოსახლეობის გამტყავებლებად მოიხსენიეს. ერთ-ერთ მათგანს — ცეზარ ჩოჩელს კი, როგორც ცხვრის ქურქში გახვეულ მგელს, სრასასახლის ჭიშკარზე გატყავებული ცხვრის ჩონჩხი ჩამოუკიდეს. რამდენად შეეფერება მათ ეს ეპითეტი, მკითხველმა თავად განსაჯოს.**





**ცეზარ ჩოჩელს, როგორც ცხვრის ქურქში გახვეულ მგელს, სრასასახლის ჭიშკარზე გატყავებული ცხვრის ჩონჩხი ჩამოუკიდეს**

**ხობის მაჟორიტარ დეპუტატს, გოდერძი ბუკიას** მოსკოვში მილიონდოლარიანი სახლი აქვს; თბილისში, მუხაძის ქუჩაზე — 260 ათასლარიანი სახლი, ხოლო ფალიაშვილის ქუჩაზე — 500 ათასლარიანი სახლი. წყნეთში კი მისი სახლი 350 ათას დოლარადაა შეფასებული. დეპუტატს ანგარიშები აქვს გახსნილი ლონდონურ ბანკებში და 35 ათასდოლარიანი ავტომანქანა „აუდით" გადაადგილდება. ხობის მაჟორიტარ დეპუტატს, „კონსერვატორებმა" ცოტა ხნის წინათ ჩანაწერი გამოუქვეყნეს, სადაც ის ზაზა გოროზიასთან ერთად გამართულ შეხვედრაზე ღიად საუბრობდა, რომ **„სულით ბიზნესმენია და წინა მოწვევის პარლამენტში საქმიანობის დროსაც კი არასოდეს მიუტოვებია ბიზნესი".** ვნახოთ, რას ფლობს „სულით ბიზნესმენი" დეპუტატი. **შპს „მგ კომპანიაში" ის და მისი მეუღლე 50-50 პროცენტიან წილებს ფლობენ. 1996 წლიდან არის სს „ეგრისის" აქციონერი.** იმასაც ამბობენ, რომ დეპუტატმა ახლახან გათხოვილ ქალიშვილს, ნათია ბუკიას, მზითევში ევროპული ბანკის დეპოზიტზე არსებული ხუთნიშნა თანხა და 350 ათასიანი სახლი გააყოლა.

**წალენჯიხის მაჟორიტარი დეპუტატი როლანდ ფიფია** შპს „არგონათსის" ერთ-ერთი დამფუძნებელია, მის სახელს უკავშირებენ წალენჯიხაში თხილის ბიზნესს. დეპუტატს აქვს ბინა თბილისში, ყაზბეგის გამზირზე, რომელიც 100 ათასი დოლარი ღირს, 35 ათასდოლარიანი ავტომანქანა „მიცუბიში პაჯერო", სახლი ზუგდიდში...

**დევი ოვაშვილს, ახალგორის მაჟორიტარს,** ადგილობრივი ბიზნესები რომ ეხსნა, საკუთარ სახლში ცხინვალის პოლიციის უფროსი იგორ ხუბულოვი შეუსახლებია. სამაგიეროდ, ხელშეუხებლად გამოუზიდავს საკუთარი ქონება ოკუპირებული ახალგორიდან. მას აქვს სახლი ბახტრიონის ქ. №7-ში (250 ათასი ლარი), მიწის ნაკვეთები: ქსოვრისში (100 ათასი ლარი), დაბა ურეკში (60 ათასი ლარი), ასევე არის შპს „ინტერპლასტის" პარტნიორი და შპს „საშენ მასალათა კომბინატის", სს „ლომისის", შპს „ახალგორგაზის", შპს „ქსნის ხეობის" პარტნიორი. **დეპუტატი ხელგაშლილად იძლევა სესხებსაც: 60 ათასი დოლარი, 260 ათას 614 ლარი, 200 ათას 085 ლარი, 1 მილიონ 445 ათას 650 დოლარი, 1 მილიონ 500 ათასი დოლარი, ერთი მილიონი ზეპირი შეთანხმებითაა გაცემული 2008 წლის 31 მარტს.**

**ლენტეხის მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი ლიპარტელიანი** წყნეთში ფლობს 150 ათასდოლარიან სახლს, ასევე 500 ათასლარიან საცხოვრებელ სახლს ორთაჭალაში, 160 ათასლარიან ავტომანქანა „მერსედესს". მისი მეუღლე 38 ათასლარიანი მანქანით გადაადგილდება. ცნობილია, რომ **ლენტეხის მაჟორიტარს სერიოზული ბიზნესები აქვს, იგი „არტკომპანის", შპს „გამაპლუსის", სს „ელექტროავტომატის" დამფუძნებელი გახლავთ.**

უფულობას არც „ნაციონალი" **ზესტაფონის მაჟორიტარი კახა გეწაძე** უჩივის: მარაბდის ქ. №25-ში მისი საცხოვრებელი ბინა 200 ათას ლარადაა შეფასებული, ხოლო მიწის ნაკვეთი კრწანისის ქუჩაზე, ორთაჭალაში, — 840 ათას დოლარად. თავად 50 ათასდოლარიანი ავტომანქანის საჭეს უზის, მეუღლე კი — 30 ათასიანს.

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პარტიული სიით არჩეულ პარლამენტის წევრს ზაზა გამცემლიძესაც** რამდენიმე ბინა აქვს: 200 ათასლარიანი ფალიაშვილის ქ. №2-ში, 100 ათასლარიანი ვაჟა-ფშაველას გამზირზე, ნახევარმილიონიანი ზუბალაშვილის ქუჩაზე, ასევე, 500 ათასლარიანი აგარაკი წყნეთში. **საინტერესოა, საიდან მოახერხა თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორმა ამხელა ქონების დაგროვება, როცა მისი წლიური ხელფასი 9 ათას 339 ლარი იყო?**



**დავით ბეჟუაშვილს «ტაო პრივატ ბანკში» დეპოზიტზე უდევს 2 მილიონ 654 ათას 768 ევრო**

**თბილისის კრწანისის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატ დილარ ხაბულიანს** 500 ათასლარიანი ბინა აქვს ჭავჭავაძის ქუჩაზე, მეორე ბინა — ბერძნის ქუჩაზე, 100 ათას ლარად შეფასებული, 30 ათასიანი „ლექსუსის" ჯიპით დადის და წილებს ფლობს საფეხბურთო კლუბებში. მას ადანაშაულებდნენ მინერალური წყლებისა და დიდ დიღომში, „გუდვილთან" არსებული მიწების წართმევის მცდელობაშიც. ბანკ „ქართუში" მისი მიმდინარე ანგარიში 200 ათასი დოლარია, ხოლო მიწის ნაკვეთი ყაზბეგის გამზირზე 120 ათას ლარადაა შეფასებული.

**ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი ტალახაძე** ძმებ გრიგალაშვილებთან დაახლოებულ დეპუტატად მიიჩნევა. მისი ბინა ბორჯომში 80 ათასი ლარი ღირს; მეორე ბინა კი მესხეთის ქუჩაზე, მეუღლის სახელზე გაფორმებული, 42 ათას 500 ლარი ღირს. თბილისში ბინა ახალშენის ქუჩაზე აქვს და 42 ათას ლარად არის შეფასებული. **ფლობს სასტუმროებს ბორჯომში (225 ათასი ლარი), გახლავთ შპს „ჯორჯიან რიალ ისტეითის", შპს „ბორჯომი პროდაქტის", შპს „ლიდერის" და შპს „ტერმინალის" პარტნიორი. სასტუმროს მშენებლობა „ლიკანი პალასის" ბაზაზე დაბა ბაკურიანში 594 ათასი ლარი დაუჯდა.** როგორც ამბობენ, ტალახაძე ფლობს ტერმინალს ჩითახევში.

**პარტიული სიით გადეპუტატებულ აკაკი მინაშვილს** აქვს სახლი ზანდუკელის ქ. №9-ში, შეფასებულია 350 ათას ლარად; აგარაკი — მუხათწყაროში, შეფასებულია 50 ათას ლარად; სახლი — წყნეთში, შეფასებულია 300 ათას ლარად; სახლი — ვანის რაიონში და სავაჭრო ფართები სავაჭრო ცენტრ „ჩემპიონში"; 25-ათასიანი ავტომანქანა „ჰიუნდაი ტუქსონი".

**თემურ კოხოძე** ბაღდათის მაჟორიტარი დეპუტატია. იგი ფლობს საცხოვრებელ სახლს თბილისში, ვაჟა-ფშაველას №51-ში, რომელიც 175 ათას 800 ლარადაა შეფასებული; მიწის ნაკვეთს ბაგების სატყეო უბანში (435 ათასი ლარი), მიწის ნაკვეთს მარნეულის რაიონის სოფელ შულავერში და **აქვს წერილობითი ხელშეკრულებით გაცემული 7-მილიონიანი სესხი 2011 წლამდე. ასევე არის შპს „ჯი-ეი-პის" და „თეგეტა მოტორსის" დამფუძნებელი, რომელიც ინტენსიურად იგებს ტენდერებს თავდაცვის სამინისტროსა და სხვა უწყებებში.**

**პარტიული სიით გადეპუტატებულ ლაშა მინდელს** მშენებარე ბინა აქვს თბილისში, მცხეთის ქუჩაზე, შატბერაშვილის ქუჩაზე — 250 ათასიანი სახლი. არის აქციონერი შპს „დელტა კონტაქტისა" და სს „საჭის", რუსთავის სამარშრუტო ხაზების ერთ-ერთ მეწილედ მიიჩნევა.

**ნუგზარ აბულაშვილი,** სიღნაღის მაჟორიტარი დეპუტატი, როგორც რესპუბლიკური პარტიის ადგილობრივი წევრები აცხადებდნენ, ძირითადად, მიწასა და ტყეზე კონტროლს ფლობს. ახლახან მამამისი სიღნაღის სატყეო მეურნეობაშიც დაუსაქმებია.

**პარტიული სიით მოხვდა პარლამენტში ხობელი როლანდ კემულარიაც.** იგი შპს „ნიურსერვისს", სს „ჩელას" და სუნელების ბიზნესს ფლობს, ასევე დაფნის ქარხანა აქვს ხობის რაიონში.

**თეთრიწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი დავით ბეჟუაშვილი** ფლობს 70 კვ.მ ფართის ბინას ქ. კიევში, ასევე 180 კვ.მ ბინას ქ. მოსკოვში, რომლის ღირებულებასაც დეკლარაციაში არ უთითებს. მის მეუღლეს, თეა ჭეიშვილს აქვს 1000 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთი საგურამოში. ბეჟუაშვილს, დეკლარაციის მიხედვით, საქართველოში მის საკუთრებაში არსებული სახლი არ გააჩნია. დეკლარაციაში მეუღლის კუთვნილ მსუბუქ ავტომანქანას — „Lend Rover 2004"-ს უთითებს. პარლამენტარის მიმდინარე ანგარიშები ასე გამოიყურება: „აბნ-ამრო ბანკში" — 1000 ევრო, „ბანკ ოფ.საიპრუსში" — 2000 ევრო, „ბარკლის ბანკში" — 2000 დოლარი და 2000 გირვანქა სტერლინგი, „ამს.ტრეიდ ბანკში" — 5000 ევრო, „ვი თი ბი" ბანკში სახელფასო ანგარიშზე 2530 ლარი ერიცხება, „ტაო პრივატ ბანკში" დეპოზიტზე უდევს 2 მილიონ 654 ათას 768 ევრო.

**მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი არჩილ გეგენავა** გახლავთ „მ გრუპის" მფლობელი, მას ტბები და ტყეებიც კი შეუსყიდია ყვარელში. „ახალი მემარჯვენეების" წევრი მანანა ნაჭყებია თავად იმყოფებოდა იმ ტერიტორიაზე, რომელიც გეგენავას კომპანიამ შეიძინა, და გეგენავას კუთვნილი რანჩოც დაათვალიერა, რომელიც ტყის მასივითაა გარშემორტყმული. ყვარლისკენ მიმავალ გზაზე, უზარმაზარ ტერიტორიაზე არის ნარგავები, ნათესები, მათ შორის ზეთისხილიც, ტყის მასივი, რომელიც აკრავს ამ ტერიტორიას და ფეშენებელური რანჩო, რომელშიც საკუთარი ბიზნესსაქმიანობით გადატვირთული დეპუტატი ისვენებს.

**სოფო გელაშვილი**



**გოდერძი ბუკია «სულით ბიზნესმენია» — შპს «მგ კომპანიაში» ის და მისი მეუღლე 50-50 პროცენტიან წილებს ფლობენ. 1996 წლიდან არის სს «ეგრისის» აქციონერი**

საქართველო და მსოფლიო
ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**ნაპოლეონ ქარქაშაძე:**
**მოსკოვში, საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის — ნოდარ მექმარიაშვილის კაბინეტში გავარკვიეთ, რომ ჩვენ — ოთხმა კაცმა უნდა შევძლოთ სსრ კავშირის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის დარწმუნება, რომ გაგებით მოეკიდონ საქართველოს დამოუკიდებლობას და აღიარონ იგი... გაუგონარი ავანტიურა და ფანტასტიკაა, ყოველ შემთხვევაში, ასეთი იყო ჩემი პირველი რეაქცია.**

# 1991 წლის 7 აპრილს საქართველოდან მიხეილ გორბაჩოვს სპეციალური წერილი ჩაუტანეს

## რა უთხრა სსრკ შს მინისტრმა პუგომ გამსახურდიას წარგზავნილებს

**მკითხველს, მინდა, მოვუთხრო იმ საინტერესო შეხვედრების თაობაზე, რომელთა მონაწილეც, ჩემდა უნებურად, ვიყავი და რომლებმაც მნიშვნელოვნად განაპირობა 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების უსაფრთხოება.**

6 აპრილს, საღამოს, დამირეკა მურმან ომანიძემ, რომელიც ახალ მთავრობაში ტრანსპორტის მინისტრის პირველ მოადგილედ მუშაობდა და მითხრა, რომ დილით, მასთან ერთად ვაზიანის სამხედრო აეროდრომიდან სპეცრეისით უნდა გავმგზავრებულიყავი მოსკოვში „საქართველოს მთავრობის საგანგებო მისიის შესასრულებლად“. მთხოვა, მანქანით გამევლო ოთარ ზუხბაიასთან, რომელიც ჩვენთან ერთად უნდა წამოსულიყო.

ვუპასუხე, რომ დილით ისედაც მივფრინავდი მოსკოვში, საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში მოხსენების წასაკითხად, მოკლედ მომიჭრა: „აკადემია ამჯერად დაივიწყე“ და ყურმილი დამიკიდა.

დილით, თვითმფრინავში რომ ავედით, მურმანმა მოგვაწოდა სამთავრობო გრიფიანი ფურცელი, რომელშიც ეწერა: „მურმან მელიტონის ძე ომანიძე არის საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი. თანმხლებ პირებთან ერთად, იგი უფლებამოსილია, აწარმოოს მოლაპარაკებები სსრ კავშირის უმაღლესი რანგის პოლიტიკური და სამთავრობო თანამდებობის პირებთან...“ და ა.შ.

რუსულად დაწერილი წერილის ადრესატი სსრ კავშირის პრეზიდენტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მიხეილ გორბაჩოვი იყო.

— მურმან, რას ნიშნავს ეს?! — გაკვირვებულებმა ვიკითხეთ.

— მე კიდევ მაქვს ბატონი ზვიადის პირადი წერილი გორბაჩოვისადმი. ჩვენი მისია კი უკავშირდება საქართველოში 9 აპრილს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ასე რომ, ბრძოლა მოგვიწევს, დანარჩენზე მოსკოვში ვილაპარაკოთ, — თქვა მან და პილოტების კაბინაში შევიდა.

ყველაფერი ნათელი იყო, გარდა იმისა, თუ რა ნიშნით შეგვარჩიეს ჩვენ: აგრარული უნივერსიტეტის რექტორი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე ოთარ ზუხბაია, რომელიც იმხანად სახალხო დეპუტატი იყო.

ეს ის პერიოდია, როდესაც ქვეყანაში ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობაა, მძლავრობს უშიშროება, ძალოვანი სტრუქტურები, არმია... და ჩვენ — სამი კაცი, პატარა საქართველოდან უნდა შევერკინოთ მათ?! წარმოუდგენელია!

მოსკოვში, საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის — ნოდარ მეძმარიაშვილის კაბინეტში გავარკვიეთ, რომ ჩვენ — ოთხმა კაცმა უნდა შევძლოთ სსრ კავშირის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის დარწმუნება, რომ გაგებით მოეკიდონ საქართველოს დამოუკიდებლობას და აღიარონ იგი... გაუგონარი ავანტიურა და ფანტასტიკაა, ყოველ შემთხვევაში, ასეთი იყო ჩემი პირველი რეაქცია.

* * *

შევთანხმდით, რომ ჩვენი საუბარი უნდა ყოფილიყო პრინციპული, მაგრამ არა — გამაღიზიანებელი, ძირითადი აქცენტი, საქართველოს დამოუკიდებლობაზე კეთდებოდა. პარალელურად უნდა შევხებოდით, რეგულარული საჯარისო ნაწილების სამხრეთ ოსეთში ყოფნის საკითხს და მოგვეთხოვა მათი იქიდან გაყვანა.

ნოდარ მეძმარიაშვილის რჩევით, პირველი ვიზიტი შედგა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სადაც 7 აპრილის დღის 3 საათზე შევხვდით გორბაჩოვის თანაშემწეს — გიორგი შახნაზაროვს, რომელიც თბილისში დაბადებული სომეხი აღმოჩნდა. იგი სკკპ ისტორიის სპეციალისტი იყო და საკავშირო აკადემიაში იდეოლოგიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

შახნაზაროვმა ყურადღებით წაიკითხა ზვიად გამსახურდიას წერილები, რაღაცები ბლოკნოტში ჩაინიშნა და გვითხრა, რომ ჩვენი ვიზიტი მისთვის მოულოდნელია, კარგი იქნებოდა, წინასწარ გვცოდნოდა ამის შესახებო.

— ქართული მხარე შევეცადეთ ამხანაგ გორბაჩოვთან დაკავშირებას, მაგრამ ვერ შევძელით, საკითხი კი ძალიან სასწრაფოა, — უპასუხა ომანიძემ.

— ასეთი საკითხების გადაწყვეტა სხვა რეჟიმში ხდება, — ხმადაბლა თქვა შახნაზაროვმა, ბოდიში მოიხადა და კაბინეტიდან გავიდა.

— რამდენიმე წუთში სამთავრობო სტრუქტურებს უკვე ექნებათ ინფორმაცია ჩვენი ვიზიტის შესახებ, — შენიშნა მეძმარიაშვილმა.

კაბინეტში დაბრუნებულმა შახნაზაროვმა მაგიდიდან ცარიელი ფურცელი აიღო და იკითხა:

— მითხარით, ვისთან გინდათ შეხვედრა?

— უპირველეს ყოვლისა, გენერალურ მდივანთან და ქვეყნის პრეზიდენტთან, ჩვენ მას პირადად უნდა გადავცეთ ბატონ ზვიად გამსახურდიას წერილები, — უპასუხა ომანიძემ.

— ეს შეუძლებელია, მიხაილ სერგეევიჩი მოსკოვში არ იმყოფება, წერილებს მე დავიტოვებ, იმედია, მათი ქსეროასლები გექნებათ.

— კი, რასაკვირველია, — იყო პასუხი.

— კიდევ ვისთან გსურთ შეხვედრა?

— შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრებთან, სახტელერადიოს თავმჯდომარესთან და, რასაკვირველია, მიხეილ გორბაჩოვთან, ეს ჩვენი აუცილებელი მოთხოვნაა.

— ამხანაგი გორბაჩოვი სამსახურში არ დაბრუნდება, იგი იაპონიაში ვიზიტისთვის ემზადება. მე საღამოს შევხვდები მას და გადავცემ თქვენს წერილებს და თხოვნას შეხვედრის შესახებ. რაც შეეხება სხვა შეხვედრებს, თქვენ ამის შესახებ ნახევარ საათში შეგატყობინებენ, — თქვა შახნაზაროვმა, წამოდგა და ზრდილობიანი ღიმილით გაგვიძღვა კარებისკენ, კაბინეტის შუაგულში შეყოვნდა:

— მინდა არაოფიციალურად გაცნობოთ, რომ მზადდება ძალიან საინტერესო ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომელშიც მაქსიმალურად იქნება დაცული მოკავშირე რესპუბლიკების ინტერესები და სახელმწიფოებრიობა. რესპუბლიკებს უფლება ექნებათ თავიანთი ელჩები ყავდეთ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, არავინ მათ საშინაო საკითხებში არ ჩაერევა, და ბევრი სხვა სიახლე... გულდასაწყვეტია, რომ საქართველო კომისიის მუშაობაში მონაწილეობას არ იღებს...

— ჩვენ გვაქვს კონკრეტული ინტერესები, სრული დამოუკიდებლობა. ცხადია, მჭიდრო ურთიერთობა გვექნება ყველა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკასთან და, პირველ რიგში, რუსეთთან, — ვუპასუხეთ ჩვენ.

შახნაზაროვმა გაიღიმა და კარებამდე მიგვაცილა.

* * *

იმავე საღამოს, 6 საათზე, ჩვენ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროში ვიყავით და მოლაპარაკებას ვაწარმოებდით მინისტრ ბორის პუგოსთან და სამინისტროს სხვა მაღალჩინოსნებთან. მე და ზუხბაიამ ერთ-ერთ ფორმიან გენერალში შინაგანი ჯარების სარდალი დუბანიუკი შევიცანით, რომელმაც 1989 წლის მაისში სოხუმში სპეცრაზმი ჩამოიყვანა.

— მე ვიცნობ ბატონ გამსახურდიას წერილების შინაარსს, იქ ბევრი პრობლემური საკითხია. რომლით დავიწყოთ? — იკითხა პუგომ.

— უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ ზეგ, ანუ 9 აპრილს საქართველოს ხელისუფლება, ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების თანახმად, გამოაცხადებს სრულ დამოუკიდებლობას. ამის უფლებას გვაძლევს ქვეყანაში მოქმედი კონსტიტუცია და, იმედია, ცენტრალური მთავრობა გაგებით მოეკიდება ჩვენს გადაწყვეტილებას. აქედან გამომდინარე, უნდა გკითხოთ, რა დირექტივები აქვს მიცემული საქართველოში, კერძოდ, სამხრეთ ოსეთში დისლოცირებულ შინაგან ჯარს და ხომ არ დაიწყებს იგი ჩვენს საწინააღმდეგო მოქმედებებს? — იკითხა ომანიძემ.

პუგომ მოკლე პაუზის შემდეგ გვითხრა:

— 9 აპრილს საქართველოს ხელისუფლება იღებს მნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებას. მე დღეს თქვენთვის არ მაქვს პასუხი, ვინაიდან ჩვენი მოქმედება განისაზღვრება ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელის მიერ მოცემული დავალების შესაბამისად. ამჯერად მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ ასეთი დავალება ჯერ არ მიგვიღია.

ცხადია, ჩვენც ვიცოდით, რომ იგი მხოლოდ შემსრულებელია, რომელსაც შეუძლია მხოლოდ ლოკალური ხასიათის გადაწყვეტილებების მიღება...

— და მაინც, თქვენ, როგორც ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრს, საქმის კურსში გაყენებთ...

— გასაგებია. ამ საუბრის შინაარს გავაცნობ ქვეყნის პრეზიდენტს, — გვიპასუხა პუგომ. მერე მაგიდაზე დადებული ფურცელი აიღო, რაღაც წითელი ფანქრით გახაზა და თქვა:

— აქ ისეთი საკითხებიცაა, რომლებიც ჩვენ გვეხება, სჯობს, ამ საკითხებზე ვისაუბროთ.

ომანიძემ ფეხი წამკრა: — შენ დაიწყეო.

— ბატონო მინისტრო, საქართველოში რთული პოლიტიკური ვითარებაა, ასეთ სიტუაციაში მიზანშეწონილია თუ არა ოსეთში შინაგანი ჯარების ყოფნა? თუ ასე მიგაჩნიათ, მაშინ, იქნებ, ▶

ბორის პუგო



## ბორის პუგო: მე ვიცნობ ბატონ გამსახურდიას წერილების შინაარსს, იქ ბევრი პრობლემური საკითხია

---

## გერმანია ლიბიის ოპერაციის შეწყვეტას ითხოვს

**გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გიდო ვესტერველემ განაცხადა, რომ ლიბიის კონფლიქტის მოგვარება სამხედრო ოპერაციის გზით შეუძლებელია და მხარეებს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდა.** „აქ ყველაფერი მხოლოდ პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული და ჩვენ ვალდებული ვართ, პროცესი ამ მიმართულებით წავიყვანოთ. ჩვენ ცეცხლის შეწყვეტით უნდა დავიწყოთ, რაც კადაფიმ შერიგების პროცესის დაწყებისთვის უნდა გამოიყენოს“, — განაცხადა მან.



## ლიბიაში მსხვერპლმა ათასს გადააჭარბა

**დიდი ბრიტანეთის მთავრობისთვის მომზადებულ უფლებათა დამცველების მოხსენებაში წერია, რომ ოპოზიციის მომხრეებსა და მუამარ კადაფის ძალებს შორის შეტაკებების დაწყების დღიდან ლიბიაში უკვე ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა.** ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ლიბიაში გამუდმებით ირღვევა ადამიანის უფლებები. „მსხვერპლთა შესახებ ოფიციალური მონაცემები დღემდე არ გამოცხადებულა, ამიტომ, რამდენიმე წყაროზე დაყრდნობით, ჩვენ ვაცხადებთ, რომ მსხვერპლთა რაოდენობა ათასს აჭარბებს, გაცილებით მეტი კი დაშავებული და ტრავმირებულია“, — აღნიშნულია განცხადებაში.

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**— ბატონო მინისტრო, საქართველოში რთული პოლიტიკური ვითარებაა, ასეთ სიტუაციაში მიზანშეწონილია თუ არა ოსეთში შინაგანი ჯარების ყოფნა? თუ ასე მიგაჩნიათ, მაშინ, იქნებ, აგვიხსნათ მათი ფუნქცია, — ვიკითხე მე.**

**— შინაგან ჯარებს აქვს მხოლოდ ერთი ფუნქცია, დაიცვას ქვეყნის მთლიანობა და სტაბილურობა, რომელიც სამხრეთ ოსეთში დაირღვა და რომლის აღდგენაც საჭიროდ მიგვაჩნია, — მიპასუხა პუგომ.**

აგვიხსნათ მათი ფუნქცია, — ვიკითხე მე.

— შინაგან ჯარებს აქვს მხოლოდ ერთი ფუნქცია, დაიცვას ქვეყნის მთლიანობა და სტაბილურობა, რომელიც სამხრეთ ოსეთში დაირღვა და რომლის აღდგენაც საჭიროდ მიგვაჩნია, — მიპასუხა პუგომ.

— ბატონო მინისტრო, სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის 60 პროცენტზე მეტი ქართველია, შინაგანი ჯარი კი მხოლოდ ოსი მოსახლეობის ინტერესებს იცავს და ამით ხელს უწყობს ქართველი მოსახლეობის გენოციდს, ნუთუ თქვენ ამის შესახებ არაფერი იცით? — განვაცხადე მე.

პუგომ მხრები აიჩეჩა.

— სამხრეთ ოსეთში ჩავიდნენ ბოევიკები ჩრდილოეთ ოსეთიდან, ჩეჩნეთიდან, დაღესტნიდან, კაზაკები სტავროპოლის მხარიდან. რატომ არ ახდენს მათ განეიტრალებას შინაგანი ჯარები? ხელს ხომ არ აძლევს სიტუაციის დაძაბვა ზოგიერთ მაღალჩინოსანს? ყოველ შემთხვევაში ჩვენ ასეთი შთაბეჭდილება გვრჩება, — დაამატა ჩემს ნათქვამს ზუხბაიამ.

პუგომ განაცხადა, რომ არ ფლობს ასეთ ინფორმაციას. მისი აზრით, შინაგან ჯარებს ნეიტრალური პოზიცია უკავია.

— ამასწინათ საკავშირო ტელევიზიამ გადმოსცა „ბიბი-სის" კორესპონდენტის ინტერვიუ, რომლიდანაც დასტურდება სამხრეთ ოსეთში ქართველების გენოციდი. განა ეს სადავოა? — თქვა მეძმარიაშვილმა და პუგოს „ვრემიას" მიერ გადაცემული მასალის ტექსტი მიაწოდა.

— ჩვენ ოფიციალურ დონეზე ასეთ ინფორმაციას არ ვფლობთ, — ჯიუტად გაიმეორა პუგომ.

ომანიძემ საქაღალდიდან რამდენიმე აკინძული ფურცელი ამოიღო და პუგოს გადასცა:

— ეს არის რუსეთის შინაგანი ჯარების სერჟანტის დაკითხვის ოქმი. აღიარებს, რომ ნაბრძანები ჰქონდათ, მხარი დაეჭირათ ოსებისთვის და ხელი არ შეეშალათ ბოევიკებისთვის. აქ კიდევ ბევრი რამ წერია, — თქვა ომანიძემ და ფურცლები პუგოს მისცა.

— ჩვენ ვიცით ამის შესახებ, მაგრამ ასეთი გვარის სერჟანტი ოსეთში დისლოცირებულ შინაგან ჯარებში არ ირიცხება. ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ფალსიფიკაციასთან გვაქვს საქმე, — განაცხადა გენერალმა დუბანიუკმა.

— იქნებ, გაგვაცნოთ ბრძანება, რომლითაც განსაზღვრულია ოსეთში დისლოცირებული შინაგანი ჯარის ფუნქციები? — უპასუხა ომანიძემ.

— ბრძანების ასლს მოგაწვდიან, — უპასუხა დუბანიუკმა და რაღაც დაავალა კედელთან მდგარ ოფიცერს.

— ახლა დროა შევუტიოთ, — წამჩურჩულა ომანიძემ და დაიწყო:

— საქართველოს მთავრობას აინტერესებს: ვინ მისცა ჩრდილოოსეთელებს კონფლიქტში ჩარევის უფლება? საიდან აქვთ ოს სეპარატისტებს და ბოევიკებს თანამედროვე იარაღი? ვინ გააგზავნა სეპარატისტულ სამხედრო ფორმირებებში რუსი საკადრო ოფიცრები? რატომ არაა ცნობილი საქართველოს მთავრობისთვის შინაგანი ჯარების ფუნქციები და ამოცანები? რატომ არ ათანხმებენ ისინი თავიანთ მოქმედებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან? დაბოლოს, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ანუ ზეგიდან, რა სტატუსით დარჩებიან სუვერენული ქვეყნის ტერიტორიაზე რუსეთის ჯარები?

მაგიდის მოპირდაპირე მხარეს მსხდომნი უხერხულად შეიშმუშნენ.

— ყველა დასმულ შეკითხვაზე წერილობით გაგცემთ პასუხს. რაც შეეხება ჩვენს შემდგომ მოქმედებას, მას განსაზღვრავს ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობა. ამ ეტაპზე კი ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი ავტონომიური ოლქის სასწრაფოდ აღდგენაა, — თქვა სამოქალაქო ფორმიანმა კაცმა, რომელიც პუგოს პირველი მოადგილე აღმოჩნდა.

— ვფიქრობ, რომ ჩვენ ყველა საკითხზე ვისაუბრეთ, დარჩა კიდევ რაიმე? — იკითხა პუგომ და ფეხზე წამოდგა.

ჩვენ ცივად გამოვემშვიდობეთ.

* * *

იმავე დღის საღამოს 9 საათისთვის საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე გვეწვია რამდენიმე გენერალთან ერთად. გაგვეცნო და გვითხრა, რომ თავდაცვის მინისტრი მოსკოვში არ იმყოფება და პარტიის ცეკადან დაგვავალეს თქვენთან შეხვედრაო.

ომანიძემ მადლობა გადაუხადა მოსვლისთვის და დააყენა რამდენიმე საკითხი:

— თქვენ იცით, რომ საქართველოში რთული პოლიტიკური ვითარებაა, ერთ-ერთ ჩვენს რეგიონში ფაქტობრივად ომია. სამწუხაროდ, მასში ჩართულები არიან კადრის ოფიცრები, რომლებიც იბრძვიან სეპარატისტების მხარეზე. ჩვენ გვაინტერესებს, ვინ აძლევს მათ თანამედროვე სამხედრო ტექნიკას, რომელიც რუსული წარმოებისაა? გვინდა ვიცოდეთ თქვენი მოსაზრება იმის შესახებ, თუ რას მოიმოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსული საჯარისო შენაერთები 9 აპრილს, როდესაც ქართველები აღადგენენ დამოუკიდებლობას და ჩადგებიან სუვერენული სახელმწიფოების რიგში. რა სტატუსით იქნებიან რუსული დივიზიები სუვერენული ქვეყნის ტერიტორიაზე?

სამხედროებმა ერთმანეთში ითათბირეს და განაცხადეს, რომ მათთვის ჩვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია უცნობია.



ლეონიდ კრავჩენკო და მიხეილ გორბაჩოვი

**ლეონიდ კრავჩენკო: აი, რა მოიტანა ყბადაღებულმა „გლასტნოსტმა" და ზოგიერთი ამბიციური პოლიტიკოსის სიჯიუტემ და პოზიორობამ.**

— ვვარაუდობთ, რომ ბოევიკებს შეიძლება აქვთ ჩამოწერილი სამხედრო იარაღი და აუცილებლად დავადგენთ მის წარმომავლობას. რაც შეეხება რუს სამხედრო პირებს, ისინი არმიიდან დათხოვნილი ოფიცრები არიან. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასეთი ცნობა გვაქვს, — თქვა ერთ-ერთმა გენერალმა.

— საქმე ასე მარტივად არაა. ჩვენ მოგაწვდით ორი დატყვევებული ბოევიკის ჩვენებებს. ისინი აღნიშნავენ, რომ იარაღი შეიძინეს ახალქალაქში დისლოცირებულ სამხედრო ნაწილში. მოგაწვდით, აგრეთვე, რუსი ოფიცრების აღიარებას, რომ შენაერთის უფროსისგან მიიღეს დავალება, დახმარებოდნენ ოსებს, — ომანიძემ საქაღალდედან ორი ფურცელი ამოიღო და გენერლებს გადააწოდა.

— ჩვენ ამას გადავამოწმებთ და, თუ სიმართლეა ის, რაც აქ წერია, დამნაშავეებს სამხედრო ტრიბუნალს გადავცემთ. თქვენს არც ერთ წერილს უპასუხოდ არ დავტოვებთ. რაც შეეხება ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებს, მოსკოვიდან მათ აქვთ მითითება, რომ არ დატოვონ დისლოკაციის ადგილები.

— ჩვენ გვაინტერესებს მათი მოქმედება 9 აპრილს. თქვენ იძლევით იმის სრულ გარანტიას, რომ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარები კონფლიქტის პრეცედენტს არ შექმნის? — ვიკითხეთ ჩვენ.

— დღევანდელი მდგომარეობით, მათ ნაბრძანები აქვთ, არ დატოვონ ყაზარმები.

— ადრეც გვარწმუნებდნენ, რომ ძალას არ გამოიყენებდნენ, მაგრამ, რაც მოხდა ამ ორიოდე წლის წინათ, ზუსტად 9 აპრილს, ვფიქრობ, გეხსომებათ. ჩვენი შეშფოთებაც ამითაა გამოწვეული. იმედია, ყველა ზომას მიიღებთ, რათა არ გამეორდეს ცხრა აპრილი, — ვთქვით ჩვენ.

— ის, რაც მაშინ მოხდა, იძულებითი ღონისძიება იყო. იმედია, ახლა სხვა სიტუაცია იქნება. ქართველებიც, ალბათ, არ გამოიყენებთ ძალას.

— ჩვენ რა ძალა გვაქვს, რომ... — ამოვიოხრეთ ჩვენ.

— ჩვენი ტელეფონები თქვენთან, სამდივნოში დავტოვეთ. თუ რაიმე იქნება გასარკვევი, შეგიძლიათ დარეკოთ, — გვითხრეს მათ.

შეხვედრამ სამხედროებთან „მშრალად" ჩაიარა. ისინი უხალისოდ უპასუხებდნენ ჩვენს შეკითხვებს. დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ მათ თითქოს არც აინტერესებდათ საქართველოში მიმდინარე პროცესები, თუმცა ვგრძნობდით, რომ ბევრ რამეს მალავდნენ.

* * *

მეორე დღის 12 საათისთვის, შეხვედრა დაგვინიშნა საკავშირო ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ლეონიდ კრავჩენკომ. იგი შედარებით ახალგაზრდა, სიმპათიური კაცი აღმოჩნდა, რომელიც თავისი კაბინეტის მისაღებში ღიმილით შეგვეგება. თავაზიანად შეგვიპატიჟა, სათათბირო მაგიდასთან მიგვიწვია და გვკითხა, ჩაი ან ყავა ხომ არ გნებავთო. მოიკითხა თავისი ნაცნობ-მეგობრები საქართველოში, განსაკუთრებული სითბოთი ბატონი ნუგზარ ფოფხაძე.

— მე უკვე გავეცანი თქვენს მოსაზრებებს საკავშირო ტელევიზიის მუშაობასთან დაკავშირებით. მართალი ბრძანდებით, ჩვენს საქმიანობაში ბევრი ხარვეზია. სამწუხაროდ, გვიჭირს ობიექტური ინფორმაციის მოპოვება, — თქვა მან.

— ვფიქრობ, დროის დაზოგვის მიზნით გადავიდეთ კონკრეტულ საკითხებზე. გუშინ „ვრემიას" საღამოს გამოშვებაში გადაიცა სიუჟეტი, თითქოს ქართველებმა ოსურ სოფელში რამდენიმე ოსი წამებით მოკლეს. ჩვენ დავრეკეთ საქართველოს ტელევიზიაში, შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებში და გავარკვიეთ, რომ ასეთი ფაქტი არ არსებობს. გუშინდელი მაგალითი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ახალია, თუმცა ასეთი დამახინჯებული და მცდარი სიუჟეტები საკავშირო ტელევიზიით ხშირად გადაიცემა, — განაცხადა ომანიძემ.

კრავჩენკომ გვერდით მჯდომ ახალგაზრდა კაცს გადახედა, რომელიც საინფორმაციო სამსახურის უფროსი აღმოჩნდა.

— სამწუხაროდ, ჩვენ ინფორმაციას ძირითადად ჩრდილოეთ ოსეთიდან ვიღებთ, სადაც ჩვენი საინფორმაციო პუნქტია განლაგებული, საქართველოში ჩვენი ოფისი დარბეულია. ამ ინფორმაციას კიდევ ერთხელ შევამოწმებ, — თქვან მან და კედელთან მჯდარ თანამშრომელს რაღაც დაავალა. ომანიძემ ქაღალდი გადმომაწოდა, რომელზეც ეწერა: „წამოიწყე ნანა ღონღაძის თემა".

— ბატონო თავმჯდომარე, საქართველოში თქვენ გყავთ საკუთარი კორესპონდენტი ნანა ღონღაძე, რომელიც მამაცი და კეთილსინდისიერი ჟურნალისტია. იგი ცხელი წერტილებიდან იღებს ინფორმაციებს. გვაინტერესებს, რატომ იბლოკება მის მიერ გამოგზავნილი მასალა?

— არაა სწორი, ჩვენ რამდენიმე დღის წინათ გავუშვით ეთერში მის მიერ მოწოდებული მასალა, — გვიპასუხა კრავჩენკომ.

— სამწუხაროდ, მასში ამოჭრილია ის კადრები, რომლებიც მაყურებელს სწორი დასკვნების საშუალებას მისცემდა, — უკმაყოფილოდ აღვნიშნე მე.

— ღონღაძის სიუჟეტებს საკავშირო ტელევიზიის დიქტორები უკეთებენ ისეთ კომენტარს, რომელიც მაყურებელს უქმნის ილუზიას, თითქოს ქართველები ვუწყობთ გენოციდს ოსებს. თქვენთან გამოგზავნილი ფირების ასლები ჩვენს წარმომადგენლობაშია, ბოლო სიუჟეტი თან წამოვიღე. შეიძლება ნახოთ და თავად დარწმუნდეთ, რომ იქიდან ბევრი რამაა ამოღებული, — წამომეშველა მეძმარიაშვილი.

— სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ვერ შევძელით ტელევიზიაში ერთიანი სამაუწყებლო პოლიტიკის ჩამოყალიბება. ჩვენს კორესპონდენტებს, დიქტორებს, სხვა თანამშრომლებს განსხვავებული პოლიტიკური ხედვა აქვთ. სწორედ ამის შედეგია ის ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, რომელიც ტელევიზიით გადის, — თქვა კრავჩენკომ და პაუზის შემდეგ ხმადაბლა დაამატა, — აი, რა მოიტანა ყბადაღებულმა „გლასტნოსტმა" და ზოგიერთი ამბიციური პოლიტიკოსის სიჯიუტემ და პოზიორობამ.

ქართველებმა ერთმანეთს გადავხედეთ, კრავჩენკო აშკარად იშვერდა ხელს გორბაჩოვისკენ.

— რატომ არ უშვებთ ცხელ წერტილებში სანდო კორესპონდენტებს, თქვენ ხომ ამის კარგი გამოცდილება გაქვთ, თუნდაც ავღანეთში და სხვაგანაც? — ჩაერთო საუბარში ზუხბაია.

— იცით, ალბათ, რომ ავღანეთში და ანგოლაშიც ჩვენ რამდენიმე ჟურნალისტი დავკარგეთ. ძნელია, ვინმე აიძულო, წავიდეს იქ, სადაც ომია, — თქვა საინფორმაციო სამსახურის უფროსმა.

— ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ სახტელევიზიის საშუალო რგოლის ხელმძღვანელები ბლოკავენ მათ გამგზავრებას სამხრეთ ოსეთში, — განაცხადა ომანიძემ.

— კი მაგრამ, ეს ხომ უაზრობაა! ჩვენ ყველაზე მეტად ვართ დაინტერესებული სწორი და უტყუარი ინფორმაციით, — თქვა კრავჩენკომ.

— ჩვენს კორესპონდენტებს შეუძლიათ მოგაწოდონ სწორი ინფორმაცია. შეიძლება შევქმნათ შერეული ჯგუფები, რომლებშიც საკავშირო ტელევიზიის კორესპონდენტებიც იქნებიან ჩართული. იქნებ, ახლავე შევთანხმდეთ ამაზე? — თქვა ომანიძემ.

— ეს სერიოზული საკითხია, ჩვენ ვიღებთ თქვენს წინადადებას და დღესვე დავუკავშირდებით ჩვენს კოლეგებს თბილისში, — დაგვაიმედა კრავჩენკომ.

ცოტა ხნით პაუზა ჩამოვარდა, ომანიძემ თითქოს ისარგებლა ამით და საქაღალდიდან ფურცელი ამოიღო:

— ბატონებო, — საზეიმო ხმით განაცხადა მან, — როგორც თქვენთვის ცნობილია საქართველო, ხვალ აცხადებს დამოუკიდებლობას და გადის საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან. ჩვენ მოვამზადეთ ტექსტი საკავშირო ტელევიზიისთვის, რომელსაც, იმედია, გადასცემთ ეთერში, — თქვა მან და ფურცელი კრავჩენკოს მიაწოდა.

საკავშირო ტელევიზიის თავმჯდომარემ ტექსტი გადაიკითხა. მისი სახიდან უცბათ გაქრა ჩინოვნიკებისთვის დამახასიათებელი ყალბი ღიმილი და მოღუშულმა თქვა:

— ტექსტი საკმაოდ პრეტენზიულია, ბევრია ანტისახელმწიფოებრივი გამონათქვამი. ასეთი სახით ის ტელევიზიის ეთერში ვერ გავა... დაველოდოთ ხვალინდელ დღეს და საქართველოში მიმდინარე ყველა პროცესს, მათ შორის, დამოუკიდებლობის გამოცხადებასაც ინფორმაციის სახით მივაწვდით მოსახლეობას, — თქვა და ფეხზე წამოდგა.

დერეფნამდე გამოგვაცილა და დანანებით გვითხრა:

— თქვენი მოქმედება მოსალოდნელი იყო. სსრ კავშირი მალე დაიშლება, გულდასაწყვეტია, რომ საქართველოდან იწყება ეს...

წინ კი ბოლო, მაგრამ ყველაზე სერიოზული შეხვედრა გველოდა — კრემლში.

**ნაპოლეონ ქარქაშაძე**

დასასრული იქნება

## აიშა კოალიციის წინააღმდეგ

**34 წლის აიშა კადაფი, ლიბიის ლიდერის მუამარ კადაფის ქალიშვილი, რომელსაც ჩრდილოეთ აფრიკის კლაუდია შიფერსაც უწოდებენ, ტრიპოლიში ტრადიციულ ტანისამოსში გამოწყობილი გამოჩნდა.** მას ხელში ჯამაჰირიის დროშა ეჭირა და საბრძოლველად მიმავალ სამხედროებს ამხნევებდა. ლიბიაში არეულობის დაწყების შემდეგ აიშას გაეროს კეთილი ნების ელჩის წოდება ჩამოერთვა. ლიბიის ლიდერის ქალიშვილი 2009 წლიდან შიდსთან ბრძოლის გაეროს პროგრამების განვითარებით იყო დაკავებული.



## სირიის ხელისუფლება გადადგა

**სირიის მედიის ცნობით, მთავრობის გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება პრეზიდენტმა ასარ ასადმა მიიღო. პრეზიდენტის ეს ნაბიჯი ქვეყანაში დაწყებულ მასობრივ არეულობებს უკავშირდება.** მანამდე სირიის ხელისუფლებამ, მასობრივი გამოსვლებისა და მოსახლეობის ზეწოლის შედეგად პოლიტიკური გარდაქმნების გეგმა შეიმუშავა, რაც მრავალპარტიული სისტემის შემოღებას, მედიის შესახებ ახალი კანონის მიღებას, სასამართლო რეფორმასა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გამკაცრებას ითვალისწინებს.

ნაც-რეალობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

სიღნაღში იმდენი პრობლემაა, რომ წარმოდგენაც კი ძნელია. მაგრამ ხალხი ისეა დაშინებული, რომ ხმა ვერავის ამოუღია. ახლახან ჩვენთან მებაღეები მოვიდნენ, მებოსტნეობას მისდევენ, საზამთრო მოჰყავთ, დახმარება სჭირდებოდათ. დავპირდი, რომ ვეტყოდი ჟურნალისტებს, გავახმაუროთ-მეთქი ეს ფაქტები. დამთანხმდნენ. ხუთ წუთში კი პროკურატურა დაგვადგა თავს, რას გვიშვებით, რატომ გვღუპავთო. კომენტარიც კი აღარ გააკეთეს.

# ხელისუფლება პოლიტიკური ოპონენტების ბიზნესს აკოტრებს

**საქართველოს ხელისუფლება თამამად აცხადებს, რომ ბიზნესებზე მონოპოლია არ არსებობს, რომ ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებისთვის საუკეთესო პირობებია შექმნილი, თუმცა საპირისპიროს მეტყველებს ფაქტები: გაჩერებული საწარმოები, ჩამორთმეული ბიზნესები, შევიწროებული ბიზნესმენები... ამისთვის ქვეყანაში არაერთი მექანიზმი მუშაობს. იქ, სადაც შს სამინისტროს ყოვლისშემძლე ხელი დანაშაულს ვერ პოულობს, საქმეში მაკონტროლებლები ერთვებიან და, სანქციებს თუ ვერ უწესებენ საწარმოს, იმას მაინც ახერხებენ, რომ ფუნქციონირებაში ხელი შეუშალონ. სწორედ ასეთ შემთხვევაზე საუბრობს ამჟამად ოპოზიციაში მყოფი ყოფილი ბიზნესმენი „საქართველო და მსოფლიოსთან“.**




ადამიანის უფლებათა ცენტრმა ინფორმაცია გაავრცელა, რომ სიღნაღში მსხვილმა საწარმომ, შპს „გიორგი 3“-მა მუშაობა შეწყვიტა. მისი დამფუძნებელი გიორგი ჩირინაშვილი, რომელსაც ჩვენი მკითხველი უკვე იცნობს („საქართველო და მსოფლიო“ წერდა, თუ როგორ დაათმობინეს მას სიღნაღის პარკში განთავსებული საბილიარდოს შენობა კონტროლის პალატის თავმჯდომარის, ლევან ბეჟაშვილის სასარგებლოდ. დღეს იქ ბეჟაშვილის მამის მეურვეობით უზარმაზარი სასტუმრო შენდება).

შპს „გიორგი 3“, ადამიანის უფლებათა ცენტრის ინფორმაციით, 1998 წლიდან ფუნქციონირებდა. გიორგი ჩირინაშვილს წნორში ავტოგასამართი კომპლექსი და ბენზინგასამართი სადგური ჰქონდა. 2010 წელს მისი წლიური ბრუნვა 5 მილიონ ლარს შეადგენდა. **მას შემდეგ, რაც ჩირინაშვილმა პოლიტიკური საქმიანობა წამოიწყო, მისი ბიზნესის შევიწროება დაიწყო. გიორგი ჩირინაშვილი, რომელიც ამჟამად „სახალხო კრების“ დაუმორჩილებლობის კომიტეტის თავმჯდომარეა, შეიძლება ითქვას, ხელოვნურად გააკოტრეს.** როგორც თავად აცხადებს, საქართველოში კანონი ყველასთვის ერთნაირად არ მუშაობს. მიუხედავად იმისა, რომ მისი კომპანია, მრავალჯერადი შემოწმების მიუხედავად, მაკონტროლებლებმა ვერც კი დააჯარიმეს, ვინაიდან ყველაფერი ზედმიწევნით კანონიერად კეთდებოდა, გაკოტრებამდე მაინც მიიყვანეს.

**რატომ დაიწყო მისი ბიზნესის შევიწროება? — ამ კითხვით „საქართველო და მსოფლიომ“ გიორგი ჩირინაშვილს მიმართა.**

— მე ვარ „სახალხო კრების“ დაუმორჩილებლობის კომიტეტის თავმჯდომარე, არაფერი არ მომწონს ამ ქვეყნის, რადგან აქ სამართალი არ არის! ყველას ვუცხადებ დაუმორჩილებლობას — დაწყებული უშიშროებიდან, დამთავრებული მთავრობით.

დღეს საქართველოში ბიზნესი არ ვითარდება ისე, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები საუბრობენ. სინამდვილეში მისი განვითარების საშუალება ქვეყანაში არ არის, ყველაფერი მონოპოლიზებულია და კანონი ყველასთვის არ კანონობს. რაც ჩემთვის კანონია, 40 მეტრის მოშორებით მდებარე ბენზინგასამართი სადგურისთვის არაფერს ნიშნავს. ამიტომ ვერ ვუწევთ კონკურენციას, შეგვექმნა ფინანსური პრობლემები და გავჩერდით.

**— ხელისუფლება ამბობს, რომ ოპონენტები ვერ ასაბუთებენ ვერც ერთ ფაქტს, რომ საქართველოში მონოპოლიაა ბიზნესებზე. თქვენი ფაქტი იმის ნათელი მაგალითია, რომ ქვეყანაში მონოპოლიებიც არსებობს და ბიზნესის განვითარებასაც ბარიერებს უქმნიან?**

— ვერ ამტკიცებ, ეს ერთია, მაგრამ რეალურად ყველაფერი მონოპოლიზებულია. მონოპოლიად შეიძლება არ ჩათვალონ, რადგან რამდენიმე კომპანიაა: „ვისოლი“, „სოკარი“, „ლუკოილი“ და ა.შ. მაგრამ, რეალურად ყველაფერი მონოპოლიზებულია. მე ვეხვეწებოდი „სოკარს“, მოეცა საწვავი. ერთი კვირა მეუბნებოდნენ, რომ არ ჰქონდათ, მერე ისეთ ფასად შემომთავაზეს, რომ თვითონ უფრო იაფად ყიდდნენ. ასე ვიმუშავეთ ზარალზე — გასავალი სჭარბობდა შემოსავალს. ერთ მშვენიერ დღეს გავკოტრდით და გავჩერდით, ამ დროს არის ვიღაც, ვისთვისაც ყველაფერი სხვანაირად ხდება.

**— ანუ შევიწროებას ადგილი არ ჰქონია, უბრალოდ, ხელოვნურ გაკოტრებასთან გვაქვს საქმე?**

**— შევიწროება იმაში გამოიხატებოდა, რომ ხშირად გვამოწმებდნენ. წელიწადში დაახლოებით თორმეტჯერ შემამოწმეს. ხან იყო დოკუმენტალური შემოწმება, ხან ინვენტარიზაცია. ყოველკვირა მრიცხველიდან მონაცემებს იწერდნენ, თვეში ერთხელ ინვენტარიზაციას ატარებდ-** ▶

# თბილისში შადრევნების მოსავლელად მილიონ 810 ათასი ლარია გამოყოფილი

**სააკაშვილის ახირებით კოლოსალური თანხები დაიხარჯა შადრევნებში, რომლებმაც ქალაქი „დაამშვენა“. გეგმაში კიდევ მრავალი ქალაქის „გაშადრევნიანებაა“. თბილისში დადგმული შადრევნების შენახვაზე კი, არც მეტი, არც ნაკლები, დედაქალაქის ბიუჯეტში მილიონ 810 ათასი ლარია გათვალისწინებული.**
**ეს მაშინ, როცა 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოციალურ უზრუნველყოფაზე გათვალისწინებული იყო მილიონ 419 ათას 901 ლარი და 80 თეთრი, 2010 წელს — მილიონ 496 ათას 431 ლარი და 90 თეთრი, 2011 წელს კი — მილიონ 490 ათას 487 ლარი. როგორც ჩანს, ჩვენს ხელისუფლებას შადრევნების მოვლა ურჩევნია უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის მოვლა-პატრონობას.**



თბილისის მერიამ შადრევნების მოვლა-პატრონობაზე გასული წლიდან იზრუნა. 2010 წლის 15 სექტემბერს გამოცხადდა „მრავალწლიანი ტენდერი 2011-2012 წლებში თბილისში არსებული შადრევან-აუზების მოვლა-პატრონობის (ექსპლუატაციის) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე“, რომლის სავარაუდო ღირებულებად მილიონ 810 ათასი ლარია მითითებული.

**საინტერესოა, რა სამუშაოები სრულდება ახლადდამონტაჟებული შადრევნების მოსავლელად, რომ მასზე გაწერილი თანხები მხოლოდ დედაქალაქში მილიონს აჭარბებს. ან აქვს თუ არა ქვეყანას ასეთი ფუფუნების უფლება, როცა მისი მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება, როცა საკვებისა და სამედიცინო მომსახურების მიუწვდომლობის გამო ადამიანები იხოცებიან?!**

ეს — რაც შეეხება მხოლოდ შადრევნების შენახვას. მათზე დახარჯულ თანხებს გამოცხადებული ტენდერით თუ შევიტყობთ, თორემ ინფორმაცია, თუ ვინ გაიმარჯვა ტენდერში ან რა თანხები იხარჯება მსგავს პროექტებში, არათუ საზოგადოებისთვის, საკანონმდებლო ორგანოსთვისაც კი ძნელად მოსაპოვებელია.

## ფილარმონიის წინ მდებარე შადრევნის დამონტაჟება 700 ათასი ლარი დაჯდა

**გახსოვთ, ალბათ, გმირთა მოედანზე, სანამ ესპანელი დიზაინერის, ალბერტო დომინგო კაბოს მიერ დაპროექტებული „გმირთა მონუმენტი“ დაიდგმებოდა, რომელიც ვარაზისხევი-თამარაშვილის დამაკავშირებელი ჩქაროსნული მაგისტრალისთვის გამოყოფილი 80 მილიონი ლარის ფარგლებში დაფინანსდა, თბილისის მერიამ შადრევანი დაამონტაჟა, რომელიც მთელ ქუჩას ასველებდა და გზაზე მოძრაობის უქმნიდა საფრთხეს. მოგვიანებით შადრევანი გმირთა მოედნიდან გაქრა, ისევე, როგორც დიდი ამბით სპორტის სასახლის წინ დადგმული ყინულის მოედანი და თამარ მეფის ხიდთან მდგარი პრომეთეს ქანდაკება.**

რესპუბლიკური პარტიის წევრის, თინა ხიდაშელის განცხადებით, ეს მონტაჟ-დემონტაჟი ბიუჯეტს 40 მილიონი დოლარი დაუჯდა. მხოლოდ შადრევნის მონტაჟ-დემონტაჟის ხარჯებზე ოფიციალური ინფორმაცია თვითმმართველობის არჩევნებისთვის მზადებაში გართულ უგულავას პარლამენტის წევრმა გიორგი ცაგარეიშვილმა მოსთხოვა. ცაგარეიშვილმა ყველანაირი ვადის დარღვევით მიიღო პასუხები დასმული კითხვების მხოლოდ ნაწილზე. მისი განცხადებით, მერის მოადგილის მიერ ხელმოწერილ წერილში ეწერა, რომ შადრევნის მონტაჟისა და დემონტაჟისთვის თბილისის ბიუჯეტიდან თანხები არ დახარჯულა. არადა, ალბათ, გახსოვთ, რომ თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის მაშინდელი უფროსი კობა სუბელიანი თავს იწონებდა ამ შადრევნით, რაც სწორედ იმის დასტური იყო, რომ პროექტი თბილისის მერიას ეკუთვნოდა. **700 ათასი ლარი დაჯდა, ასევე, კობა სუბელიანის მერიაში მუშაობის დროს ფილარმონიის წინ მდებარე შადრევნის დამონტაჟება, ხოლო ავლაბარში მდებარე შადრევანში 300 ათასი ლარი დაიხარჯა.** თუმცა, თუ რამდენიმე შადრევნის შენახვა სახელმწიფოს მილიონები უჯდება, მისი დამონტაჟების ხარჯები ამასთან რა მოსატანია?!

**შადრევნებში მილიონები მარტო თბილისში როდი იხარჯება, მთელი საქართველო „შადრევანიანდება“. ბათუმი ამ მხრივ** ▶

ბევრი სფერო შემიძლია დავასახელო, სადაც კონკურენცია ძალიან დაბალია. უმეტესად ხდება საბაზრო წილების გადანაწილება. იგივე ნავთობიმპორტიორები, ფარმაცევტული ბაზარი, ფიჭური კავშირგაბმულობა, სამარშრუტო ტაქსები, საქართველოს ლატარიის კომპანია (საერთოდ აუხსნელი მონოპოლისტი, რომელიც სახელმწიფომ შექმნა და ექსკლუზიური უფლება მისცა, რომ მარტო მას შეუძლია ჩაატაროს საქართველოში გათამაშება). ეს, უბრალოდ, საბაზრო ეკონომიკისა და ლიბერალური ეკონომიკის ყველანაირ პრინციპებს ეწინააღმდეგება.

ნაც-ჩეალობა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ნენ. არც საბუთს მიჩვენებდნენ, ისე შემოვარდებოდნენ და დალუქავდნენ ყველაფერს...** თვე-ნახევარი და ორი თვე ბენზინგასამართი სადგური რომ გაჩერდება, შემდგომ კლიენტი როგორ უნდა დაიბრუნო? შემოწმების შედეგად ჯარიმები და ფულის გადახდები არ ყოფილა, იმიტომ, რომ ყველაფერი ლეგალურად იყო და ბრალი ვერაფერში დამდეს. მაგრამ ამდენი შემოწმების პირობებში ბიზნესის განვითარებაზე ვერ იზრუნებ.

**— თქვენ გემუქრებოდათ დეპუტატი...**

— ეს ადრე იყო. რაიონის დეპუტატი ნუგზარ აბულაშვილი დამემუქრა, სოფლის გამგებელი ვიყავი მაშინ. ჩვენი აზრები რომ ერთმანეთს არ დაემთხვა და შევეწინააღმდეგე, მითხრა: ისეთ დღეში ჩაგაგდებ, რომ საქართველოს დაგატოვებინებო და ასრულებს თავისას, სიტყვის კაცი ყოფილა. ყველაფერი მის ხელშია, დამლაგებელი არ ინიშნება მის გარეშე.

**— აბულაშვილი აკონტროლებს სიტუაციას?**

— აბსოლუტურად ყველაფერს. უიმისოდ ბუზი არ დაფრინავს რაიონში.

**— ადრე თქვენ გქონდათ პრობლემები ლევან ბეჟაშვილთანაც; მან საბილიარდო ჩამოგართვათ სიღნაღში.**

— ჩემმა შვილმა იყიდა ის საბილიარდო, მე მხოლოდ კონკურსში მივიღე მონაწილეობა, როგორც ნდობით აღჭურვილმა პირმა. როგორ განვითარდა შემდეგ მოვლენები, ამაზე კომენტარის გაკეთებისთვის უფლებამოსილი პირი არ ვარ.

**— დღეს ყველა რეგიონში ან გუბერნატორები, ან იმ რეგიონში მცხოვრები თანამდებობის პირები აკონტროლებენ სიტუაციას. კახეთში რა ხდება ამ თვალსაზრისით?**

— ყველა რაიონს, მე რამდენადაც ვიცი, აკონტროლებს რაიონის დეპუტატი ნაციონალების მხრიდან, ასეა სიღნაღში, ლაგოდეხში, გურჯაანში...

**— ქონების ჩამორთმევის შემთხვევები კვლავ არის სიღნაღში? როცა ამ ქალაქის რეაბილიტაციის პროექტი დაიწყო, სერიოზული პრობლემები შეექმნათ მესაკუთრეებს.**

— **სიღნაღში იმდენი პრობლემაა, რომ წარმოდგენაც კი ძნელია. ყველანაირი პრობლემაა, მაგრამ ხალხი ისეა დაშინებული, რომ ხმა ვერავის ამოუღია.** ახლახან ჩვენთან მებაღეები მოვიდნენ, მებოსტნეობას მისდევენ, საზამთრო მოჰყავთ, დახმარება სჭირდებოდათ. დავპირდი, რომ ვეტყოდი ჟურნალისტებს, გავახმაუროთ-მეთქი ეს ფაქტები. დამთანხმდნენ. ხუთ წუთში კი პროკურატურა დაგვადგა თავს, რას გვიშვებით, რატომ გვღუპავთო. კომენტარიც კი აღარ გააკეთეს.

**რეკორდს ხსნის.** მაგალითად, გორში რა ჯდება შადრევნის შენახვა, უცნობია, მაგრამ გორის საკრებულოსთვის ცნობილია, რომ შადრევნის დამონტაჟება ამ ქალაქში 650 ათასი ლარი დაჯდა. თუმცა საკრებულოს ოპოზიციას ეჭვი აქვს, რომ გორის შადრევნის მონტაჟისთვის ეს მეტისმეტად გაბერილი ციფრია. მითუმეტეს იმ ფონზე, როდესაც **გორის საკრებულო წელს ზოოპარკის მოწყობას 37 ათას 800 ლარად აპირებს. დედოფლისწყარო თავისი 3 მილიონ 744 ათას 600-ლარიანი ბიუჯეტიდან შადრევანზე 17 ათას ლარს გახარჯავს. რუსთავის მერიამ გასულ წლებში 90 ათასი გაიმეტა შადრევნისთვის.**

შადრევანი, თანაც ფერადი და მუსიკალური, უკვე აქვს ქუთაისსაც. ეს შადრევანი ექვსი თვე შენდებოდა. რა თანხა დაიხარჯა მასზე, უცნობია, ვინაიდან იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ იგი ქუთაისისთვის საჩუქრად ერთ-ერთ ბიზნესმენს გადაუცია, რომელიც თურმე ვინაობას არ ამხელს. **შადრევნის ირგვლივ სკვერის გაშენება-მოწყობისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 270 ათასი ლარი გამოიყო**. ამ ფონზე, ალბათ, შადრევნის სავარაუდო ღირებულების წარმოდგენა რთული არ უნდა იყოს.

ყველაზე ძვირი მაინც ბათუმის შადრევნებია — ისიც, რაც უკვე არსებობს, და ისინიც, მომავალში რომ გაახარებს ხელისუფალთა გულს. მოგეხსენებათ, რომ ბათუმი ძალიან პატარა აღმოჩნდა იმ პროექტისთვის, რომელიც სააკაშვილმა დაგეგმა, ამიტომ იგი გაზარდეს. გაზარდეს ბულვარიც, რომელიც ხიმშიაშვილის ქუჩის ბოლოდან ადლიის მიმართულებით გრძელდება. **კონკრეტულად შადრევნებზე რა თანხა დაიხარჯება, უცნობია. მაგრამ ცნობილია, რომ ამ 1 კმ-ით გაგრძელებული ბულვარის ატრაქციონებით, შადრევნებით, ნარგავებითა და თანამედროვე ტიპის განათებებით დამშვენებისთვის ბათუმის მერიამ 26 მილიონი გაიღო.**



# სააკაშვილის კარის ბიზნესმენები ხელს რიგითი მოქალაქეების ჯიბეში აფათურებენ

**ტელეკომპანია „მაესტროს“ მიერ ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიებიდან საზოგადოებამ უკვე შეიტყო, რომ სამარშრუტო ტაქსებთან დაკავშირებულ ბოლოდროინდელ პროცესებში სააკაშვილთან და უგულავასთან დაახლოებული ბიზნესმენები, ძმები შარანგიები არიან გარეული და რომ „ტენდერში გამარჯვებული“ ოთხი, ერთი შეხედვით — სხვადასხვა, კომპანიის უკან სწორედ ძმები შარანგიები დგანან. ამ ეტაპზე არ მოვყვებით მტკიცებას, მართლა ეკუთვნის თუ არა სხვადასხვა კომპანიები ძმებ შარანგიებს. მაგრამ გაგაცნობთ სქემას, რომლის მიხედვითაც ისინი ხელს აფათურებენ რიგითი მოქალაქეების ჯიბეში.**



## შარანგიები სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს მგზავრობის საფასურის გაზრდას აიძულებენ

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია „აფბას“ ხელმძღვანელი მერაბ ჯანიაშვილი აცხადებს, რომ ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესმენები, რომლებმაც სამარშრუტო ტაქსების ტენდერში გაიმარჯვეს, მძღოლებს იძულებულს ხდიან, მგზავრობის საფასური გაზარდონ, რათა საზოგადოების პროტესტი სამარშრუტო მიკროავტობუსების მძღოლებისკენ მიმართონ. ამაში მათ ნავთობკომპანიები ეხმარებიან, რომლებმაც დიზელზე ფასი არაადეკვატურად გაზარდეს.

„აფბამ“ ცოტა ხნის წინათ მსოფლიო ბაზარზე არსებული საწვავის ფასებიც გამოაქვეყნა, იგი ქართული რეალობისგან ნამდვილად განსხვავდება: **აზერბაიჯანში დიზელი — 0,74 ლარი, ბენზინი კი 0,98 ლარი ღირს; ბელარუსში დიზელის ფასი — 1,48 ლარს, ბენზინისა 1,70 ლარს შეადგენს; ფინეთში შესაბამისად – 2,85 და 3,55 ლარს; საბერძნეთში — 3,12 და 3,55 ლარს; იტალიაში — 3,26 და 3,64 ლარს; იაპონიაში — 2,76 და 3,02 ლარს; ლიტვაში — 2,76 და 2,92 ლარს; მოლდოვაში — 1,70 და 1,84 ლარს; პოლონეთში — 2,85 და 3,02 ლარს; რუმინეთში — 2,52 და 2,80 ლარს; რუსეთში — 1,24 და 1,41 ლარს; უკრაინაში — 2,06 და 2,35 ლარს. შეუძლებელია, არ გაგიჩნდეს კითხვა, მხოლოდ საქართველოში რატომ აჭარბებს დიზელის ფასი ბენზინისას?**

„აფბას“ მიაჩნია, რომ დიზელის ფასის არაბუნებრივი ზრდა და ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. წლის დასაწყისიდან დღემდე დიზელის ფასი 20%-ით გაიზარდა, რამაც მგზავრობის ღირებულების 40%-ით გაძვირება გამოიწვია.

**„საქართველო და მსოფლიოს“ აღნიშნულ საკითხზე „აფბას“ ხელმძღვანელი მერაბ ჯანიაშვილი ესაუბრება.**

— დავიწყოთ იმით, რომ ერთადერთი, ვისაც სამარშრუტო ტაქსებზე მგზავრობის ღირებულების ზრდა აწყობს, ის კომპანიაა, რომელმაც ამ ტენდერში გაიმარჯვა. ვითომ ოთხმა კომპანიამ გაიმარჯვა, მაგრამ დღეს, მგონი, აღარავის ეპარება ეჭვი, რომ მათ უკან ერთი კომპანია დგას. შესაბამისად, თუ გავითვალისწინებთ, რომ მგზავრობის გაძვირების მცდელობას დიდი პროტესტი მოჰყვა, ამჯერად ცდილობენ, საზოგადოების საპროტესტო განწყობა დიზელის გაძვირებაზე გადაიტანონ. უცხო არაა, რომ ნავთობიმპორტიორი ფირმები და ეს კომპანია დაახლოებული არიან სახელმწიფო ჩინოვნიკებთან. შესაბამისად**, ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ მათ შორის მოხდა გარიგება იმასთან დაკავშირებით, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში დიზელის ფასმა იმდენად მოიმატოს, რომ მძღოლები იძულებული გახდნენ, მგზავრობის საფასური გაზარდონ. 1 სექტემბრისთვის კი, როცა საბოლოოდ გადავა ეს სამარშრუტო ტაქსები ამ კომპანიის ხელში, ის დიზელს საბაზრო ღირებულებით შეიძენს ან თვითონ ჩამოიტანს, ან, როგორც ყვითელი ავტობუსების შემთხვევაში ხდება, ნახევარ ფასად მიიღებს საწვავს.** ამას გვაფიქრებინებს საქართველოში დიზელის ბაზარზე არსებული სიტუაცია. მოგეხსენებათ, დღეს ბენზინი — სუპერი ღირს 2,30 ლარი, ხოლო ევრო დიზელი — 2,35 ლარი. ასეთი გაუაზრებელი და აუხსნელი ფაქტი მსოფლიოში არსად ხდება. დიზელი ბენზინზე ძვირი არსად არ არის. **გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში მოხმარებული დიზელის 75%-ის იმპორტი აზერბაიჯანიდან ხორციელდება. აზერბაიჯანში საცალო ქსელში გატანილი დიზელის ფასი 75 თეთრია, რამდენად ადეკვატურია 75-თეთრიანი დიზელის ბაზარზე 2,35 თეთრად გაყიდვა, ეს მკითხველმა განსაჯოს.** რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყველა ნავთობიმპორტიორ ფირმას, როგორც წესი, ერთნაირი ფასი აქვს.

**— ყველა სამარშრუტო ტაქსი დიზელზე მუშაობს?**

— სამარშრუტო ტაქსები, როგორც წესი, დიზელს მოიხმარენ.

**— საერთოდ, მსოფლიოში მოიმატა ნავთობის ფასმა. მართალია, პროპორციულად არ ხდება ხოლმე საქართველოში ამ ფასების მატება, მაგრამ ამითაც ხომ შეიძლება აიხსნას სამარშრუტო ტაქსით მგზავრობის გაძვირება?**

— წარმოუდგენელია მაგით აიხსნას, იმიტომ, რომ დღეს საერთაშორისო ბირჟაზე ერთი ბარელის ფასი 100-105 დოლარია, 2008 წელს 144-145 დოლარი იყო. მაშინ ჩვენთან ბენზინის, რეგულარის, ფასი 2 ლარი იყო, ახლა ღირს 2,15 ლარი, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ბირჟაზე დაახლოებით 30 პროცენტით არის ფასი დაწეული. უბრალოდ, წარმოუდგენელია, რომ ჩვენთან საწვავი იმაზე ძვირია, ვიდრე ორი წლის წინათ იყო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ, როდესაც საერთაშორისო ბირჟაზე ფასის ცვლილება ხდება, ჩვენთან ამას ასახავენ ორ და სამ დღეში. ეს საერთოდ აუხსნელი ფაქტია, იმიტომ, რომ, როდესაც ცხადდება ბენზინზე ფასის მომატება, ეს ხდება ერთი თვის და თვე-ნახევრის შემდეგ, ასე ვთქვათ, მოქმედ და გაფორმებულ ხელშეკრულებებზე. ჩვენი ნავთობიმპორტიორი ფირმები კი ისეთ სიტუაციას ქმნიან, თითქოს რაწამსაც გაუთავდებათ საწვავი, იმ დღესვე გარბიან ევროპაში ან აზერბაიჯანში, ყიდულობენ საწვავს და მოაქვთ. ეს, უბრალოდ, არაადეკვატურია. ჩვენი აზრით, ამ ბაზარზე კონკურენცია საერთოდ არ არის. საბაზრო ფასი არ დგინდება, ამაში დარწმუნებული ვარ.

**— ჩვენი ხელისუფლება თავს იმართლებს, რომ არც ერთ ბიზნესზე მონოპოლია არ არის...**

— სასაცილო განცხადებაა, ეს პარლამენტში ვერა ქობალიამაც განაცხადა. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ საჯარო დისკუსიაშიც გამოვიწვიეთ. მზად ვართ, თუ ვერა ქობალია წამოვა საჯარო დისკუსიაზე, ავუხსნათ მას, რომ საქართველოში არსებობს არამხოლოდ ბუნებრივი მონოპოლიები, როგორიც არის „საქართველოს რკინიგზა“, „თელასი“, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, „ყაზტრანსგაზი“, გვაქვს ხელოვნური მონოპოლიებიც. ორი სფერო, თუნდაც რომლებზეც ვისაუბრეთ (სამარშრუტო ტაქსებისა და ნავთობიმპორტიორების) ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ საქართველოში, მონოპოლიას თუ არ დავარქმევთ, ოლიგოპოლიური სიტუაცია ნამდვილად არის და ამ ბაზრებზე მონოპოლიური ფასი დგინდება, ანუ შეიძლება ერთი კომპანიის ხელში არ იყოს მთელი ბაზარი, მაგრამ ერთნაირი ფასი დგინდება, რომელიც არაადეკვატურია და ჩემთვის, როგორც მომხმარებლისთვის, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ერთი კომპანია იქნება თუ თვრამეტი, თუ ის თვრამეტივე ერთნაირ ფასს დაადებს პროდუქტს. კონკურენციას განსაზღვრავს ფასი და მომსახურება, ჩვენთან ფასში კონკურენცია თითქმის არ არსებობს.

ძალიან ბევრი სფერო შემიძლია დავასახელო, სადაც კონკურენცია ძალიან დაბალია. უმეტესად ხდება საბაზრო წილების გადანაწილება. იგივე ნავთობიმპორტიორები, ფარმაცევტული ბაზარი, ფიჭური კავშირგაბმულობა, სამარშრუტო ტაქსები, საქართველოს ლატარიის კომპანია (საერთოდ აუხსნელი მონოპოლისტი, რომელიც სახელმწიფომ შექმნა და ექსკლუზიური უფლება მისცა, რომ მარტო მას შეუძლია ჩაატაროს საქართველოში გათამაშება). ეს, უბრალოდ, საბაზრო ეკონომიკისა და ლიბერალური ეკონომიკის ყველანაირ პრინციპებს ეწინააღმდეგება. ძალიან ბევრია იმის მაგალითი, რომლითაც ნათლად დასტურდება საქართველოში მონოპოლიების არსებობა. სამწუხაროდ, მათი 90 პროცენტი შექმნილია სახელმწიფოს დახმარებით ან უშუალო ჩარევითა და მფარველობით.

გვერდები მოამზადა **სოფო გელაშვილმა**

მედიცინა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**გარეგან სიმსივნეს პაციენტიც ადვილად ამჩნევს: კანზე რაღაც სიმსივნეს, კვანძოვან წარმონაქმნსაც სარძევე ჯირკვალზე, ასევე — კისერზე, სადაც ფარისებრი ჯირკვალია ლოკალიზებული და ა.შ. მით უფრო ადვილია ამის გარკვევა ექიმისთვის, იქნება იგი ონკოლოგი თუ ოჯახის ექიმი, რომელსაც ადრე უბნის ექიმს ვუწოდებდით. რაც შეეხება ვისცერალური, ანუ შინაგანი ორგანოების სიმსივნეებს, მათ ერთი დამახასიათებელი ნიშანი არ გააჩნია.**

## გამოხმაურებანი



**დათო მაღრაძე,** მწერალი:

როცა ერთი რომელიმე ქვეყნის სატელიტი ხდები, იქ თავისუფლების სივრცე მცირდება ან ქრება გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ძალიან რთულია ბალანსის დაცვა. ამიტომაა პოლიტიკა სიბრძნის დარგი და არა დილეტანტი ენთუზიასტების სანავარდო არეალი.

*„ყველა სიახლე“*



**ლევან გაჩეჩილაძე,** „ქართული პარტიის“ თანათავმჯდომარე:

მე ადეკვატურად ემოციური ვარ, მაგრამ ამ ბოლო დროს ძალიან მიკვირს, თურმე რაოდენ დიდი გამძლეობა მქონია... ამ ბოლო დროს ვფიქრობ, ადამიანის ტყავის ნაცვლად, მგონი, ნიანგის ტყავი მაქვს, იმდენად გამოვიმუშავე თავშეკავების იმუნიტეტი.

*„ალია“*



**ლალი აფციაური,** ადვოკატი:

ებრაელი ბიზნესმენების საქმე აუცილებლად გადაიგზავნება ევროპის სასამართლოში და ისინი აუცილებლად მოიგებენ, რაც ჩვენი ქვეყნის კიდევ ერთი სირცხვილია... ებრაელმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ საქართველო მიშა და გრიშა არაა. მათ აუცილებლად უნდა გაიგონ, რომ ქართველი ხალხი მათ გვერდშია.

*obieqtivi.net*



**ელიზბარ ჯაველიძე,** აკადემიკოსი:

სააკაშვილის სასახლის ეზოში მდებარე მონუმენტში თავდაყირა დგას სამკუთხედი, რომელიც პირამიდის ასოციაციას იწვევს. პირამიდა კი მასონთა სიმბოლოა. პირამიდას გარს ორი ტრანსპორტირი აკრავს, რომლებიც მასონთა სიმბოლოს, კუთხსაზომს განასახიერებს. სააკაშვილს იმის ჭკუა არ აქვს, რომ ამ ყველაფერს ჩასწვდეს, მაგრამ მას ამ ყველაფერს კარნახობენ. ეს მონუმენტი მასონებისთვის დადგა მიშამ, ამით აჩვენეს, რომ საქართველო მათ ექვემდებარება.

*„ყველა სიახლე“*

რეზო გაგუა:

# კიბოთი დაავადებულთა ნახევარზე მეტი, საუბედუროდ, გამოვლენის პირველსავე წელს იღუპება

**ენციკლოპედიური ჭეშმარიტებაა, რომ ონკოლოგია არის მეცნიერება (ონკო და ლოგოს), რომელიც სწავლობს კეთილ და ავთვისებიან სიმსივნეებს. მათგან პირველი ქირურგიული მკურნალობის შემდეგ არ ვითარდება — არც იმავე ადგილზე, არც მეტასტაზირების გზით. თანამედროვე ონკოლოგიის პრობლემებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა ანდრო ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის გენერალური დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რეზო გაგუა.**



— ონკოლოგია მთელ მსოფლიოში ურთულესი პრობლემაა იმის გამო, რომ ამ დაავადების სიხშირე დღითიდღე მატულობს და, შესაბამისად, სიკვდილიანობაც მაღალია, — **თქვა მან და ეს სასიკვდილო განაჩენივით მძიმე მოსასმენი იყო,** — სტატისტიკით დადასტურებულია, რომ მსოფლიოში ონკოლოგიური დაავადება დღეს დადგენილი აქვს 12 მილიონ ადამიანს, მათგან ერთი მილიონი კვდება.

**— ყოველწლიურად?**

— ყოველწლიურად.

**შეგზარავს კაცს ამის მოსმენა, მაგრამ უარესი, თურმე, წინაა:**

**— 2020 წლისთვის ონკოლოგიური ავადმყოფების რაოდენობა 16 მილიონამდე გაიზრდება და გაუსწრებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს, რომლებიც დღეს 14 მილიონ ადამიანს აწუხებს.**

**უსასოობა დაგჯაბნის „შავი სტატისტიკით“. ისინი კი ებრძვიან ამ უბედურებას, რადგან პროფესიული მოვალეობა და მისიაა მათი — თუ არა ონკოლოგები, მაშ, — ვინ?!**

**ამიტომ:**

— ონკოლოგიურ დაავადებებზე, მათ გამოვლენაზე, პროფილაქტიკაზე ფიქრი ერთობ აქტუალურია, — **ასეთია ბატონ რეზოს პრაგმატული მიდგომა სამწუხარო პერსპექტივისადმი, რომელშიც შერწყმულია მკურნალის უმაღლესი მიზანი და დანიშნულება — ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა.**

ეს — ზოგადად.

**— რა სურათია კერძოდ საქართველოში?**

— საქართველოში ყოველ წელს დაახლოებით 7 ათასი ონკოლოგიური ავადმყოფი ვლინდება და, საუბედუროდ, ნახევარზე მეტი გამოვლენის პირველსავე წელს იღუპება. ეს ძალიან ცუდი მაჩვენებელია და მიგვითითებს იმაზე, რომ ავთვისებიანი დაავადება აღმოჩენილი და დიაგნოსტირებულია იმ სტადიაში, როცა მკურნალობის ამჟამად არსებული მეთოდები ნაკლებად ეფექტიანია ან — უშედეგო.

**— ბატონო რეზო, ახლა რომ გკითხოთ, რისი ბრალია დაგვიანებული დიაგნოსტირება, თქვენ, ალბათ, მეტყვით, რომ ამის უპირველესი მიზეზი მოსახლეობის დაბალი ან არასათანადო სამედიცინო განათლებაა, სამედიცინო კულტურის უქონლობაა.**

— დიახ, ასე გიპასუხებთ, რადგან ეს ფაქტია და მსოფლიო პრაქტიკაც ამას ადასტურებს. ონკოლოგიურ დაავადებათა ზრდის ტენდენცია განვითარებადი ქვეყნების ხარჯზე ხდება, სადაც, დამეთანხმებით, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, კულტურა, ისევე, როგორც საერთო განათლება, დაბალია, ანუ ისეთივეა, როგორიც — მათი ცხოვრების დონე.

**— თქვენი დაწესებულების პაციენტებს რომ ვუყურებ, ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება შეექმნას კაცს, რომ ეს უფრო აღმოსავლური რასის დაავადებაა, იმდენად სჭარბობენ ავადმყოფთა შორის ჩვენი მეზობელი ქვეყნის ან ჩვენივე ქვეყნის ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები, მაგალითად, აზერბაიჯანელები.**

— არა, არა! ჩვენი მეზობელი ქვეყნები ამით განსაკუთრებით არ გამოირჩევა, არც ის ეროვნული უმცირესობანი, რომლებიც საქართველოს მოქალაქენი არიან. აზერბაიჯანელთა სიჭარბე კი აიხსნება ტრადიციით, როცა ჩვენთან სამკურნალოდ მოდიოდნენ და მოდიან არა მარტო მარნეულელი, გარდაბნელი და ა.შ. აზერბაიჯანელები, არამედ — თავად აზერბაიჯანიდანაც. რითაა ეს გამოწვეული, ამაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება, რადგან ბაქოშიც განათლებული, კარგი სპეციალისტები და მომზადებული ექიმები მუშაობენ.

**— გავრცელებულია შეხედულება, რომ ონკოლოგიური დაავადება, ანუ კიბო უმტკივნეულოდ იწყება და ამიტომაა, რომ ადამიანი ძალიან გვიან აქცევს მას ყურადღებას.**

— აგიხსნით. ონკოლოგიური დაავადება არის ორი ლოკალიზაციის: ვიზუალური, რომელსაც ვხედავთ და ხელითაც ვეხებით, და მეორე — ვისცერალური, ანუ შინაგანი ორგანოების.

**გარეგან სიმსივნეს პაციენტიც ადვილად ამჩნევს: კანზე რაღაც სიმსივნეს, კვანძოვან წარმონაქმნსაც სარძევე ჯირკვალზე, ასევე — კისერზე, სადაც ფარისებრი ჯირკვალია ლოკალიზებული და ა.შ. მით უფრო ადვილია ამის გარკვევა ექიმისთვის, იქნება იგი ონკოლოგი თუ ოჯახის ექიმი, რომელსაც ადრე უბნის ექიმს ვუწოდებდით.**

**რაც შეეხება ვისცერალური, ანუ შინაგანი ორგანოების სიმსივნეებს, მათ ერთი დამახასიათებელი ნიშანი არ გააჩნია.**

მაგალითად ავიღოთ ფილტვის კიბო, რომელსაც ახასიათებს ხველება, ნახველი, ნახველში — სისხლი, ზოგჯერ ტემპერატურის მომატება. ანალოგიური ჩივილები პაციენტს შეიძლება ჰქონდეს ტუბერკულოზის დროსაც, ფილტვების ანთების, ფილტვების აფსცესის დროსაც და ასე შემდეგ.

იგივე შეიძლება ვთქვათ ღვიძლის, კუჭის, ჰეპატიტების, გასტრიტის შემთხვევაშიც. თუ ამ დროს ყურადღებას მხოლოდ ამა თუ იმ სიმპტომზე გავამახვილებთ და ღრმად არ გამოვიკვლევთ ჩვენთვის საინტერესო ორგანოს, შეიძლება კიბო გაგვეპაროს.

ამიტომ, პირველ რიგში, უნდა გამოირიცხოს ონკოლოგიური დაავადებები, ამისთვის კი არსებობს რენტგენოლოგიური, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური გამოკვლევა. მაგრამ ამ შემთხვევაში დიაგნოზი მაინც საეჭვო იქნება მორფოლოგიური, ანუ მიკროსკოპული გამოკვლევის გარეშე.

ენდოსკოპია, ანუ სპეციალური აპარატურით შინაგანი ორგანოს გამოკვლევა საშუალებას გვაძლევს, არა მარტო დავათვალიეროთ ღრუ ორგანო, ანუ მოვახდინოთ მისი ვიზუალიზაცია, არამედ საეჭვო ადგილიდან მიკროსკოპული გამოკვლევისთვის ავიღოთ კიდეც ქსოვილი.

**— დასათესად?**

— დიახ, დასათესად. ხალხში ასეა გავრცელებული. როცა მორფოლოგიურადაც დადასტურდება დიაგნოზი, მხოლოდ მაშინაა იგი საბოლოო.

სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, მოკლედ გეტყვით, რომ ახლა ჩვენ, ექიმები, აღჭურვილი ვართ უმაღლესი ტექნოლოგიებით, რაც ონკოლოგიურ დიაგნოსტიკაში გვეხმარება. ესაა კომპიუტერული ტომოგრაფია, ელექტრო-მაგნიტური რეზონანსი და ასე შემდეგ.

ცალკე უნდა გამოვყო რადიოლოგია და მისი დანერგვის პიონერი, აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა, რომელმაც ევროპულ დონეზე დააყენა რადიოლოგიური დიაგნოსტიკა საქართველოში. თანაც არა მარტო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თვალსაზრისით, არამედ საკადრო პოლიტიკითაც.

**— კიბოს დიაგნოსტირებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიების დამკვიდრება აშკარაა. მაგრამ ამ** ▶

## 2020 წლისთვის ონკოლოგიური ავადმყოფების რაოდენობა მსოფლიოში 16 მილიონამდე გაიზრდება და გაუსწრებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს, რომლებიც დღეს 14 მილიონ ადამიანს აწუხებს

მსოფლიო

## «ფუკუსიმა 1»-ს დახურავენ

**იაპონიის პრემიერ-მინისტრი ნაოტო კანი ატომურ ელექტროსადგურ „ფუკუსიმა 1“-ის დახურვის ინიციატივით გამოვიდა.** პრემიერმა მომხდარ ავარიას 1986 წელს ჩერნობილში მომხდარის შემდეგ მსოფლიოში ყველაზე სერიოზული უწოდა. მისივე თქმით, აუცილებელია ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის გეგმა დასაწყისიდანვე გადაიხედოს. შეგახსენებთ, 11 მარტს მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის შედეგად ატომური ელექტროსადგურის გამაგრილებელი სისტემა დაზიანდა, რის გამოც სადგურზე რამდენიმე ავარია დაფიქსირდა.



## «ფუკუსიმა 1»-ის მფლობელმა ჰარაკირი ჩაიტარა

**უცხოურ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, იაპონიაში ატომურ ელექტროსადგურ „ფუკუსიმა 1“-ის მფლობელი კომპანიის ხელმძღვანელმა ჰარაკირი ჩაიტარა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.** მასატაკი შიმიძუ 13 მარტის პრესკონფერენციის შემდეგ არც სახლში გამოჩენილა და არც სამსახურში. ხსენებულ პრესკონფერენციაზე მან ავარიის საფრთხის გამო საზოგადოებას ბოდიში მოუხადა. ერთ-ერთი ვერსიით, შიმიძუს, შესაძლოა, ქვეყნის ტერიტორია დაეტოვებინა. იაპონიის ხელისუფლებამ, შესაძლოა, „ფუკუსიმა 1“-ის ნაციონალიზაცია მოახდინოს, რათა ავარიის შედეგების აღმოფხვრაზე დამოუკიდებლად იმუშაოს.

ონკოლოგიურ ცენტრში წელიწადში 30 ათას კაცს ვიკვლევთ, მაგრამ ყველას კიბო არ აქვს. მათგან 10 ათასს ვმკურნალობთ კიბოსგან, დანარჩენ 20 ათასს არ უდგინდება, არ ვმკურნალობთ. მაგრამ რახან პაციენტმა შემოაღო ონკოცენტრის კარი, ის ექიმბაში თუ შარლატანი თვლის, რომ მას კიბო ჰქონდა. როცა მოვთხოვე, მაჩვენეთ პაციენტის მორფოლოგიური, ანუ მიკროსკოპული გამოკვლევის ე. წ. დათესვის შედეგი, რითაც პაციენტს კიბო დაუდგინდა, უარს ამბობენ.

მედიცინა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**პროგრესმა ხომ არ შეიწირა ის ორგანიზაციული სისტემა, ქსელი, რომელიც უწინ ფუნქციონირებდა ქვეყანაში, მოიცავდა ქალაქებს, რაიონულ ცენტრებს, სოფლებსაც კი — განყოფილებების, პუნქტების სახით და ასე შემდეგ, და ამ ყველაფერს სათავეში ედგა თქვენი სამეცნიერო ცენტრი?**

— დიახ, იყო ონკოლოგიის სათავე დაწესებულება — ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრი, რომელსაც დღეს ეწოდება ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი; ამასთან ერთად, მისი განშტოებები — ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდის, თელავის ონკოლოგიური დისპანსერების სახით, გორის ონკოლოგიური განყოფილება. აღარაფერს ვამბობ ცხინვალსა და სოხუმზე. ამასთან ერთად, სხვადასხვა რაიონებსა და ქალაქებში ფუნქციონირებდა 98 ონკოლოგიური კაბინეტი. თითოეული მათგანი ვალდებული იყო თავ-თავიანთი სამოქმედო რეგიონის მიხედვით მოეწოდებინათ სათავო დაწესებულებისთვის შესაბამისი ინფორმაცია და სტატისტიკა.

**— და ამ მონაცემების პროფესიული ანალიზის საფუძველზე შესაბამისი ღონისძიებებიც ხორციელდებოდა.**

— დიახ, ამის საფუძველზე ტარდებოდა ეპიდემიოლოგიური კვლევები ჩვენი პროფილით, მეცნიერები ჩადიოდნენ ადგილებზე, აწყობდნენ სესიებს და ასე შემდეგ.

**— ახლა ეს სისტემა, ეს ერთიანი ქსელი აღარ არსებობს, როგორც ვიცი...**

— ანგარიშვალდებულება აღარ არსებობს, სათავო დაწესებულება თავის ფუნქციებს თანდათანობით კარგავს, რაც, ბუნებრივია, კარგი არ არის. თუმცა არც ის უნდა იყოს ცუდი, რომ ადგილობრივი დისპანსერები გადაკეთდა ცენტრებად, დამოუკიდებლად მუშაობენ. კოლეგიალური კავშირი მაინც რჩება.

ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა განვითარებულ ქვეყანაში არსებობს ონკოლოგიური ცენტრები.

**— ესე იგი, რაც გვქონდა, ის გავაუქმეთ, უკან გადავდგით ნაბიჯი?**

— მე ვფიქრობ, რომ ეს ფუნქცია აღდგება. უწინ ვალდებულება გვქონდა აღებული ორგანიზებული პროფილაქტიკური გასინჯვების, ვთქვათ, დიდ საწარმოებში. დღეს ასეთი რამ არ ხდება.

**— იმიტომ, რომ გადამხდელი არავინაა?**

— იმ პერიოდში ეს ხდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის დახმარებით, რადგან ხარჯი საგრძნობია: რენტგენოლოგიური, ენდოსკოპიური, ციტოლოგიური გამოკვლევები უფასო არ არის.

დღეს ორგანიზებულად დავდივართ მხოლოდ იმ რეგიონებში, სადაც ლტოლვილი მოსახლეობაა კომპაქტურად ჩასახლებული.

**— და ამით ამოიწურება მოსახლეობაში პროფილაქტიკური მუშაობა?**

— არა. ჩვენთან ჩამოყალიბებულია ონკოლოგიური პრევენციის ცენტრი, როგორც დამოუკიდებელი ერთეული (დირექტორი პროფ. რ. ღვამიჩავა), რომელიც პრევენციულ გამოკვლევებს ორი მიმართულებით ატარებს: ქალის სარძევე ჯირკვლის ადრეული დიაგნოსტიკისა და საშვილოსნოს ყელის კიბოს ადრეული დიაგნოსტიკის მიმართულებით.

აქვე იგეგმება წინამდებარე ჯირკვლის, პროსტატას რომ ვეძახით, მსხვილი და სწორი ნაწლავის კიბოს პროფილაქტიკური გამოკვლევები.

ამ საქმეს სათავეში უდგას ქალბატონი სანდრა-ელისაბედ რულოვსი.

**— რამდენად შედეგიანია ეს სიახლე?**

— ჩვენ უკვე მოგვმართავენ ის პაციენტები, ვისაც ამ ცენტრმა დაუდგინა კიბოთი დაავადება იმ სტადიაში, რისი განკურნებაც გარანტირებულია.

**— გარანტირებული განკურნების დაპირებას იძლევიან ე.წ. ხალხური მედიცინის გააქტიურებული წარმომადგენლები, ხალხიც იჯერებს და დგება რიგები მათ კარებთან. რა არის ეს, ბატონო რეზო?**

— უბედურებაა ეს! დავარქვათ ხალხური მედიცინა, განებავთ, — ექიმბაშობა, მე მაინც შარლატანობას ვუწოდებდი! მაშინ, როცა მთელი მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნები მილიარდებს ხარჯავს ონკოლოგიურ დაავადებათა ეფექტიანი სამკურნალო საშუალებების მისაღებად და ჯერ სასურველი შედეგი მიუღწეველია, ესენი ემალირებულ ქვაბებში რაღაც ბალახებს ხარშავენ და გვეუბნებიან, კიბოს ვარჩენთო.

**ჩეხეთის ელჩს — ივან იესტრაბს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის გენერალურმა დირექტორმა რეზო გაგუამ საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა და ოქროს მედლით დააჯილდოვა**



**(ცნობისთვის: ამერიკის შეერთებული შტატების ონკოლოგიური ცენტრის ბიუჯეტში მხოლოდ გამოკვლევებისთვის გათვალისწინებული თანხა რამდენიმე მილიარდი აშშ დოლარია).**

ასეთი განცხადებაც კი წავიკითხე ერთ-ერთ გაზეთში: ვკურნავ სწორი ნაწლავის სიმსივნეს დაჟინებითი მზერით (!). სხვა გაზეთიდან კი გავიგე, თითქოს საქართველოში ჩამოვიდნენ უცხოპლანეტელი ექიმები და კურნავენ ონკოლოგიურ პაციენტებს. ეს რომ საპირველაპრილო ხუმრობა არ იყო, თავად დავრწმუნდი. **წამიყვანეს ერთ-ერთ აზერბაიჯანელ ავადმყოფთან საკონსულტაციოდ თბილისის გარეუბანში. მიმიყვანეს ოჯახში და დიასახლისმა არ შემიშვა — მოვიდნენ ის უცხოპლანეტელები და შესვლა არ შეიძლებაო...**

**— „საქართველო და მსოფლიოსთვის" მიცემულ ინტერვიუში ბატონმა ფრიდონ თოდუამ თქვა, რომ მისი ყველა წინადადება „სახალხო მკურნალებთან" ერთობლივი კვლევის ჩატარების შესახებ, უპასუხოდ დარჩა. თქვენთან თუ მოსულან ისინი?**

— მოდიან, მაგრამ მას შემდეგ, რაც შევთავაზებ იმას, რასაც ახლა გეტყვით, აღარ ბრუნდებიან. მე ვეუბნები, რომ მოხარული ვარ, როცა ქართველი კაცი მუშაობს კიბოს პრობლემაზე, ვინ იცის, შეიძლება მოხდეს ისე, რომ საიდუმლოება ძალიან მარტივად გაიხსნას. მოდით, ვიმუშაოთ ერთად, გამოგიყოფთ N რაოდენობით პაციენტებს, ვაწარმოოთ ერთობლივი დაკვირვება ერთიანი ოქმით — დავაკვირდეთ, აღვრიცხოთ, შევისწავლოთ მეცნიერულად. შევაფასოთ და ერთობლივი ობიექტური დასკვნა დავდოთ.

არ მოდიან.

**— სამაგიეროდ მათთან მიდიან ონკოლოგიური ავადმყოფები.**

— აი, ახლა გავარკვიოთ ონკოლოგიური ავადმყოფების საკითხი. ონკოლოგიურ ცენტრში წელიწადში 30 ათას კაცს ვიკვლევთ, მაგრამ ყველას კიბო არ აქვს. მათგან 10 ათასს ვმკურნალობთ კიბოსგან, დანარჩენ 20 ათასს არ უდგინდება, არ ვმკურნალობთ. მაგრამ რახან პაციენტმა შემოაღო ონკოცენტრის კარი, ის ექიმბაში თუ შარლატანი თვლის, რომ მას კიბო ჰქონდა. როცა მოვთხოვე, მაჩვენეთ პაციენტის მორფოლოგიური, ანუ მიკროსკოპული გამოკვლევის ე. წ. დათესვის შედეგი, რითაც პაციენტს კიბო დაუდგინდა, უარს ამბობენ.

**ექიმბაშები გვარწმუნებენ, რომ მათი მეთოდით პაციენტებს იმუნიტეტს უძლიერებენ. არავინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ ამ დროს სიმსივნურ უჯრედს არ აძლევ გამრავლების სტიმულს!** იმუნოთერაპია მთელ მსოფლიოში ჯერ არ არის აღიარებული, როგორც კიბოს მკურნალობის მონო საშუალება. შეიძლება ეს მეთოდი გამოვიყენოთ ქიმიოთერაპიასთან ერთად, შეიძლება სხივურ თერაპიასთან ერთად ან ქირურგიასთან კომბინაციაში.

**— ონკოლოგიის სკოლაზე, მინდა, გთხოვოთ ორიოდ სიტყვის თქმა.**

— მისი ფუძემდებელია კონსტანტინე ვეფხვაძე. ცნობილი სახელებიდან, უპირველეს ყოვლისა, დაგისახელებთ ლუარსაბ შარაშიძეს, რომელმაც სამეცნიერო მიმართულება მისცა ონკოლოგიის ცენტრს, და ანდრო ღვამიჩავას; შემდგომ — რეზო ვეფხვაძეს, ცნობილ რადიოლოგს. ონკოლოგიის სამსახურს შარშანწინ 60 წელი შეუსრულდა. ჩვენი ცენტრი დღეს ინტელექტუალური დაწესებულებაა. აქ მუშაობს 20-ზე მეტი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, 60-ზე მეტი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, სახელმწიფო პრემიის რვა ლაურეატი, ჩვენი კოლეგები არაერთი საერთაშორისო ასოციაციისა და სამეცნიერო ორგანიზაციის წევრები არიან.

ბარემ იმასაც გეტყვით, რომ მე და ჩემი გუნდი წარდგენილები ვართ ეროვნულ პრემიაზე. ჩვენი შრომები თავმოყრილია ორ მონოგრაფიაში: „ორგანოს შემანაცვლებელი ოპერაციები ფილტვის ადგილობრივად გავრცელებული კიბოს დროს"; მეორე მონოგრაფია ეძღვნება ტრაქეის რეკონსტრუქციულ-აღდგენით ოპერაციებს.

**— შეიძლება უფრო დაწვრილებით ამათ შესახებ?**

— სპეციფიკური ტერმინოლოგიით რომ არ გადაგტვირთოთ, მოკლედ გეტყვით: ბევრ სიახლეს ვთავაზობთ სამედიცინო საზოგადოებას, როგორც ქირურგიული ტექნიკის, ასევე პრაქტიკული გამოსავლის სახით. უწინ იმიტომ, რომ პაციენტი ვერ აიტანდა მთლიანად ორგანოს ამოკვეთას, მას ოპერაცია არ უკეთდებოდა დაბალი ფუნქციური მაჩვენებლების გამო. ჩვენ შევიმუშავეთ ისეთი ტექნოლოგია, როცა მთლიანად ორგანოს კი არ ვიღებთ, არამედ ნაწილს და დარჩენილ ნაწილს ვუნარჩუნებთ მის ფუნქციას. ამით იზრდება ოპერაბელობის პროცენტი, შესაბამისად, შედეგიც უკეთესია.

**— ეს ყველაფერი თქვენი პრაქტიკითაა დადასტურებული?**

— მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ მასალებზე დაყრდნობით! სხვა კლინიკების მასალები არ გამოგვიყენებია. ყველაფერი დაპატენტებულია და საავტორო უფლებებიც დადასტურებული გვაქვს.

* * *

**ბატონი რეზო მიიჩნევს, რომ ეროვნული პრემიის მოპოვება, რა თქმა უნდა, დიდი პატივია, მაგრამ თვითმიზანი არ არის. მთავარი მისთვის და მისი სამეცნიერო კოლექტივისთვის ის შედეგია, რომელიც უთუოდ მოჰყვება მათ მიერ შემუშავებული მეთოდის დანერგვას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ონკოდაავადებათა მკურნალობის უძნელეს საქმეში: ვინძლო შემცირდეს ის ტრაგიკული თანაფარდობა, რომლის მიხედვით კიბოთი დაავადებულთა ნახევარზე მეტი გამოვლენის პირველსავე წელს იღუპება.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**ექიმბაშები გვარწმუნებენ, რომ მათი მეთოდით პაციენტებს იმუნიტეტს უძლიერებენ. არავინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ ამ დროს სიმსივნურ უჯრედს არ აძლევ გამრავლების სტიმულს!**

## [illegible]



**ლევან ალექსიძე, საერთაშორისო სამართლის ექსპერტი**

ქართულმა მხარემ გაეროს საერთაშორისო სასამართლოში სარჩელი ნაჩქარევად, 2008 წლის 12 აგვისტოს შეიტანა. საერთაშორისო სასამართლო ისეთი ორგანოა, რომელიც წლების მანძილზე იხილავს საქმეებს... ქართულმა მხარემ გაეროს საერთაშორისო სასამართლოში საქმე სარჩელის არასწორად შეტანის გამო წააგო... როდესაც ქვეყნის ინტერესები საფრთხის წინაშე დგას, არ შეიძლება გადაწყვეტილებები არაკომპეტენტურმა ჩინოვნიკმა მიიღოს.

*„ინტერპრესნიუსი"*



**გია ბურჯანაძე, შეფიცულთა რაზმის ხელმძღვანელი:**

როცა ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, მათ შორის ანა კალანდაძემ და ოთარ ჭილაძემ ერთ-ერთი პატიმრის შეწყალება ითხოვეს, მიშა სააკაშვილმა თქვა, ალბათ, ხაჭაპურები მიუტანესო. ეს სახელები ქართველ ერს არასოდეს დაავიწყდება, მიშა კი იმით თუ გაახსენდებათ, რომ საკუთარ ხალხს ესროლა.

*„ყველა სიახლე"*



**გია ცაგარეიშვილი, ოპოზიციონერი დეპუტატი:**

პრეზიდენტი კრიზისის წინ ქმნის ორგანოს, სადაც მართვის ყველა ინსტრუმენტი თავმოყრილი იქნება იმ ადამიანის ხელში, რომელსაც ენდობა. იმ ხმების მიუხედავად, რომელიც ბოკერიას გაოპოზიციონერების შესახებ ვრცელდება, დარწმუნებული ვარ, რომ ბოკერია სააკაშვილის საყრდენი ფიგურაა.

*„ალია"*



**გუბაზ სანიკიძე, „ეროვნული ფორუმის" ლიდერი:**

ხელისუფლება წაუგებელი თამაშის თამაშს ცდილობს და ორი ვარიანტი აქვს: ან საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მიმდინარე პროცესი 2012 წლამდე გადააგოროს, ან თუ ეს ვერ მოახერხა, აქ რუსები შემოუშვას, თავად გაიქცეს და მოპარული ფული თან წაიღოს. ასე რომ, ჭკუით უნდა ვიმოქმედოთ.

*„პირველი"*

მოკლედ

## იაპონიაში მსხვერპლთა რაოდენობა იზრდება

**ოფიციალური მონაცემებით, იაპონიაში 11 მარტს მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის მსხვერპლთა რაოდენობამ 11400-ს გადააჭარბა. ამ დრომდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება 16273 ადამიანი. სულ დაკარგულთა და დაღუპულთა რაოდენობა 28 ათასს აღწევს.** მიწისძვრის შედეგად ატომურ ელექტროსადგურ „ფუკუსიმა 1"-ზე ავარიების სერია დაფიქსირდა, რის შედეგადაც რადიოაქტიური ნარჩენები, მათ შორის, ცეზიუმი და იოდი აღმოჩენილია როგორც ზღვის, ასევე სასმელ წყალსა და საკვებ პროდუქტში.




## აშშ-ში რძეში რადიაცია აღმოაჩინეს

**აშშ-ის გარემოს დაცვის სააგენტო და საკვები პროდუქტებისა და წამლების ხარისხის მართვის განყოფილება აცხადებს, რომ ვაშინგტონის შტატში რძეში რადიაციული იოდის კვალი აღმოაჩინეს.** მიუხედავად იმისა, რომ რადიაციის უმნიშვნელო დოზა საკვებ პროდუქტში შეიძლება ბუნებრივი გზითაც მოხვდეს, იოდ-131 რძეში ბუნებრივად არ უნდა მოხვედრილიყო. დაფიქსირებული დოზა საგანგაშო არ არის.

არსენალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



რიგითმა ჰოლმსმა პოზირება დაიწყო, გარდაცვლილს თმაში ხელი წაავლო და მისი თავი აწია, თითქოს ის მის მიერ მოკლული ცხოველი იყო. სერჟანტმა კელვინ გიბსმა კი, როგორც გამოძიებამ დაადგინა, „გვამით თამაში დაიწყო, მის პირსა და ხელებს ამოძრავებდა ისე, თითქოს ის თოჯინა იყო, შემდეგ თითები მოაჭრა და ჰოლმსს გაუწოდა“. რამდენიმე საათის შემდეგ ჰოლმსი და მორლოკი კარტს ფულის ნაცვლად ამ თითებზე თამაშობდნენ.

## მოკლედ

### ბრიტანეთში მფრინავების დეფიციტია



**დიდი ბრიტანეთი მრავალმიზნობრივი გამანადგურებლების — „Eurofighter Typhoon“-ის პილოტების მწვავე ნაკლებობას განიცდის, — წერს „The Telegraph“-ი.** იმისათვის, რომ ლიბიის ოპერაციაში მოქმედი ესკადრილია (18 თვითმფრინავი) მფრინავებით დაკომპლექტებულიყო, საჭირო გახდა საავიაციო სასწავლებლის ინსტრუქტორების გაწვევა. სულ ბრიტანეთს, ინსტრუქტორების ჩათვლით, „Typhoon“-ის 69 პილოტი ჰყავს, მათ შორის 24 ბრიტანეთის საჰაერო სივრცეს იცავს, 12 კი ფოლკლენდის კუნძულებზეა.

### «ГРАД»-ს მემკვიდრე გამოუჩნდა



**რუსეთის არმია ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების „Торнадо-Г“-ს პირველ პარტიას მიიღებს. ის „Град“-ს ეტაპობრივად ჩაანაცვლებს.** მისი მახასიათებლები გასაიდუმლოებულია. სავარაუდოდ, ის ბიკალიბრულია (122 მმ. და 300 მმ.) და „МАЗ-543М“-ის პლატფორმაზე დამონტაჟდა. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის — სერგეი ვლასოვის თქმით, „ჭურვების ეფექტურობა გაზრდილია, ხოლო დამიზნებისა და ნავიგაციის სისტემები — ავტომატიზებული, რაც ავტონომიური მოქმედების შესაძლებლობას იძლევა“.

### აზერბაიჯანი არტილერიას აძლიერებს



**აზერბაიჯანს თურქეთისგან თვითმავალი საარტილერიო დანადგარების — „T-155 Firtina“-ს შეძენა სურს. „APA“-ს ცნობით, კონტრაქტს ხელი, სავარაუდოდ, წლის ბოლომდე მოეწერება.** „Firtina“ სამხრეთკორეული „K9“-ს თურქულ ვარიანტს წარმოადგენს. საბრძოლო მასა — 56 ტონა, სიჩქარე — 66 კმ/სთ, სვლის მარაგი — 480 კმ., ქვემეხი — 155 მმ. „L52, სროლის სიშორე — 40 კილომეტრამდე, ეკიპაჟი — 5, დამხმარე შეიარაღება — 12,7 მმ. ტყვიამფრქვევი.

### თურქები ამერიკელებს არ ენდობიან



**თურქეთმა შეაჩერა მოლაპარაკებები აშშ-თან 100 მრავალმიზნობრივი გამანადგურებლ „F-35 Lightning II“-ის შეძენის შესახებ.** იმის გამო, რომ ამერიკული მხარე თვითმფრინავის მართვის პროგრამული კოდების გადაცემაზე უარს აცხადებს, იგივე პრობლემა სხვა შემკვეთ ქვეყნებს, მათ შორის დიდ ბრიტანეთს, შეექმნა. აშშ-თურქეთის 16-მილიარდიან გარიგებას სერიოზული საფრთხე დაემუქრა, — წერს „Defense Aerospace“.

# ამერიკელი სამხედროები ავღანეთში ადამიანობას კარგავენ

**ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად სიამაყით აცხადებენ, რომ ჩვენი სამხედროები ავღანეთში, ისევე, როგორც ადრე ერაყში, ამერიკელი კოლეგებისგან სასარგებლო ცოდნას იძენენ, რაც საქართველოს დაცვაში დაეხმარებათ. ის, რომ კოლონიური ომებისთვის დამახასიათებელი ნახევრად-საპოლიციო ტაქტიკა 2008 წლის აგვისტოში არაფერში გამოგვადგა, ყველამ ერთად ვიხილეთ. აგრეთვე, ცხადია ისიც, რომ საქართველოს არც ერთი პოტენციური მოწინააღმდეგე თალიბების ტაქტიკას არ მიმართავს და უახლოეს მომავალში ამის გაკეთებას არ აპირებს. თუმცა ჩვენ რატომღაც ჯიუტად განვაგრძობთ კონტრ-პარტიზანული (თანაც ავღანურ სპეციფიკაზე ორიენტირებული) უნარ-ჩვევების დაუფლებას. მაგრამ ტაქტიკით ყველაფერი როდი შემოიფარგლება. იმ მკითხველს, რომელიც ჟურნალ „Rolling Stone“-ის მიერ ჩატარებულ ჟურნალისტურ გამოძიებას გაეცნო, ალბათ, გაუჩნდა მყარი ეჭვი, რომ ამერიკელ სამხედროებთან ახლო შეხება ჩვენი ჯარისკაცებისთვის არა მხოლოდ ნაკლებად სასარგებლოა, არამედ, უბრალოდ, — საშიშიც.**





თავიდანვე აღვნიშნოთ, რომ ომი ბალეტი არ არის და საბრძოლო მოქმედებების ზონაში ხშირად ენითაუწერელი სისასტიკის ფაქტები ხდება. თუმცა, ალბათ, მაინც არ არსებობს რაღაც ზღვარი, რაც გამწარებული ადამიანის სისასტიკეს არაადამიანობისგან გამიჯნავს. ამერიკელი სამხედროების ნაწილმა ავღანეთში ამ ზღვარს, როგორც ჩანს, უკვე გადააბიჯა.

**„Rolling Stone“-ი დაწვრილებით აღწერს 15 წლის ავღანელი გლეხის — გულ მუდინის მკვლელობას. იგი ყანაში მარტო მუშაობდა, იარაღი არ ჰქონდა და, ამერიკელი ჯარისკაცების ჩვენებების თანახმად, „მტრულად“ ნამდვილად არ უყურებდა. გულ მუდინი უსიტყვოდ დაემორჩილა ამერიკული პატრულის ბრძანებას — ჯერ მათკენ წამოსულიყო, შემდეგ კი შეჩერებულიყო. ამ დროს რიგითმა ჯერემი მორლოკმა მას ხელყუმბარა ესროლა და რიგით ენდრიუ ჰოლმსთან ერთად ცეცხლი გაუხსნა.**

უნდა ითქვას, რომ მსგავსი ტრაგიკული შემთხვევები ომში, სამწუხაროდ, ხდება, სამხედროები მუდმივ სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებიან და გამორიცხული არაა, რომელიმე მათგანს რაღაც მოეჩვენოს. თუმცა იმას, რაც მას შემდეგ მოხდა, არც ერთი ნორმალური სამხედრო არ გააკეთებს. კაპიტანმა პატრიკ მიტჩელმა მაშინვე ეჭვი შეიტანა იმაში, რომ ერთადერთმა „თალიბმა“ მთელ ოცეულს ერთი ხელყუმბარით შეუტია, როგორც ამას მორლოკი ამტკიცებდა, იქვე მყოფმა რიგითმა ემტონმა კი მაშინვე თქვა, რომ ეს ჩვეულებრივი მკვლელობა იყო. შემთხვევის ადგილას დალუპულის მამა მივიდა.

შემდეგ პროტოკოლის შედგენისთვის გულ მუდინს ტანსაცმელი გახადეს და გვამი დაათვალიერეს. ამ დროს **რიგითმა ჰოლმსმა პოზირება დაიწყო, გარდაცვლილს თმაში ხელი წაავლო და მისი თავი აწია, თითქოს ის მის მიერ მოკლული ცხოველი იყო. სერჟანტმა კელვინ გიბსმა კი, როგორც გამოძიებამ დაადგინა, „გვამით თამაში დაიწყო, მის პირსა და ხელებს ამოძრავებდა ისე, თითქოს ის თოჯინა იყო, შემდეგ თითები მოაჭრა და ჰოლმსს გაუწოდა“.**

რამდენიმე საათის შემდეგ ჰოლმსი და მორლოკი კარტს ფულის ნაცვლად ამ თითებზე თამაშობდნენ.

ალბათ, არავის გაუკვირდება, რომ ახლო მომავალში „თალიბანი“ იმ სოფლიდან, სადაც ეს მოხდა, მოხალისეთა სერიოზულ შევსებას მიიღებს, მაგრამ ჩვენ სხვა რამ გვაინტერესებს — **გვინდა თუ არა, რომ ჩვენმა სამხედროებმა ამერიკელებისგან ასეთი „ომის წარმოება“ ისწავლონ?**

„Rolling Stone“-ის სტატიაში სხვა, არანაკლებ ამაზრზენი, ფაქტებია მოყვანილი; ხაზგასმულია, რომ **ვიდეოებს, სადაც ავღანელების დასახიჩრებული გვამებია აღბეჭდილი, ამერიკელი სამხედროები მუსიკას ადებდნენ და საგულდაგულოდ ინახავდნენ თავიანთ ტელეფონებსა და პერსონალურ კომპიუტერებში**. გამოცემა, აგრეთვე, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ **ამერიკელი სამხედროები ავღანელებს აგდებულად, რასისტული ქვეტექსტით, როგორც „ველურებს“ მოიხსენიებდნენ.**

პენტაგონმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რათა გავიგოთ, როგორ მოხდა ეს, რატომ მოხდა და რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მსგავსი რამ არ განმეორდეს“.

თუმცა ნუ წარმოვიდგენთ, რომ ეს რამდენიმე ათეული ჯარისკაცის „გაგიჟების“ შედეგია (გვამებისთვის თავების და კიდურების მოჭრა), ისევე, როგორც **ზოოლოგიური რასიზმი აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში არცთუ ახალი და საკმაოდ ფართოდ გავრცელებული ტრადიციაა.**

1944 წლის 22 მაისს ჟურნალ „Life-ში გამოქვეყნდა ფოტო, სადაც აღბეჭდილია ახალგაზრდა ქალი, რომელიც წერილს სწერს თავის შეყვარებულს, სამხედროს, რომელმაც იაპონელი ჯარისკაცის თავის ქალა გამოუგზავნა წარწერით „კარგი იაპონელი — მკვდარი იაპონელია“ (გამოყენებულია კნინობითი ფორმა „Jap). თავის ქალა იქვე მაგიდაზე დევს. მსგავსი ფოტოები სხვა გამოცემებში იბეჭდებოდა. **იაპონელი ჯარისკაცების ძვლებისგან კი საკანცელარიო ნივთებს ამზადებდნენ. 1944 წლის 13 ივნისს კონგრესმენმა ფრენსის უოლტერმა პრეზიდენტ რუზველტს საჩუქრად გაუგზავნა იაპონელი ჯარისკაცის ხელის ძვლისგან დამზადებული ქაღალდის საჭრელი დანა** (პრეზიდენტმა საჩუქარი არ მიიღო). რაც მთავარია, ეს არ იყო, ცალკეული, ფაქტები. **როდესაც 1984 წელს მარიანის კუნძულებზე იაპონელი ჯარისკაცების საფლავები გახსნეს, აღმოჩნდა, რომ ჩონჩხების 60%-ს თავის ქალა არ ჰქონდა.**

იაპონიის არმია გადამეტებული ჰუმანიზმით ნამდვილად არ გამოირჩეოდა. თავებს მტრებს იაპონელებიც აჭრიდნენ (თუმცა — ცოცხლებს და არა მკვდრებს), მაგრამ ამერიკელები, მათგან განსხვავებით, თითქოსდა ქრისტიანული ცივილიზაციის წიაღიდან და ევროპის სამხედრო ტრადიციიდან მოდიოდნენ, რომელიც გვამებთან ასეთ მოპყრობას ნამდვილად არ ითვალისწინებს.

აქ, ალბათ, მნიშვნელოვანია, ხაზი რასიზმის ფაქტორს გავუსვათ. მსგავს ექსცესებს მეორე მსოფლიო ომის დროს ევროპაში მყოფი ამერიკელების მხრიდან ადგილი არ ჰქონდა. იქ, ინდიელთა ტრადიციის თანახმად, სკალპი მხოლოდ რამდენიმე გერმანელს ახადეს. **იაპონელებს კი, გერმანელებისგან განსხვავებით, ამერიკელი სამხედროების დიდი ნაწილი სრულყოფილ ადამიანებად არ თვლიდა და შესაბამისად მოქმედებდა. გვამებისთვის ნაწილების მოჭრის ტრადიცია ვიეტნამში გაგრძელდა (ეს ცალკე ვრცელი თემაა); ახლა კი — უკვე ავღანეთში.**

როგორც ჩანს, **ამერიკელი სამხედროების გვერდით ყოფნას ჩვენი სამხედროებისთვის არა მხოლოდ საეჭვო სარგებელი მოაქვს სამხედრო მომზადების თვალსაზრისით, არამედ ის, უბრალოდ, საშიშია; დეჰუმანიზებულ მოკავშირესთან კონტაქტი კარგს, ალბათ, არაფერს მოიტანს.**





**საბრძოლო მოქმედებების წარმოებას ართულებს ქარი, რომელიც სამხრეთიდან და სამხრეთ დასავლეთიდან უბერავს. მისმა სიჩქარემ შეიძლება 20-25 მ/წმ მიაღწიოს, მას უდაბნოდან სანაპირო ზოლისკენ ქვიშა და ცხელი ჰაერის მასები გადმოაქვს, რომელთა ტემპერატურა 50 გრადუსს აღწევს. ეს ავიაციის მოქმედებას მეტად ართულებს. ეს ფაქტორი გასულ პარასკევს კინაღამ გახდა საფრანგეთის ფლოტის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული მარცხის მიზეზი.**

არსენალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# რატომ არის ძნელი ლიბიაში ომის წარმოება?

**გასულ კვირას ლიბიაში მუამარ კადაფისა და მეამბოხეების ძალები ისეთი სისწრაფით მიმოიცვლიდნენ უზარმაზარ ტერიტორიაზე ქალაქ სირტსა და ბენგაზის შორის, თითქოს საქმე არა ომთან, არამედ „პარიზი-დაკარის“ საავტომობილო რალისთან გვქონდა. ქალაქები ხელიდან ხელში გადადიოდა და მათ შენარჩუნებას ვერც ერთი მხარე ვერ ახერხებდა. ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა.**

ლიბია, სამხედრო თვალსაზრისით, უნიკალური ტერიტორიაა: სანაპირო ზოლში მაგისტრალური ტრასაა, რომლის სამხრეთით უკიდეგანო უდაბნო მდებარეობს. ამ ტრასის გაყოლებაზე, ზღვის პირას მდებარე დასახლებული პუნქტები ერთმანეთს ასეულობით კილომეტრითაა დაშორებული, მათ შორის კი მეტწილად სრული სიცარიელეა. **მანევრული ომის წარმოება ამ პირობებში ძნელია, რადგან მანევრი უდაბნოში უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს. თუმცა შეუძლებელია პოზიციური ომის წარმოებაც, ამ სიტყვის კლასიკური, ევროპული გაგებით,** რადგან ნებისმიერ თავდაცვით ზღუდეს, ფიქსირებულ პოზიციას სამხრეთიდან, უდაბნოს მხრიდან შეიძლება გვერდი აუარო; ხოლო ის მხარე, რომელიც შეეცდება, თავდაცვითი პოზიციები მაქსიმალურად სამხრეთით დააგრძელოს, ადრე თუ გვიან, ძალთა დაქსაქსვის პრობლემის წინაშე აღმოჩნდება. ეს მეორე მსოფლიო ომის დროს საკუთარ თავზე გამოსცადეს იტალიელებმა, როდესაც მათ ბრიტანელები უტევდნენ, შემდეგ კი — თავად ბრიტანელებმა, როდესაც ერვინ რომელის „აფრიკული კორპუსი“ დაარცხრა.

ამ უნიკალურ პირობებში, ომიც უნიკალურია: არ არსებობს ფრონტი, საბოლოო ჯამში, არ არსებობს ერთიანი ბრძოლის ველი. სახეზეა მხოლოდ ცალკეული საყრდენი პუნქტები, რომელთა შენარჩუნება, ერთის მხრივ, ძალზე ძნელია, მაგრამ მეორეს მხრივ, ერთ-ერთი მათგანის აღება, დიდი მანძილების გამო, მომდევნო საყრდენი პუნქტის ბედზე გავლენას, პრაქტიკულად, არ ახდენს. საბრძოლო მოქმედებების ზოგადი მონახაზი ასეთია: **ერთ-ერთი მხარე სარგებლობს რა თავისი უპირატესობით ტექნიკასა და ავიაციაში, მაგისტრალურ ტრასაზე და მის უშუალო სიახლოვეს მოწინააღმდეგეს „აწვება“ და წინ მიიწევს. წინსვლის პროცესში ის იფიტება, შორდება თავის ბაზებს, მისი კომუნიკაციები იწელება, ჩნდება ლოგისტიკასთან და მართვასთან დაკავშირებული პრობლემები, რომელიც რაღაც მომენტში გადაულახავი ხდება, ამასობაში, მოწინააღმდეგე ძლებს იკრებს და აბსოლუტურად იმავეს იმეორებს.** მეორე მსოფლიო ომში მოვლენები მსგავსი სცენარით სამი წლის განმავლობაში ხუთჯერ განვითარდა, წელს კი — უკვე ორჯერ.

**ყველაზე ადეკვატური ტექნიკა ამ ომისთვის აღმოჩნდა არა ტანკი, რომლებსაც კადაფი ათწლეულების განმავლობაში აგროვებდა** (დღეს მათი მასირებული გამოყენება მეტად საშიშია ჰაერში კოალიციის ავიაციის სრული ბატონობის გამო), **არამედ ჯიპი მასზე დამონტაჟებული მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევით, საზენიტო დანადგარით ან მსუბუქი ქვემეხით.** ამ ჯიპებზე ამხედრებული რაზმები ერთმანეთს მაგისტრალურ ტრასაზე და მის სიახლოვეს დასდევენ, სირტსა და ბენგაზის შორის, სადაც ლიბიის „სანავთობო გული“ მდებარეობს. ნავთობსადენები სამხრეთ ლიბიიდან პორტების ტერმინალებს სწორედ ამ ზონაში უერთდება.



**ყველაზე ადეკვატური ტექნიკა ამ ომისთვის აღმოჩნდა არა ტანკი, არამედ ჯიპი მასზე დამონტაჟებული მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევით, საზენიტო დანადგარით ან მსუბუქი ქვემეხით.**



**საბრძოლო მოქმედებების წარმოებას ართულებს ქარი, რომელიც სამხრეთიდან და სამხრეთ დასავლეთიდან უბერავს** (ადგილობრივი სახელწოდება „ჯიბლი“, საერთო სახელწოდება ხმელთაშუა ზღვის რეგიონში „სიროკოა“). **მისმა სიჩქარემ შეიძლება 20-25 მ/წმ მიაღწიოს, მათ უდაბნოდან სანაპირო ზოლისკენ ქვიშა და ცხელი ჰაერის მასები გადმოაქვს, რომელთა ტემპერატურა 50 გრადუსს აღწევს. ეს ავიაციის მოქმედებას მეტად ართულებს. ეს ფაქტორი გასულ პარასკევს კინაღამ გახდა საფრანგეთის ფლოტის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული მარცხის მიზეზი.**

როგორც ცნობილია, ზღვიდან ლიბიას 30-მდე ხომალდი ბლოკავს, რომელთაგან სამი აღჭურვილია საბრძოლო მართვის საინფორმაციო სისტემით „Aegis-ი, ესენია სარაკეტო კრეისერები „CG Anzio“, „CG61 Monterey და საესკადრო ნაღმოსანი „DDG 76 Higgins. ამ ხომალდების შეიარაღებაშია მართვადი საზენიტო რაკეტები „RIM-156A და „RIM-161A“, რაც უზრუნველყოფს საიმედო საზენიტო „ქოლგას“ 500 კილომეტრის რადიუსში, თანამედროვე ავიაციისთვის ხელმისაწვდომ ყველა სიმაღლეზე. ამასთანავე, არის მეორე, 100 კილომეტრის რადიუსის „ქოლგაც“, რომელსაც „La Fayette“-ს კლასის ფრანგული ფრეგატები უზრუნველყოფს, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებით „Sylver“-ი (რაკეტები „Aster-30“). **თეორიულად იმ ზონაში, რომელსაც ეს ხომალდები აკონტროლებენ, ჩიტიც არ უნდა შემოფრენილიყო, მაგრამ რეალური ომი თეორიის მუდმივ კორექტირებას ახდენს.**

კოალიციის ოფიციალური წყაროებს ეს ცნობები ჯერაც არ დაუდასტურებია, თუმცა, როგორც ჩანს, გასულ პარასკევს შემდეგი რამ მოხდა: **ხუთშაბათს საღამოს კოალიციის სარდლობამ ჩათვალა, რომ მეტეოროლოგიური პირობები ფრენას შეუძლებელს ხდის და პარასკევს დილით ჰაერში არ იმყოფებოდა არც შორი რადიოსალოკაციო აღმოჩენის თვითმფრინავები და არც გამანადგურებლები; ხომალდების რადიოსალოკაციო სადგურებმა კი ძალიან გვიან აღმოაჩინეს, რომ ტრიპოლის ბაზიდან აფრენილმა ორმა ლიბიურმა „МиГ-23“-მა ავიამზიდ „შარლ დე გოლის“ გარშემო თავმოყრილი ესკადრის ორდერის ცენტრში გარღვევა მოახერხა. ეს ფრანგი მეზღვაურებისთვის უაღრესად დრამატული მომენტი იყო. იმ შემთხვევაში, თუ ლიბიური თვითმფრინავები ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებით იქნებოდა აღჭურვილი, ამ ისტორიას ძალიან ცუდი დასასრული ექნებოდა. მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა და მხოლოდ დემონსტრაციით შემოიფარგლა; არც ერთ მხარეს ცეცხლი არ გაუხსნია.**

ნაკლებად სავარაუდოა, რომ კოალიციამ ეს ეპიზოდი ოფიციალურად აღიაროს, რადგან, მარტივად რომ ვთქვათ, ეს ფრანგი მეზღვაურებისთვის ძალიან დიდი სირცხვილია. თანაც ეს იყო არა მოდერნიზებული „МиГ-23-98“ (4+), რომელიც კადაფის არ ჰყავს, არამედ ჩვეულებრივი, ძველი მოდიფიკაციის „МиГ-23“-ები. მიუხედავად იმისა, რომ ამ თვითმფრინავის ადგილი თანამედროვე საჰაერო ბრძოლაში აღარ არის, როგორც ჩანს, რთული მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, ის ჯერ კიდევ ამაყად დაფრინავს. მეტიც, ისევე, როგორც ძველად, აიძულებს დასავლელ სამხედროებს, პატივისცემით მოეპყრონ.





## გამონათქვამები

**დიმიტრი მედვედევი,**
**რფ-ის პრეზიდენტი:**



ყველა ბოევიკი, რომელიც არ დაყრის იარაღს, განადგურდება. იატაკქვეშა ბანდების განადგურება უნდა გაგრძელდეს იმის გათვალისწინებით, რომ, სამწუხაროდ, კავკასიის მთელ რიგ რესპუბლიკებში კიდევ არსებობს პრობლემები და ისინი ამ მეთოდით უნდა მოგვარდეს. ამით უნდა დავკავდეთ და საქმე ბოლომდე მივიყვანოთ.

*rian.ru*

**ბაშარ ასადი,**
**სირიის პრეზიდენტი:**



სირია დიდი შეთქმულების წინაშე დგას. ამ შეთქმულების მიზანია სირიის განადგურება და ისრაელის გეგმების განხორციელების გზაზე უკანასკნელი წინააღმდეგობის თავიდან მოშორება. დარწმუნებული ვარ, რომ ეს შეთქმულება ჩავარდება, მაგრამ მისი განხორციელების მცდელობა კიდევ იქნება.

*rian.ru*

**ვლადიმერ პუტინი,**
**რფ-ის პრემიერ-მინისტრი:**



ეკოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით, რუსეთის ტერიტორიის დაახლოებით 15 პროცენტი კრიტიკულ მდგომარეობაშია. ბუნებაზე ანთროპოგენული ზემოქმედება იზრდება, ყველა რეგიონში უცვლელია წყლის, ჰაერისა და ნიადაგის დაბინძურების მდგომარეობა. უმოქმედობამ, შესაძლოა, შეუქცევადი შედეგები განაპირობოს.

*gzt.ru*

**სერგეი ლავროვი,**
**რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი:**



ლიბიაში ცეცხლის შეწყვეტა და მშვიდობიანი დიალოგის დაწყება საერთაშორისო საზოგადოების პრიორიტეტული ყურადღების ცენტრშია. რუსეთი ყოველთვის დაჟინებით ამტკიცებს, რომ სამოქალაქო მოსახლეობას შორის მსხვერპლის ზრდა დაუშვებელია. რუსეთი ლიბიელი ამბოხებულების შეიარაღების წინააღმდეგ გამოდის.

*russian.cri.cn*

**რობერტ გეიტსი,**
**აშშ-ის თავდაცვის მინისტრი:**



მუამარ კადაფს, მის მიერ გატარებული პოლიტიკისა და ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გამო საკუთარი ხალხი ჩამოაგდებს. აშშ-ის მსგავსად, მოკავშირეებმაც უნდა აღმოუჩინონ დახმარება ლიბიის ოპოზიციას და საწვრთნელ ბანაკებში გაწვრთნან.

*Газета.Ru*

არსენალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**პლაზმური იარაღი თავისთავად გეოფიზიკური იარაღის ერთ-ერთი სახეობაა. მისი მოქმედება მაღალენერგიული ელექტრომაგნიტური იმპულსის იონოსფეროში ფოკუსირებით ხორციელდება. ამის შედეგად წარმოიქმნება პლაზმოიდი — მაღალიონიზირებული გაზის ლოკალიზებული არე. ახურებს რა გაზს იონოსფეროში, პლაზმოიდი განაპირობებს დედამიწაზე იმ ხელოვნური მაგნიტური ქარიშხლების წარმოქმნას, რომელთა შედეგები ნავიგაციის სისტემებზე, ამინდსა და ადამიანების ფსიქიკურ მდგომარეობაზე აისახება.**

# HAARP — კლიმატური იარაღი, ანუ ამინდის გამოყენება სამხედრო მიზნებისთვის

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №10

**პირველად ამინდზე ხელოვნური ზემოქმედება 1946 წელს განხორციელდა. მაშინ ამერიკელმა ქიმიკოსმა ვინსტონ შატერმა თვითმფრინავიდან კილოგრამ-ნახევარი მშრალი ყინული გადმოყარა, რამაც თოვლის მოსვლა განაპირობა. ნალექების პროვოცირების მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ღრუბლებში თვითმფრინავის, რაკეტების ან ჭურვების საშუალებით იფანტება სპეციალური რეაგენტები — ვერცხლის, მშრალი ყინულის ან ჩვეულებრივი ცემენტის შენაერთები. ისინი იზიდავს სისველეს, რომელსაც ატმოსფერო შეიცავს, მძიმდება და შემდეგ წვიმის ან სველი თოვლის სახით მოდის. აშშ-ში 40-იანი წლების დასასრულს ნალექების ხელოვნურად გამოწვევის შესაძლებლობათა ნამდვილი ბუმი იყო. კომერციული ფირმები პირდაპირ სთავაზობდნენ ფერმერებს კლიმატურ მომსახურებას. ბუნებრივი სტიქიის კოლოსალური ძალა შეიძლებოდა მასობრივი განადგურების იარაღად ქცეულიყო.**



**ალექსეი ნიკოლაევი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, გეოფიზიკოსი:**

— ჩვენთან (სემიპალატინსკში) და ამერიკაში (მათ ბირთვულ პოლიგონ ნევადაზე) გამოცდები მიმდინარეობდა. მექსიკაში კი ძალზე ძლიერი მიწისძვრები ხდებოდა. ჩვენც და ამერიკაც, ძალზე მეგობრულად და შეთანხმებულად უარვყოფდით აღნიშნულ ცდებსა და მიწისძვრებს შორის რაიმე კავშირს; ამასთან, ვამტკიცებდით, რომ ეს შეუძლებელი იყო.



მანამდე გასაიდუმლოებული და 1991 წელს გამოაშკარავებული მონაცემების თანახმად, **უკლებლივ ყველა ბირთვული გამოცდის შემდეგ აფეთქების ადგილიდან ორი ათასამდე კილომეტრის დაშორებაზე მიწისძვრები ხდებოდა.** სარეგისტრაციო აპარატურა, რომელიც სემიპალატინსკის პოლიგონზე მონტაჟდებოდა, ხშირად უფრო ადრე გამოდიოდა მწყობრიდან, ვიდრე დარტყმის ტალღა მასთან მიაღწევდა. აღმოჩნდა, რომ **ბირთვული აფეთქებისას წარმოიშობოდა მძლავრი ელექტრომაგნიტური იმპულსი, რომელსაც მთელი ელექტრონული აპარატურა უმალ გამოჰყავდა მწყობრიდან.**



აკადემიკოსმა სახაროვმა არაბირთვული, ფეთქებადმაგნიტური გენერატორი გამოიგონა. ეს ელექტრომაგნიტური ბომბის წინამორბედი იყო. ენერგოგამოფრქვევა, პირველყოფილ სიმძლავრესთან შედარებით, ათასჯერ იზრდებოდა.



**ვლადიმერ ფორტოვი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ექსტრემალური მდგომარეობების სითბური ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი:**

— ელვა, რომელიც ასე აშინებს ადამიანებს და დიდ ნგრევასაც იწვევს, ამ გენერატორის მასშტაბებთან შედარებით ძალზე სუსტი რამაა, დაახლოებით ათი ათასჯერ სუსტი.

ფეთქებადმაგნიტური გენერატორის გამოყენებით შექმნილი პირველი ელექტრომაგნიტური ბომბები პირველად 1998 წელს ამერიკელებმა იუგოსლავიაში გამოიყენეს.



2003 წელს კი ამ ტიპის ბომბებით სცადეს ბაღდადის ტელეცენტრის მწყობრიდან გამოყვანა. 1984 წელს აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალებმა გამოუშვეს ნაშრომი „ლოკალური კონფლიქტები და თანამედროვე ტექნოლოგიები“. მასში შედიოდა სტატია „ბირთვული ელექტრომაგნიტური იარაღი ლოკალურ კონფლიქტებში“ და განხილული იყო ბირთვული იარაღის ზემძლავრი ელექტრომაგნიტური იმპულსების (ემი) გენერატორად გამოყენების საკითხი მოწინააღმდეგის ელექტრომაგნიტური მოწყობილობების მწყობრიდან გამოსაყვანად. ალტერნატივის სახით სტატიის ავტორი ნაკლებად ხისტი მეთოდის გამოყენების შესაძლებლობასაც განიხილავდა. ეს მეთოდი სიტუაციის უკეთესად გაკონტროლების საშუალებასაც იძლეოდა. აი რა იყო ნათქვამი ამ მეთოდის შესახებ: „ბირთვული ემი-მუხტები დამანგრეველი სიმძლავრის ელექტრომაგნიტური



იმპულსების შესაქმნელ ერთადერთ საშუალებას არ წარმოადგენენ. ელექტროკვების წყაროები, ელექტროენერგიის დამგროვებლები და მიკროტალღოვანი გამომსხივებლები უკვე მივიდნენ იმ ტექნოლოგიურ დონემდე, რომელზეც შესაძლებელია იმ სიმძლავრის ელექტრომაგნიტური იმპულსების გენერირება, რომელიც საკმარისი იქნება მაღალსიხშირიანი ელექტრომაგნიტური კომპონენტების მომხმარებელი მოწყობილობების დაზიანების ან მწყობრიდან გამოყვანისთვის. ამ დროს საჭირო არ იქნება მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება.“



**სერგეი შატოხინი, პოლიტოლოგი, გეოპოლიტიკური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე:**

— XXI საუკუნე უკვე სხვანაირი იქნება და ამიტომ ამერიკელები ობამას პრეზიდენტობის პერიოდში ძალზე უცნაური მშვიდობისმოყვარეობის დემონსტრირებას ახორციელებენ, რაც, ასევე, საეჭვოა. ისინი ბირთვულ იარაღს უსარგებლოსა და მოძველებულს უწოდებენ იმიტომ, რომ ამზადებენ უფრო ეფექტურ, უკეთესად შენიღბულ კლიმატურ იარაღს.



70-იან წლებში საბჭოთა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ **სეისმოპროვოკაციის მოწყობა სხვა მეთოდით შეიძლება — ელექტრონული გამოსხივების საშუალებით. ელექტრონული იმპულსი მხოლოდ სამი წამის განმავლობაში გრძელდება და 500 კილომეტრის რადიუსში მიწისძვრის პროვოცირება შეუძლია.** ასეთი გენერატორის დამონტაჟება შეიძლებოდა მოძრავ პლატფორმებზეც.



**ლეონიდ ივაშოვი, გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის პრეზიდენტი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, გენერალ-პოლკოვნიკი:**

— XX საუკუნის ბოლო ათწლეულის განმავლობაში ტარდებოდა უფრო ღრმა სისტემური კვლევები სამხედრო მიზნებისთვის კლიმატის გამოყენების მიმართულებით. უფრო მეტიც, **ახლა ამერიკელები რეალურად განიხილავენ კლიმატურ და ფსიქოტრონულ იარაღს, როგორც ბირთვული იარაღის, ანუ მასობრივი განადგურების ყოფილი იარაღის შემცვლელს.**

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არა მხოლოდ გაუსწრო დანარჩენ მსოფლიოს ჩვეულებრივი მაღალეფექტური შეიარაღების თვალსაზრისით, არამედ ხელში ჩაიგდო გლობალური ზემოქმედების მასობრივი განადგურების ახალი იარაღი. ბირთვული საბრძოლო მასალები ძალზე მოძველებულად გამოიყურება ზემოაღწერილი ტექნოლოგიების ფონზე. სწორედ ამის გამო გახდა ვაშინგტონი ესოდენ მშვიდობისმოყვარე და ამის გამო მოუწოდებს მსოფლიოს ბირთვული განიარაღებისკენ. მნიშვნელოვანია, რომ ყველა კონკურენტი აბსოლუტურად დაუცველი იყოს ამერიკული დემოკრატიის წინაშე.



**1954 წლის მაისში აშშ-ის პრეზიდენტ დუაიტ ეიზენჰაუერს გადასცეს მოხსენებითი ბარათი, სადაც ეწერა: „უახლოეს წლებში ჩვენ შევძლებთ მოსკოვში ამინდის კონტროლირებას. როგორც ცნობილია, ძირითადი ატმოსფერული მოვლენები რუსეთში დასავლეთიდან მოდის. სპეციალური რეაგენტებით ღრუბლების დამუშავების შედეგად, რუსებისთვის კატასტროფული წვიმების ან გვალვების სტიმულირებას შევძლებთ“.**

ამ გეგმების შესახებ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ შეიტყო. 1956 წელს ამინდის მართვის შესაძლებლობათა გამოკვლევისთვის მოსკოვში გამოყენებითი გეოფიზიკის ინსტიტუტი შეიქმნა. შესაძლებელი იყო, რომ კლიმატური მოვლენების მართვა სერიოზულ ბარიერად ქცეულიყო ზეზუსტი ბომბებისა და რაკეტებისთვის. **ამერიკელების მიერ კლიმატური იარაღის შექმნის საფრთხემ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა აიძულა, საბჭოთა მეცნიერებისთვის ანალოგიუ-** ▶

**1989 წლის ოქტომბერში გაჩნდა ინფორმაცია ამოუცნობი მფრინავი ობიექტების მასიურ გამოჩენაზე შავი ზღვის ცენტრალურ რაიონში. მრავალრიცხოვანი თვითმხილველი ყვებოდა საკუთარი თვალით ნანახ მანათობელ ბურთებზე, რომლებიც დაახლოებით 200 მეტრის სიმაღლეზე უდიდესი სისწრაფით გადაადგილდებოდა. ამოუცნობი ობიექტების გამოჩენის მიზეზი საბჭოთა მეტეოროლოგიურ რაკეტებთან დაკავშირებულ ზესაიდუმლო ექსპერიმენტებში იმალებოდა.**




არსენალი

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95





**რი კვლევები დაევალებინა.** კვლევის პროცესში გაირკვა, რომ ბრძოლის ველზე მისი გამოყენება საკმაოდ ეფექტური საშუალებაა. ჰიდრომეტეოსამსახური აღიჭურვა სპეციალური რაკეტებით, რაც ატმოსფეროს ზედა შრეების შესწავლისთვის იყო განკუთვნილი. მათი გამოყენების შედეგად პირველად გახდა შესაძლებელი ძალზე ფასეული მონაცემების მოპოვება ტემპერატურის, წნევის, ჰაერის სიმკვრივის, ქარის მიმართულებისა და სიჩქარის მაღლივ გადანაწილებაზე, რაც უმნიშვნელოვანეს ფაქტორად იქცა ბირთვული დარტყმების მიყენების სიზუსტის ასამაღლებლად.



**თანამედროვე მეტეორაკეტების შესაძლებლობები პასიური დაკვირვებით არ შემოიფარგლება. იმავე დროს ის საშიში თანამგზავრსაწინააღმდეგო იარაღია. 1964 წელს შეიქმნა ყველაზე მძლავრი მეტეორაკეტა „მრ-12“. სპეციალური რეაგენტების დახმარებით, კოსმოსში შესაძლებელია ჯაშუშთა თანამგზავრებისთვის გაუმტარი პლაზმური ღრუბლის შექმნა. 250-300 კილომეტრის სიმაღლეზე რაკეტის შიგთავსი განიბნევა და კოსმოსში წარმოქმნის ინფრაწითელი სხივებისთვის გაუმტარ და ნებისმიერი რადიოსიგნალის ჩამხშობ ღრუბელს. გეოფიზიკურ კვლევებში სარაკეტო კომპლექსების დანერგვამ საბჭოთა კავშირი ატმოსფეროს ზედა ფენებისა და დედამიწის მახლობელი კოსმოსური სივრცის შესწავლის მხრივ წამყვან პოზიციაზე დააყენა.**



მოსკოვის შემოგარენში, ობნინსკში, შეიქმნა ექსპერიმენტული მეტეოროლოგიის ლაბორატორია „ტაიფუნი“, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვებოდა. მისი უნიკალური აღჭურვილობა მცდარი ატმოსფერული მოვლენების წარმოქმნის საშუალებას იძლეოდა. მუშავდებოდა ამინდზე ზემოქმედების სამამულო ტექნოლოგიები, იქმნებოდა ხელოვნური ღრუბლები, რომლებიც ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგეს ზეზუსტი იარაღის გამოყენების საშუალებას არ მისცემდა. მეცნიერებმა თავსხმა წვიმების გამოწვევა და შეჩერება, ყინვასთან ბრძოლა და პოლარული ნათების შექმნა ისწავლეს.

80-იანი წლებისთვის საბჭოთა მეცნიერებმა კლიმატის მართვის სფეროში მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს. საბჭოთა კავშირში არსებობდა სეტყვის საწინააღმდეგო სამსახური, სპეციალური მეტეოროლოგიური ესკადრილია. სწორედ ამ მიღწევების წყალობით, **1980 წლის ოლიმპიადაზე სამხედრო საჰაერო ძალების თვითმფრინავები მთელი ოლიმპიური თამაშების მანძილზე აკავებდა საწვიმარ ღრუბლებს და მათ მოსკოვთან მიახლოების საშუალებას არ აძლევდა.**




1970 წელს გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პლაზმური იარაღის შექმნის თაობაზე. ეს საბჭოთა ეკონომიკის აყვავების ხანა იყო. თავდაცვის შიდა რადიუსში უნდა გამოეყენებინათ პლაზმური საბძოლო კომპონენტები აეროკოსმოსური სამიზნეების გასანადგურებლად. მოძრავი გენერატორები პლაზმოიდების საშუალებით ეფექტურად ანადგურებდა ობიექტებს და მომენტალურად გადართული იყო ერთი მიზნიდან მეორეზე.

პლაზმის ენერგიის გამოყენებით, შეიარაღების ძველი სახეობებიც კი არნახულ საბრძოლო თვისებებს იძენდა. მაგალითად, თუ მფრინავი ჭურვი პლაზმით დაიფარება, მისი დარტყმის ტალღა გაორმაგდება. ამ დროს ჰაერის წინააღმდეგობა ეცემა და ფრენის სიჩქარე რამდენიმე ათეულით იზრდება. **პლაზმური იარაღი თავისთავად გეოფიზიკური იარაღის ერთ-ერთი სახეობაა. მისი მოქმედება მაღალენერგიული ელექტრომაგნიტური იმპულსის იონოსფეროში ფოკუსირებით ხორციელდება. ამის შედეგად წარმოიქმნება პლაზმოიდი — მაღალიონიზირებული გაზის ლოკალიზებული არე.**



**ახურებს რა გაზს იონოსფეროში, პლაზმოიდი განაპირობებს დედამიწაზე იმ ხელოვნური მაგნიტური ქარიშხლების წარმოქმნას, რომელთა შედეგები ნავიგაციის სისტემებზე, ამინდსა და ადამიანების ფსიქიკურ მდგომარეობაზე აისახება.**

სისტემის მოქმედება ხორციელდება იმის ხარჯზე, რომ ატმოსფეროში მოძრავი პლაზმოიდი თავის ნაკვალევზე დაბალი წნევის გახურებულ ჰაერს ტოვებს. ეს კი გადაულახავი წინააღმდეგობაა მფრინავი აპარატებისთვის.

1992 წელს საარტილერიო პოლიგონზე „ვლადიმერ 30“, უმკაცრესი გასაიდუმლოების პირობებში, პლაზმური იარაღის პირველი სროლითი გამოცდები ჩატარდა. სპეციალურმა მიწისზედა გენერატორებმა პლაზმური დერეფნის ფოკუსირება განახორციელეს. სწორედ ამ დერეფანში მიფრინავდა საარტილერიო ჭურვი. პლაზმის ზემოქმედების შედეგად ჭურვმა ფრენის ტრაექტორია შეიცვალა და სამიზნის გვერდით გადაუხვია. ამ გამოცდის შედეგები დიდი ხნის მანძილზე იყო დალუქული გრიფით „საიდუმლო“.

თვითმფრინავზე პლაზმური იარაღის ზემოქმედებამ, შესაძლოა, განაპირობოს ის, რომ თვითმფრინავმა დაკარგოს საფრენი ძალა და დაიშალოს უდიდესი დატვირთვების ზემოქმედების გამო. ზუსტად იგივე ემართება რაკეტის საბრძოლო ქობინს. ის ჯერ მიმართულებას კარგავს, შემდეგ ბრუნვას იწყებს და ბოლოს საკუთარი კინესტიკური ენერგიის ზემოქმედებით იშლება. როგორც გაირკვა, მფრინავების ყველაზე დიდი მტერი, მეხი, შეიძლება ავიაციას ემსახურებოდეს. თვითმფრინავის პლაზმით დაფარვის შემთხვევაში, მკვეთრად დაეცემა ჰაერის წინააღმდეგობა და რამდენიმე ათეულით გაიზრდება ფრენის სიჩქარე.

**მოწინააღმდეგის კავშირგაბმულობისა და ნავიგაციის სისტემების მწყობრიდან გამოყვანის პლაზმური ქვემეხები მომავალში, შესაძლოა, ჯარების ძირითად იარაღად იქცეს. ობიექტთან შეჯახებისას პლაზმური წარმონაქმნი — პლაზმოიდი ურანის ჭურვის შესაბამისად უნდა ამოქმედდეს და დამანგრეველი ენერგიის მუხტი წარმოქმნას.**

გასული საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებში ატომური ენერგიის ინსტიტუტში შეიქმნა ექსპერიმენტული დანადგარი. ცხელი პლაზმის მოძრაობის მართვით მეცნიერები იმგვარი თერმობირთვული რეაქციის პროვოცირებას ცდილობდნენ, როგორიც მზეზეა. ამით ელექტროენერგიის უნიკალურ წყაროს მიიღებდნენ.



**1974 წელს მოსკოვის რადიომოწყობილობების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ამოქმედდა ანალოგის არმქონე ექსპერიმენტული დანადგარი — ღია რეზონატორი „დორ 2“. საბჭოთა მეცნიერებმა, მსოფლიოში პირველებმა, დაიწყეს მართვადი მეხის შექმნა.** ვაკუუმის კამერაში, რომელიც ატმოსფეროს იმიტაციას ქმნიდა, სხვადასხვა სიმაღლეზე ფოკუსირდებოდა უწყვეტი 20 მეგავატის სიმძლავრის მიკროტალღური გამოსხივება და ჩნდებოდა სტაბილური პლაზმური წარმონაქმნი. სპეციფიური ელექტრომაგნიტური იმპულსების პარამეტრების შეცვლით შესაძლებელი იყო პლაზმური მუხტების ფორმისა და ხასიათის რეგულირება.

**1989 წლის ოქტომბერში გაჩნდა ინფორმაცია ამოუცნობი მფრინავი ობიექტების მასიურ გამოჩენაზე შავი ზღვის ცენტრალურ რაიონში. მრავალრიცხოვანი თვითმხილველი ყვებოდა საკუთარი თვალით ნანახ მანათობელ ბურთებზე, რომლებიც დაახლოებით 200 მეტრის სიმაღლეზე უდიდესი სისწრაფით გადაადგილდებოდა. ზოგიერთები ირწმუნებოდნენ, რომ არამიწიერ გონთან კავშირიც კი დაამყარეს.**



**როგორც გაირკვა, ამოუცნობი ობიექტების გამოჩენის მიზეზი საბჭოთა მეტეოროლოგიურ რაკეტებთან დაკავშირებულ ზესაიდუმლო ექსპერიმენტებში იმალებოდა.**

1982 წლის აპრილში კოლის ნახევარკუნძულის ცაზე მოულოდნელად კაშკაშა ჩრდილოეთის ნათება გამოჩნდა. რამდენიმე საათის მანძილზე ჩრდილოეთ საზღვაო გზის მთელ სიგრძეზე რადიოკავშირი შეფერხდა. როგორც გაირკვა, კოლის კუნძული საბჭოთა თავდაცვის კომპლექსის ერთ-ერთი ყველაზე გასაიდუმლოებული ქმნილების გამოსაცდელი პოლიგონი იყო. მაღალი ტემპერატურის ფიზიკის ინსტიტუტის სპეციალისტებმა უძლიერესი მაგნიტოჰიდროდინამიკური გენერატორი „სახალინი“ შექმნეს. საბჭოთა კავშირში შეიქმნა ამგვარი გენერატორების მთელი ოჯახი. მათი გამოსხივების სიმძლავრე საჰაერო სამიზნეებთან ბრძოლის საშუალებას იძლეოდა, ასევე ეფექტური იყო საზღვაო და მიწისქვეშა დაზვერვებისთვის.

XX საუკუნის დასასრულს საბჭოთა მეცნიერები გეოფიზიკური იარაღის შექმნით დაკავდნენ. ნოვგოროდიდან 150 კილომეტრით დაშორებულ ტერიტორიაზე აღიჭურვა უნიკალური კომპლექსი „სურა“, სადაც მიწისქვეშა გენერატორები გამოიმუშავებდა მძლავრ ელექტრომაგნიტურ იმპულსს. ანძების გამომსხივებლები აფერხებდა რადიოსიგნალს და ამერიკული კოსმოსური ნავიგაციის სისტემების მწყობრიდან გამოყვანა შეეძლო.

**კონსტანტინე სივკოვი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის ვიცეპრეზიდენტი:**

— რუსეთში ამგვარი დანადგარი იქმნებოდა.



ის ახლაც არსებობს და ჰქვია „სურა“. მთავარი განსხვავება ისაა, რომ იონოსფეროს მნიშვნელოვანი მოდიფიცირების საშუალებას ის არ იძლევა. ის განკუთვნილი იყო იონოსფეროს ზონდირებისთვის, მაგრამ პერსპექტივაში, შესაძლოა, გამოყენებული ყოფილიყო HAARP-ში. კერძოდ, რადიოლოკაციური სადგური, რომელიც კრასნოიარსკში შენდებოდა, შეიძლებოდა, რომ HAARP-ის მოდიფიკაციისთვის ძალზე მძლავრ გამომსხივებლად გადაკეთებულიყო. მაგრამ, როგორც გახსოვთ, სადგური გორბაჩოვმა დახურა.



საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პლაზმური იარაღის შექმნის დაფინანსება შეწყდა.

**სერგეი შატოხინი:**

— სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს პროგრამები დაიხურა. ინფორმაცია და საბჭოთა მეცნიერების ყველა მიღწევა ელცინის რეჟიმის დროს გატანილ იქნა საზღვარგარეთ, რაც თავისთავად სამხედრო დანაშაულად ითვლება, ვინაიდან ეს საფრთხეს უქმნის რუსეთის საერთო უსაფრთხოებას. ახლა ანგლო-ამერიკული და სხვა მსგავსი პროგრამების ანალოგი ჩვენს ქვეყანაში არ არის და ეს სახიფათო სიგნალია მათთვის, ვისაც რუსეთის ბედი ადარდებს.




80-იანი წლების დასაწყისში მოსკოვთან ახლოს მსგავსი ანძების მინდორი ააშენეს. 90-იან წლებში ეს ანძები მოშალეს. ნიჟეგოროდის „სურა“ დროის ზემოქმედებით იშლება. 28 წელი კაპიტალური რემონტის გარეშე გავიდა. ექსპერიმენტებისთვის საკმარისი ფული არ არის.

1993 წლის აპრილში ვანკუვერში თეთრი სახლის მეთაურთან შეხვედრისას პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ბილ კლინტონს წყნარ ოკეანეში პლაზმური იარაღის ექსპერიმენტული კომპლექსის რუსეთ-ამერიკის ერთობლივი ცდების ჩატარება შესთავაზა. რუსმა მეცნიერებმა იქ ლაზერული გამოსხივების გენერატორების დამონტაჟების წინადადება წამოაყენეს. ატმოსფეროს ზედა შრეებში ენერგიის ფოკუსირების შედეგად მათ მართვადი პლაზმური ღრუბლის შექმნა შეეძლოთ. მომენტალურად გახურებული ჰაერი სიმკვრივის არმქონე პლაზმად გადაიქცეოდა. **რუსეთი მზად იყო, დაეყენებინა მძლავრი გენერატორები და ათი ათასობით ანძა. ამერიკელი სპეციალისტები ჩავიდნენ საბჭოთა სადგურ „სურა“-ზე და გამოიყენეს მათთვის წარდგენილი მასალები, მაგრამ მალე ექსპერიმენტზე უარი განაცხადეს.**

**გაგრძელება იქნება**

მემკვიდრეობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ლიმანის ბრწყინვალე გამარჯვებას სერიოზული საბრძოლო მნიშვნელობა არ ჰქონია, რამდენადაც კინტრიშის ველი კვლავაც თურქების ხელში რჩებოდა. მაგრამ ამ გამარჯვებას თავისი დადებითი მხარეც ჰქონდა — მან დაანახა ყველას, რომ თურქეთი რუსეთისთვის ზიანის მიყენებას გურიის საშუალებით აპირებდა, რამაც შეარიგა მოუსვენარი ელემენტები, რომლებიც ჯერაც იყვნენ თავადაზნაურთა შორის და თურქების გავლენას განიცდიდნენ.**

# თურქული გურიის ველებზე

დასასრული. დასაწყისი იხ. №11

**უნდა ითქვას, რომ ეს იყო პირველი მოძრაობა რუსებისა ე. წ. თურქულ გურიაში, რომელშიც მაშინ იგულისხმებოდა ზემო და ქვემო აჭარა, ქობულეთი და ბათუმი.**


კინტრიშის ხეობა

**აჭარლები — იგივე ქართველები, ბათუმისა და ქობულეთის მცხოვრებნი გურული წარმოშობის იყვნენ და ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ რუსული გურიის გარეთ მცხოვრებნი — მუსლიმანები, თანაც ფანატიკოსები.** მათი მთავარი საქმიანობა იყო ყაჩაღობა, ნადირობა. მიწათმოქმედებითა და მებაღეობით მხარეში მხოლოდ ქალები იყვნენ დაკავებული. მამაკაცთა ერთადერთი მშვიდობიანი საქმიანობა კონტრაბანდას უკავშირდებოდა, ვაჭრობა ტყვეთა სყიდვით შემოიფარგლებოდა. **გურულების მეზობლები იჭერდნენ ბავშვებს და კონსტანტინოპოლსა და ტრაპეზუნდში გზავნიდნენ. ჩურუკსუის ბეგებმა სწორედ ამით დააგროვეს უზარმაზარი ქონება და პატივი და დიდებაც მოიპოვეს.**

აჭარაზე ლაქრობისთვის შეკრების ადგილად ჩოხატაურის პოსტი დასახელდა, ეს იყო გურიის საზღვარზე. იქ უკვე იდგა ორი ასეული. იქითკენ მიემართებოდა 500-კაციანი გურული მილიციაც და თვითონ გესი მეგრელთა ბატალიონით, ორი ველის და ორი მთის ქვემეხით. დათქმულ ადგილას 1 მარტისთვის შეიკრიბნენ. პირველივე მთის ძირას თოვლის საფარი ექვსი არშინი იქნებოდა. რაც უფრო შორს მიდიოდნენ, უფრო ღრმავდებოდა. შიშველი კლდეების მწვერვალებზე კი საშიში ქარბუქი მძვინვარებდა.

შესაძლოა, გესს გამობრძმედილი კავკასიელი ჯარისკაცებით გაებედა ამ წინააღმდეგობათა გადალახვა, რომ არა ერთი სერიოზული ამბავი, რომელმაც აიძულა იგი, საერთოდ ეთქვა უარი ამ ექსპედიციაზე. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ თურქების ახალციხესთან გადაადგილება და ოსმან-ჰასანდარ-ოღლის ბათუმიდან გამოსვლა ერთდროულად მოხდა. **კინტრიშის ველზე ბათუმიდან მისულ ჯარებს ხუთი ათასი ლაზი შეუერთდა. ფაშა ტრაპეზუნდიდან გურიის დასაპყრობად ძლიერ თურქულ კორპუსს ელოდა. ასეთ პირობებში აჭარაზე თავდასხმა უაზრობა იქნებოდა.**

გესი საკუთარი მხარის დაცვაზე უნდა დაფიქრებულიყო. სასწრაფოდ აუცილებელი იყო მოწინააღმდეგის ავანგარდის განადგურება, ვიდრე მასთან ძირითადი ძალები მივიდოდნენ. გესმა არჩევანი ამ გადაწყვეტილებაზე შეაჩერა. მით უფრო, რომ კინტრიშის გზა მას აჭარაში თუ არა, ქობულეთში მაინც მიიყვანდა, სადაც ექსპედიციის შედეგები ისეთივე იქნებოდა, როგორც აჭარაში, რადგან ქობულეთელთა დიდი ნაწილი ახალციხის ლაშქრობაში მონაწილეობდა. ისინი, რა თქმა უნდა, სასწრაფოდ დაბრუნდნენ უკან თავიანთი სახლების გადასარჩენად.

და აი, რაზმმა შეცვალა თავისი მიმართულება, მობრუნდა ნიკოლაევსკის ციხესიმაგრისკენ. აქ მათ 3 ათეული შეუერთდა ეგერთა 44-ე პოლკიდან. ამგვარად, 1200 ხიშტი და 500-კაციანი მილიცია საკმარისი იყო 8-ათასიანი თურქული კორპუსის გასანადგურებლად.

შეტევაზე გადასვლა საჩქარო იყო. დაადგინეს, რომ მოწინააღმდეგე იდგა ლიმანთან, სადაც ჯერ კიდევ შემოდგომაზე გააკეთეს თურქებმა ხელოვნური სიმაგრეები.

ნიკოლაევსკის ციხესიმაგრიდან მოწინააღმდეგის ბანაკამდე ფრონტისთვის მოუხელთებელი ვიწრო გზა მიდიოდა. მარჯვნივ საშინელი ხრამი იყო, რომლის ქვეშ შავი ზღვა მძვინვარებდა; მარცხნივ — მთაგრეხილები, გაუვალი ტყეებით. სამ რიგად ჩახერგილი გზა თურქთა ბანაკთან მისასვლელს კეტავდა, რომელიც ხშირ ჭაობიან ტყესა და ზღვას შორის მდებარეობდა. ხის ძელები, რომლებზეც სანგრიდან ამოღებული მიწა და ქვები ეყარა, ბანაკს ფრონტისგან იცავდა, ფლანგები კი მიუდგომელი იყო. მიუხედავად ამისა, მოწინააღმდეგის გამაგრებულ პოზიციას გესის გადაწყვეტილებაზე არ უმოქმედია **და 5 მარტს, როცა ახალციხე თავის გამარჯვებას ზეიმობდა, გურიის რაზმი მოწინააღმდეგეზე თავდასასხმელად გაემართა.** ქვეითები და არტილერია ზღვის სანაპიროს მიუყვებოდა, მილიცია მტრის ზურგში შევიდა ჭაობიანი ტყის გავლით.

მოწინააღმდეგის პოზიციაზე კიდევ ორი ასეული გაიგზავნა ოზურგეთიდან ლიხაურის გავლით, მაგრამ ისინი ჯერ შორს იყვნენ და მათ იმედზე ყოფნა არ შეიძლებოდა. ბანაკამდე რომ მიეღწიათ, უნდა გაეძლოთ თურქთა ცეცხლისთვის, რომელსაც ისინი სანგრებიდან აწარმოებდნენ. მართლაც, ქვეითებმა გაიარეს ორი-სამი-ოთხი ვერსი და მტრის პირველ რიგებს მიადგნენ. ძლიერმა ცეცხლმა შეაჩერა კოლონა. საბედნიეროდ, ამ დროისთვის გურიის მილიციამ მოახერხა, ზურგში მოქცეოდა მტერს. თურქებმა გაასუფთავეს წინა რიგი და ახლა მეორე ხერგილს ამოეფარნენ. მილიციას კვლავაც შემოვლა მოუწია და, ამგვარად, ნელ-ნელა მიიწევდნენ წინ. ბოლოს რაზმი, როგორც იქნა, მოწინააღმდეგის ბანაკთან გაჩერდა.

**ვიწრო და ღია თავდაღმართი, რომელიც ბანაკის წინ იყო, რუსებს დიდი მსხვერპლით ემუქრებოდათ, ხოლო მტკიცედ შემოღობილი ბანაკი თითქმის შეუვალი იყო. როგორც აქამდე, გესი არც ახლა დაფიქრებულა და გადავიდა შეტევაზე. მან არტილერიის მომზადების ბრძანება გასცა. როცა მოწინავე ხაზი გაარღვიეს, ქვეითები დაფდაფებით წავიდნენ წინ. ტყეში დამალული მილიცია მტერს ისევ ზურგში მოექცა.** ასე რომ, ბანაკს ორი მხრიდან უტევდნენ. თურქები თავგამოდებით იცავდნენ თავს. ბრძოლა 4 საათს გაგრძელდა. თუმცა თურქები მთლიანად გაანადგურეს, მაგრამ გურიაში მოპოვებული ეს პირველი გადამწყვეტი გამარჯვება რუსთა მცირერიცხოვან არმიას 210 კაცის სიცოცხლის ფასად დაუჯდა, რომელთა შორის 9 ოფიცერი და 14 გურული თავადი გახლდათ. ეს მნიშვნელოვანი დანაკარგი იყო. **განსაკუთრებით შექებას იმსახურებდა გურიის მილიცია, მისმა საქციელმა მოლოდინს გადააჭარბა. ეს გამარჯვება იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ქართველი თავადები, რომლებიც სულ ახლახან თურქთა მეკავშირეები იყვნენ ფოთთან ბრძოლაში და რუსების მოწინააღმდეგეებად ითვლებოდნენ, ახლა თურქებს შეებრძოლენ.**

მოწინააღმდეგის ბანაკში აღებული მთელი ნადავლი გურიის მილიციას გადაეცა.

თურქული ჯარების უმნიშვნელო ნაწილმა თვით ჰაზანდარ-ოღლისთან ერთად ტყეს შეაფარა თავი. გესს ვერ გადაეწყვიტა, შესულიყო თუ არა ამ ჭაობიან, იდუმალ ტყეში. ბოლოს დევნას თავი დაანება. იმასაც ამბობდნენ, რომ რუსებს ქობულეთისა და კინტრიშის დაკავებაც შეეძლოთ, მაგრამ ამჯერად ეს ვერაფერს შესძენდა მათ. ახალციხე გათავისუფლებული იყო, თუ ქობულეთს აიღებდა გესი, გამაგრებას მაინც ვერ შეძლებდა და დროსაც და ძალასაც ტყუილად დახარჯავდა. ლიმანთან ბრძოლამ მიახვედრა გესი, რომ თითოეული გამარჯვება აქ ძალიან დიდი დანაკარგის ფასად დაუჯდებოდა და მის მცირერიცხოვან ჯარს ეს საბოლოოდ დაღუპავდა, ამიტომ მან ქუთაისში დაბრუნების ბრძანება გასცა.

**ასე და ამგვარად, ლიმანის ბრწყინვალე გამარჯვებას სერიოზული საბრძოლო მნიშვნელობა არ ჰქონია, რამდენადაც კინტრიშის ველი კვლავაც თურქების ხელში რჩებოდა. მაგრამ ამ გამარჯვებას თავისი დადებითი მხარეც ჰქონდა — მან დაანახა ყველას, რომ თურქეთი რუსეთისთვის ზიანის მიყენებას გურიის საშუალებით აპირებდა, რამაც შეარიგა მოუსვენარი ელემენტები,** რომლებიც ჯერაც იყვნენ თავადაზნაურთა შორის და თურქების გავლენას განიცდიდნენ. ამ ქვეყნისთვის ლიმანის გამარჯვება იყო მშვიდობიანი ცივილიზაციის განთიადი, თუმცა ჯერ კიდევ ნახევრადსაომარი ყოფის უძველესი ტრადიციებით სავსე, რომლის გამოყენებასაც თურქები დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ.

**ვასილი პოტო**
ხუთტომეული ნაშრომიდან „კავკასიის ომი"

**ეს გამარჯვება იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ქართველი თავადები, რომლებიც სულ ახლახან თურქთა მეკავშირეები იყვნენ ფოთთან ბრძოლაში და რუსების მოწინააღმდეგეებად ითვლებოდნენ, ახლა თურქებს შეებრძოლენ**



**გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეთექვსმეტე ნომერი**

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის" ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა" საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა" — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

ქართველებთან ერთად სამხედრო სამსახურში სომხებსაც იწვევდნენ, რასაც ქართველი მეფეების დროს ადგილი არ ჰქონია. ქართველები ყოველთვის იყვნენ თავადები — რაინდები, სომხები — მოქალაქეები, ვაჭრები და მათი როლიც მამულის გადარჩენის საქმეში შემოიფარგლებოდა მათი სერიოზული შემოწირულობებით. ქართველები იღებდნენ სისხლს, სომხები — ფულს. ორივე ერთად კი ქმნიდა იმ ძალას, რომელიც საუკუნეების მანძილზე საშუალებას აძლევდა სუსტ ივერიას ორი მაჰმადიანური ძლიერი სახელმწიფოსგან თავი დაეცვა. სომხების სამხედრო სამსახურში გაწვევა არღვევდა საქართველოს მრავალსაუკუნოვან ტრადიციას...

მემკვიდრეობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ამიერკავკასია ახალი სპარსული ომის მუქარის წინ

**1829 წლის ზამთრის მოვლენების ყველაზე მწვავე მომენტში, ახალციხის ალყის პარალელურად გურია თურქთა შემოსევას ელოდა, არზრუმში კი უზარმაზარი თურქული ძალები იკრიბებოდა. ამ მომენტში მოულოდნელად რუსეთის სპარსეთთან მშვიდობიან დამოკიდებულებას ბზარი გაუჩნდა. ახალციხეზე თურქთა თავდასხმასთან ერთად თბილისში შეიტყვეს, რომ თეირანში, რუსეთის საელჩოში აჯანყებულმა მდაბიო ხალხმა უკლებლივ ყველა დახოცეს, რასაც შაჰის ჯარების რეაქცია არ მოჰყოლია. მოხდა საერთაშორისო სამართლის დარღვევა, რაც შეიძლებოდა ომისკენ მოწოდებად ჩაეთვალათ. პასკევიჩი რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა.**

თბილისი, მეიდანი, XIX საუკუნის დასაწყისი



როგორც ყოველთვის, მდგომარეობის მოულოდნელი, არასასიამოვნო განვითარება მაშინვე აისახა ამიერკავკასიის საშინაო მდგომარეობაზე. ყველგან საუბრობდნენ სპარსეთთან განხეთქილებაზე. ომის საფრთხე რეალური იყო, თალიშინის სახანოში შეიჭრა მისი ყოფილი მფლობელი მირ-ჰასან-ხანი. ეს ფაქტი დაემთხვა თურქთა საბრძოლო მოქმედებებს, რამაც თურქეთისა და სპარსეთის ხელისუფალთა შეთანხმებული მოქმედების ეჭვი გააჩინა. წამოვიდა ჭორები, რომ ჰაგი-ხანი ყარაფაფახიანებთან და ქურთებთან ერთად ერევანზე თავდასხმას აპირებსო და ქრისტიანებისთვის საშიში სარდალი ჰასან-ხანი მალე ბაქოში მოვა, პირადად რომ დაგეგმოს სომხეთის ოლქზე თავდასხმებიო.

საზღვრისპირა მცხოვრებნი განგაშმა მოიცვა. რამდენიმე სომხური სოფელი ურდაბთან ახლოს, არაქსის იქეთ გაიხიზნა. ერევანში კი მოქალაქეები მიწაში მარხავდნენ თავიანთ ქონებას და მთებს აფარებდნენ თავს. მუსლიმანურ პროვინციებში ყველგან შეინიშნებოდა მღელვარება. შექსა და ყარაბაღში მღელვარება ყოველდღიურად იმატებდა; იგივე ხდებოდა შირვანშიც. მეორე მუსლიმან-ცხენოსანთა პოლკი, უკვე მდინარე აღსტაფთან მდგარი და ლაშქრობისთვის მზადყოფნაში მყოფი, ვერ ხედავდა რა სხვა თათრულ პოლკებს, მზად იყო შინ დასაბრუნებლად. მათ ძალით აკავებდნენ. **ჭარელი ლეკები, სულ ახლახან პასკევიჩს საუკეთესო მხედრებს რომ სთავაზობდნენ, ახლა თავიანთი სიტყვები არა მარტო უკან მიჰქონდათ, არამედ მტრებად იქცნენ. მათი საბრძოლო რაზმები სიმშვიდეს ურღვევდა კახეთის მოსახლეობას. რაღაცის მოლოდინში ქურთებმაც შეწყვიტეს მოლაპარაკებები.**

არც მართლმადიდებელი საქართველო დარჩენილა ამ ყრუ მღელვარების მიღმა. ავისმდომნი ავრცელებდნენ ხმას, რომ ქართველმა მეფისწულმა ალექსანდრემ აიღო ახალციხე და ქართლზე გასალაშქრებლად მოდისო. თუ რაში სჭირდებოდა ალექსანდრეს ახალციხე, რომლის დაცემასაც ასე ზეიმობდა მთელი საქართველო, არავინ კითხულობდა. საკმარისი იყო ისიც, რომ ხმა დაირხა და მოსახლეობა — ერთნი, ვინც ფარულად თანაუგრძნობდა მეფისწულს, მეორენი, ვისაც გარდაუვალი მკვლელობისა და ძარცვის ეშინოდა, — უკვე ნერვიულობდა.

**საგანგაშო ამბები ყველა მხარეში ვრცელდებოდა. პასკევიჩს კი მათი დაფარვა უხდებოდა, რათა მათ შესახებ არ შეეტყო სპარსეთის ელჩს, რომელიც მაშინ თბილისში იმყოფებოდა. უკანონობასა და სერიოზული ზომების მიუღებლობას შეიძლებოდა, მწარე შედეგები მოჰყოლოდა. რაღაც უმნიშვნელო ბიძგი და საყოველთაო აჯანყებას შეიძლება მთელი ამიერკავკასია მოეცვა.**

მდგომარეობა მძიმე იყო, რომელიც 1812 წელს მოგაგონებდათ, როცა ომი სპარსეთთან და თურქეთთან ერთდროულად მიმდინარეობდა, კახეთში ბუნტი იყო. თუმცა იმ წლების გამოცდილებამ აჩვენა, რომ არსებული წინააღმდეგობების გადალახვა შეიძლებოდა, მითუმეტეს, რომ ახლა ამის საშუალებები უფრო მეტი იყო. თანაც ამ ამოცანას უფრო აიოლებდა წინამორბედი გამარჯვებები, მაგრამ კავკასიაში რუსული საქმეების კონფრონტაციისთვის მცირედი ყოყმანიც კი საკმარისი იქნებოდა. პასკევიჩი გახლდათ გამოცდილი, ენერგიული სარდალი, მაგრამ შექმნილი მდგომარეობა ახლა მისგან სამხედრო საქმის ცოდნას კი არა, ზუსტ დიპლომატიურ აზროვნებას და მოქმედებას მოითხოვდა. აუცილებელი იყო სპარსეთთან მიმართებაში მყარი და თავდაჯერებული ტონის შერჩევა, რათა დარწმუნების გზით (და არა იარაღით) გონს მოეყვანათ თეირანის კარი, ამავე დროს, ომისთვის მზადყოფნაც ეჩვენებინათ და საკუთარი სისუსტე არ გამოემჟღავნებინათ.

**პასკევიჩმა კარგად იცოდა, რომ, რა მიზეზითაც არ უნდა მოეკლათ რუსეთის ელჩი, იმპერიის შელახული ღირსება საკადრის რეაგირებას ითხოვდა, მაგრამ თურქეთთან ომის დროს მნიშვნელოვანი ძალები აზიაში იყო გადასროლილი, ამიერკავკასიაში არსებული რაოდენობის ჯარის მეშვეობით სპარსეთთან ომის დაწყება ჭკვიანური ვერ იქნებოდა.**

პასკევიჩი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა — უნდა მოეთხოვა დამხმარე ძალა: „როგორც იცით, ორი სპარსული კამპანია იმ ჯარებთან ერთად დავამთავრე, რომლებთან ერთადაც დავიწყე (დამხმარე ძალის გარეშე). შარშანდელი თურქული ომის დაწყებამდე კი ჩემი განკარგულების ქვეშ მყოფი ჯარებიდან 4 ათასი კაცი რუსეთში გაიგზავნა და აქამდე არ დამიწუწუნია ჯარისკაცთა ნაკლებობაზე... მაგრამ ახლა, როცა მდგომარეობა შეიცვალა, ჩემი ვალია, ჩემთვის მონდობილი მხარე დავიცვა უბედურებისაგან... დარწმუნებული იყავით, — წერდა ის ბოლოს, **— რომ სიცოცხლეს გავწირავ, მაგრამ დამხმარე ძალის გარეშე ბევრს ვერაფერს მივაღწევ“.**

პასკევიჩის აზრით, საჭირო იყო დივიზია მთელი შემადგენლობით და დონის კაზაკთა ორი პოლკი ცხენოსანთა ბატარეით. ამასთან, მას საჭიროდ მიაჩნდა, ახლოს, თუნდაც ასტრახანში, რეზერვში ჰყოლოდა კიდევ ორი ქვეითთა ბრიგადა. მართალია, პასკევიჩის განკარგულებაში მე-14 დივიზია და მისი არტილერია იყო, მაგრამ იგი რუსეთის სიღრმისეულ გუბერნიებში იდგა და, რომც წამოსულიყო, ჩამოსვლას შემოდგომამდე მოანდომებდა. ამგვარად, პასკევიჩს მხოლოდ იმ ძალებზე დაყრდნობა შეეძლო, რომლებიც რეალურად მის წინაშე იყო. რთული ამოცანაა გადასაწყვეტად. **პასკევიჩს, პირველ რიგში, უნდა დაემშვიდებინა ამიერკავკასია. მისი წინადადებით, ცნობილი აღამიტ-ფეტ-სეიდი ოდესღაც თავრიზის მუდშ-ტეხიდი, იმ დროს კი ამიერკავკასიის ალიევის სექტის მეთაური, გაემგზავრა მუსლიმანურ პროვინციებში, გამოიყენა თავისი გავლენა და მოახერხა ხალხზე ზემოქმედების მოხდენა. მისი სიტყვების შემდეგ ხალხის შეკრება და ყარაბაღში პოლკების შექმნა უკეთ წარიმართა.**

მაგრამ იმ დროს, როცა მღელვარება მუსლიმანურ პროვინციებში ჩაწყნარდა, მან გაცილებით უფრო დიდი ძალით საქართველოში იფეთქა.

დიდი ხანია, მოსახლეობის ჩუმი მღელვარება მწიფდებოდა. იგი საბაბს ელოდა, რომ ჯებირები გადმოეხეთქა. და აი, პოლიტიკური საქმეებით დაკავებულმა პასკევიჩმა შემთხვევით საბაბი მისცა ამ აფეთქებას.

უნდა გავიხსენოთ, რომ, როცა პასკევიჩი ახალციხის აღების შემდეგ გამარჯვებული თბილისში შევიდა, ხალხი, თავადები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ და მისგან ნებართვას ითხოვდნენ პოლკების შესაქმნელად. მაშინ პასკევიჩმა უკუაგდო მათი თხოვნა. **„ქართულ მილიციას მხოლოდ მაშინ შევკრებთ, როცა ამის აუცილებლობა იქნებაო“,** — თქვა მან.

და აი, ახლა, **როცა განხეთქილება სპარსეთთან გარდაუვალი იყო, როცა ამიერკავკასიას ორი ძლიერი მეზობლის შემოჭრა ემუქრებოდა, პასკევიჩმა საჭიროდ მიიჩნია, ქართველებისთვის მიემართა, რათა დაეცვათ საკუთარი მხარე. 28 თებერვალს მან თავისთან მიიწვია გუბერნიის მარშალი და ყველა კუთხის თავადები და პირადად მოუწოდა მათ მილიციის შეკრებისკენ. გადაწყდა, რომ ქართველებისა და სომხებისგან ათი ქვეითი რაზმი შეიქმნებოდა, თუ ყოველი მეხუთე ოჯახიდან ერთ მილიციონერს გაიყვანდნენ.**

**საუბედუროდ, მხარისთვის ამ სასიკეთო გადაწყვეტილებას მოსალოდნელი შედეგი არ მოჰყოლია, რუსულ სახელმწიფოს კი უამრავი პრობლემა გაუჩინა და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სერიოზული არეულობაც გამოიწვია საქართველოს ზოგიერთ კუთხეში. ხალხმა ეს მოქმედება აღიქვა არა როგორც დროებითი მილიციის შექმნა, არამედ რუსულ ჯარში მუდმივი სამსახურისათვის გაწვევა.**

ძველები, რომლებსაც კარგად ახსოვთ ეს ეპოქა, ყვებოდნენ, რომ ამ გაუგებრობის პირველ საბაბს ის ინსტრუქცია წარმოადგენდა, რომლის მიხედვითაც განსაზღვრული იყო, თუ რა სიმაღლისა და როგორი აღნაგობის უნდა ყოფილიყო მილიციონერი; ჩამოთვლილი იყო ყველა ფიზიკური ნაკლი, რის გამოც არ შეიძლებოდა პირის რაზმში ჩარიცხვა. ეს წესები ჯარისკაცად ქცევის შიშის გარდა შეურაცხყოფასაც იწვევდა ისტორიულად ამაყ ქართველებში. ამ დროს კახეთში, სიღნაღთან ახლოს, ცხოვრობდა ერთი თავადი, სახელად დოია. ის კოჭლი იყო, მაგრამ, ამ ფიზიკური ნაკლის მიუხედავად, შიშის ზარს სცემდა ლეკებს. ის საუკეთესოდ ხმარობდა ყველა სახის იარაღს. მისი სახელი ყველას პირზე ეკერა. და ახლა ერთმანეთს ეკითხებოდნენ ქართველები: **„ნუთუ, ჩვენს დოიას, რომლის ხმლის ერთი მოქნევა ორ კაცს შუაზე გაჩეხავს, უფლება არა აქვს, ემსახუროს სამშობლოს მხოლოდ იმიტომ, რომ კოჭლია?“**

აქედან კი აკეთებდნენ დასკვნებს, რომ რუსებს მამაცი ხალხი — ჯარისკაცი, მილიციონერი კი არ სჭირდებოდათ, არამედ უბრალო „სალდათები“.

ხალხს თავისი ეჭვი განუმტკიცა იმ ამბავმა, რომ **ქართველებთან ერთად სამხედრო სამსახურში სომხებსაც იწვევდნენ, რასაც ქართველი მეფეების დროს ადგილი არ ჰქონია. ქართველები ყოველთვის იყვნენ თავადები — რაინდები, სომხები — მოქალაქეები, ვაჭრები და მათი როლიც მამულის გადარჩენის საქმეში შემოიფარგლებოდა მათი სერიოზული შემოწირულობებით. ქართველები იღებდნენ სისხლს, სომხები — ფულს. ორივე ერთად კი ქმნიდა იმ ძალას, რომელიც საუკუნეების მანძილზე საშუალებას აძლევდა სუსტ ივერიას ორი მაჰმადიანური ძლიერი სახელმწიფოსგან თავი დაეცვა. პასკევიჩის სურვილი, სამხედრო სამსახურში სომხებიც ჩაერთო, ჩვეულებრივი ამბავი იყო, მაგრამ ეს არღვევდა საქართველოს მრავალსაუკუნოვან ტრადიციას და, თუნდაც ამიტომ, საჭიროებდა საამისოდ გონებრივ მომზადებას.**

მანამდე, 1827 წელს, პასკევიჩთან ერთად თბილისიდან გავიდა სომეხთა მხედრიონი, მაგრამ ყველას დაავიწყდა, რომ ეს შემთხვევა გამონაკლისი იყო, რომ რაზმი განსაკუთრებული და უდიდესი საქმის გასაკეთებლად მიდიოდა — გაეთავისუფლებინა თავისი წმ. მონასტერი, ეჩმიაძინი, მაჰმადიანთა საუკუნოვანი ტყვეობისგან. ახლა სხვა სიტუაცია იყო. **ქართველებსა და სომხებს ერთი საერთო საქმის გამო — საქართველოს დასაცავად იწვევდნენ. ამიტომ ეს სიახლე აოცებდა ხალხს. და აი, პირველივე გაწვევის გამოცხადებას თბილისშიაც კი არეულობა მოჰყვა, რამაც მალე სახიფათო ხასიათი მიიღო.** ეს შემდეგნაირად მოხდა.

9 მარტს თბილისის პატივცემული მოქალაქეები, ვაჭრები და ხელოსნები შეიკრიბნენ მოედანზე, რომელსაც მაშინ ყაბახი ერქვა... ამჟამად ეს მოედანი არ არსებობს. სწორედ აქ პოლიცმეისტერმა ამცნო ხალხს მილიციაში გაწვევის გამოცხადების თაობაზე, მაგრამ ხალხში ბოროტი ელემენტებიც ერია და მათ პირველებმა დაიწყეს ყვირილი, რომ იკრიბება არა ჯარისკაცი (მილიცია), არამედ მუდმივი არმია. დაბნეულმა პოლიცმეისტერმა იმწამსვე აცნობა ყველაფერი გუბერნატორს. მოედანზე ცნობისმოყვარეობის გამო მოსული რამდენიმე ხელოსანი და გლეხი დააპატიმრეს, მაგრამ ხალხი არ მშვიდდებოდა. თვითმხილველებს კარგად დაახსომდათ ერთი საყურადღებო შემთხვევა:

**ერთმა პატივცემულმა თბილისელმა სომეხმა, ვიღაც კეთხუდოვმა, ხალხი რომ განემუხტა და მათთვის მაგალითი ეჩვენებინა, გამოაცხადა, რომ თავის ვაჟიშვილს პირველს ჩააწერინებდა არმიის სიაში. სიტყვა დასრულებულიც არ ჰქონდა, რომ ბრბომ ლამის გადათელა მოხუცი, რომელმაც თავს სახლში გაქცევით ძლივს უშველა. აურზაურმა იმატა.** ხალხი პოლიციის შენობასთან შეჩერდა, სადაც მილიციონერთა სახელობითი სიები დგებოდა; ხალხი მოითხოვდა დაპატიმრებულთა გათავისუფლებას. მოედანზე ჯარები შემოიყვანეს, მოვიდა თვითონ გუბერნატორიც, გენერალ-ადიუტანტი სტრეკალოვი. ისევ დააპატიმრეს ადამიანები და დიდის გაჭირვებით დაშალეს ხალხი.

**ვასილი პოტო**
**ხუთტომეული ნაშრომიდან „კავკასიის ომი“**

**დასასრული შემდეგ ნომერში**

საქინფორმი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ამერიკელები ჩვენს ჯარისკაცებს მთამსვლელობის საფუძვლებს ასწავლიდნენ; აჩვენებდნენ, როგორ უნდა დაეყენებინათ სამაგრები და ემოძრავებინათ ხელ-ფეხი. მათ შემდეგ საქმეს ჩვენი სპეცქვედანაყოფი შეუდგა. ბიჭები შემთხვევით როდი შეერჩიათ, ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ. ასეთები, მშიერიც რომ დატოვო, არ ინაღვლებენ, ოღონდ კლდეებზე იცოცონ! ჩემ გვერდით მდგომმა „ვარსკვლავზოლიანსამხრეებიანმა“, რომელიც თვალს ადევნებდა მათ მუშაობას, ამოიხვნეშა და თქვა (სხვათა შორის, თავანკარა რუსულით): „ეჰ, მგონი, ჩვენ უნდა ვსწავლობდეთ თქვენგან...“ ამით კიდევ ერთხელ დაადასტურა ჭეშმარიტება, რომ „შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვს“.**

# «ჩვენი ჯარისკაცები ერაყსა და ავღანეთში ამერიკის ექსპანსიისთვის ფართო საერთაშორისო სტატუსის მისანიჭებლად დასჭირდათ!»

**აბა, მითხარით, რას გააწყობ დღეს უინტერნეტოდ?! აი, სულ რამდენიმე ამონარიდი ამ ყოვლისმცოდნე მანქანიდან ჩვენთვის საინტერესო თემაზე:**

ავტორიტეტული საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაცია „სტრატფორის“ გამოკვლევებით, **„საქართველო-რუსეთის 2008 წლის ომის გაკვეთილების გათვალისწინებით, თბილისი თავის სამხედრო სტრატეგიას გადახედავს. ნატოსთან თავისი დამოკიდებულებების მიუხედავად, საქართველომ დაასკვნა, რომ ეროვნული უსაფრთხოებისა და გადარჩენის ინტერესებში მისთვის აუცილებელია საკუთარი თავდაცვა და მოგერიების უნარი, რისთვისაც საქართველომ, პირველ რიგში, საზენიტო და ტანკსაწინააღმდეგო იარაღის მოდერნიზება უნდა მოახდინოს. მაგრამ, პრობლემა ისაა, რომ საქართველოს, რუსეთის ზეწოლით, იარაღის სამი უდიდესი მომწოდებელი – ყაზახეთი, უკრაინა და ისრაელი – საქართველოსთან თავის სამხედრო კავშირს ამცირებს...“**

სიმართლე გითხრათ, არავითარი საფუძველი არ მაქვს, არ მჯეროდეს „სტრატფორის“ დასკვნებისა და ჩვენი ხელისუფლების ხმამაღალი განცხადებებისა იმის შესახებ, რომ საქართველო თავის სავარაუდო მოწინააღმდეგედ რუსეთს მიიჩნევს, რაც ჩვენს ახალ თავდაცვის კონცეფციაში დაფიქსირებულია კიდეც.

და აი, აქ, უნებლიეთ, თითქოს თავისთავად, მებადება პირველი კითხვა: **რა ვუყოთ იმ გაკვეთილებს, რომლებიც თითქოსდა 2008 წლის აგვისტოს შემდეგ მივიღეთ? ნუთუ ჩვენს ქვეყანაში არ მოიძებნება განათლებული, მაღალკვალიფიციური ოკულისტი, რომელიც ჩვენს დიდ სტრატეგებს სათვალეს შეურჩევდა, რათა ბოლოს და ბოლოს დაენახათ ის უზარმაზარი ნიჩბები, რომლებზე დაბიჯებაც მეორედ სურთ?!**

სხვათა შორის, არცთუ გასაგებია ისიც, თუ რატომაა, რომ, თავისი დაჟინებული სურვილის მიუხედავად, ნატოს კარიბჭეში შეაბიჯოს, საქართველო, ასევე, ბეჯითად ცდილობს საკუთარი საიმედო თავდაცვის შექმნას და უნარის გამომუშავებას, დამოუკიდებლად მოიგერიოს სავარაუდო მოწინააღმდეგე. **რა არის ეს, თუ არა ურწმუნობა იმისა, რომ მიუხედავად გამუდმებული თავზე ხელის გადასმისა, ნატოელები მაინც და მაინც არ ჩქარობენ, პატარა საქართველო საკუთარი საიმედო ფრთის ქვეშ შეიფარონ?!**

იმასაც გულახდილად ვიტყვი, რომ არანაირად არ ვიზიარებ ცალკეული ე. წ. ექსპერტის თვალსაზრისს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ, თუ ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობა მოასწრებდა ერაყიდან თავისი საუკეთესო ელიტური ბატალიონის დროულად დაბრუნებას, ომის შედეგი, გარკვეულწილად, სხვაგვარი იქნებოდა.

ცდებით, ბატონებო! ჩვენ საარაკოდ გაგვიმართლა, რომ ეს ვერ მოვასწარით! რადგან საჩხერის ბატალიონი, სადაც უამრავი მეგობარი მყავს, სხვა, ტიპური ამერიკული პროგრამებით მომზადებულ ბატალიონებზე უკეთესი თუ არაა, არც არაფრით ჩამოუვარდება. პროგრამით, რომელიც, ჩემი შეხედულებით, სულაც არ არის უნაკლო, მნიშვნელოვანი კორექტივების შეტანასაც მოითხოვს.

მოკლედ, საომარ მოქმედებებში ბატალიონი ვერავითარ გარდატეხას ვერ მოახდენდა. წინააღმდეგობის გაძლიერების შემთხვევაში კი მოწინააღმდეგის იერიში ბევრად მძლავრი იქნებოდა, რაც, თავის მხრივ, მსხვერპლის რაოდენობას გაზრდიდა! ამჯერად, როგორც იტყვიან, ღმერთმა დაგვიფარა. თუმცა **მაღალჩინოსან სამხედროებს, უმაღლესი მთავარსარდლის ხელმძღვანელობით, ვინმეს წინააღმდეგ ომის დაწყებამდე, უპრიანი იქნებოდა, ტვინი გაენძრიათ და ყველა სავარაუდო შედეგი გაეთვალისწინებინათ.**

თუმცა, ვისაც ამის უნარი შესწევდა შეიარაღებულ ძალთა რიგებში, რატომღაც წინდაწინ გაათავისუფლეს, ხოლო წარმოქმნილი სიცარიელე საზაფხულო სამხედრო კურსდამთავრებულებით შეავსეს, რომელთა კომპეტენციაშიც, ეტყობა, ამგვარი თავსატეხების ამოხსნა არ შედის...

ჩემი ღრმა რწმენით, ეს „გაუგებრობა“ სათავეს იღებს ჩვენს შეიარაღებულ ძალებზე საქართველოში ფართოდ რეკლამირებული ამერიკული მეურვეობის პირველივე წლებიდან.

რასაკვირველია, იქაური ექსპერტების რჩევით, საქართველოსთვის მთავარ საფრთხედ განისაზღვრა მის ფარგლებში ტერორისტული ჯგუფების შემოჭრა ჩრდილოეთ კავკასიიდან. თუმცა პირადი შემადგენლობის წვრთნის ამგვარ სისტემაში ჩვენი მომიჯნავე ქვეყნების დიდ სახელმწიფო ფორმირებებთან შეტაკებები არ იგულისხმებოდა. ამიტომ ქართული არმიის ყველა მასშტაბური სამხედრო წვრთნა უმარტივესი სქემით მიმდინარეობდა — საზღვარს არღვევენ ტერორისტები, რომლებზეც ლამის მთელი არმია ტანკებისა და ყველა სახეობის საარტილერიო და საზენიტო-სარაკეტო ტექნიკის გამოყენებით ნადირობს, თუმცა ამისთვის საკმარისი იქნებოდა



კარგად აღჭურვილი და სპეციალურად გაწვრთნილი ერთი ანტიტერორისტული ქვედანაყოფის შექმნაც.

**იმ წლებში საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე ყოველკვირეული სამხედრო პროგრამის ხელმძღვანელი ვიყავი და არაერთხელ მომიხდა მსგავს წვრთნებზე დასწრება. ჩვენი სამხედრო თამაშების ტიპურ სცენარებთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე კი მუდამ ერთსა და იმავე პასუხს მაძლევდნენ: აქაოდა, რა შუაშია აქ სცენარი, მთავარია, ჯარები მოითელოს, კუნთები აათამაშონ! თითქოსდა, ყველაფერი სწორია... არადა, საბრძოლო მოქმედებების ერთი ოპერაციის ფარგლებში და საბრძოლო შეტაკების გაჩაღება დიდი ძალების გამოყენებით, როგორც იტყვიან, ორი სხვადასხვა რამაა, რაც ბრიყვისთვისაც ნათელია...**

შემთხვევითი როდია, რომ **2008 წლის ომის ელვისებურად წაგების შემდეგ ჩვენთან ჩამოსულმა აშშ-ის არმიის გენერალ-პოლკოვნიკმა ერთ-ერთ ტელეარხთან ინტერვიუში მოიბოდიშა კიდეც: აქაოდა, დამნაშავენი ვართ, რომ თავდაცვა არ ვასწავლეთო... ვიტყოდი, არა მარტო არ ასწავლეს, არამედ შეგნებულად არ მოისურვეს ამის სწავლება!!!** რადგან ყველა საერთაშორისო სამშვიდობო წვრთნაზე, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე, მაგალითად, აშშ-ში, კანადაში, გერმანიაში, პორტუგალიაში, სადაც მე, როგორც ჟურნალისტი, ქართველ სამხედროებს თან ვახლდი, საქმე ე. წ. სიტუაციური წვრთნებით შემოიფარგლებოდა, ანუ ხელოვნურად, სპეციალურად ამისთვის გაწვრთნილი „მასოვკის“ დახმარებით, იქმნებოდა კრიტიკული სიტუაცია, რომელშიც, შესაძლოა, აღმოჩენილიყვნენ პოსტკონფლიქტურ ზონაში წესრიგის დასაცავად გაწვეული მშვიდობისმყოფელები.

როგორც მიხვდით, მშვიდობისმყოფელთა მეცნიერების შესწავლა სრულებითაც არ ნიშნავს საბრძოლო მომზადების ელემენტთა შესწავლას. ეს ყველაფერი კი მაძლევს უფლებას, ვამტკიცო, რომ **ამერიკელების მიერ ქართველი ჯარისკაცებისა და ოფიცრების მომზადება საკუთარი და არა ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად მიმდინარეობდა!** შემდგომმა მოვლენებმა თვალსაჩინოდ წარმოაჩინა, რომ ჩვენი ჯარისკაცები მათ ჯერ ერაყში, შემდეგ კი ავღანეთში თავიანთი ექსპანსიისთვის ფართო საერთაშორისო სტატუსის მისანიჭებლად დასჭირდათ!

ამერიკელებთან დაკავშირებით თითქოსდა ყველაფერი გასაგებია – „აინ გროსე შიდო მახე გროსე ფარტ“, რაც ქართულად იგივეა, რაც „დიდი ხომალდი — დიდი ცურვა“, განსაკუთრებით, იმ მიმართულებით, საიდანაც ნავთობის სუნი მოდის... მაგრამ ეგებ ვინმეს აეხსნა, ჩვენ რაღას ვაკეთებდით იქ – იქნებ ჯერ ჩვენში მოგვეშენებინა ეს დემოკრატია და მერე მოგვეწყა „სხვისი ბოსტანი“?!

ეს აზრი მას შემდეგ განმიმტკიცდა, რაც არაერთხელ გავხდი ერთი და იმავე და, არ დავმალავ, ჩემთვის, როგორც ქართველისთვის, ძალიან უსიამოვნო ეპიზოდის მომსწრე.

მოკლედ, ასე: **მშვიდობისმყოფელთა წვრთნის ტიპურ პროგრამაში გხვდება სიტუაცია, როცა ადმინისტრაციის ძალისმიერი შეცვლით აღგზნებული მოსახლეობა წესრიგის დამცველთა წონასწორობიდან გამოყვანას და ახალი არეულობის გამოწვევას ცდილობს. ამასთან, მასა ამას მუდამ სხვადასხვაგვარად აკეთებს, იმის მიხედვით, თუ რა ეროვნების მებრძოლებთან აქვს საქმე; ერთს ლანძღავს და შეურაცხყოფს, მეორეს აფურთხებს, მესამეს შეურაცხმყოფელ მეტსახელებს არქმევს. ქართული შენაერთის წინ კი ამერიკელთა „მასოვკა“ მუდამ ერთსა და იმავე პანტომიმას წარმოადგენდა — ადამიანისმაგვარ მხტუნავ მაიმუნებს, რომლებიც ესესაა ხიდან ძირს ჩამოვიდნენ. ძალაუნებურად ვიფიქრე – აი, თურმე, როგორ გამოვიყურებოდით ჩვენ, ქართველები, ჩვენი ცივილიზებული, სტრატეგიული „ძმების“ თვალში! და ნეტავ ვინმეს აეხსნა სხვის ქვეყანაში ჩათრეული ამ ბანდიტებისა და ავანტიურისტების ნაშიერებისთვის, რომ იმ დროს, როცა ისინი საბრალო ინდიელებს ჟუჟავდნენ, ჩვენ, ქართველები...**

თუმცა, თავადაც იცით.

თუმცა, მოდი ისევ ჩვენს... სამხედრო სპეციალისტებს დავუბრუნდეთ. სურვილი – აღემატებოდე სავარაუდო მოწინააღმდეგეს, ანუ რუსებს, ტანკებითა და საზენიტო დანადგარებით, იგივეა, ქვეყნის მთელი მამრობითი სქესის მოსახლეობა, გარდა იმ ნაწილისა, დოლარების საშოვნელად ევროპაში რომ დარბის, აიძულო, ტანკისტი და მეზენიტე გახდეს. გარდა ამისა, ურიგო არ იქნებოდა, ჩვენმა ბრძენმა სამხედროებმა იცოდნენ და კარგად დაიზეპირონ, რომ რუსებს არა მარტო „ჟანგიანი“ ტანკები და ზარბაზნები აქვთ, არამედ ისეთი თანამედროვე ტექნიკაც, როგორიც არც კი დაგვესიზმრებია... ეს ჩვენ გვაკმარეს „ჟანგიანი“ ტანკები...

უპრიანი იქნებოდა, შეგვეხსენებინა მარტივი ანბანური ჭეშმარიტებაც, მაგალითად, იმის შესახებ, რომ **ვინმეს წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებამდე ჯერ ფანქრითა და ფურცლით უნდა შეიარაღდე და კეთილი ინებო და დაითვალო:**

**ა) სავარაუდო მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალა;**

**ბ) მისი ტექნიკური აღჭურვილობის ხარისხი, ე.წ. მულტიპლიკატორული ძალების ჩათვლით;**

**გ) ოფიცრებისა და პირადი შემადგენლობის მომზადების დონე.**

როდესაც ყველაფერს აწონდაწონი და საკუთარ ღირსებებში დარწმუნდები, შეგიძლია სავარაუდო გამარჯვების სადღეგრძელოც შესვა.

ამას გეუბნებით მე, ჟურნალისტი, რომელმაც მრავალი წელი ნამდვილი სამხედროების გვერდით გავატარე. სპეციალისტები კიდევ უფრო მეტს გეტყვიან.

**რაც შეეხება დიდ „გულბოროტ“ მეზობელს, ნომერ პირველ მტრად გამოცხადების ნაცვლად, მე ჩვენს ხელისუფლებას ვურჩევდი, მასთან სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების დასარეგულირებლად ძალისხმევა არ დაეშურებინა. ეს კი, ქვეყნის წამყვან მეურნეთა აზრით, მყისიერად აისახება ჩვენი ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდაზე.**

კიდევ ერთი რჩევა და კვლავაც – კეთილი ნებიდან გამომდინარე: თქვენი საზენიტო-სატანკო მეურნეობის მოდერნიზაციას ნუ დაეშურებით. რა საჭიროა, ზედმეტად გაალიზიანოთ ვინმე, თუკი შედეგი წინასწარ ცნობილია?! ჩემმა მეზობელმა მაყვალა შალვოვნამაც კი იცის, რომ აქ არანაირი შანსი არ გვაქვს! ჰოდა, უმჯობესი იქნებოდა, ეს სახსრები, ვთქვათ, სოფლის მეურნეობის ან ეკონომიკის სხვა სფეროების განვითარებაზე დახარჯოთ. რამე სარგებლობა მაინც მოუტანეთ თქვენს ქვეყანას, ბიჭებო! **ბოლოს და ბოლოს, გაიგეთ: იმედი იმისა, რომ თქვენს სამხედრო ჭირვეულობებს ე.წ. გავლენიანი მეგობრები აიტაცებენ, საღ აზრსაა მოკლებული. ჩვენ გამო, რაც უნდა კარგები ვიყოთ მათ თვალში, ახალ ომს არავინ წამოიწყებს!**

თუმცა ძალიან არ მინდა, პუბლიკაცია მინორულ ნოტზე დავასრულო. გონებამ ღირსეული ფინალი მიკარნახა. დიდი წვრთნების ის ორი ეპიზოდი გამახსენდა, როდესაც ძალიან ამაყი ვიყავი ჩვენი სამხედრო მოსამსახურეებით. ერთ მათგანზე ამერიკელები ჩვენებს საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე ავტოტრანსპორტის შემოწმებას ასწავლიდნენ. მოახლოებული ავტომანქანიდან ინსტრუქტორებმა ოთხი მამაკაცი გადმოსვეს, რიგში დააყენეს, ჩვენები კი საბარგულისა და მანქანის „სტომაქის“ შესამოწმებლად წაიყვანეს. ამაზე ერთ-ერთმა ქართველმა მოსამსახურემ რეპლიკა წამოისროლა: **„ეი, ბიჭებო, ასე არ გამოვა. ჯერ ეს კაცები უნდა გავჩხრიკოთ და მერე უნდა მივიდეთ მანქანასთან. თუ არადა, ესენი გვესვრიან და ჯიბეებსაც გაგვიჩხრეკენ!“** შეცბუნებული ამერიკელი ინსტრუქტორები იძულებული გახდნენ, ჩვენი მოსამსახურეების აზრი გაეზიარებინათ.

მეორე შემთხვევა საჩხერეში მოხდა: ამერიკელები ჩვენს ჯარისკაცებს მთამსვლელობის საფუძვლებს ასწავლიდნენ; აჩვენებდნენ, როგორ უნდა დაეყენებინათ სამაგრები და ემოძრავებინათ ხელ-ფეხი. მათ შემდეგ საქმეს ჩვენი სპეცქვედანაყოფი შეუდგა. ბიჭები შემთხვევით როდი შეერჩიათ, ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ. ასეთები, მშიერიც რომ დატოვო, არ ინაღვლებენ, ოღონდ კლდეებზე იცოცონ! ჩემ გვერდით მდგომმა „ვარსკვლავზოლიანსამხრეებიანმა“, რომელიც თვალს ადევნებდა მათ მუშაობას, ამოიხვნეშა და თქვა (სხვათა შორის, თავანკარა რუსულით): **„ეჰ, მგონი, ჩვენ უნდა ვსწავლობდეთ თქვენგან...“** ამით კიდევ ერთხელ დაადასტურა ჭეშმარიტება, რომ „შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვს“. ამიტომაც **ჩვენს ხელისუფლებას ვურჩევ — საქართველოს სამხედრო ძალების შენებისას გონიერებსა და მცოდნეებს დაეყრდნოს და არა — გაუმაძღარ ბრიყვებს** და ღვთის გულისათვის, რუსეთს ნუ შეეხებით, თორემ „რით გამოვკვებავთ ამდენ ტყვეებს“ თავად მშივრები?! რა თქმა უნდა, გარდა ახალი სამხედრო უსაფრთხოების კონცეფციისა, დოქტრინითურთ და ისიც, ჩაროზად, თორემ მისგან ფაფასაც ვერ მოხარშავ...

აი, ასეთი გამოგვდის ჩვენი ახალი სამხედრო უ-საფრთხოების კონცეფცია, ანუ ახალი ხიფათები, რომლებიც, ბოდიში და, ჩვენვე მოვიგონეთ...

**გივი ბაქრაძე**

**გამორიცხავს თუ არა ბიომეტრიული აღრიცხვა გაყალბებას? რა თქმა უნდა, — არა, რადგან აბსოლუტურად დაცული სისტემა ბუნებაში არ არსებობს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის საააკაშვილის ხელისუფლების კონტროლქვეშაა. საკვანძო საკითხები, ალბათ, უფრო მაჟორიტარების არჩევის სისტემა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შეზღუდვაა. „რვიანის“ გადამეტებული კონცენტრაცია ბიომეტრიაზე კი, ალბათ, მაინც სტრატეგიული შეცდომა იქნება.**

ჩვენიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# საფრანგეთმა ბანდიტებს «დემოკრატია» მიჰყიდა

კირილ სვეტლიცკის წერილს „ნიკოლა სარკოზის 35 ვერცხლი“ შეიძლება ენდოთ, შეიძლება — არა, რადგან ცოტა საპირვე-ლაპრილო ხუმრობას ჰგავს, ცოტა — განგებ შემოგდებულ „დეზას“, მაგრამ საინტერესოა, თანაც — მოულოდნელი, ამოვარდნილია მსოფლიო პრესაში დამკვიდრებული პოზიციიდან.

ვიხელმძღვანელოთ დებულებით „შეუძლებელი არაფერია!“ და მივყვეთ ავტორისეულ მსჯელობას. მაგრამ ისიც მხედველობაში ვიქონიოთ, რომ იმ წერილის უტყუარობა, რომელსაც სვეტლიცკი დოკუმენტად იშველიებს, ბოლომდე თვითონაც არ სჯერა და ნდობა-უნდობლობის საკითხს მკითხველს ანდობს — მკითხველმა განსაჯოსო.

## კირილ სვეტლიცკი (საიდუმლო წერილი):

# ნიკოლა სარკოზის 35 ვერცხლი

**ლიბიის ნავთობის საბადოების ზუსტად 35 პროცენტად შეაფასა საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ, ლიბიის კანონიერ მთავრობად ალ ქაიდას წარმომადგენლების აღიარების მიზნით, გაწეული საკუთარი ძალისხმევა. ეს გაირკვა იმ წერილიდან, რომელიც „ლიბიის გათავისუფლების სახალხო ფრონტმა“ თავის სპონსორებს გაუგზავნა.**

„ლიბიის გათავისუფლების სახალხო ფრონტი“ ლიბიის საზღვრებს გარეთ იმყოფება და მჭიდრო კავშირი აქვს ე. წ. ლიბიის დროებით მთავრობასთან — ადამიანებთან, რომელთა სახელები დღემდე არავინ იცის. იცნობენ მხოლოდ იმათ, ვინც ალ ქაიდას აქტივისტთა რიგებშია გაერთიანებული. ისინი ხელმძღვანელობენ ბანდფორმირებებს, რომელთა ლიბიის ტერიტორიიდან განდევნითაა დაკავებული ამ ქვეყნის კანონიერი მთავრობა. **ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც ბანდფორმირებების ხელმძღვანელები „ლიბიის კანონიერ მთავრობად ცნო“ ჯერ კიდევ მაშინ, როცა არც ერთი მათგანის სახელიც არ იყო გამჟღავნებული, იყო საფრანგეთი, პირადად პრეზიდენტი სარკოზი.**

ასეთმა სულსწრაფობამ გააოცა ის ქვეყნებიც კი, რომლებმაც განაცხადეს, რომ მზად არიან, მხარი დაუჭირონ ლიბიის ხელისუფლების დამხობას და ამ მიზნით დამოუკიდებელი სახელმწიფოს სამხედრო ინფრასტრუქტურის გასანადგურებლად თავიანთი ჯარები გაგზავნეს აღნიშნულ რეგიონში.

ამჟამად, როცა ნატოს დაბომბვები წარმატებული არ აღმოჩნდა არც ამ ალიანსისთვის, არც ბანდფორმირებებისთვის, როცა ლიბიის რეგულარულმა არმიამ ბანდიტებისგან თითქმის მთელი ტერიტორია გაწმინდა, ამ უკანასკნელებმა, ეტყობა, დაკარგეს სიფხიზლე და თავიანთ უცხოურ სპონსორებს გაუგზავნეს წერილი შეძახილით „დაგვეხმარეთ!“ წერილში მიუკიბავ-მოუკიბავად შეახსენეს ის ფასი, რომელიც შესთავაზეს საფრანგეთს მხარდაჭერისთვის და რასაც დათანხმდა სარკოზი. **მთელი ეს ტრაგედია, ყველა მოკლული და დაჭრილი, მთელი დაღვრილი სისხლი საფრანგეთის პრეზიდენტს იმისთვის დასჭირდა, ლიბიაში მოპოვებული ნავთობის 35 პროცენტი რომ ხელთ ეგდო.**

ქვეყნის საექსპორტო მოგების ერთ მესამედზე მეტი არის ის ფასი, რომელსაც იხდიან ბანდიტები ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად.

საინტერესოა, ვინ არის წერილში ნახსენები ვინმე მაჰმუდ ალ-შამამი. მისი სახელი საოცრად ემთხვევა ტელეარხ ალ-ჯაზირას ერთ-ერთი დირექტორის სახელს. ეს არის ის არხი, რომელსაც უნდა ვუმადლოდეთ სიცრუის ლომის წილის გავრცელებას ლიბიის კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ, იმ ტყუილებისა, რომლებიც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ტელეეთერს აბინძურებს.

არადა, რამდენს გაყვირიან „დემოკრატიის“ შესახებ! **გაირკვა კი, რომ წმინდა წყლის ქურდული ბიზნესია: წაგლიჯონ ქვეყანას და ერთმანეთში გაინაწილონ. არავითარი რევოლუციური რომანტიკა...**

ამ წერილის უტყუარობა მკითხველმა განსაჯოს. მე ამ დოკუმენტის ნამდვილობაში ეჭვი თითქმის არ მეპარება. ვიმედოვნებ, რომ უახლოეს დროში ჭეშმარიტება დადგინდება.

* * *

**ქვემოთ გთავაზობთ იმ წერილის ფოტოპირს და თარგმანს, რომელზეც კირილ სვეტლიცკიმ თავისი მსჯელობა ააგო.**

# ლიბიის სახალხო ოპოზიციური კომიტეტი

## საფრანგეთსა და ლიბიის დროებით მთავრობას შორის ნავთობის შესახებ დადებული ხელშეკრულების გამო


POPULAR FRONT FOR THE LIBERATION OF LIBYA

**ძმებს ყატარში, ემირატებში ბატონ მუსა ომარისგან**

ლონდონში ჩვენს შეხვედრაზე მიღებულია გადაწყვეტილება ლიბიის ოფიციალური წარმომადგენლის შესახებ. ვადასტურებთ, რომ აქტიურად ვთანამშრომლობთ საფრანგეთის მთავრობასთან ჩვენი საბჭოს მეშვეობით და თქვენი მადლობელი ვართ ლიბიის დაცვის საქმეში გაწეული დახმარებისთვის.

ვადასტურებთ, რომ თქვენთან და მთელს დასავლეთთან ჩვენი ოფიციალური წარმომადგენელი იქნება ბატონი მაჰმუდ ალ-შამამი, ბატონ მაჰმუდ გაბრიელის ნაცვლად. ჩვენ გავარკვიეთ, რომ გაბრიელმა გვიღალატა პოლკოვნიკ კადაფის სასარგებლოდ და ამან საგრძნობი ზიანი მიაყენა ჩვენს მოძრაობას.

**ჩვენ ვმოქმედებთ საფრანგეთის მთავრობასთან შეთანხმების საფუძველზე პოლკოვნიკ კადაფის ნაცვლად ლიბიის ოფიციალურ წარმომადგენლებად მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე ჩვენი აღიარების შესახებ.**

**ჩვენი მხრიდან ჩვენი ოფიციალური წარმომადგენელი მაჰმუდ ალ-შამამი ხელს მოაწერს დოკუმენტს, რომლის ძალითაც ლიბიური ნავთობის მთელი მარაგის 35 პროცენტი საფრანგეთს საკუთრებად გადაეცემა. ასევე გთხოვთ, სამხედრო დახმარებას, შეიარაღებისა და ტყვია-წამლის მოწოდებას წერილობით დადგენილი რაოდენობით.**

აუცილებელი შეიარაღების სია უკვე გამოგეგზავნათ. ძალიან გთხოვთ, დააჩქაროთ თქვენი გადაწყვეტილება, რადგან ჩვენს ხელში დარჩა მხოლოდ ქალაქი ბენღაზი.

წერილს მოგაწვდიან საფრანგეთში თქვენი საელჩოს საშუალებით ან ფაქსით.

**დროებითი სახალხო კომიტეტი
ლიბიის ხალხის წარმომადგენელი
(ხელმოწერა)**

საავტორო სვეტი

# ბიომეტრიის გეომეტრია

**გაზაფხული ეკვატორს უახლოვდება და, ალბათ, დროა, ოპოზიციური სპექტრის დისპოზიციას თვალი შევავლოთ. ბევრი ოპოზიციონერი ხომ შექმნილი მძიმე ვითარების, რადიკალურ თუ არა, ნაწილობრივ შეცვლას სწორედ გაზაფხულზე გვპირდებოდა. ზოგი მრავალათასიანი აქციებით საბოლოო შედეგის მიღწევაზე საუბრობდა, ზოგიც — საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე, მაგრამ რეალური შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს.**



მართალია, კალენდარული გაზაფხულის დასრულებამდე გარკვეული დრო ჯერ კიდევ რჩება, მაგრამ **პროცესები სულ უფრო ხშირად გასული წლის შემოდგომას გვახსენებს, როდესაც ოპოზიციური პარტიების შემყურე საზოგადოების პროტესტმა და დაძაბულმა მოლოდინმა სათანადო რეალიზება ვერ ჰპოვა.**

გასაგებია, რომ საერთო სურათი ძალზე მძიმეა, მაგრამ, როგორც ძველად იტყოდნენ, **„მე თქვენთვის სხვა ჯარისკაცები არ მყავს“.** ჩვენც არ გვყავს სხვა ოპოზიცია და იძულებული ვართ მის მოქმედებას დავაკვირდეთ, მიუხედავად იმისა, რომ ამან შეიძლება ჯანმრთელი ადამიანი კლინიკურ დეპრესიამდე ან რეაქტიულ ფსიქოზამდე მიიყვანოს. მაგრამ, ხელისუფლებაზე დაკვირვებისგან განსხვავებით, ამ პროცესში რაღაც სახალისო ელემენტები მაინც რჩება; ხელისუფლების შემთხვევაში კი ყველაფერი ცხადი და მარტივია, როგორც ავლიპ ზურაბაშვილის უდრეკი ხელით დაწერილი დიაგნოზი.

მაშ ასე, **ოპოზიციური „რვიანის“ და მმართველი პარტიის მოლაპარაკება მორიგ მიჯნას მიუახლოვდა.**

საერთოდ, მთელი ეს პროცესი შეგვიძლია პირობითად რამდენიმე ორთვიან ეტაპად დავყოთ: გასული წლის ნოემბერ- დეკემბერში ოპოზიციურმა პარტიებმა საკუთარი ხედვების პრეზენტაცია მოახდინეს, შემდეგ იანვარ-თებერვალში „ნაციონალური მოძრაობა“ თავის პოზიციას აყალიბებდა (დრო კი მიდიოდა), რომელიც საბოლოოდ 9 მარტს ჩამოაყალიბა.

ხელისუფლების მიერ გაჟღერებული იდეებიდან ორი ოპოზიციის წინადადებებთან პრინციპულ წინააღმდეგობაში მოდიოდა, კერძოდ — მაჟორიტარული ოლქების რაოდენობის გაზრდა პროპორციულის ხარჯზე ან ძველი ბალანსის შენარჩუნება პარლამენტარების საერთო რაოდენობის გაზრდის გზით. ასევე, ხელისუფლებამ უარი თქვა ამომრჩეველთა ბიომეტრიულ აღრიცხვაზე თბილისის გარეთ და დააფიქსირა, რომ დედაქალაქში ამომრჩეველთა ბიომეტრიული აღრიცხვის დაფინანსებას ვერ შეძლებს.

ამ მომენტიდან ვიდრე დღემდე არაფერი ღირსშესანიშნავი, მსუბუქი ორმხრივი ისტერიკის გარდა, არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით „რვიანის“ 23 მარტის განცხადებას, სადაც ნათქვამი იყო რომ **„რვიანი“ მოლაპარაკებებს არ შეწყვეტს „მხოლოდ ხელისუფლების მხრიდან ადეკვატური ნაბიჯების გადმოდგმის შემთხვევაში. ხელისუფლების ადეკვატური დამოკიდებულების მანიშნებელი იქნებოდა, მაგალითად, გადაწყვეტილების მიღება მთელ ქვეყანაში ამომრჩეველთა ბიომეტრიულ რეგისტრაციაზე და საარჩევნო სისტემის რეფორმაზე, რაც მაქსიმალურად უზრუნველყოფდა პოლიტიკურ ძალებს შორის საპარლამენტო ადგილების განაწილებას მიღებული ხმების პროპორციულად“.**

მიუკერძოებელ დამკვირვებელს შეიძლება მოეჩვენოს, რომ სიტყვები: „მხოლოდ“ და „მაგალითად“ წინარე ფრაზაში ერთმანეთს გამორიცხავს, თუმცა აქ სხვა რამ არის საყურადღებო — პირველ პლანზე გამოტანილია ბიომეტრიული რეგისტრაცია, რომლის თანდათანობითი ფეტიშიზაცია „რვიანში“ შემავალმა ზოგიერთმა პარტიამ მოახდინა.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოლაპარაკება საბოლოოდ შემდეგნაირად დასრულდება: ხელისუფლება მაჟორიტარებს არ დათმობს (მოიძებნება რაღაც ფორმულა, რომელსაც „კომპრომისულს“ უწოდებენ), ბიომეტრიას კი დათმობს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ხელისუფლების იმ სტრუქტურების მოხელეებმა, რომლებსაც ბიომეტრიული აღრიცხვა შეეხება, შესაბამისი ტექნიკური ინსტრუქციები უკვე მიიღეს.

**გამორიცხავს თუ არა ბიომეტრიული აღრიცხვა გაყალბებას? რა თქმა უნდა, — არა, რადგან აბსოლუტურად დაცული სისტემა ბუნებაში არ არსებობს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის საააკაშვილის ხელისუფლების კონტროლქვეშაა. საკვანძო საკითხები, ალბათ, უფრო მაჟორიტარების არჩევის სისტემა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შეზღუდვაა. „რვიანის“ გადამეტებული კონცენტრაცია ბიომეტრიაზე კი, ალბათ, მაინც სტრატეგიული შეცდომა იქნება.**

„რვიანს“ შეუძლია მნიშვნელოვან შედეგს მიაღწიოს იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებას მოლაპარაკების შეწყვეტით დაემუქრება სწორედ მაშინ, როდესაც რადიკალების აქციები ქუჩაში პიკს მიაღწევს. ანუ, უხეშად რომ ვთქვათ, **თუ „შინაური“ და „გარეული“ ოპოზიცია დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში იტყვის, რომ ხელისუფლება არაადეკვატურია, სააკაშვილი დასავლელი პარტნიორების ზეწოლის ქვეშ მოექცევა, რომლებიც მას მნიშვნელოვან დათმობებზე წასვლას აიძულებენ. მაგრამ ეს „სინქრონიზაცია დროში“, საკმაოდ დიდი ალბათობით, არ მოხდება, რადგან ოპოზიციური პარტიების გარკვეული ნაწილი იმედს არა სამართლიან არჩევნებზე, არამედ ხელისუფლებასთან ფარული (უკვე მიღწეული) შეთანხმების შედეგად მიღებულ ბონუსებზე ამყარებს.**

კრიტიკულ მომენტში „რვიანი“ ერთობლივი თამამი ნაბიჯის შემუშავების შესაძლებლობას, სავარაუდოდ, მოკლებული იქნება. ასე რომ, ილუზიებს ოპოზიციის ერთობლივი ძალისხმევის შედეგად მიღწეულ წარმატებაზე, ალბათ, მაინც თავი უნდა დავანებოთ.

**დიმიტრი მონიავა**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95




**პლანეტარული მასშტაბის კონფლიქტი წარმოიშვა იმისთვის, რომ დედამიწის მოსახლეობის თუნდაც ხუთმა პროცენტმა ნახშირწყალბადების მონოპოლიური მფლობელობა მოიპოვოს. დანარჩენი ქვეყნები ამას ან წინ უნდა აღუდგნენ, ან უნდა გაქრნენ. ისინი, ვინც გულზე დაიკრეფს ხელებს, დაიღუპებიან. შეტაკების გადადება მხოლოდ დაამძიმებს მის შედეგებს.**

# საერთაშორისო ძარცვის ახალი წესრიგი

**გამოდის, რომ გაეროც, უშიშროების საბჭოც, ნატოც, საერთაშორისო მოლაპარაკებათა სისტემაც და ჰააგის სასამართლოც ძლიერთა მიერ სუსტების ძარცვის ინსტრუმენტებია და სხვა არაფერი. გამოდის, რომ სიტყვის თავისუფლებაც, მშვიდობის ნობელის პრემიებიც და მთელი კულტურაც გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ მიზეზად იმისთვის, რომ ჰუმანიზმის სახელით ხალხი დახოცონ, აგრესორი უწოდონ მას, ვინც თავს იცავს, და იძახონ, რომ სურთ ხალხის გადარჩენა, ვისაც თავად უშენენ ბომბებს. გამოდის, რომ კაპიტალიზმი არსებობს საკუთარ ხალხთა ფინანსური თაღლითობისა და სხვა ქვეყნების ხალხთა შეიარაღებული გზით ძარცვის ხარჯზე. გარდა ცნობილი ჭეშმარიტებების მრავალჯერადი გამეორებისა, კიდევ რისი გაკეთება შეიძლება?**




**თუ მოწინააღმდეგის დამარცხება არ შეგიძლია, გადადი მის მხარეს — ეს პროფესიონალი მკვლელების ერთ-ერთი მცნებაა, მაგრამ მთელი რიგი მაგალითებისა ამ თეზისს უარყოფს.** მარკოს პერეს ხიმენესი, რომელიც აშშ-ის ინტერესებს თავგანწირვით ემსახურებოდა, ბოლოს ვენესუელაში გისოსებს მიღმა აღმოჩნდა. სწორედ აშშ-მა გადასცა იგი ხსენებულ ქვეყანას. მანუელ ნორიეგას, რომელიც ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ აშშ-ის ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველოსთან თანამშრომლობდა, საბოლოოდ ხანგრძლივი პატიმრობა მიესაჯა. ალბერტო ფუხიმორი, რომელმაც პერუ სისხლის ზღვაში ჩაძირა, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს იმ კამერაში ატარებს, რომელშიც ოდესღაც აბიმაელ გუსმანი ჩასვა. თალიბები, რომლებსაც ცსს ავღანეთში საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად აჭმევდა, აცმევდა, წვრთნიდა და ფულსაც უხდიდა, ახლა ამ საიდუმლო სამსახურის წინააღმდეგ წმინდა ომში იხოცებიან. სადამ ჰუსეინი, რომელმაც ერაყი ირანის წინააღმდეგ მხოლოდ ამერიკელებისთვის მომგებიან ომში ჩაითრია, საბოლოოდ აშშ-ის საოკუპაციო ჯარების მიერ ხელისუფლებაში მოყვანილმა მარიონეტულმა მთავრობამ ჩამოახრჩო. **აი, ასე უხდის სამაგიეროს სატანა თავის მსახურთ.**

**ლაქიების ერთ-ერთი მცნების თანახმად, თუ არ შეგიძლია ვიღაც შენს მხარეს გადმოიბირო, უნდა დამორჩილდე. მათ, ვინც ამ გზას დაადგა, მთელი რიგი სევდიანი მაგალითები მოგვცა. წაართვა საკუთარ ხალხს, რათა მისცე უცხოელებს, საკუთარ ხალხში უკმაყოფილებას, უცხოში კი უმადურობას იწვევს.** ლიბიის მეფე იდრისმა საკუთარი ქვეყანა გაყიდა და სახალხო ამბოხის შედეგად ჩამოაგდეს. ირანის შაჰმა მუჰამედ რეზა პეხლევიმ თავისი ქვეყანა ამერიკელებს აჩუქა და ამბოხებულმა ხალხმა ტახტიდან ჩამოაგდო. საუდის მონარქებს თავიანთი ქვეყნის ტერიტორიების სხვა ქვეყნების სამხედრო ბაზებისთვის გაღება და ერთი ბარელი ნავთობის დაახლოებით რვა დოლარად გაყიდვა მოუხდათ. კარლოს ანდრეს პერესმა საკუთარი ქვეყნის სუვერენიტეტი საერთაშორისო სავალუტო ფონდს გადასცა და საყოველთაო ამბოხის შედეგად თანამდებობაც დაკარგა და სასამართლოს წინაშეც წარსდგა. ამერიკის მარიონეტმა მუბარაქმა დაკარგა ხელისუფლება და ვაშინგტონს თითიც არ გაუნძრევია მისთვის დახმარების აღმოსაჩენად. **აი, ასე ექცევა ხალხი სატანის მსახურთ.**

**თუ არ შეგიძლია მათ დაემორჩილო, დაუმეგობრდი, — იძლევა რჩევას საზოგადოებრივი კავშირების სფეროს ექსპერტი. საკუთარი ჯალათისადმი კეთილგანწყობის გამოვლენას მუდამ უკუშედეგი მოჰყვებოდა. ძნელი წარმოსადგენია ენერგიის უფრო უაზრო ხარჯვა.** ლიბიისთვის ომის გამოცხადების გარეშე აშშ-მა მისი სამხედრო-საზღვაო ძალები და რადიოლოკაციური სისტემები გაანადგურა, ტრიპოლი და ბენღაზი დაიბომბა, დაიღუპა ასზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე კადაფის ქალიშვილის ჩათვლით. აშშ-ის ქმედებათა განსჯის ნაცვლად გაეროს უშიშროების საბჭომ კადაფი დაადანაშაულა და კომპენსაციის სახით ორ მილიარდ დოლარზე მეტის გადახდა აიძულა იმ დანაკარგისთვის, რომელიც, სავარაუდოდ, ლიბიელთა მიერ თვითმფრინავის აფეთქების შედეგად წარმოიშვა. სავარაუდოდ დამნაშავე ლიბიელები კი საერთაშორისო სასამართლოს გადასცეს.

სხვადასხვა დათმობების ხარჯზე კადაფიმ 1999 წელს ლონდონთან დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინა, ევროკავშირის მიერ დაწესებული სავაჭრო შეზღუდვების გაუქმებას და 2003 წელს გაეროს სანქციების მოხსნას მიაღწია. გარდა ამისა, კადაფიმ ქვეყანა განაიარაღა შორი მოქმედების რადიუსის ხუთი რაკეტისა და საშუალო რადიუსის ასობით რაკეტის გადაცემით. მას შემდეგ მის მიმართ ყველაზე თბილი გრძნობებით განიმსჭვალენ ტონი ბლერი, შრედერი, ბერლუსკონი და ჟაკ შირაკი, რომლის საპრეზიდენტო კამპანია კადაფიმ დააფინანსა. მას დიდი პათოსით ლებულობდნენ ევროკომისიის თავმჯდომარე რომანო პროდი, ასნარი, ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი, მთავრობის თავმჯდომარე როდრიგეს საპატერო და სარკოზი, რომელსაც კადაფიმ ასევე დაუფინანსა წინასაარჩევნო კამპანია. ყველა ეს ადამიანი მოგვიანებით იმ ჯოგში გაერთიანდება, რომელიც კადაფის ქვეყანას დაბომბვისთვის გაწირავს და საზღვარგარეთ მის ანგარიშებს გაყინავს.

კადაფიმ თავის კეთილისმყოფელებს შეიარაღების დიდი პარტიების შესყიდვითა და ლიბიური ნავთობის საბადოების დამუშავებასთან დასავლური კორპორაციების — ინგლისური BP-ის, ესპანური Repsol-ის, იტალიური ENI-ის, ამერიკული Conoco Phillips–ის, Exxon Mobil-ისა და Chevron Texaco–ის დაშვებით უპასუხა. ჩათვალა რა, რომ მშვიდობისმყოფელობისთვის ეს ზომები არ იქნებოდა საკმარისი, ქვეყნის ლიდერმა ლიბიის საინვესტიციო სააგენტოს დაავალა, ევროპაში 70 მილიარდი დოლარი დაებანდებინა და, მიუხედავად იმისა, რომ ლიბიის სახელმწიფო ვალი უმნიშვნელო იყო და სულ რაღაც ხუთ მილიარდს, ანუ ქვეყნის ოქროს რეზერვის 0,5 პროცენტს არ აღემატებოდა, კადაფი დათანხმდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დაწესებულ ზომათა პაკეტის მიღებას. ეს ზომები ითვალისწინებდა ექვსი სახეობის მასობრივად მოთხოვნად პროდუქტზე სახელმწიფო დოტაციების გაუქმებას და სახელმწიფო საწარმოთა დიდი ნაწილის პრივატიზებას, რის შედეგადაც ქუჩაში აღმოჩნდა უამრავი ადამიანი. შესაძლოა, სწორედ ეს ადამიანები იქცნენ საპროტესტო დემონსტრაციების მთავარ მამოძრავებელ ძალად.

ახლა ეს დემონსტრაციები დანაშაულებრივი აგრესიის განსახორციელებლად გამოიყენება. სწორედ ის ოლიგარქიული დაჯგუფებები გაგყიდიან, რომლებთანაც თანამშრომლობას დათანხმდები. **მსოფლიო სავალუტო ფონდი, რომელსაც საკუთარი ეკონომიკის მართვას მიანდობ, არ დაგინდობს. ნებისმიერი შეთანხმება, რომელსაც ნაციონალური კანონმდებლობის გვერდის ავლით დათანხმდები, შენივე ჩამოგდების საწინდარი გახდება.** ის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის ჩარევასაც დაუშვებ, შენს საკუთარ საქმეებში დაიწყებს ხელების ფათურს. ის უცხოელი მოსამართლე, რომელსაც მართლმსაჯულებას მიანდობ, შენვე გამოგიტანს განაჩენს. სწორედ ის უცხოელი მოსამართლე, რომელსაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შეთანხმებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას მიანდობ, დაატყვევებს შენსავე ქონებას. ის ტრანსნაციონალური კორპორაცია, რომელსაც გადასახადების გადახდისგან გაათავისუფლებ, ამით დაზოგილ თანხას თვითმფრინავების შეძენას მოახმარს და ეს თვითმფრინავები დაბომბავენ შენსავე ქვეყანას. ის რელიგიური ან ეროვნებათშორისი დაპირისპირება, რომელსაც გაალვივებ, შენს ქვეყანას გახლეჩვამდე მიიყვანს. ის შერეული საწარმოები, რომელთაც შენს ნავთობწარმოებაზე კონტროლს გადასცემ, მოშლის შენს კომპიუტერულ სისტემებს და არც სხვა გამანადგურებელ ქმედებებს მოერიდება. ის, ვინც მტერს საკუთარი ელექტროკარდიოსტიმულატორის კოდს ანდობს, გულის გაჩერებით მოკვდება.

**თუ ძარცვა არ გამოგდის, დახუჭე თვალები იმაზე, რაც ხდება. რუსეთმა და ჩინეთმა თავი შეიკავეს უშიშროების საბჭოში ნატოელი კაციჭამიების დახმარებით მსოფლიო ნავთობის ძარცვის ამერიკულ გეგმაზე ვეტოს დადებისგან. არაბული სახელმწიფოების ლიგამ და აფრიკულმა კავშირმა, რომელიც მომდევნო მსხვერპლ-ქვეყნებს აერთიანებს, ორმაგი პოზიცია დაიკავეს.** 2002 წლის 17 ნოემბერს ჯორჯ ბუშ უმცროსმა ვაშინგტონში გამოაქვეყნა „აშშ-ის სტრატეგია ნაციონალური უსაფრთხოების სფეროში". როგორც ეს დოკუმენტი და „ახალი ამერიკული საუკუნის" მსგავსი გეგმები თვალსაჩინოდ ამტკიცებენ, ამერიკელები თავიანთ ჯვაროსნულ ომში ერთი ნაბიჯითაც არ აპირებენ უკან დახევას. ამ ლაშქრობის მიზანი მსოფლიო ბუნებრივი რესურსების ძალადობრივი მიტაცება და ყველა იმ ქვეყნის ლიკვიდაციაა, რომელთაც ამ რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობა, უბრალოდ, აღარ ექნებათ. **ომი იაპონიასთან მაშინ დაიწყო, როდესაც აშშ-მა, მისი განადგურების მიზნით, ამ ქვეყანას ენერგეტიკული ბლოკადა დაუწესა.**

**გულუბრყვილობა იქნებოდა იმის იმედად ყოფნა, რომ ლომი ხელს არ ახლებს მის კუთვნილ ნაჭრებს, ვინც სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ენერგორესურსების მიტაცება, უპირველეს ყოვლისა, ჩინეთის, მსოფლიო არენაზე აშშ-ის მთავარი კონკურენტის, მოგუდვაა.**

ჩინეთის შემდეგ რუსეთის დრო დადგება, რადგან ბუნებრივი რესურსების არც თუ მცირე ნაწილი ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ტერიტორიებზე დარჩა. ევროკავშირსა და იაპონიას კი მოუწევს, ნახშირწყალბადების ნამცეცების მისაღებად მთლიანად დამოკიდებულნი გახდნენ. ცხოვრებაში ამ გეგმის განსახორციელებლად ოთხი ომი გაჩაღდა: ერაყში, ავღანეთში, ლიბიასა და ბაჰრეინში. პლანეტარული მასშტაბის კონფლიქტი წარმოიშვა იმისთვის, რომ დედამიწის მოსახლეობის თუნდაც ხუთმა პროცენტმა ნახშირწყალბადების მონოპოლიური მფლობელობა მოიპოვოს. დანარჩენი ქვეყნები ამას ან წინ უნდა აღუდგნენ, ან უნდა გაქრნენ. ისინი, ვინც გულზე დაიკრეფს ხელებს, დაიღუპებიან. შეტაკების გადადება მხოლოდ დაამძიმებს მის შედეგებს.

**თუ არ შეგიძლია მოწინააღმდეგის მხარეს გადახვიდე, დაემორჩილო, დაუმეგობრდე, თვალები დახუჭო მის ქმედებებზე, მაშინ შეეწინააღმდეგე. კაცობრიობის ისტორიაში უმძიმესი ეკონომიკური კრიზისის პირობებში მსოფლიოს მოსახლეობის ხუთი პროცენტი სასიკვდილოდ გაწირავს დანარჩენს, თუ ეს უკანასკნელნი თავისმოტყუებისა და დეზორიენტაციის მორევში ჩაეფლობიან.** რა აქვთ არსენალში იმ ხალხებს, რომლებიც ამ დრომდე წარმატებით უწევდნენ წინააღმდეგობას იმპერიალისტურ აგრესიას? ჯერ ერთი, მათ საკუთარი თავი განსაკუთრებულ კულტურად გამოაცხადეს და დაიცვეს ეს პოზიცია. მეორე, მათ შეძლეს, თავი აერიდებინათ განხეთქილებებისთვის ეროვნული და კულტურული ნიშნის მიხედვით. მესამე, ისინი სრულ მასშტაბში ანხორციელებენ არაკაპიტალისტური საზოგადოების მშენებლობის პროექტს. მეოთხე, მათ მოახერხეს ხალხთა მასების მობილიზება ამ პროექტის ცხოვრებაში განხორციელებისთვის. მეხუთე, ისინი სათანადოდ მოემზადნენ მის დასაცავად. მეექვსე, მათ არასდროს დაუთმიათ საკუთარი სუვერენიტეტი და არ დათანხმებულან რაიმე დათმობებს ტრანსნაციონალური კორპორაციების, მასმედიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საამებლად. მეშვიდე, მათ შექმნეს და გაამყარეს ორმხრივი, რეგიონული, კონტინენტური და მსოფლიო კავშირები, რომლებიც იდეოლოგიური, ეკონომიკური და გეოპოლიტიკური სიახლოვის საფუძველზე სხვადასხვა ქვეყნებისა თუ ბლოკებისგან შედგება.

**ვერანაირი ბლოკადები და დაბომბვები ვერ შეაშინებს ხალხს, რომელიც ერთიანი იდეოლოგიითაა ნაკვები, საკუთარი კულტურით ამაყობს და თავს არ ზოგავს საკუთარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილებისა თუ შეიარაღებული ძალების გამყარებისთვის.**

მათ ვერ მოახერხეს ვიეტნამისა და კუბის დაჩოქება, ისინი ჯერ კიდევ ცდილობენ ერაყის, პაკისტანისა და ავღანეთის წინააღმდეგობის ჩახშობას. ახლა სამიზნედ პატარა ლიბია აირჩიეს და არა — ხალხმრავალი ირანი. ეს არის გაკვეთილი, რომელიც უნდა გაითვალისწინოს ყველამ, ვინც სიაში შემდეგია, ანუ მთელი დედამიწის მოსახლეობამ.

**„REBELION"**



**ხმელთაშუა ზღვის 20 ქვეყნიდან მხოლოდ სამი არ შედის ნატოს შემადგენლობაში და ალიანსთან „პარტნიორობის“ პროგრამებით არ არიან მიბმულნი. ესენია ლიბია, ლიბანი და სირია. ლიბანის წინააღმდეგ 2006 წლიდან უკვე მოქმედებს ნატოს ბლოკადა, ახლა ბლოკადა მოქმედებს ლიბიის წინააღმდეგაც. დაიხსომეთ, შემდეგი სირია იქნება. შეერთებული შტატები ნატოს დახმარებით ამ წრის ჩაკეტვას აპირებს.**

დაიჯესტი — უცხოეთი ქართველი და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# არ არსებობს ომზე უკეთესი ბიზნესი

**ტყუილი, ორპირობა და საიდუმლო გეგმები — აი, რაზე არ შეჩერდა აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა, როდესაც ამერიკასა და მთელ მსოფლიოს თავის ლიბიურ დოქტრინას უხსნიდა. ტვინი დუღდება, როდესაც იწყებ ფიქრს იმ მრავალრიცხოვან შავ ხვრელზე, რომლებმაც ეს მშვენიერი პატარა ომი გადაყლაპა. ეს ომი არცაა, როგორც თეთრმა სახლმა მონათლა, ეს არის „დროსა და სივრცეში შეზღუდული სამხედრო აქცია“. მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების უუნარობა, ერთდროულად განიკითხოს მუამარ კადაფის დაუნდობელი რეჟიმი და ანგლო-ფრანგული „ჰუმანიტარული“ დაბომბვები.**



1973 წლის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია ტროას ცხენად იქცა და ბრიტანეთის, საფრანგეთის, ამერიკისა და ნატოსგან შემდგარ კონსორციუმს საშუალება მისცა, გაეროს სამხედრო-საჰაერო ძალად ქცეულიყო და მხარი დაეჭირა შეიარაღებული ამბოხისთვის. **ამ ოპერაციას არა მხოლოდ საერთო არ აქვს მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვასთან, არამედ აბსოლუტურად უკანონოცაა საერთაშორისო სამართლის ნორმათა მიხედვით. საბოლოო მიზანი, რომელსაც არავინ აღიარებს, მაგრამ რომელიც თვით აფრიკის მშიერმა ბავშვებმაც იციან, მმართველი რეჟიმის შეცვლაა.**

ნატოს მხრიდან ლიბიის ოპერაციის ხელმძღვანელს, კანადელ გენერალ-ლეიტენანტ შარლ ბუშარს შეუძლია, რამდენიც უნდა ილაპარაკოს ამ მისიის მშვიდობიან მიზნებსა და სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის ამოცანაზე. მაგრამ ეს „უდანაშაულო მშვიდობიანი მოქალაქეები“, რომლებიც სამოქალაქო ომის არმიად იქცნენ, სხედან ტანკებში და ისვრიან კალაშნიკოვებიდან. **ახლა მთავარი ისაა, იქცევა თუ არა ნატო ამ არმიის სამხედრო-საჰაერო ძალად და ჩანაცვლებს თუ არა ანგლო-ფრანკო-ამერიკულ კონსორციუმს. სხვათა შორის, ეს „მსურველთა კოალიცია“, რომელიც ლიბიაში იბრძვის, ნატოს წევრი 28 ქვეყნიდან მხოლოდ 12-ს მოიცავს, პლუს ყატარი. ასე რომ, ის სულაც არ წარმოადგენს „მსოფლიო საზოგადოებას“.**

გაეროს მიერ მოწონებული არასაფრენი ზონის სრულ ვერდიქტამდე ლოდინი მანამ გასტანს, ვიდრე არ გაჩნდება „მეამბოხე“ მთავრობა და არ დასრულდება სამოქალაქო ომი. ამის შემდეგ კი შესაძლებელი გახდება მომხდარის გაანალიზება და იმის გარკვევა, გამართლებული იყო თუ არა დაბომბვები; რატომ „იცავდნენ“ აღმოსავლეთ რაიონების მოსახლეობას, ტრიპოლის მცხოვრებთ კი რაკეტებით ხოცავდნენ; იყო თუ არა ეს ქმედებები კანონიერი; როგორ იქცა გაეროს რეზოლუცია შირმად ხელისუფლების შესაცვლელად; როგორ შეიძლება, რომ ლიბიელ „რევოლუციონერებსა“ და დასავლეთს შორის სასიყვარულო რომანი სისხლიანი განქორწინებით დასრულდეს და დასავლეთიდან ვინ მიიღებს უდიდეს დივიდენდებს ახალი ერთიანი ლიბიისაგან. ახლა ძალზე ადვილია იმის განსაზღვრა, თუ ვინ ითბობს ხელს ამ ოპერაციაზე.

## პენტაგონი

**პენტაგონის შეფმა რობერტ გეიტსმა გაქვავებული სახით განაცხადა, რომ მთელს ახლო აღმოსავლეთში არსებობს სამი რეპრესიული რეჟიმი: ირანი, სირია და ლიბია. პენტაგონი ყველაზე სუსტ რგოლს — ლიბიას მიადგა. დანარჩენი ქვეყნებიც მუდამ წამყვან ადგილებს იკავებდა ნეოკონსერვატორების სალიკვიდაციო სიაში. რაც შეეხება საუდის არაბეთს, იემენს, ბაჰრეინსა და სხვებს, ეს ქვეყნები დემოკრატიის ნიმუშებს წარმოადგენს.**

რაც შეეხება ამ ხან ხილულ და ხან უხილავ ომს, პენტაგონმა მოახერხა მისი ორჯერ გაჩალება. ის დაიწყო აფრიკის რეგიონში აშშ-ის ძალთა სარდლობამ, რომელიც ჯორჯ ბუშმა შექმნა, ობამამ გააძლიერა, აფრიკის მრავალმა სახელმწიფომ, მეცნიერებმა და უფლებადამცველმა ორგანიზაციამ კი უარყვეს. ახლა ომი ნატოს მმართველობაში გადადის.

ეს პირველი აფრიკული ომი „AFRICOM“-ია და მას გენერალი კარტერ ხემი თავისი შტაბიდან კურირებს. **როგორც სირაკუზის უნივერსიტეტის აფრო-ამერიკული კვლევებისა და პოლიტოლოგიის მასწავლებელმა ხორას კემპბელმა თქვა, „AFRICOM“-ი წმინდა წყლის თაღლითობაა. „სინამდვილეში ეს არის აფრიკაში მოქმედი ამერიკული სამხედრო კონტრაქტორების „DYNCORP“-ის, „MPRI“-ისა და „KBR“-ის შენიღბვა.**

სამხედრო გეგმების ამერიკელი შემდგენები, რომლებიც სამხედრო მოქმედებათა პრივატიზებით სარგებლობენ, მოხარულები არიან აფრიკული სარდლობისთვის ლიბიური ინტერვენციის ნიღაბქვეშ მეტი წონისა და ავტორიტეტის მინიჭებით“, — აცხადებს იგი.

სპარსეთის ყურის ნავთობმონარქებმა, ეგვიპტისა და ტუნისის გარდა, ერთხმად დაუჭირეს მხარი დაბომბვებს. აშშ-ის აფრიკულ სარდლობას აფრიკის მხოლოდ ხუთი ქვეყანა — ლიბია, სუდანი, სპილოს ძვლის სანაპირო, ერითრეა და ზიმბაბვე არ ემორჩილება.



## ნატო

**ნატოს გენერალური გეგმა ხმელთაშუა ზღვის ნატოს ტბად ქცევაა. თუ ამ კუთხიდან შევხედავთ, ხმელთაშუა ზღვა ახლა, როგორც სამხედრო მოქმედებათა თეატრი, გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ავღანეთი და პაკისტანი.**

ხმელთაშუა ზღვის 20 ქვეყნიდან მხოლოდ სამი არ შედის ნატოს შემადგენლობაში და ალიანსთან „პარტნიორობის“ პროგრამებით არ არიან მიბმულნი. ესენია ლიბია, ლიბანი და სირია. ლიბანის წინააღმდეგ 2006 წლიდან უკვე მოქმედებს ნატოს ბლოკადა, ახლა ბლოკადა მოქმედებს ლიბიის წინააღმდეგაც. დაიხსომეთ, შემდეგი სირია იქნება. შეერთებული შტატები ნატოს დახმარებით ამ წრის ჩაკეტვას აპირებს.

## საუდის არაბეთი

**რა გამართლებაა. მეფე აბდალა თავისი მუდმივი მტრის — კადაფისგან თავისუფლდება. საუდების სახლი მისთვის დამახასიათებელი საცოდავი და დამამცირებელი მანერით საკუთარი ტყავიდან ძვრება, რომ როგორმე დასავლეთს აამოს.**

მსოფლიო საზოგადოების ყურადღებას არ სცალია საუდიტებისთვის, რომლებიც კანონიერი, მშვიდობიანი და დემოკრატიული საპროტესტო მოძრაობის ჩასახშობად ბაჰრეინში შეიჭრა.

საუდების სახლმა შემოგვაჩეჩა ტყუილი იმის შესახებ, რომ არაბული სახელმწიფოების ლიგამ სრული შემადგენლობით დაუჭირა მხარი ავიაციის ფრენის აკრძალვას. არადა, სინამდვილეში 22 წევრი ქვეყნიდან კენჭისყრას მხოლოდ 11 ესწრებოდა. სირია და ალჟირი წინააღმდეგნი იყვნენ. საბოლოოდ აკრძალვას მხარი დაუჭირა 22-დან 9 ქვეყანამ.

## ყატარი

**2022 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებმა მშვენივრად იციან, რომ საჭიროა გარიგებები.** მათი „მირაჟი“ ხელს უწყობს ლიბიის დაბომბვებს, დოხა კი ამავე დროს აღმოსავლეთ რაიონებიდან ლიბიის ნავთობის გაყიდვას გეგმავს. ყატარმა, მას შემდეგ, რაც ნავთობის გაყიდვის გარიგება მოხდა, პირველმა აღიარა „ამბოხებულები“ ლიბიის ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებად.

## „ამბოხებულები“

**ლიბიის ყველაზე ორგანიზებულ ოპოზიციურ დაჯგუფებას — ლიბიის ნაციონალური გადარჩენის ფრონტს — წლების განმავლობაში საუდების სახლი, ცსს და ფრანგული დაზვერვა აფინანსებდა. მეამბოხეთა „დროებითი გარდამავალი ნაციონალური საბჭო“ სხვა არაფერია, თუ არა ძველი ნაციონალური ფრონტი, პლუს არმიიდან გადასულთა გარკვეული რაოდენობა. ეს „მშვიდობიანი მოსახლეობის“ ელიტაა, რომელსაც „კოალიცია“ იცავს.**

„დროებითმა გარდამავალმა ნაციონალურმა საბჭომ“ ახალ ფინანსთა მინისტრად ამერიკაში ნასწავლი ეკონომისტი ალი ტარხუნი დანიშნა, მან კი განაცხადა, რომ დასავლეთის ქვეყნების ჯგუფმა ამბოხებულებს მისცა კრედიტი ლიბიის ნაციონალური კეთილდღეობის ფონდის უზრუნველყოფით, ბრიტანელებმა კი კადაფის სახსრებიდან 1,1 მილიარდი დოლარი მისცეს. ეს ნიშნავს, რომ ანგლო-ფრანკო-ამერიკული კონსორციუმი, ახლა უკვე ნატო, მხოლოდ ბომბებისთვის გადაიხდის. **დასავლეთმა ლიბიის ფული გამოიყენა იმისთვის, რომ ავანტიურისტების ჯგუფს, რომელიც თავს ლიბიელ მეამბოხეებს უწოდებს, ხელისუფლებასთან ბრძოლა დაუფინანსოს.**

## ფრანგები

**ბენღაზში ფაფის ხარშვა 2010 წლის ნოემბრიდან დაიწყო. მთავარი მზარეულები მესმარი, სამხედრო-საჰაერო ძალების პოლკოვნიკი აბდალა გეჰანი და საფრანგეთის საიდუმლო სამსახური იყო.** მასმარი „ლიბიური ვიკილიქსია“, რომელმაც კადაფის, პრაქტიკულად, ყველა სამხედრო საიდუმლო გასცა. ეს ძალიან მოეწონა სარკოზის, რომელიც გამძვინვარებული იყო კადაფის მხრიდან „რაფელების“ შეძენის კონტრაქტსა და ფრანგულ ატომურ ელექტროსადგურებზე უარის თქმის გამო. სწორედ ამით აიხსნება, თუ რატომ პოზირებს სარკოზი სიხარულის შეძახილებით არაბული განმათავისუფლებლის როლში და რატომ დაიწყო ყველაზე პირველმა კადაფის ჯარების დაბომბვა.

**ტერმინატორ სარკოზის ვერაფერი შეაკავებს. მან ესესაა გააფრთხილა ყველა არაბი მმართველი, რომ, პროტესტების ჩახშობის შემთხვევაში, ლიბიის სტილის დაბომბვები ელით.** მან ისიც კი თქვა, რომ შემდეგი სპილოს ძვლის სანაპირო იქნება.

## ალ ქაიდა

**დღეს ანგლო-ფრანკო-ამერიკული კონსორციუმი** (ახლა უკვე ნატო) **იბრძვის ალ ქაიდასთან — მაღრიბის ქვეყნებში მის განყოფილებასთან ერთად** (კვლავაც). ჩადის პრეზიდენტმა იდრის დებიმ განაცხადა, რომ ამ განყოფილებამ ქვეყნის აღმოსავლეთით სამხედრო არსენალი გაძარცვა და ახლა საზენიტო რაკეტების დიდ რაოდენობას ფლობს. მარტის დასაწყისში ამ ორგანიზაციამ ღიად დაუჭირა მხარი მეამბოხეებს. **უსამა ბენ ლადენის აჩრდილმა კვლავ მოახერხა, აეძულებინა პენტაგონი, მასზე იმუშაოს.**

## წყლის პრივატიზაცია

**ცოტა ვინმემ თუ იცის დასავლეთში, რომ ლიბია, ისევე, როგორც ეგვიპტე, უკიდურესად ღირებული დაპრესილი წყლის ოკეანეზეა. ასე რომ, ეს ხან ხილული და ხან უხილავი ომი წყლისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა.**

ამ წყლისმატარებელ ფენაზე კონტროლი ფასდაუდებელი სიმდიდრეა. ამიტომაც გაჩნდა ამ ღირებული ბუნებრივი რესურსის „ველურებისა და ბარბაროსებისაგან გადარჩენის“ აუცილებლობა. ეს წყალი იქცა უდიდეს ხელოვნურ მდინარედ უდაბნოში, რომელიც კადაფიმ 25 მილიარდ დოლარად ისე ააშენა, რომ მსოფლიო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკისგან ერთი ცენტიც არ უსესხია. წყლის მსოფლიო ბაზრის 40%-ზე მეტს სამი ფრანგული კომპანია აკონტროლებს. ახლა თუ ამ ხელოვნური მდინარის წყალსადენების დაბომბვას დაიწყებენ, საფრანგეთი მათი აღდგენის უკიდურესად ხელსაყრელ კონტრაქტებს მიიღებს და ამით დასრულდება ამ დროისთვის უფასო ზემოხსენებული წყლის პრივატიზაცია, შოკის დოქტრინიდან წყლის დოქტრინამდე. ჯერჯერობით არავინ იცის, ვინ დაეპატრონება საბოლოოდ ნავთობსა და გაზს, მაგრამ შოუ (დაბომბვა) უნდა გაგრძელდეს, რადგან ომზე უკეთესი ბიზნესი არ არსებობს.

**პეპე ესკობარი**
**ASIA TIMES**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



## მაზარ ე კუაიდი

ყარაჩი, პაკისტანი

**პაკისტანის დამაარსებელი მუჰამად ალი ჯინუს ერის მამას უწოდებენ. სიყვარულის დასამტკიცებლად სამოციანი წლების დასასრულს მას მავზოლეუმი აუშენეს მისსავე მშობლიურ ქალაქ ყარაჩიში.** შენობა თეთრი მარმარილოთი არის მოპირკეთებული და ოდნავ ამაღლებულ ადგილზე დგას, სანამ მის კიბეს აუყვებით, ფეხსაცმელი უნდა გაიხადოთ. დიდ დარბაზში მარმარილოს განსასვენებელი დგას. საპატიო ყარაული ყოველ 4 საათში ერთხელ იცვლება.

# მსოფლიოს ყველაზე ცნობილი მავზოლეუმები

## კუმსუსანის მემორიალური კომპლექსი

ფხენიანი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა



**რკინის მეომარი, ადამიანების გამათავისუფლებელი, დიდი წინამძღოლი და მარადიული პრეზიდენტი კიმ ირ სენი უკვდავია. მას ადგილი თავის სიცოცხლისდროინდელ რეზიდენციაში, ფხენიანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე კიმსუსანის სასახლეში აქვს მიჩენილი.** შთამბეჭდავია არა მხოლოდ მემორიალი, არამედ მისი დათვალიერების რიტუალიც. დამთვალიერებლებს სიის მიხედვით ამოწმებენ, ფოტო და ვიდეოკამერებს ართმევენ, მეტალოდეტექტორითა და გაზის ანალიზატორებით ჩხრეკენ და მხოლოდ ამის შემდეგ ხვდებიან ისინი უშუალოდ კოშკში. თითოეულს ეძლევა „ფლეერი", რომელიც სტუმრისათვის გასაგებ ენაზე ყვება, რამდენი უცნაური რამ მოხდა კიმ ირ სენის სიკვდილის დღეს. მაგალითად, როგორ დაკარგა დედამიწამ თავისი წონის ნაწილი, კორეელი ხალხის ცრემლები კი ქვებს ხვრეტდა. გალიმების სურვილს სტუმრებს შეიარაღებულ დაცვასთან ერთად სოციალისტური კორეის მოქალაქეებიც უკარგავენ — ისინი მთელი ხმით მოთქვამენ.

## მაო ძედუნის მავზოლეუმი

პეკინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა



**თავიდან დამთვალიერებელი ხვდება შიდა ეზოში, სადაც ყვავილების ყიდვა შეუძლია.** შემდეგ ჩრდილოეთის დარბაზში ინაცვლებს, იქიდან კი — ბროლის სარკოფაგიან დარბაზში, სადაც მაო ძედუნია ჩასვენებული.

## ჰარდინესს დე ჰუმაის სასაფლაო

კულიაკანი, მექსიკა



**ჰარდინესს დე ჰუმაიას სასაფლაოზე ნარკობარონები დიდ პატივში არიან. აქ მათი უამრავი სამარხი მდებარეობს. თითოეულის ფასი ასი ათას ამერიკულ დოლარამდე აღწევს.** ისინი სტერეოსისტემებითა და კონდიციონერებით არის აღჭურვილი. ზოგიერთი ჯვარი საფლავებზე ნეონისაა და ღამით ანათებს. სამარხებში მათი მეპატრონეების სურათებია. აქ დიდი რაოდენობით ნახავთ სათამაშო მანქანებსა და იარაღს, როგორც ნარკობარონების განუყრელ ატრიბუტს. მეორე სართულზე გარდაცვლილის სანახავად მოსული ოჯახის წევრებისა და მეგობრებისთვის მოსასვენებელი ოთახებია განლაგებული.

## მაკბორატშოარა

თებრიზი, ირანი



**მავზოლეუმი მმართველისთვის კი არა, ღვთის მსახურებისთვის არის აგებული. ამ ადგილის სახელწოდებაც — სუხრაბი, თარგმანში „პოეტების მავზოლეუმს" ნიშნავს.** თებრიზი აღმოსავლეთ აზერბაიჯანის პროვინციის დედაქალაქია. მავზოლეუმში მყოფი პოეტები ერთნაირად ითვლებიან აზერბაიჯანელებად და სპარსელებად. სწორედ ამიტომ, 2009 წელს აზერბაიჯანმა მაკბორატშოარას ხედები „ევროვიზიისთვის" მომზადებულ სარეკლამო რგოლში გადაიღო, რამაც ლამის დიპლომატიური სკანდალი გამოიწვია.

## ხო ში მინის მავზოლეუმი

ხანოი, ვიეტნამი



**ხო ში მინი რევოლუციონერი და დაუღალავი მებრძოლი იყო. მისი მავზოლეუმი რაღაცით ლენინის მავზოლეუმს ჩამოჰგავს.** 20 ნაცრისფერი გრანიტისგან აშენებულ ბოძზე ვიეტნამურ სტილში გადაწყვეტილი სახურავი დგას. მარმარილოს კიბეები მიდის ცენტრალურ დარბაზამდე, სადაც გამჭირვალე კუბოს თავსახურის ქვეშ ხო ში მინის ცხედარი მოჩანს.

## ტერაკოტის არმია

სიანი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა



**იმპერატორი ცინ შიხუან დი ჩინეთში პირველი ცენტრალიზებული სახელმწიფოს დამაარსებელია.** იგი ძლიერ იყო დაინტერესებული უკვდავების ელექსირის პოვნით და ყველგან მას ეძებდა. ბრძენებმა ცრუმორწმუნეობა დასწამეს, იმპერატორმა კი 460-ვე მეცნიერი მიწაში ცოცხლად დაამარხვინა. მათ მაინც მოახერხეს, იმპერატორში უკვდავების ძიების ჟინი ჩაეცხროთ, რადგან ელექსირის პოვნის ნაცვლად, იმპერატორმა გრანდიოზული სამარხის აშენება გადაწყვიტა. სამარხი აშენებიდან 2000 წლის შემდეგ აღმოაჩინეს და მას ახლაც იკვლევენ.

## ჰომეინის მავზოლეუმი

თეირანი, ირანი



**სამარხის გუმბათი მთლიანად ოქროსგან არის ჩამოსხმული და ვიტრაჟით არის მორთული.** გუმბათი 8 მარმარილოს ბოძს ეყრდნობა, მის ქვეშ კი ჟალუზებით გარშემორტყმული სამარხებია. აქ ჰომეინისა და მისი ვაჟის — აჰმადის საფლავებია.

## ასკიას სამარხი

გაო, მალი



**მალის ქალაქ გაოს ჩრდილოეთით 17 მეტრის სიმაღლის პირამიდაა აღმართული. ეს მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოს აშენებული იმპერატორ ასკია მოჰამად პირველის მავზოლეუმია.** ასკიას დროს გაო სონგაის იმპერიის დედაქალაქი იყო. ასკია მორწმუნე მუსლიმანი გახლდათ, რომელიც ეგვიპტის პირამიდებმა აღაფრთოვანა და გადაწყვიტა, მსგავსი გაოშიც აეშენებინა. თიხისგან ასკიას დღევანდელი სამარხი ააშენეს.

## ანიტკაბირი

ანკარა, თურქეთი



**მუსტაფა ქემალმა გიგანტური, მაგრამ სუსტი ოსმანური იმპერია, ფაქტობრივად, მონოეთნიკურ, პატარა, მაგრამ თანამედროვე და ძლიერ სახელმწიფოდ აქცია.** მან ხალხის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა, ხალხმა კი საკუთარი დამოკიდებულება მისთვის ათათურქის შერქმევით გამოხატა, რაც „მამა თურქს" ნიშნავს და 1953 წელს მავზოლეუმიც აუშენა. მავზოლეუმთან ლომების გზა მიდის. მანძილის სიგრძე 262 მეტრამდეა. გზა სრულდება ცერემონიების მოედანზე, რომელის 15 000-მდე ადამიანს იტევს. ის 373 ხალიჩით არის მორთული. მისგან ხელმარცხნივ უბრალო, მაგრამ დიდებული მავზოლეუმი დგას.

## გურ-ემირი

სამარყანდი, უზბეკეთი



**ტამერლანის მავზოლეუმის მშენებლობა ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში დაიწყეს. შენობა რვანავიანია.** კედლების ქვედა მხარე ონიქსის პანელებით არის დაფარული. ზედა ნაწილი სტალაქტიტებისგან ვარსკვლავებითაა მოხატული, გუმბათი კი ოქროსფერი ნახატებით არის მოხატული. ტამერლანის სამარხი შავი ნეფრიტისგანაა ნაგები.

▶



თავისი ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მუსიკოსის, ამერიკელი გიტარისტის, მომღერლისა და კომპოზიტორის — **ჯიმი ჰენდრიქსის** მემკვიდრეობას ახლაც უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს. თავად როკ მუსიკის ვარსკვლავი 27 წლის ასაკში გარდაიცვალა. მის მიერ ხელმოწერილი ქაღალდის ნაგლეჯის საწყისი ფასი აუქციონზე 41 ათასი დოლარია.

## უძვირფასესი ავტოგრაფები



ინგლისელი პოეტისა და დრამატურგის — **უილიამ შექსპირის** მხოლოდ 6 ორიგინალი ავტოგრაფი შემორჩა თანამედროვეობას და თითოეული მათგანი 5 მილიონ დოლარად შეფასდა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

## გრანტის მავზოლეუმი

**ნიუ იორკი, აშშ**



**გრანტი იყო სამოქალაქო ომის სისხლიანი ბრძოლების გამარჯვებული ფერმერი, რომელიც ბოლოს აშშ-ის მეთვრამეტე პრეზიდენტი გახდა. იგი ორი ვადით აირჩიეს.** ბოლოს გაკოტრდა. გრანტის პორტრეტი აშშ-ის ორმოცდაათდოლარიან კუპიურაზეა გამოსახული. უილის სიმსონ გრანტის მეტსახელი „უსიტყვო კაპიტულაცია“ იყო. მისი ცხოვრება ამერიკულ ოცნებასთან ერთად დიდ ტრაგედიასაც მოიცავდა. 1885 წლის 23 ივნისს იგი სიმსივნით გარდაიცვალა. დაკრძალვა ნიუ იორკის მთავრობამ ითავა და ადგილი მანჰეტენზე, რივერსაიდ-პარკში დაუთმო. სწორედ იქ ააშენეს მავზოლეუმი არქიტექტორ ჯონ დუნკანის პროექტის მიხედვით. მემორიალი 1897 წლის 27 აპრილს გაიხსნა და დღემდე ყოველდღიურად ტარდება უფასო ექსკურსიები.

## ჩე გევარას მავზოლეუმი

**სანტა-კლარა, კუბა**



**ჩე გევარას მავზოლეუმი პარტიზანულ სტილშია გადაწყვეტილი. მნახველებს ისეთი შთაბეჭდილება ექმნებათ, თითქოს ბოლივიის ჯუნგლებში იმყოფებიან.** აქ ფიდელ კასტროს მიერ დანთებული მარადიული ცეცხლი გიზგიზებს. სამარხის გვერდით კი ჩე გევარას მუზეუმია. აქ ინახება მისი ცნობილი ვარსკვლავიანი ჩაფხუტი, ინჰალატორი და უამრავი ნაირსახეობის იარაღი.

## ციხუს მავზოლეუმი

**ციხუ, ტაივანი**



**ტაივანის პირველმა პრეზიდენტმა ჩან კაიშიმ ანდერძში ჩაწერა, რომ მისი ცხედარი მხოლოდ მას შემდეგ დაეკრძალათ მის მშობლიურ ქალაქ ფენხუაში, რაც იქ ერთი კომუნისტიც აღარ დარჩებოდა.** ლიდერის უკანასკნელი თხოვნის შესრულება დღემდე ვერ ხერხდება, ამიტომ ის, უკვე 35 წელია, ციხუს მავზოლეუმში განისვენებს. პრეზიდენტის სიცოცხლეში აქ მისი ერთ-ერთი რეზიდენცია იყო განლაგებული. ის ფენხუას არქიტექტურის სტილშია აშენებული. შავი სარკოფაგი სასტუმრო ოთახშია. ეზოში უნიკალური ქანდაკებების პარკია „გაშენებული“.

# რიტუალი ობამას გონზე მოსაყვანად

**სალვადორში მცხოვრებმა მაიას ტომის ინდიელებმა იმისთვის, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ბრძნული გადაწყვეტილებები მიიღოს, რიტუალი ჩაატარეს. ცერემონია მაიას ძველ საკურთხეველთან, სალვადორისგან 25 კილომეტრის მოშორებით გაიმართა.**





ხუთმა შამანმა ცეცხლში სანთლები და კაკაოს მარცვლები შეყარა, რის შემდეგაც მათ ვულკანებს, მთებსა და წინაპრებს მოუხმეს, რათა შესთხოვონ მზის ენერგიას, რომ ობამას გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაეხმაროს.

შამანებმა ასევე აღნიშნეს, რომ ცივილიზაცია არასწორი მიმართულებით ვითარდება. რიტუალის ჩატარება გაზაფხულის მოახლოებასთან დაკავშირებული ზეიმის ნაწილად იქცა. ცერემონიაზე 100-მდე ადგილობრივი მაცხოვრებელი შეიკრიბა. ისინი შამანებს ლოცვაში ეხმარებოდნენ. გარდა ამისა, იქ იმყოფებოდა აშშ-ის სპეცსამსახურის 3 თანამშრომელი, რომლებიც აშშ-ის პრეზიდენტის სალვადორში ვიზიტს ამზადებდნენ.

# უგანდის პრეზიდენტი ოპონენტს შეჭმას უპირებს







**უგანდის ახალარჩეული პრეზიდენტი იოვერი კაგუტა მუსევენი თავის პოლიტიკურ ოპონენტს, კიზუ ბესიჯეს, რომელმაც ხელისუფლება გააკრიტიკა, არც მეტი, არც ნაკლები, შეჭმით დაემუქრა. მუსევენიმ ბესიჯეს მიერ საპრეზიდენტო არჩევნების გაკრიტიკების კომენტირებისას განაცხადა: „ჩვენ მას დავიჭერთ და ნამცხვარივით შევჭამთ“.**

საპრეზიდენტო არჩევნებში მუსავიმ ხმათა 68 პროცენტით გაიმარჯვა, ბესიჯეს კი მხარი 26 პროცენტმა დაუჭირა. შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, ბესიჯემ ხალხს მიმართა და არჩევნები არალეგიტიმურად გამოაცხადა. მან უგანდელებს პრეზიდენტის ჩამოგდებისა და ახალი არჩევნების ჩატარებისკენ მოუწოდა. მუსევენი, რომელიც ამჟამად 66 წლისაა, უკვე 25 წელია, ხელისუფლებაში იმყოფება.

რაც შეეხება ოპონენტების ან ვინმე სხვის შეჭმას, ეს უგანდის პოლიტიკურ სპექტრში სიახლე არ არის. ყველაზე ცნობილი კანიბალი პრეზიდენტი ადი ამინი ამ ქვეყანას 70-იან წლებში მართავდა. გავრცელებული ვერსიით, ამინს, რომელიც ყველაზე პირსისხლიან დიქტატორად მიიჩნეოდა, რეგულარულად კვებავდნენ ადამიანის ხორცით. მას განსაკუთრებით თავისი პოლიტიკური ოპონენტები ხიბლავდნენ.

## აინშტაინზე ჭკვიანი



**თანამედროვეობის გენიოსად, ბილ გეითსთან და სტივენ ჰოკინგთან ერთად, ახლა უკვე 11 წლის ბრიტანელ გოგონას — ვიქტორია კაუისაც მოიხსენიებენ. მისი „IQ“-ს მაჩვენებელი 162-ია, რითაც მან არა მხოლოდ გეითსსა და ჰოკინგს, აინშტაინსაც კი გაუსწრო.**

გოგონას მშობლები ამბობენ, რომ ყოველთვის იცოდნენ, რომ ჭკვიანი შვილი ჰყავდათ, თუმცა მის გენიოსობაზე წარმოდგენა არ ჰქონდათ. ის ზიგმუნდ ფროიდზე (156) ნაპოლეონ ბონაპარტზე (145) და ჰილარი კლინტონზე (140) ჭკვიანიცაა, მათი მაჩვენებლები ვიქტორიასთან შედარებით გაცილებით დაბალია. ვიქტორიას ძალიან აინტერესებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და ექსპერიმენტების ჩატარება. გარდა ამისა, ის ვიოლონჩელზე და საქსოფონზე უკრავს და სურს, ვეტერინარი გამოვიდეს. იგი პლანეტის ყველაზე ჭკვიანი ადამიანების ასოციაცია „მენსის“ წევრია.

## ყველაზე ახალგაზრდა ბებია



**რუმინელი რიფკა სტანესკო 23 წლის ასაკში ბებია გახდა.**

რიფკამ პირველი შვილი 12 წლის ასაკში გააჩინა. გოგონა სახლიდან 11 წლის ასაკში გაიქცა და ცოლად გაჰყვა 13 წლის ბიჭს, რომელთან ურთიერთობასაც მშობლები უშლიდნენ.

როგორც ჩანს, შვილიც დედის კვალს გაჰყვა და 11 წლის ასაკში ვაჟი გააჩინა. მანამდე ევროპაში ყველაზე ახალგაზრდა ბებია 29 წლის იტალიელი ჯულია ელია გახლდათ.

## მცურავი სახლები



**სამხრეთ ტაილანდში, ფანგ-ნგას ყურის სანაპიროზე, მსოფლიოში ყველაზე საოცარი საცხოვრებელი კომპლექსი „Aquaminium“-ი ააგეს.** მის შემადგენლობაში 15 უმდიდრესი სახლი შედის, მაგრამ საოცარი ისაა, რომ ეს სახლები ხმელეთს საერთოდ არ ეხება, მათი საძირკველი წყალშია. იახტების მფლობელებს შეუძლიათ, პირდაპირ თავიანთი სახლების ზღურბლთან მიაყენონ იახტები. საამისოდ სახლებს აქვს სპეციალური სადგომები, რომლებშიც 12 მეტრამდე სიგრძის იახტები უპრობლემოდ ეტევა. რაც შეეხება სახლს, მასში ადამიანის კომფორტისა და სიამოვნებისთვის ყველაფერია ბარის, ჯაკუზის, სახლის კინოთეატრისა და ჰიდროთერაპიის ზონის ჩათვლით.

# კატასტროფის ფინიშთან საქართველო ლიდერობს!



**და ვაი ამ ლიდერობას, რადგან ამ „მოწინავე“ პოზიციიდან კატასტროფის ფინიშამდე პირველი მიიჭრები და ისეთ ეკონომიკურ უფსკრულში გადაიჩეხები, რომ იქიდან ამოყვანა ისეთი იოლი არ იქნება, როგორც დამყვედრებელი გამვლელის მიერ ხაროში ჩაგდებული კაცის დახსნა.**

სტატისტიკის ეროვნული ორგანოების მონაცემებით, ნათქვამია ახლახან ინტერნეტით გავრცელებულ ინფორმაციაში, ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებში 2011 წელს დაფიქსირებულა ინფლაციის მაღალი დონე.

თებერვალში ინფლაციის ყველაზე დამზოგი დონე 2010 წლის თებერვალთან შედარებით აღინიშნა ბალტიისპირეთის ქვეყნებში. მაგალითად, **ლიტვაში სამომხმარებლო ფასების ზრდამ მხოლოდ ნახევარი პროცენტი შეადგინა, ესტონეთში — 0,6 პროცენტი, ლატვიაში — 1,6 პროცენტი. სამომხმარებლო ინფლაციის საერთო დონე უკრაინაში 1,9 პროცენტს არ გადასცდენია.**

**ინფლაციის თვიური დონის მიხედვით, აბსოლუტური ლიდერის პოზიციაზე აღმოჩნდა საქართველო — 4,9 პროცენტი.**

**როგორ აფასებს ამ ვითარებას ექსპერტი ნოდარ ჯავახიშვილი?**

— რა თქმა უნდა, უარყოფითად ვაფასებ. ეს ელემენტარულია. ის, რომ საქართველოში ყველაზე მაღალი ინფლაციაა, ძირითადად, იმაზე მიუთითებს და ამის შესახებ თქვენი მკითხველებისთვისაც არაერთხელ მითქვამს, რომ ჩვენთან არ არის ადეკვატური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. ფულადი მასის საქონლისა და მომსახურების ფასებთან თანაფარდობის მიხედვით განისაზღვრება ინფლაცია. თუ ეს თანაფარდობა ირღვევა ფულის მასის ზრდის ხარჯზე, იზრდება ინფლაცია.

ლარის რაოდენობა ჩვენთან უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ესტონეთში იქაური ვალუტის რაოდენობა, ხოლო, რაც უფრო მეტია მიმოქცევაში ფული, რაც უფრო მეტად გავზრდით მის მასას, უფრო მაღალი იქნება ინფლაციის მაჩვენებელი.

**— უფრო მეტად უფასურდება და ეცემა ლარის მსყიდველობითი უნარი?**

— დიახ. სააკაშვილი რომ ამბობდა, ეს მოვლენა ეგზოგენური ფაქტორებით არის გამოწვეულიო, იგივე ფაქტორები ხომ ერთნაირად მოქმედებს ყველა სხვა ქვეყანაზე?

**— ბუნებრივია, მოქმედებს.**

— მაშ, რატომაა ჩვენთან ინფლაცია ყველაზე მაღალი? იმიტომ, რომ გადამწყვეტი საქართველოში მოქმედი შიდა ფაქტორებია. რეფინანსირების სესხებს ყოველთვიურად 100-150 მილიონ ლარს ვაძლევთ ბანკებს, ესტონეთში არ აძლევენ. ეს არის მიმოქცევაში დამატებული ფული. მეტს გამოუშვებ ფულს, გაიზრდება მოთხოვნა. ირღვევა ის თანაფარდობა, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ.



ჩვენი „მაგარი“ მთავრობა კი კმაყოფილი მიდის ანგარიშის ჩასაბარებლად პარლამენტში და ნაცბოლების უმრავლესობით შექებულ-ფრთაშესხმული იქიდან გამოდის ურყევი რწმენით, რომ „ძალიან მაგარია“ და უფრო მეტიც.

ჩვენთან ქება ისევეა გაუფასურებული, როგორც ლარი — სამომხმარებლო ბაზარზე, რაც, ეტყობა, იმის ნიშანია, რომ ბენდუქიძის ყოვლისმომცველი პრივატიზაციის პირობებში სინდისიც გაიყიდა, ნისიად.

**არმაზ სანებლიძე**


# უნივერსალური წყალი „ისიდა“



## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგეგნლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21. 890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**

pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო
საქინფორმი
www.saqinform.ge

# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.



ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თეოდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი,
ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net